საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering


# ბიზნეს-ინჟინერინგი
# Business-Engineering


ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

ჟურნალი დარეგისტრირებულია საძიებო სისტემაში GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538
JOURNAL IS REGISTERED IN THE GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538

N1-2
2022

# ბიზნეს -ინჟინერინგი
# Business-Engineering

**ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი**

უაკ (**UDC**) 338.22+62

ბ–666

N1-2, 2022 წელი



**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:** ა. სიჭინავა

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ:** დ. სეხნიაშვილი

**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:** ა. ქუთათელაძე

**ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:** თ. აბუაშვილი, ნ. გეგენავა

---------------------------------------------------------------

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:**

გ. აბდუშელიშვილი, მ. ბილინსკა (უკრაინა), ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), რ. გინევიჩუსი (ლიეტუვა), დ. გურგენიძე, შ.ვეშაპიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), დ. თავხელიძე, დ. იაკობიძე, კ. ისაევა (ყაზახეთი), რ. შენგელია, ი. კვესელავა, მ. ტემერბაევა (ყაზახეთი), ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი, თ. მერკულოვა (უკრაინა), ტ. კასიანენკო (რუსეთი), ი. კუტუბიძე, ვ. მინასიანი (რუსეთი), ვ. ნავიცკასი (ლიეტუვა), ლ. ნაზარკო (პოლონეთი), ჯ. ნაზარკო (პოლონეთი), მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), მ. რაუდიარვუ (ესტონეთი), დ. სეხნიაშვილი, ა. სილაგაძე, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, გ. ღავთაძე, მ. ჩიქავა.

**EDITOR :** A. Sichinava
**DEPUTY OF CHIEF EDITOR:** D. Sekhniashvili
**TECHNICAL EDITOR:** A. Kutateladze
**TECHNICAL EDITORS:** T. Abuashvili, N. Gegenava

---------------------------------------------------------------

**EDITOR STAFF:**

C. Abdushelishvili, M. Bilynska (Ukraine), Z. Gasitashvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, A. Glucetsky (Russia), R. Ginevičius (Lietuva), D. Gurgenidze, Sh. Veshapidze R. Winther (Switzerland), D. Tavkhelidze, D. Iakobidze, K. Isayeva (Kazakhstan), R. Shengelia, I. Kveselava, M. Temerbaeva (Kazakhstan), E. Lobanova (Russia), Sh. Lominashvili, T. Merkulova (Ukraine), T. Kasyanenko (Russia), I. Kutubidze, V. Minasian (Russia), V. Navickas (Lietuva), L. Nazarko (Poland), J. Nazarko (Poland), M. Osinska (Poland), M. Pisaniuk (Moldova), M. Raudjärv (Estonia), D. Sekhniashvili, A. Silagadze, A. Prangishvili, L. Karchava, G. Gavtadze, M. Chikava.


**სტატიაში მოყვანილი ფაქტების და მონაცემების სიზუსტსა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი**

**The author is responsible for accuracy and plagiarism of facts and data in the article.**


**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71-91-77; 599 10-91-90;

**www.Business-Engineering. bpengi.com**
ელ-ფოსტა: **info@bpengi.com**

**EDITORIAL OFFICE ADDRESS:**
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71-91-77; 599 10-91-90;

**www.Business-Engineering. bpengi.com**
E-mail: **info@bpengi.com**



**ISSN 1512-0538**



**ISSN 1512-0538**

# სარჩევი

## ბიზნეს ინჟინერინგი N1-2, 2022


საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის წარსული, აწმყო და მომავალი -------------------------- 6


## ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მიმართულებები


*Maryna Bilynska, Zurab Garakanidze*
**BIULDING NATIONAL RESILIENCE AFTER THE WAR:**
**ECONOMIC AND CRITICAL INFRASTRUCTURE APPROACH** -------------------------------------------------------------- 11

*ალექსანდრე სიჭინავა, შოთა გუჯაბიძე*
კასპიის რეგიონიდან შავი ზღვის გავლით ევროპაში
გაზის ტრანსპორტირების ტექნოლოგიების ეკონომიკური ანალიზი---------------------------------- 18

*ჯემალ ხარიტონაშვილი*
„საერთო ნიადაგის“ თეორიის შესახებ ------------------------------------------------------------------------ 25

*ბორის ჭიჭინაძე*
მსოფლიო პანდემიის და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე,
ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის შემუშავების აუცილებლობისათვის ------------- 29

*ნაზი ჭიკაიძე, სალომე ოღაძე*
ადამიანურ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა ------------ 36

*გია კვაშილავა*
ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემის
ისტორიის შესახებ (ბერძნული და ლათინური წყაროების მიხედვით)--------------------------------- 40

*გიორგი შენგელია*
მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და
ფორმირების პროცესი საქართველოში ----------------------------------------------------------------------- 45

*ბესარიონ სიმონიშვილი*
მიგრაცია და მიგრანტები - გლობალური მიმოხილვა --------------------------------------------------- 49

*ბელა კუტიბაშვილი*
ცირკულარული ეკონომიკის მოდელის
დანერგვის გამოწვევები და პერსპექტივაში საქართველოში------------------------------------------- 57

*გურამ ლომაია*
შრომის მწარმოებლურობაში განსხვავებები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში -------------------- 60

*ნიკოლოზ ოსტაპენკო*
ფისკალური მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკაში --------------------------------------------------------- 64

*ნინო ბენდიანიშვილი*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და
ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, ევროკავშირის გამოცდილება --------------------- 76

*გურამ ლომაია*
შრომის მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ფაქტორები ------------------------------------------------ 79

*ნინო ჯარიაშვილი*
მწვანე გამოწვევების სინერგიული ეფექტი ეკონომიკაში ---------- 83

*ნინო ჯარიაშვილი*
მწვანე ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგიის პრაქტიკული გააზრება ---------- 88

*თეიმურაზ გვეტაძე*
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სექტორზე ---------- 92

*ეკა ლეჟავა*
დასაქმების აქტიური ძირითადი მიმართულებები და
მისი განმახორციელებელი ინსტიტუტები ---------- 96

*ნატო ჩიკვილაძე*
ასიმეტრიული ინფორმაცია და მისი გავლენა ბაზრის ფუნქციონირებაზე ---------- 102

*მარიკა მერაბიშვილი*
საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ------- 105

## ბიზნეს-ინჟინერინგი ფინანსებში

*თამარ ღამბაშიძე, ნინო ხუჭუა, სოფია გურგენიძე*
ორგანიზაციული კულტურის თავისებურებებზე მომქმედი ფაქტორები ---------- 108

*იური კოჩარიანი*
სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის როლი
ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების პროცესში ---------- 111

*გივი ჩუბინიძე*
ინვესტიციები და ფინანსური ბაზრები ---------- 113

*მერი ჯანჯღავა*
მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტიტუტების გავრცელებული
პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში ---------- 116

*ირინე ჯავახაძე*
საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი
ზოგიერთი ფისკალური პარამეტრი და პანდემიის ზეგავლენა მათზე---------- 118

*გიორგი შენგელია, შალვა კუტუბიძე*
საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები და სატრანსფერო პოლიტიკა ---------- 123

*თამარ ხარიტონაშვილი*
თანამედროვე გამოწვევები სოციალურად პასუხისმგებლიან საბანკო ბიზნესში ---------- 127

## ბიზნეს-ინჟინერინგი მენეჯმენტში

*მარიამ წიკლაური*
ადაპტური პროცესების ასპექტები და მათი დანერგვის
მექანიზმები ჯანდაცვის მცირე ბიზნესში ---------- 131

## ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

*დალი სილაგაძე*
სოფლის მეურნეობის ძირითადი გამოწვევები---------- 136

*ანზორ მესხიშვილი*
საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები---------- 140

*ანზორ მესხიშვილი*
რამდენჯერ და როდემდე უნდა ვარეგისტრიროთ ერთი და იგივე მიწები ------------------------- 142

## ბიზნეს-ინჟინერინგი განათლებაში

*თეონა მეხრიშვილი, ანზორ კურატაშვილი*
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების პრობლემების გადაჭრის გზები -------------------------- 145

*რუსუდან ჯავახაძე, მარინა არაბიძე, მარინე ქვათაძე, რევაზ კლდიაშვილი, იზოლდა ჯიქიძე*
შრომითი პროცესის ჰიგიენური შეფასება
სსიპ კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ------------ 148

*თეონა მეხრიშვილი*
ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ----------- 151

***Ketevan Otarashvili***
**MANAGING INTERCULTURAL COMMUNICATIONS IN DIGITAL REALITY:**
**CHALLENGES AND OPPORTUNITIES** ------------------------------------------------------------------------------------ 154

***Тамара Саджая, Нато Гегенава***
**ПАНДЕМИЯ И ЕЕ ВЛИЯНИЕ НА ПОДХОД К СИСТЕМЕ ОБУЧЕНИЯ.**
**ГЛАЗАМИ СТУДЕНТА: АНАЛИЗ РЕАЛЬНОСТИ**------------------------------------------------------------------------ 157

## ბიზნეს -ინჟინერინგი სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობებში

*თამარა ტარტარაშვილი, ვეფხვია ჯოლოხავა*
მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საერთაშორისო გამოხმაურებები -------------------------------- 162

*ანუკი ტოგონიძე*
ჩინეთის და ევროკავშირის ტექნოლოგიური
შეჯიბრი ციფრულ ბაზარზე და მათი უპირატესობები------------------------------------------------- 167

*ლაშა ჯანაშია*
საერთაშორისო გადაწყვეტილებების კონტროლის განხორციელების
თავისებურებები ნარკოტიკების საერთაშორისო უკანონო ბრუნვის სფეროში ---------------- 171

*ია ალანია*
სახელმწიფო მმართველობა და სოციალური სამართლიანობა ---------------------------------------- 175

## ახალი წიგნები

*მიხეილ ჯიბუტი*
გამოხმაურება ნოდარ ჭითანავას წიგნზე
„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“ ----------------------------------------------- 180

*ნოდარ ჭითანავა*
გამოხმაურება ალექსანდრე სიჭინავას, ანზორ მესხიშვილის,
დალი სეხნიაშვილის მონოგრაფიაზე-მიწის რეფორმა საქართველოში-სახელმწიფო
მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები -------- 182

*შოთა ვადჭკორია*
რეცენზია ----------------------------------------------------------------------------------------------------------- 184

# საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის წარსული, აწმყო და მომავალი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) დაარსების ისტორია იწყება 1922 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. 1928 წელს თსუ-ს გამოეყო აღნიშნული ფაკულტეტი; მას შეუერთდა თბილისის რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ამ დროიდან ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მისი პირველი რექტორი იყო დავით კანდელაკი, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აღიარებული წარმომადგენელი. იგი დაიბადა ქ. ქუთაისში, განათლებული, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში. დავით კანდელაკს განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. იგი განათლებით ეკონომისტი იყო. 1921 წელს დავით კანდელაკი დაინიშნა განათლების სახალხო კომისრად (მინისტრად). 1930 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაიყო საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო, ამიერკავკასიის ენერგეტიკულ, სამთო მეტალურგიულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, გზათა ინჟინრებისა და საინჟინრო-მელიორაციულ ინსტიტუტებად. 1932 წელს სამთო-მეტალურგიულ და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტი. 1933 წლიდან ეს ინსტიტუტები გაერთიანდნენ საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტიკულ ინსტიტუტებთან, რის შედეგადაც შეიქმნა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1936 წელს მას ეწოდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1947 წელს ამ ინსტიტუტს შეუერთდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1989 წლის 1 დეკემბრიდან საინჟინრო ტექნიკური კადრების აღზრდის ამ უდიდეს კერას ეწოდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

დაარსების პირველივე დღიდან აშკარა იყო საინჟინრო კადრების ტექნიკურთან ერთად, ეკონომიკური განათლების აუცილებლობა. ამ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ზემოთ აღწერილი გენეზისი გარკვეულწილად ცხადყოფს, თუ რატომაა ძნელი საარქივო დოკუმენტების მოპოვება ორმოციან წლებამდე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიკური სწავლებისა და ამ დარგში მეცნიერული კვლევების მიმდინარეობის შესახებ. თუმცა, იმ პერიოდის ქვეყნის მმართველობის ერთპარტიული, ტოტალიტარული სისტემა მაინც იძლევა საფუძველს გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება ამ მიმართულებით. ჯერ ერთი, კომუნისტური იდეოლოგიის მთავარი პრინციპი იყო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა და საზოგადოების წევრთა აღზრდა ამ იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთება. პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მიჩნეული იყო, რომ მისი სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში (მიუხედავად პროფილისა) განამტკიცებდა ახალგაზრდობის ერთგულებას კომუნისტური „იდეალებისადმი". ამიტომ, როგორც ეს საერთოდ იყო დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ტოტალიტარული მმართველობისთვის, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების პროგრამა დგებოდა „ერთიან ცენტრში" - მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში. ეს პროგრამები, როგორც აუცილებელი ორიენტირი საგნის სწავლებისათვის, „ჩამოდიოდა" რესპუბლიკების განათლების უწყებებში, ითარგმნებოდა და გადაეცემოდა უმაღლეს სასწავლებლებს. იმის გამო, რომ აკრძალული იყო ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა მშობლიურ ენებზე, ძირითადად გამოიყენებოდა ამ პროგრამების შესაბამისად ასევე "ცენტრში" რუსულ ენაზე გამოცემული და მშობლიურ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები. მოგვიანებით, ჯერ მოსკოვთან შეთანხმებით, შემდგომში ადგილობრივი პარტოკრატიის ნებართვით, შესაძლებელი გახდა ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა მშობლიურ ენაზე, მაგრამ გამოსაცემად წარდგენილი თითოეული სტრიქონი ექვემდებარებოდა მკაცრ "ცენზურას". წინ გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენაზე გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის პირველ სახელმძღვანელოებს შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის, პროფ. რ. მელაძის ავტორობით გამოცემულმა დამხმარე სახელმძღვანელომ - "პოლიტიკური ეკონომია" (1973 წ. ). იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, პარტოკრატია აკონტროლებდა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის პოლიტიკური ეკონომიის კათედრების უზრუნველყოფას პედაგოგ-მეცნიერთა კადრებით. საშტატო ერთეულზე ყოველი მასწავლებლის აყვანა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობასთან. ლექტორი რამდენად შემოქმედებითად მიუდგებოდა გადასაცემ პრობლემას, როგორ აარიდებდა თავს ცალკეულ დებულებათა დოგმატურ გადაცემას, რამდენად ასახავდა გადასაცემ სალექციო მასალაში ცხოვრებისეულ რეალობას, ეროვნულ თავისებურებებს და ნიუანსებს - მთლიანად დამოკიდებული იყო მის ერუდიციასა და უნარზე. მეორე, პარტოკრატია კარგად აცნობიერებდა, რომ მომავალი სპეციალისტისთვის, წარმოების ან თუნდაც სახელმწიფოს მმართველისთვის (დღევანდელი ტერმინი რომ გამოვთქვათ, ყოველი მენეჯერისათვის) აუცილებ-

ელი იყო საზოგადოების მეურნეობრივი ცხოვრების პროცესების არსში ჩაწვდომა, მათი მეცნიერული ანალიზი და განზოგადება, ეკონომიკური კანონზომიერებების, თეორიების და პრინციპების ჩამოყალიბება. პოლიტიკური ეკონომია კი ფუნდამენტური დისციპლინა იყო, რომლის დასკვნები ყოველთვის იყო ერთგვარი “კომპასი” მეურნეობრივი აგენტების ხელში ეკონომიკურ ლაბირინთებში გზის გასაკვლევად. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი და ქმედითუნარიანია მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ თეორიას, სიახლეთა შემცველ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. ეს ორი ძირითადი პრინციპი ედო საფუძვლად საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის, როგორც სასწავლო დისციპლინების სწავლებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, როგორც დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულება, პოლიტიკური ეკონომიისა და საბჭოთა მეურნეობის თეორიის კათედრის სახელწოდებით შეიქმნა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. 1940 წელს მას ეწოდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა. ამავე პერიოდიდან მისი გამგე ხდება რაფიელ მელაძე, რომელსაც 1945 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1991 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება. აღესრულა 100 წლის ასაკში, 2008 წელს. ბატონი რაფიელი იმ მეცნიერთა პლეადის წარმომადგენელია, რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ინჟინერთა მრავალათასიანი კადრების აღზრდას. კათედრის გამგედ დანიშვნიდან ერთ წელიწადში, დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე, იგი ჩადგა მეომართა რიგებში. მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალის კომისრად. 1942 წელს, ავადმყოფობის გამო, დემობილიზებულ იქნა არმიის რიგებიდან და დაუბრუნდა ამავე კათედრას, სადაც ფართოდ გაშალა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. 1944 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო დაუღალავი მშრომელი, ზედმიწევნით ობიექტური, პროტექციონიზმის მიმართ შეურიგებელი პიროვნება. ბატონმა რაფიელმა ამ კათედრაზე 75 წელზე მეტი იმოღვაწა, მათ შორის 35 წელი კათედრის გამგედ. იგი იყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციების აქტიური ორგანიზატორი. დაჯილდოებული იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.

მის გვერდით მოღვაწეობდა მრავალი გამორჩეული ადამიანი, მეცნიერული რომელთა ნაწილმა დიდი ხანია, რაც დაიმკვიდრა ადგილი ზეციურ მარადისობაში. მათ შორის კათედრას საამაყოდ დარჩა დოცენტ ალექსანდრე პაპავას სახელი. იგი, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. აშკარად გამოდიოდა კომუნისტური ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი, საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი, ღონისძიების წინააღმდეგ. არაერთხელ დაპირისპირება თვით ლავრენტი ბერიას. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ბატონ ალექსანდრეს არ უღალატია თავისი მრწამსისთვის და არ შეუწყვეტია მწვავე გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის გამო, გაათავისუფლეს ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეობიდან და გადაიყვანეს ჯერ თბილისის კონსერვატორიის, ხოლო შემდეგ, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ცოტა ხნის შემდეგ რეპრესირებულ იქნა და გულაგის ჯურღმულებში გაატარა ოცი წელი. თავიდან ამდენი არ ჰქონდა მისჯილი, მაგრამ, სასჯელის მოხდის შემდეგ, გამოგონილი მიზეზებით, ხელახლა უსჯიდნენ. გადასახლებიდან დაბრუნდა 1956 წელს, რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგა ლექციების კითხვას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. იგი იყო განათლებული, ფართოდ ერუდირებული პიროვნება, ინტელიგენტურობითა და გარეგნული შეხედულებითაც გამორჩეული ადამიანი.

კათედრის გადაწყვეტილებით და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შეთავაზებით, კათედრის გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, რომელიც მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1974 წლის 1 სექტემბრიდან და იმუშავა 1983 წლამდე, სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში გადასვლამდე. კათედრაზე სწრაფად აეწყო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. კათედრის სხდომა ტარდებოდა ორ კვირაში ერთხელ. ასევე ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა თეორიული და სასწავლომეთოდური მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა. კათედრის სხდომებზე წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად განიხილებოდა არა მარტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული წლიური ნაშრომები, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებიც. მაღალ დონეზე იდგა ლექცია-სემინარებზე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების საკითხიც და მისი შედეგების საჯარო განხილვა. კათედრის გამგე თავად, ან რომელიმე წევრთან ერთად, სისტემატურად ესწრებოდა ლექციებსა და სემინარებს. დასწრების შედეგების ღრმად და საფუძვლიანად განხილვამ განაპირობა კათედრის წევრთა ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზება უფრო უკეთესი მოღვაწეობისთვის. ასეთივე დონეზე მიმდინარეობდა წლიური მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომების განხილვა და მიღება. ზოგიერთ ნაშრომს კათედრის გამგე ეცნობოდა წინასწარ, ოფიციალური რეცენზენტის პარალელურად და მისი ავკარგიანობის შესახებ

მოსაზრებებს ახსენებდა კათედრას. ზოგიერთს კი ეცნობოდა სხდომის მსვლელობისას (ვიდრე რეცენზენტი გააცნობდა კათედრას რეცენზიას) და იქვე პოულობდა ნაკლს, რაც დიდ უხერხულობაში აგდებდა ავტორსაც და რეცენზენტსაც. ყოველივე ამის გათვალისწინება, ცხადია, ხელს უწყობდა კვლევითი ნაშრომების მეცნიერული დონის ამაღლებას. კათედრაზე მთავარი საზრუნავთაგანი იყო მაღალკვალიფიციური კადრებით მისი შევსება და კვალიფიკაციის ამაღლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კათედრა, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა კათედრის წევრთა ურთიერთ დაახლოებასა და ურთიერთპატივისცემასაც. ფრიად საგულისხმო ფაქტია ის, რომ თავისი საქმიანობის შედეგებით 1974-1983 წლებში იგი ყოველწლიურად პირველ ადგილს იკავებდა ინსტიტუტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, სხვა კათედრებთან ერთად, თანამშრომლობდა პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრებთან. ხშირი იყო თანამშრომელთა ურთიერთ მიმოსვლა და ერთობლივი ღონისძიებები, საინსტიტუტთო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. 1982 და 1984 წლებში პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შრომების კრებულში "აქტაპოლიტექნიკა" გამოქვეყნდა პროფ. ლ. ჩიქავასა და დოც. ვ. ქირიას სტატიები. სტუ-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრიდან საზღვარგარეთის ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში იმყოფებოდნენ პროფ. ოთარ მაღლაფერიძე და დოც. ლამარა მდივანი. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თანადგომით კათედრაზე ლექციების კურსის წასაკითხად მოწვეულნი იყვნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, პროფესორები – ნიკოლოზ კოლესოვი და ნიკოლოზ ჩერკასოვი. ორმოცდაათიანი წლების დასასრულამდე კათედრის წევრები ხუთ წელიწადში ერთხელ იმაღლებდნენ კვალიფიკაციას მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტთან, სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადის), კიევის, მინსკის და ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში.

კათედრის ზოგიერთ წევრს რამდენიმეჯერ მოუხდა კვალიფიკაციის ამაღლება ამ ინსტუტუტებში, სადაც ისმენდნენ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების ლექციებს, ამზადებდნენ სამეცნიერო და მეთოდურ ნაშრომებს, მონაწილეობდნენ დამუშავებული ნაშრომების განხილვასა და სემინარულ მეცადინეობებში, ჰქონდათ საშუალება გამოექვეყნებინათ საკუთარი ნაშრომები. ამ შესაძლებლობებს აქტიურად იყენებდნენ კათედრის წევრები.

1983 წლის 1 სექტემბრიდან პროფ. ლ. ჩიქავამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა აკად. თეიმურაზ ლოლაძემ სთხოვა შეეთავაზებინა შემცვლელის კანდიდატურა. ასეთ კანდიდატურად შეთავაზებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი, რომელსაც ჰქონდა ამ გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება, დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს მანქანათმშენებლობის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1983 წლიდან 1989 წლამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მუშაობას გამგის სტატუსით წარმართავდა პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი. ამ პერიოდშიც ჯეროვან დონეზე ტარდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდური და თეორიული სემინარები. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო კათედრის შევსება კვალიფიციური კადრებით.

1989 წელს, ხანდაზმულობის გამო, პროფესორმა ვალერიან დათუკიშვილმა სურვილი გამოთქვა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. იმ პერიოდში კათედრას შემადგენლობის მხრივ იმდენად შთამბეჭდავი ხარისხობრივი მაჩვენებელი ჰქონდა, რომ, წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კათედრის გამგის კანდიდატურა უნდა შერჩეულიყო კათედრის შემადგენლობიდან. კენჭისყრის შედეგად კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე რეკომენდაცია მიეცა პროფ. კარლო ღურწკაიას. 1989 წელს იგი არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე. ჩვენს ქვეყანაში პიკს აღწევდა ეროვნული მოძრაობა. ცხოვრება ადასტურებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას. აუცილებელი იყო გვეხელმძღვანელა მარქსისტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებით, მაგრამ უკუ გვეგდო უსაფუძვლო, დრომოჭმული, დოგმატური შეხედულებები. საჭირო გახდა სასწავლო პროგრამების ძირეული ცვლილება. უნდა შეცვლილიყო საერთოდ პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის შესატყვისად. მზადდებოდა უმაღლესი განათლების რეფორმა. სიახლე უნდა შეხებოდა ყველაფერს, დაწყებული სასწავლო პროგრამებიდან და სწავლების მეთოდებიდან, დამთავრებული სტუდენტთა შეფასების სისტემით. ეს უკანასკნელი უპირველესად სამთავრობო პრეროგატივა იყო. უმაღლესი სასწავლებლების გადაუდებელ ამოცანად უნდა ქცეულიყო სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა და სტუდენტებისთვის ახალი, ცხოვრების რეალობის ამსახველი სახელმძღვანელოების მიწოდება, რასაც

წარმატებით გაართვა თავი პროფ. კ. ღურწკაიამ. მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა და ორჯერ გამოიცა მაკკონელი დ. ნ. და ბრიუს ლ. "ეკონომიკსის" ოთხტომეული; ფიშერი ს. , დორნბუში ნ. , შმალენზი ნ. "ეკონომიკა", სამუელსონი პ. ა. , ნორდჰაუზი ვ. დ. "ეკონომიკა" ოთხ ტომად. თვითონ გამოსცა "ეკონომიკური თეორიის", "ეკონომიკის პრინციპების" და სხვა დამხმარე სახელმძღვენელოები.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრას სახელის გადაერქვა და მას ეწოდა ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა. პოლიტიკური ეკონომიის კათედრა დაარსებიდანვე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდგომში კი ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი, ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავდა ყველა ფაკულტეტზე. უკანასკნელ პერიოდში, სტრუქტურული რეორგანიზაციის კვალობაზე, მას ეწოდა "ეკონომიკური თეორიის და ბიზნესის მართვის მიმართულება"და გაერთიანდა ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტში.

ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულებას დღეისთვის შენარჩუნებული აქვს საუნივერსიტეტო მიმართულების ფუნქცია და სასწავლო პროცესს წარმართავს როგორც ბიზნეს ინჟინერინგის, ისე სტუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. იგი მრავალპროფილიანია. უძღვება ეკონომიკური თეორიის საფუძვლების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ბიზნესის საფუძვლების, მიკრო და მაკროეკონომიკის, ეკონომიკური ანალიზის, სტატისტიკის, საბირჟოდა საგადასახადო საქმის, რისკებისა და დაზღვევის და სხვა ეკონომიკური დისციპლინების სწავლებას. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულებების და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის, ყოველდღიური ზრუნვის საგანია სასწავლო პროგრამების სრულყოფა.

წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ამჟამად მთელს უნივერსიტეტში და მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ბაკალვრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი გამსხვილდა და მისი მართვის ეფექტურობის გასაძლიერებლად მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი ფაკულტეტი: ბიზნეს ტექნოლოგიების. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2013 წლის 31 იანვარს სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ცალკე დეპარტამენტად გამოიყო საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, ალექსანდრე სიჭინავას ხელმძღვანელობით.

დეპარტამენტი ახორციელებდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. მოგვიანებით დეპარტამენტმა შეიმუშავა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაც. საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი შემდგომში შევიდა საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში.

დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა. დაარსების დღიდან დეპარტამენტი გამოირჩევა სამეცნიერო, სასწავლო აღმზრდელობითი, საერთაშორისო საქმიანობით. დეპარტამენტი ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და სადოქტორო პროგრამებს. სამივე პროგრამამ 2021 წელს მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია.

დეპარტამენტში შეიქმნა ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია, რომელიც ეწევა ნაყოფიერ მუშაობას. ინოვაციური პროგრესი კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაში საშუალებას იძლევა რთული ეკონომიკური პროცესების გამოკვლევებში აქცენტები გაკეთდეს ფორმალიზებულ მეთოდებსა და ალგორითმებზე, როგორც ზუსტ და საიმედო ინსტრუმენტებზე. ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანათა გადაწყვეტა, შეზღუდული რესურსების ოპტიმალური განაწილება, ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების გამომუშავება და მთელი რიგი სხვა რეალური პრობლემის წარმატებული გადაჭრა თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია ეკონო მეტრიკული და ზოგადად, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების (ემმმ) გამოყენების გარეშე. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, თუ რაოდენ აქტუალურია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, განსაკუთრებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე საინჟინრო სფეროებში. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

ზემოთაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის" დაფუძნება საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან 2013 წელს. იმთავითვე ლაბორატორიის კვლევის ძირითადი მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1. ემმმ-ისა და ეკონომეტრიკის არსებული პროგრამული პაკეტების (განსაკუთრებით შესაძლებლობების მქონე) მოძიება, მოპოვება და გაანალიზება;2. ახალი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შექმნა; ემმმ-ისა და ეკონომეტრიკული მოდელირების სასწავლო პროცესში დანერგვის თანამედროვე მეთოდოლოგიების შემუშავება. შესაბამისი კორექტივების შეტანა სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში; 3. ტრეინინგების ორგანიზება პროფესორ-მასწავლებელთათვის, რომლებიც მიზანშეწონილად მიიჩნევენ სასწავლო პროცესში შესაბამისი პროგრამული პაკეტის გამოყენებას;4. მოდელირების ინსტრუმენტების გამოყე-

ნების ეფექტურობის ხარისხის ამაღლება სამაგისტრო და სადოქტორო კვლევით კომპონენტებში;5. სამეცნიერო კვლევების გაღრმავება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ეკონომეტრიკის მიმართულებით კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვაზე ორიენტაციით. თანამედროვე ეტაპზე ლაბორატორიული მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში უტარდებათ როგორც ბაკალავრიატის (სასწავლო დისციპლინა -ეკონომიკური პროცესების მოდელირება), ისე მაგისტრატურის (სასწავლო დისციპლინა - ეკონომეტრიკა) საფეხურის სტუდენტებს.

ლაბორატორიული სამუშაოების თემატიკა მრავალფეროვანია და გამოიყენება პროგრამული პაკეტების ფართო სპექტრი (წრფივი და არაწრფივი პროგრამირების, მატრიცული თამაშების, დარგთაშორისი ბალანსის, რეგრესიულ-კორელაციური ანალიზისა და სხვ. ). თითოეული ლაბორატორიული სამუშაო ტარდება ინტერაქტიულ რეჟიმში და მოიცავს ორ აკადემიურ საათს. პირველ საათზე ხდება ტიპიური ამოცანის ამოხსნის დემონსტრირება, ხოლო მეორე საათზე სტუდენტებს ეძლევათ ლაბორატორიული სამუშაოს დავალება. შესრულებული სამუშაო კი იტვირთება შესაბამის ელექტრონულ ჟურნალში. ლაბორატორია ეხმარება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს კვლევის პროცესებში გამოიყენონ შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტები.

დეპარტამენტთან ფუნქციონირებს ორი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი: 1. ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი დ. სეხნიაშვილი) და 2. ქონების ევროპული სტანდარტებით შეფასების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი, პროფესორი ალ. სიჭინავა). პირველი ცენტრი ატარებს კონფერენციებს, ტრენინგებს, იწვევს უცხოელ სპეციალისტებს ლექციების წასაკითხად სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლებისათვის. კონფერენციები გამოირჩევა საკითხების მრავალფეროვნებით და მასში მონაწილე უცხოელი პროფესორების სიმრავლით.

9 წლის განმავლობაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 150-მე უცხოელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა. მეორე ცენტრი გადის ლიცენზირებას და მალე დაიწყებს ფუნქციონირება ქონების შეფასებისა და სპეციალისტთა გადამზადების მიმართულებით. საბაკალავრო პროგრამაში გვქონდა მოდული, რომელიც გაუგებარი მიზეზების გამო გაგვიუქმეს, თუმცა ყველა ბაკალავრი, რომელმაც გაიარა მოდული დასაქმებულია საშემფასებლო საქმიანობით და მაღალ ანაზღაურებადებიც არიან. ერთ-ერთი სტუდენტი (მაია წერედიანი), რომელმაც 2017 წელს გაიარა ქონების შეფასების მოდული, ამჟამად მუშაობს დუბაიში და იღებს მაღალ ანაზღაურებას. ქონების შეფასების ცენტრი უნდა გაძლიერდეს, რადგანაც შრომის ბაზარზე დასაქმების 100%-იანი გარანტია არსებობს. მიგვაჩნია მიზანშეწონილად ქონების შეფასება ცალკე სპეციალობად უნდა იყოს შემოღებული. ამ მიმართულებით ვამზადებთ წინადადებას ზემდგომი ორგანოებისათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე რეფორმებმა მოითხოვა საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც ამჟამად საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში 2021 წელს ჩატარებული კონკურსის შემდეგ მოღვაწეობას განაგრძობენ: სიჭინავა ალექსანდრე, იაკობიძე დავითი, ჯოლია გურამი, შენგელია რევაზი, სეხნიაშვილი დალი, კიკვაძე ტარიელი, ჩიკვილაძე ნატო, ჭიკაიძე ნაზი, მამალაძე ირინა, კვარაცხელია დემნა, გვარუციძე აკაკი, ჭყონია ლია, მენაბდე ელენე, გეგენავა ნატო, აბუაშვილი თამარი, ბიძინაშვილი თეა, ბენია მაია, გარაყანიძე ზურაბი, ბაქანიძე თეონა, ტატიშვილი ლევანი, მახვილაძე დავითი, ჩაჩანიძე თამარი, ჯანგავაძე ირაკლი, მგელაძე ლაშა, შაკიაშვილი თემური, ბახტურიძე ირმა, ბენდიანიშვილი ნინო, გეგია დავითი, გვასალია დალი (სპეციალისტი).

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ინიციატივით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის ქ. ოდესის უშინსკის სახელობის უნივერსიტეტთან;

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი აფორმებს მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ყაზახეთის ევრაზიის ინოვაციების ინსტიტუტთან (დოკუმენტი ხელმოსაწერად გამზადებულია).

ამჟამად საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში სტუდენტებისა პროფესორებისათვის უფასო ლექციების სერიას „მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე“ კითხულობს ქ. ოდესის უშინსკის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი მარინა ბილინსკა.

სტუ-ს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოვიწვიეთ სტუ-ს საპატიო დოქტორს ლიეტუვადან რომულდას გინიავიჩუსი.

2022 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდება სტუ-ს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მე-10 საერთაშორისო ყოველწლიური ეკონომიკური კონფერენცია „გლობალური გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 25-მდე უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტები.

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის მთელი შემადგენლობა მზად არის პირნათლად შეასრულოს ყველა ის ამოცანა, რასაც მის წინაშე სახავს სტუ-ში მიმდინარე რეფორმები და კვლევაც გააკეთებს ყველაფერს მომავალი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის საფუძვლიანი ეკონომიკური განათლების მიღებისათვის.

**ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის“**
**სარედაქციო კოლეგია**

# ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

## BIULDING NATIONAL RESILIENCE AFTER THE WAR: ECONOMIC AND CRITICAL INFRASTRUCTURE APPROACH

***Maryna Bilynska,***
*Doctor of Science in Public Administration, Full Professor*
*South - Ukrainian National Pedagogical*
*University named after K. D. Ushynsky, Odesa, Ukraine*

***Zurab Garakanidze,***
*Ph.D (Economics), Associate Professor, GTU, Tbilisi, Georgia*

**SUMMARY**

On February 24, 2022, Ukraine found itself at the war with Russia. The Ukrainian state faced new challenges of existence, which made the development of a strategy of national resilience relevant. Georgia also had experience in the economic and social sphere during and after the war. Therefore, the comparison of approaches to building a resilient state is based on resilient economic and social sphere (ESS) and critical infrastructure (CI) is extremely useful as in scientific as well as in a practical sense.

A shift in the main threats of national resilience (NR) appeared due to global challenges. That reasons moved from war threats and terrorism to climate change threats, the digitalization of social life, inequality and the decline of democracy in the world. Analysing possible scenarios for the development of the global landscape, researchers argue that all the positive human capabilities can only be approached through the creation of resilient state, based on resilient economic and social sphere (ESS) and critical infrastructure (CI). However, no previous study was devoted to: 1) the changes of conceptual understanding "national resilience", 2) the indicators of resilient administration of ESS and CI, as well as 3) policy making approaches in ESS and CI to build NR. This study will present major information sources for NR investigation; it will research the NR term understanding in Ukraine and Georgia, and other countries; as well as discover basic indicators of resilient ESS and CI.

**Key words:** national resilience, economic and social sphere, critical infrastructure, basic indicators, Ukraine, Georgia, the war with Russian federation

**INTRODUCTION**

Published **Global trends and Key implications thorough 2035** (www.dni.gov/files/documents/nic/GT-Full-Report.pdf) claim that governing is getting harder. While formulating strategies in public management, we must consider that "Publics will demand governments deliver security and prosperity, but flat revenues, distrust, polarization and a growing list of emerging issues will hamper government performance". Researchers state that "at national level, the gap between popular expectations and government performance will grow; indeed, democracy itself can no longer be taken for granted". Analysing possible scenarios for the global landscape development, researchers argue that all the positive human capabilities can only be realized through the creation of resilient administration. "Increasing resilience at the institution level could also occur through the employment of dedicated strategic planning cells, exercises, technologies and processes that would accelerate responses during crisis". At present, Ukraine is undergoing a public administration reform, in conditions of political and economic crisis, military aggression of the Russian Federation in the East of Ukraine, annexation of Crimea (Bilynska 2.). This requires new paradigm of resilient ESS as the part of NR. Georgia also has begun to discuss the possible ways to build a resilient state and form resilient national strategies in economic and energetic spheres (Z. Garakanidze 16.) . That is why the Ukrainian experience in the functioning of the sphere during the war can provide new mechanisms for creating national resilience.

Protecting critical infrastructure is a key part of government activities, the main goal of which is to provide its own population with safe investments and to protect them . Critical infrastructure involves the security of interconnected systems, networks, and assets that serve the functioning of the community. Examples of generally critical material infrastructure include: **roads, bridges, airports, communications, and power plants.** All other infrastructure of the country is impossible without information support, ie without computers and networks, which are mainly represented by dispatch control and data collection systems (SCADA [1]), the interdependence of which allows them to exchange information and analyze all critical functions. These other types of infrastructure include: **financial activities, electricity generation and supply, medical services, government emergency ser-**

1 SCADA - is Of time Real Mode Away From the point Information Interrogation Process Processing , analysis And Object / process Management In order

**vices, and air and land transport** . As it is directly related to the process of attracting investments, one of its most dangerous and considerable factors is investment security and state security interests, different countries have different tools in this direction. Which many of them use successfully.

In order to develop a critical infrastructure as a document and to form an effective model, it is necessary to compile it taking into account internationally distinguished practices, issues and expert recommendations, as well as to ensure maximum compliance with national legal framework, European legislation and to exclude their contradictions.

Ensuring the continuous delivery of services provided by critical infrastructure is vital for the full functioning of the state and its institutions. It should also be noted that the safe and continuous operation of critical infrastructure is one of the priority issues not only for us, but also for the EU and NATO countries.

According to recent studies, the problems of terrorism and war are the most significant global challenges the world will face in the near future. Along with that, the public administration will complify. Civil society will require governments to ensure individual and collective security, well-being. In the same time declining incomes, mistrust, polarizing society, and an increasing list of urgent environmental issues will face public servants on the daily basis.

Therefore, when formulating development strategies for Ukraine and Georgia, researchers analyze possible scenarios for the development of the global landscape. That leads to argue that all the positive opportunities of mankind can only be realized through the creation of a resilient state through resilient ESS (RESS). “Increasing institutional level resilience can be ensured through the introduction of strategic planning, technologies and processes that will provide resilience in times of crisis. But another extremely important factor is public servants who implement these technologies and processes. And the level of their participation in the formation of the RESS has not been studied yet.

The issue of NR on state level is complex in many ways. Unfortunately, a collection of resilient individuals does not guarantee a resilient community; similarly, a set of resilient communities does not necessarily form a resilient nation and a resilient state. Studies prove that effective public administration (when government bodies are trusted) is a part of resilience formation on both personal and community levels.

**Scientific issues that have not been researched yet:**

1. What changes happened in the Ukrainian NR paradigm since 2014? What is the current NR structure in Ukraine and Georgia?
2. What are the RESS and CI indicators especially those at NR level?
3. What factor unites resilient public policy and resilient authorities, and forms the resilient state?

This study will provide several contributions. First, it introduces the major sources of NR investigation, used by researchers and professionals in EU. Second, it examines contemporary structure of NR based on possible scenarios for the development of the global landscape. Third, it investigates the indicators of RESS and their influence on NR formation. Fours, the study analyses the effect of acceptance of NR paradigm in public administration system of EU countries and its’ possible implementation in Ukraine and Georgia. Practical recommendation of this




Picture 1 Territory of Ukraine as a battlefield, 2022
Sourse: Centre of Economic Strategy

study will be discussed.

**Analytical issues.** Russia's initial 'blitzkrieg' campaign is gradually turning into a standstill. How much does Ukraine has on its hands now to survive economically through the war and what instruments does it have to safeguard business activity and maintain crucial government functions in order to protect rapidly expanding vulnerable groups and win the war with the Russian federation? (Picture 1).

With a significant part of Ukraine's territory being either temporarily occupied or turned into a battlefield (Picture 1), and the rest experiencing a less severe, but nevertheless traumatic shocks of war disruptions, the country has been losing a lot in economic terms. The humanitarian catastrophe and the war unfolding in several big cities lead to massive internal and outward migration. People, who previously had a secure job and accommodation, are rapidly joining a vulnerable group that needs support. The deaths toll keeps rising.

In this paper, we describe the available data on Ukraine's economy and social sphere and draw the outlines for the major possible policies in the economic area, including the crisis response and building economic resilience for the nearest future:

• GDP forecasts from -10% (IMF) to -45% (WB), electricity consumption drop by ~35% in March.

• Over half of the business activity frozen (57% according to European Business Association, 59% according to Kyiv School of Economy)

• Exports at 50% of pre-war volumes, imports at 30% of pre-war volumes with a heavy ban on imports and collapse of the exports logistics

• Maritime logistics (62% of exports in 2021) effectively blockaded by Russians

• Consumer prices rose 4.5% in March compared to February, the annual figure very likely to exceed 15%

• Banking sector reportedly lost 50-70% of cash flow from loan portfolio, NPL and capital adequacy problems mounting, but the system is up and running

• Currency depreciation was negligible, but it took the severe capital controls to hold the currency crisis at bay

• Investments are frozen and unlikely to widely rebound without special war risk insurance policies

Speaking about infrastructural loses we can say about huge amount of damaged enterprises, plants, buildings, roads, bridges and privet houses. According to the National Bank of Ukraine, during the war, Ukraine's economy lost 50% of "unproduced" GDP. That is, every week the national economy costs more than 50 billion UAH. And this without loss of destruction. The IMF estimates Ukraine's losses due to the military invasion of the Russian occupiers at 35 percent of GDP:

• The logistics market has suffered significant losses as many areas have been cut off from communication. Logistical enteprises reported that deliveries fell by 95% during the first week of the war.

• Many highways have been destroyed, so new routes have to be built.

• In addition, there is a curfew in Ukraine. At night, cars can not move, which excludes around the clock.

• "We try to minimize the risks of drivers: we carefully plan the route, taking into account all possible dangers and hot spots, we monitor the real situation on the roads online."

Now we can observe the most difficult economic policy making in Ukraine's modern history due to:

• Restoration of business activities and employment in safer regions of Ukraine.

• Closing the fiscal gap with as little effect on inflation and debt burden as possible

• Massive extraordinary deregulation to be assessed and mainly retailed for the post-war period.

• Logistical issues will demand a lot of hands-on job to build new routes for the exports

• The NBU restrictions on imports and payments abroad might be gradually relaxed

• Grants instead of loans to ease the debt burden for the post- war future

• Existing debt management should not damage the ability to attract funds immediately and be as less damaging for the country's credibility as possible

• After the war frontloaded Ukraine reconstruction support program should be activated, partly using Russia's frozen assets

• Granting Ukraine the EU Candidate Status will have a profound impact on institutions rebuilding and economic policies. (Picture 2).

Government policy on the formation and development of human capital should be based on identifying and assessing the threats posed by current demographic issues (Picture 2). Although it is important to increase the quality of human resources, it is also necessary to ensure that their quantity is sufficient. Only then will the effectiveness of public investment in human capital be maximised. According to the UN, about 5.5 million citizens left Ukraine by May 1. Slightly less than half of them are people of working age. Almost all women. A large number of working-age men were mobilized, and some workers moved to relatively safe regions. Therefore, businesses that cannot relocate suffer from labor shortages.

Internally displaced - more than 7 million people. If a woman and a child have gone abroad and a man has stayed here, they have two options: either the woman and the child return or the man leaves Ukraine. Every effort should be made to ensure that as few families as possible choose the second path. This requires international investment in reconstruction. This is the task of both Ukraine and its partners. The latter must feel part of the blame for starting the war, because they tried to pacify terrorist Russia, to do business with it as usual (business as usual), despite what the aggressor has been doing for the last two decades.




Source: UNHCR (Data as of April 3, 2022) Schengen Area

Picture 2. Flows of external Ukrainian migrates during the war

**LITERATURE REVIEW**

There is a fast-growing amount of academic literature referring in one way or another to the phenomenon called NR. The concept has appeared to be attached to different fields, and is used within those fields at different levels. A search for relevant Subject Terms in a scientific database (EBSCO) reveals 1465 hits about " national resilience" from 1991 to 2019. The concept of NR is a comprehensive one, addressing the issue of society's sustainability and strength in several diverse realms (Chemtob, 2005; Eshel & Kimhi, 2016; Obrist et al., 2010). In addition to the conceptual ambiguity, this topic is also politically driven and can appear to be sensitive as it refers to responsibilities of political leader and state authorities in conflict hotspots around the world. According to last research (Kimhi, Eshel, Leykin & Lahad, 2017; Kimhi et al., 2019) measuring resilience becomes increasingly difficult with regard to amorphous systems without clear structures or definable borders. The nation, especially in the globalized world, is one of these ever-changing phenomena; accordingly, national resilience is certainly a challenge to define and measure. However, it seems that beyond the various definitions there is tendency to agree that national resilience means society's sustainability and strength in several diverse realms including components like patriotism, optimism, social integration, and trust in political and public institutions.

The scope of potentially intervening factors expands from personality attributes to cultural aspects as well as other potential component of national resilience is waiting to be studied. At the level of the nation, the situation of society becomes very complex since we have to face two ill-defined variables in one equation: we do not know either what constitutes national resilience or how to define the nation in the context of globalization. (Joseph, 2013) having been introduced into the contingency policies of many institutions (CabinetOffice, 2008a,b;Coaffee, Murakami,Wood,&Rogers, 2008; Goldstein, 2012; Martin, 2012; Newman, Beatley, & Boyer, 2009). This, of course, has not been without criticism (see, for example, MacKinnon & Derickson, 2012). Nonetheless, the scope of resilience has grown exponentially. The term isnowused across disciplines in work concernedwith the interactions between people and nature (see, for examples, Berkes & Folke, 1998; Gunderson, 2001; Holling, Gunderson, & Light, 1995; Redman, 1999) and as such is seen as a "bridging concept" between the natural and social sciences (Davoudi et al., 2012). With amove toward a concept that holds multiple levels of meaning,from the metaphorical to the specific (Carpenter, Walker, Anderies, & Abel, 2001), the critique of its use is not only understandable but also well justified.

After the 9/11 the amount of expenditure dedicated to the protection of nations from extremism and terrorism increased exponentially (Guinnessy & Dawson, 2002; Issues in Science & Technology, 2002; Lum et al., 2006; Silke, 2004). Part of this expenditure has been allocated to the development of policy and interventions aimed at preventing violent extremism. In the United States, the introduction of a Strategic Implementation Plan for Empowering Local Partners to Prevent Violent Extremism in the United States placed emphasis on the building of community resilience in countering violent extremism (The White House Officer of Press Secretary, 2011). However, resilience as a concept and even more so as a political

buzzword has not been properly conceptualized in this context.

Parmak (2015) further highlights the need to develop a greater conceptual understanding of national resilience and possible measuring system. Several studies showed that exposure to terror has led to higher levels of patriotism among Americans (Moskalenko,McCauley, & Rozin, 2006). This data seem to suggest that different aspects of the NR construct will be assessed differently by different groups of people.

Creating critical infrastructure in Georgia is directly related to NATO and European integration. The goal of the state is to normalize the existing legislation where the security of critical infrastructure is in harmony with it. ] With the implementation of standards and recommendations established over the years.

It is noteworthy that the Georgian legislation does not define the essence of critical infrastructure, its definition and the necessary conditions for its safety, there is no investment policy related to national security, as well as the list of critical infrastructure and, most importantly, unidentified responsible persons responsible for its safe operation. It is therefore necessary to set up a group to work on this issue and identify the people responsible for its functioning, their responsibilities and other important issues.

In today's reality, countries are facing a growing number of crises, with development emerging new threats, the emergence of which can be both subjective and objective causes. Such threats may relate to the violation of national borders and have a significant negative impact on current socio-economic processes and the environment of state institutions. The rulers of the world's leading states are well aware that the subsequent systemic shock can significantly hamper: economic development, social integration, and political stability .

In the history of mankind, the conquest of territories, conquest, destruction or Conversely, the protection of objects of strategic importance was the basis of martial arts. The concept that applies to the collection of such objects is "**critical infrastructure** ". In a more general sense, it is a set of interconnected elements of state security that maintain the integrity of the structure.

There is no specific definition of critical infrastructure in practice, but based on general experience and the international use of the term, the Office of the *State* Security and Crisis Management Council explains: *Puts the national interests of the country, state security, human life and health, as well as economic and social well-being at stake. "*

As we mentioned above, there is no investment policy related to national security and most importantly the unidentified responsible persons who are responsible for its safe operation. It is therefore necessary to set up a group to work on this issue and identify the people responsible for its functioning, their responsibilities and other important issues. However, work on this issue has begun and a working version of the document has been created by the staff of the State Security and Crisis Management Council; "Critical Infrastructure Regulatory Framework," it states A critical infrastructure procedures and institutional arrangement scheme that looks like this (Picture 3):

Thus, the Critical Infrastructure is essentially considered as a part of national security and civil protection, which is one of the main indicators of investment and acts




Picture 3. Critical infrastructure procedures and institutional arrangement scheme (desighed by author)

on the international investment image. With eliminate negative consequences, the critical infrastructure list protection system is complex and covers the whole chain of issues, although it has three main links:

✓ Critical Infrastructure Identification Defining criteria and compiling a list.

✓ Develop the conditions and standards required for the operation of critical infrastructure.

✓ Defining critical infrastructure investment policies.

Speaking about Critical Infrastructure Development we can emphasize that given the existing challenges, the development of information technology has led to the emergence of new gaps that cover all areas of vital importance and, above all, the activities of the economically active population. Therefore, the responsibility of the state government includes ensuring the security of important social structures and institutions on the required level. In order to achieve safety and sustainability, it is important to prioritize those on the critical infrastructure list and to determine how they will be coordinated, setting clear goals, identifying risks, avoiding them, or developing mitigating conditions:

1. Energy Power generation facilities: Transmission lines and substations; Central oil pipelines and oil depots; Oil refineries; Real and medium pressure high and medium pressure gas pipelines, gas storage.

2. Transport infrastructure: main roads; airports; railway; seaports.

3. Information and Communication Technologies (ICT): Trunk communication lines; Masts and other transmitters. Protected government and private information center servers; TV, radio, telephone, various other means of communication.

4. Finances: The National Bank Reservoir; Central repositories of commercial banks; Key elements of the financial and monetary system.

5. Healthcare: Hospitals; NCDC; Biological laboratories.

6. Agriculture Food Storages & Warehouses: Food enterprises; Laboratories.

7. Water supply: Drinking water reservoirs and central distribution infrastructure.

8. Emergencies: Fire -rescue facilities; Rapid response services.

9. Government structures for the perfect functions of the administrative and other state apparatus.

10. Industry and hazardous waste utilizations: Chemical and other large-scale enterprises; Radioactive and arsenic waste burials.

11. Defense: Defensive buildings, structures; Ammunition and materials; Military bases and other objects of strategic defense infrastructure; etc.

The combination of sectors listed in the above list represents the critical infrastructure of the country, although it is somewhat necessary to concretize and discuss it as separate objects, their continuous functioning is important in times of peace, as well as in emergencies and war. The existence of critical infrastructure in itself implies that different, regulatory norms of security may apply to the facilities within it, depending on the interests of the state.

Ensuring information security is one of the main challenges for companies and countries in the world and its full provision requires incredible resources, so investing in this area is in the interests of both the state and the private sector. , Great damage to investors, companies and state administrative bodies.

The security of state bodies, active production or various services in the state is impossible without information support, ie without computers and networks represented by Dispatch Control and Data Collection Systems (SCADA), the interdependence of which allows them to exchange information and analyze all critical functions. These other types of infrastructure include: financial activities, electricity generation and supply, medical services, government emergency services, and air and land transport. As it is directly related to the process of attracting investments, one of its most dangerous and considerable factors is investment security and state security interests.

The involvement of the sectors included in the list of critical infrastructure depends on the quality . Investment potential, in turn, is closely related to specific, strategic resources that can be considered as listing priorities. Therefore, it is necessary to take measures to increase investment security at the facilities included in the field of critical infrastructure.

The establishment of critical infrastructure and its development can have a positive impact on the implementation of the strategic goals of socio-economic development of the country, and at a later stage in their planning.

Liberal investment principles are recognized by international organizations and all developed countries, but all of them have an investment security policy that is critical to infrastructure and imposes certain restrictions on the ownership and management of assets or services that are critical to infrastructure. Different countries have different approaches to this issue, however we can distinguish three main approaches:

I: Partial or total ban on foreign investment in certain sectors at the legislative level;

II: Preliminary review of all investment proposals that meet the criteria set by law;

III: Verification systems that identify individual, potentially problematic, and already completed transactions.

The prevention of national security risks is significantly possible in the first case of the measure, although it has one major drawback and it is the delay in economic development, which leads to a partial or complete blockade of investment. In this particular case, the legislature imposes general restrictions on the investor. But the relatively lenient approach involves assessing the risks through a preliminary or follow-up study, which may be considered best practice for Georgia, as the third approach is completely

liberal and individual review mechanisms allow only potentially substitutable transactions to be met that meet certain criteria. The pre-consideration approach assumes the need for the prior consent of a particular investment proposal, otherwise the investment will not be made.

### EXPECTED RESULTS

1. Establishing the stages of evolution of the NR concept since 2008 and 2014 to nowadays in the scientific literature and national strategies of Ukraine and Georgia.

2. Supplementing the terminology of economic and public administration scientific areas by authorizing the definition of "resilient public administration" , "resilient critical infrastructure" expected to be useful for both Georgia and Ukraine.

3. Research of modern Ukrainian and Georgian scientists and politicians' perception of the NR concept in order to identify basic factors influencing the formation of institutional resilience.

4. Identification of RESS and CI indicators at the national level in order to determine the priority change strategies for governance.

5. The establishment of critical infrastructure and its development with a positive impact on the implementation of the strategic goals of socio-economic development of the country, and at a later stage in their planning.

6. Building the model of the globalization challenges impact on national resilience.

### LITERATURE:

1. Igor Linkov, Benjamin D. Trump. The Science and Practice of Resilience // Risk, Systems and Decisions

2. ISBN 978-3-030-04563-0 https://doi.org/10.1007/978-3-030-04565-4

3. Bilynska M. The Formation of the Paradigm of National Resilience in the State Administration of Ukraine/ International Scientific Journal "Progress".- 2018, N 1-2, P.41-45

4. Bakhmat N., Liubarets V., Bilynska M., Ridei N., Anhelina S. Digital transformation of preparation of the future. Specialists in the economic industry in conditions of dual professional education. Selected Paper of 9th Cyprus International Conference on Educational Research (CYICER-2020), 2020. Vol. 7 No. 3 Режим доступу : https://un-pub.eu/ojs/index.php/pntsbs/article/view/5258 WOS https://doi.org/10.18844/prosoc.v7i3.5258

5. Bilynska M., Kondratenko O. Analysis of the state governance mechanism in the sphere of social protection for participants of the antiterrorist operation in the east of Ukraine. Journal of Geography, Politics and Society. Volume 6. Issue 8(3). 2018. P.11-17. DOI 10.4467/24512249JG.18.017.8786

6. Individual, community, and national resilience in peace time and in the face of terror: a longitudinal study. By: Kimhi, Shaul; Eshel, Yohanan; Leykin, Dmitry; Lahad, Mooli. Journal of Loss & Trauma. Nov/Dec2017, Vol. 22 Issue 8, p698-713. 16p. 1 Diagram, 4 Charts. DOI:10.1080/15325024.2017.1391943.Database: Academic Search Premier

7. A new perspective on national resilience: components and demographic predictors. By: Eshel, Yohanan; Kimhi, Shaul. Journal of Community Psychology. Sep2016, Vol. 44 Issue 7, p833-844. 12p. DOI:10.1002/jcop.21811. , Database: Academic Search Premier

8. Demographic variables as antecedents of israeli Community and national resilience.By: Goroshit, Shaul Kimhi Marina; Eshel, Yohanan. Journal of Community Psychology. Jul2013, Vol. 41 Issue 5, p631-643. 13p. 1 Diagram, 2 Charts. DOI: 10.1002/jcop.21561, Database: Academic Search Premier

9. An investment strategy could help the federal government enhance national resilience for future disasters. Government Document By: Currie, Chris. GAO Reports. 7/30/15, preceding pi-86. 93p., Database: MasterFILE Premier

10. Global trends and Key implications thorough 2035 (www.dni.gov/files/documents/nic/GT-Full-Report.pdf)

11. Democratizing Policymaking Online: Liquid Feedback. – [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://thegovlab.org/democratizing-policymaking-online-liquid-feedback/

12. CSCE Helsinki Document 1992: The Challenges of Change [Електронний ресурс] : Helsinki Decisions. – Режим доступу: https://www.osce.org/mc/39530?download=true.

13. Doyle M., Sambanis N. Making War and Building Peace: United Nations Peace Operations / M. Doyle, N. Sambanis. Princeton: Princeton University Press, 2006. – P. 11-18.

14. Gowan R. Can the United Nations Unite Ukraine? [Електронний ресурс]: Hudson Institute. – Режим доступу: https://www.hudson.org/research/14128-can-the-united-nations-unite-ukraine/.

15. Resolution 2202 (2015). Adopted by the Security Council of the United Nations Organization at its 7384th meeting, on 17 February 2015 [Електронний ресурс]. – Режим доступу : https://undocs.org/en/S/RES/2202(2015).

16. Schulze K. AMM (Aceh, Indonesia). In: ESDP: The First Ten Years (1999-2009) / edited by G. Grevi, D. Helly and D. Keohane. Paris : Institute for Security Studies, 2009. – P. 265.

17. Z. Garakanidze. IMPORTANCE OF THE AGFLATION RATE CALCULATION DURING A PANDEMIC. Межд. Конференция. ТГУЭ Ташкент, Ноябрь 2021. ISBN 978-9943-7330-0-8"Qishloq xo'jaligini rivojlantirish orqali oziq-ovqat xavfsizligini ta'minlash, araqobatdosh sanoat zanjirlarini yaratish va investitsiyalarni jalb etish choratadbirlari". Xalqaro ilmiy-amaliy anjumani maqolalar to'plami (2021-yil 25-noyabr). – T.: "IQTISODIYOT", 2021. – 376 b. pp. 16-27.

# კასპიის რეგიონიდან შავი ზღვის გავლით ევროპაში გაზის ტრანსპორტირების ტექნოლოგიების ეკონომიკური ანალიზი

*ალექსანდრე სიჭინავა*
*სტუ-ს პროფესორი*

*შოთა გუჯაბიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია კასპიის ბუნებრივი გაზით მდიდარი რეგიონიდან საქრთველოსა და შავი ზღვის გავლით მისი ევროპაში ტრანსპორტირების მეთოდების ეკონომიკური ანალიზი.

შესწავლილია ზღვაზე ბუნებრივი გაზის ე.წ. „საზღვაო მილსადენების", LNG-ის (გათხევადებული გაზის) ან CNG-ის (შეკუმშული ბუნებრივი გაზის) სახით ტრანსპორტირების ეკონომიკური ასპექტები. გაზის ტრანსპორტირების მარშრუტებად აღებულია ვარიანტერბი: ყულევი-კონსტანცა (რუმინეთი), ყულევი-რენი (უკრაინა), ყულევი-რეინ_მეინ_დუნაის არხი, ყულევი-ალექსანდროპოლისი (საბერძნეთი), ყულევი-კრკ (ხორვატია), ყულევი-MarmaraEreglis (თურქეთი).

გაზის ტრანსპორტირების თითოეული ვარიანტი განხილულია, როგორც დამოუკიდებელი საინვესტიციო პროექტი.

ტრანსპორტირების ტექნოლოგიის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია-ტრანსპორტირების ტარიფი (ევრო/ათასი.კუბ.მ თითოეული მეთოდით 100 კმ-ზე ტრანსპორტირებისას).

დამხმარე კრიტერიუმია - ხვედრითი კაპიტელური დანახარჯები (ევრო/ათასი.კუბ.მ თითოეული მეთოდით 100 კმ-ზე ტრანსპორტირებისას). სატრანსპორტო ტარიფის გაანგარიშების კრიტერიუმია - შემოსავლიანობის შიგა ნორმა (IRR). კომერციული ეფექტიანობა - ტოლია 12%-ის, ხოლო დისკონტირების განაკვეთი - 10%-ს.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორების მიერ დადგენილია, რომ LNG-ს ტრანსპორტირების ღირებულება მილსადენის გაზზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, თუ მიწოდების მანძილი აღემატება 950 კმ-ს, ხოლო მიწოდების მიმართულებაზე არის არანაკლებ ხუთი მომხმარებლისა. ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნები მთლიანადაა დაკმაყოფილებული.

ამრიგად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კასპიის რეგიონიდან, საქართველოსა და შავი ზღვის გავლით, ევროპაში გაზის ტრანსპორტირების ცნობილი ტექნოლოგიებიდან უპირატესობა მცირე და საშუალოტონაჟიან LNG-ის უნდა მივანიჭოთ. მისი უპირატესობა დასტურდება, როგორც ტექნიკური და ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური (იხსნება თურქეთის სრუტეების გავლის პრობლემა) არგუმენტებით.

**ABSTRACT**

The piece of work discusses the economic analysis of natural gas transportation methods in Europe from the Caspian region rich in natural gas through Georgia and the Black Sea.

The economic aspects of transportation of natural gas the so-called "offshore pipelines" by the sea, in the form of LNG (of Liquefied gas) or CNG (Compressed natural gas) have been studied. The following options are taken as gas transportation routes: Kulevi-Constanta (Romania), Kulevi-Rennes (Ukraine), Kulevi-Rhine_Main_Danube Canal, Kulevi-Alexandroupoli (Greece), Kulevi-Krk (Croatia), Kulevi MarmaraEreglis (Turkey).

Each option of gas transportation is considered as an independent investment project.

The basic criterion for evaluating transportation technology - is the transportation tariff (Euro/thousand cubic meters, when transporting at 100 km with each method).

Auxiliary criterion - specific capital costs (Euro/thousand cubic meters, when transporting at 100 km with each method). The criterion for calculating the transport tariff - is the Internal Rate of Return (IRR). Commercial efficiency is equal to 12%, and discount rate is 10%.

Based on the studies conducted by the authors, it has been established that the cost of transporting LNG is significantly lower than the pipeline gas, if the delivery distance is more than 950 km and on the delivery direction is less than five customers. In our case, these requirements are fully met.

Thus, based on the conducted studies, we can conclude that the preference should be given to small and medium tonnage LNG from the well-known technologies of gas transportation to Europe from the Caspian region, through Georgia and the Black Sea. Its preference is confirmed by both technical and economic as well as political (the problem of crossing the Turkish Straits is removed) arguments.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები კარგ პირობებს ქმნიან კასპიის ბუნებრივი გაზით მდიდარი რეგიონიდან მისი ევროპაში მიწოდების ახალი მარშრუტების მოძიებისათვის. საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი, როგორც ენერგეტიკული კორიდორის ფუნქცია [1].

გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის პროცესში მსხვილი კომპანიების წინაშე ხშირად დგება თავიანთი პროდუქციის მომხმარებლამდე ტრანსპორტირების მარშრუტებისა და მეთოდების შერჩევის პრობლემა. კასპიის რეგიონიდან საქართველოსა და შავი ზღვის გავლით ევროპაში გაზის მიწოდების შემთხვევაში სამიზნე ქვეყნებად შეიძლება მიჩნეული იქნან შავი ზღვის, მდ.დუნაისა და ასევე დარდანელისა და სუეცის არხების გავლით ცენტრალური ევროპის ქვეყნები.

ზღვაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ხორციელდება ე.წ. „საზღვაო მილსადენების“, LNG-ის (გათხევადებული გაზის) ან CNG-ის (შეკუმშული ბუნებრივი გაზის) სახით. კვლევის მიზანია დავადგინოთ ტრანსპორტირების რომელი სახეობა იქნება ამ შემთხვევაში ეკონომიურად უფრო მომგებიანი.

საქართველოს პორტიდან (გაიხილება ყულევის პორტი) გაზის მიმღებ სავარაუდო პორტებამდე ტრანსპორტირების მანძილები მოცემულია ცხრილ 1-ში

**ცხრილი 1.**

| № | მარშრუტი | საზღვაო მანძილი, კმ | მიმღები |
|---|---|---|---|
| 1 | ყულევი-კონსტანცა (რუმინეთი) | 1 079 | ტერმინალის მშენებლობა დაგეგმილია 2022-2026 წწ. |
| 2 | ყულევი-რენი (უკრაინა) | 1 137 | ტერმინალის მშენებლობა დაგეგმილია 2022-2026 წწ. |
| 3 | ყულევი -რეინ_მეინ_დუნაის არხი | 3 997 | რუსეს მოქმედი LNG ტერმინალი. ბრატისლავა, კონსტანცა, გალაცი, კორმანო (ტერმინალების მშენებლობა დაგეგმილია 2021-2026 წწ.) |
| 4 | ყულევი-ალექსანდროპოლისი (საბერძნეთი) | 1 355 | მოქმედი ტერმინალი: Alexandroupolis LNG |
| 5 | ყულევი -კრკ (ხორვატია) | 3 092 | მოქმედი ტერმინალი: LNG Croatia |
| 6 | ყულევი-MarmaraEreglis (თურქეთი) | 1 215 | მოქმედი ტერმინალი: Marmara Ereglis |

ამ მონაცემების მიხედვით გაზის ტრანსპორტირების მანძილი იცვლება 1 000-დან 4 000კმ-მდე. ამ მანძილებზე გაზის ტრანსპორტირების სხვადასხვა საშუალებას თავისი უპირატესობები და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ. ისინი მრავალ (გეოლოგიურ, გეოგრაფიულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა) ფაქტორზე არიან დამოკიდებულნი. ლოჯისტიკური სისტემების ოპტიმიზაციის მიზნით ჩვენ მოვახდინეთ ზემოთმოყვანილი სამი მეთოდით (საზღვაო მილსადენებით, LNG-ის ან CNG-ის სახით) მომხმარებლამდე მიწოდების დანახარჯების შეფასება და ერთმანეთთან შედარება. ეკონომიკური გათვლებისათვის გამოვიყენეთ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით საერთაშორისო საქმიანი კონგრესის ინიციატივით რეალიზებულ პროექტში შემუშავებული მეთოდოლოგია [2]. ტრანსპორტირების მეთოდების შედარებისათვის ყველა მოცულობითი მაჩვენებელი დაყვანილია გაზის ექვივალენტურ მოცულობაზე (კუბ.მ).

კრიტერიუმად, ტრანსპორტირების მეთოდების ეფექტურობის შედარების დროს, მისი ფორმების ცვლილების შესაძლებლობების გათვალისწინებით, როგორც წესი გამოიყენება დისკონტირებული დანახარჯების მინიმუმი.

გაზის ტრანსპორტირების განსახილველი ვარიანტების შედარებისათვის აუცილებელია თითოეულისათვის დამახასიათებელი კაპიტალური და საექსპლოატაციო დანახარჯების გათვალისწინება. თუმცა ზოგადად ტრანსპორტირების ტარიფი თითოეული ვარიანტისათვის არ არის მუდმივი სიდიდე და დამოკიდებულია ტრანსპორტირების პროექტის რეალიზაციის პირობებზე. ტრანსპორტირების ღირებულების ძირითადი პარამეტრებს განეკუთვნებიან ტვირთბრუნვა (გადაზიდვის მოცულობა) და მანძილი. აღნიშნული პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობის დროს ტრანსპორტირების მეთოდები შეიძლება აღმოჩნდნენ ეფექტურნი დაბალი ტარიფის გამო. შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი ტრანსპორტირების მეთოდის ტარიფი განსახილველი ტვირთბრუნვისა და მანძილების მთელი განსახილველი დიაპაზონისათვის აღმოჩნდეს ყველაზე დაბალი. ან გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მოხდეს ლიდერის ცვლილება და ეკონომიურად უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ტრანსპორტირების სხვა მეთოდი. სწორედ ამ საკითხების გარკვევას ემსახურება ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები.

ტრანსპორტირების ტექნოლოგიის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია-ტრანსპორტირების ტარიფი (ევრო/ათასი.კუბ.მ თითოეული მეთოდით 100 კმ-ზე ტრანსპორტირებისას).

დამხმარე კრიტერიუმია - ხვედრითი კაპიტელური დანახარჯები (ევრო/ათასი.კუბ.მ თითოეული მეთოდით 100 კმ-ზე ტრანსპორტირებისას). სატრანსპორტო ტარიფის გაანგარიშების კრიტერიუმია - შემოსავლიანობის შიგა ნორმა (IRR). კომერციული ეფექტიანობა - ტოლია 12%-ის, ხოლო დისკონტირების განაკვეთი - 10%-ს.

გაზის ტრანსპორტირების თითოეული ვარიანტი განხილულია, როგორც დამოუკიდებელი საინვესტიციო პროექტი. ტრანსპორტირების ტექნოლოგიების შედარებისათვის ჩატარდა შემდეგი კვლევები:

- ანგარიშისათვის საჭირო საწყისი მონაცამების დამუშავება;
- ტრანსპორტირების თითოეული ვარიანტისათვის საჭირო ფინანსური ნაკადების ანალიზი;
- ტარიფების გაანგარიშება ტრანსპორტირების სხვადასხვა მანძილისა და მოცულობისათვის;
- ეკონომიური ეფექტიანობის ზონების დადგენა გაზის ტრანსპორტირების თითოეული ტექნოლოგიისათვის ყულევის პორტიდან გაზის ტრანსპორტირების შემთხვევაში;
- გაზის ტრანსპორტირების ეკონომიურად ეფექტური ტექნოლოგიური ბლოკის პარამეტრების დადგენა (საჭირო საზღვაო ფლოტის შემადგენლობა, მცურავი საშუალებების მოცულობები და რაოდენობა, პილოტ-პროექტის შემადგენლობა და მისი მასშტაბირების გეგმა დროსა და სივრცეში, კაპიტალური და საექსპლოატაციო დანახარჯების მოდელირება).

კაპიტალური და საექსპლოატაციო დანახარჯების შეფასება მოხდა პროექტ-ანალოგების მონაცემების საფუძველზე.

გაანგარიშებებისათვის საჭირო ძირითადი საწყისი მონაცემები მოცემულია ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 2.**

| № | მაჩვენებელი | მნიშვნელობა | განზომილება |
|---|---|---|---|
| 1 | ტექნოლოგიების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი | სატრანსპორტო ტარიფი | ევრო/ათასი კუბ.მ. 100 კმ-ზე |
| 2 | ტექნოლოგიების შეფასების დამხმარე კრიტერიუმი | ხვედრითი კაპიტალური დანახარჯები | ევრო/ათასი კუბ.მ. 100 კმ-ზე |
| 3 | IRR სატრანსპორტო ტარიფის კომერციული ეფექტურობისათვის | 12 | % |
| 4 | დისკონტირების ნორმა | 10 | % |
| 5 | საბაჟო გადასახადი გაზზე და CNG-ზე | 30 | % |
| 6 | საბაჟო გადასახადი გაზზე და LNG-ზე | 0 | % |
| 7 | მოგების გადასახადი | 20 | % |
| 8 | დღგ | 18 | % |
| 9 | ქონების გადასახადი | 1,3 | % |
| 10 | საინვესტიციო პერიოდი: მცირეტონაჟიანი LNG | 2 | წელი |
| 11 | საინვესტიციო პერიოდი:<br>• საშუალო და მსხვილტონაჟიანი LNG<br>• მცირეტონაჟიანი LNG* | 4<br><br>1 | წელი |
| 12 | ინვესტიციების გრაფიკი წლების მიხედვით:<br>მცირეტონაჟიანი LNG:<br>საშუალო და მსხვილტონაჟიანი LNG: | I-100%;<br><br>I-5%; II-15%; III-50% IV-30%. | % |
| 13 | ტრანსპორტირებული გაზის მოცულობები | ექსპლოატაციის I წელი-100% | |
| 14 | კომერციული ექსპლოატაციის პერიოდი | 25 | წელი |
| 15 | ამორტიზაციის პერიოდი | 25 | წელი |
| 16 | ამორტიზაციის სახე | | წრფივი |
| 17 | საანგარიშო ვალიუტა | | ევრო |

ზემოთ მოყვანილი საწყისი მიონაცემების საფუძველზე ნაანგარიშებია კაპიტალური დანახარჯები (მლნ.ევრო) შავ ზღვაზე გაზის საზღვაო მილსადენებით ტრანსპორტირების ტექნოლოგიისათვის (ცხრილები 3 და 4) 1 079კმ და 2 000კმ დისტანციებზე გაზის ტრანსპორტირების დროს. უფრო დიდ მანძილებზე გაზის საზღვაო მილსადენებით ტრანსპორტირება დაბალი ეკონომიკური ეფექტურობით ხასიათდება და არც წარმოადგერნს ჩვენი ინტერესის საგანს, რადგან შავი ზღვის ფარგლებში გაზის ტრანსპორტირების ასეთი დისტანციები არა გვაქვს. კაპიტალურ დანახარჯებში არ არის შესული ტრანსპორტირების ხარჯები. ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშების პროცესში. ჩვენთვის საინტერესო დისტანციებზე (1 079კმ და 2 000კმ) „საზღვაო მილსადენებით" ტრანსპორტირების შემთხვევაში მანძილისა და გამტარუნარიანობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალური დანახარჯები და რაც მთავარია იზრდება შუალედურ საკომპრესორო სადგურების მოწობაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებების წილი.

**ცხრილი 3. კაპიტალური დანახარჯები 1079კმ-ის სიგრძის საზღვაო გაზსადენზე**

| № | კაპიტალური დანახარჯები | ერთეული | ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა, მლნ.ტ/წ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0.5 | 1,0 | 3,0 | 5,0 | 7,5 | 10 | 15,8 |
| | | | ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა, მლრდ.კუბ.მ/წ | | | | | | |
| | | | 0,72 | 1,44 | 4,32 | 7,18 | 10,78 | 14,37 | 22,75 |
| 1 | მილსადენების მშენებლობა | მლნ.ევრო | 2 740 | 3 049 | 3 404 | 3 774 | 4 021 | 4 360 | 4 960 |
| 2 | საკომპრესორო სადგურები | მლნ.ევრო | 105 | 157 | 314 | 442 | 440 | 510 | 782 |
| 3 | სულ | მლნ.ევრო | 1 745 | 3 206 | 3 718 | 4 216 | 4 461 | 4 870 | 6 048 |

**ცხრილი 4. კაპიტალური დანახარჯები 2 000კმ-ის სიგრძის საზღვაო გაზსადენზე**

| № | კაპიტალური დანახარჯები | ერთეული | ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა, მლნ.ტ/წ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0.5 | 1,0 | 3,0 | 5,0 | 7,5 | 10 | 15,8 |
| | | | ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა, მლრდ.კუბ.მ/წ | | | | | | |
| | | | 0,72 | 1,44 | 4,32 | 7,18 | 10,78 | 14,37 | 22,75 |
| 1 | მილსადენების მშენებლობა | მლნ.ევრო | 4 511 | 4 608 | 4 951 | 5 381 | 5 843 | 6 331 | 7 452 |
| 2 | საკომპრესორო სადგურები | მლნ.ევრო | 253 | 497 | 929 | 1 229 | 1 234 | 1 305 | 1 748 |
| 3 | სულ | მლნ.ევრო | 4 764 | 5 105 | 5 840 | 6 610 | 7 077 | 7 636 | 9 200 |

ცხრილ 5-ში და ცხრილ 6-ში მოცემულია კაპიტალური დანახარჯები გაზის 1 079კმ, 2 000კმ, 3 092კმ და 3 097კმ დისტანციებზე LNG-ის და CNG-ს სახით სახით ტრანსპორტირების ტექნოლოგიისათვის შესაბამისად. კაპიტალური დანახარჯების სტრუქტურის ანალიზით დგინდება, რომ ტრანსპორტირების მაძილის გაზრდა იწვევს ტრანსპორტირების საშუალებებზე დახრჯული თანხების წილის ზრდას და რეგაზიფიკაციაზე გაწეული დანახარჯების წილის შემცირებას, ხოლო გაზიფიკაციაზე (მწარმოებლობის გაზრდაზე) გაწეული ხარჯების გაზრდა რეგაზიფიკაციის დანახარჯების წილის ზრდას. ყველა შემთხვევაში დანახარჯების წილი მილსადენების შიგა ინფრეასტრუქტურის მოწყობაზე მინიმალურია, ხოლო დანახარჯების წილი LNG-ის წარმოებასა და შენახვაზე მაქსიმალური. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია გაზის ძვირადღირებული სამაცივრო საცავის ნაცვლად მიწისქვეშა გაზსაცავის გამოყენების შემთხვევაში. ამის კარგი მაგალითებია ტერმინალი „Alexandroupolis LNG", რო-

მელშიც ეფექტურადაა გამოყენებული სამხრეთ კავალას მიწისქვეშა გაზსაცავი [4] და ტერმინალი Skulte LNG ინგაჩაურის მიწისქვეშა გაზსაცავით ლატვიაში [3].

**ცხრილი 5. კაპიტალური დანახარჯები გაზის LNG-ის სახით ტრანსპორტირების ტექნოლოგიისათვის**

| ობიექტები | გაზის მოცულობა, მლნ.ტ/წ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0,5 | 1,0 | 3,0 | 5,0 | 7,5 | 10,0 | 15,8 |
| კომპლექსთან მომავალი მილსადენი | 3 | 4 | 6 | 7 | 7 | 9 | 9 |
| LNG-ს წარმოების, შენახვისა და გადატვირთვის კომპლექსი | 511 | 950 | 2 375 | 3 085 | 3 857 | 4 602 | 6 445 |
| **LNG-ს გემები** | | | | | | | |
| ტრასის სიგრძე - 1079კმ | 83 | 125 | 236 | 262 | 472 | 522 | 830 |
| ტრასის სიგრძე - 2000კმ | 116 | 182 | 227 | 438 | 658 | 730 | 1 292 |
| ტრასის სიგრძე - 3092კმ | 120 | 190 | 451 | 501 | 752 | 1 004 | 1 555 |
| ტრასის სიგრძე - 3997კმ | 145 | 218 | 437 | 681 | 973 | 1 215 | 2 480 |
| **რეგაზიფიკაციის ტერმინალი** | **112** | **224** | **673** | **1 122** | **1 683** | **2 244** | **3 544** |
| ტერმინალიდან გამომავალი მილსადენი | 8 | 11 | 14 | 14 | 16 | 18 | 19 |

**ცხრილი 6. კაპიტალური დანახარჯები გაზის CNG-ის სახით ტრანსპორტირების ტექნოლოგიისათვის.**

| ობიექტები | გაზის მოცულობა, მლნ.ტ/წ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0,5 | 1,0 | 3,0 | 5,0 | 7,5 | 10,0 | 15,8 |
| შემომავალი მილსადენი | 150 | 229 | 229 | 301 | 302 | 360 | 472 |
| წრფივი ნაწილი | 10 | 13 | 13 | 14 | 15 | 16 | 19 |
| საკომპრესორო სადგური | 165 | 215 | 215 | 287 | 287 | 344 | 451 |
| **CNG-ს გემები** | | | | | | | |
| ტრასის სიგრძე - 1079კმ | 290 | 586 | 1 758 | 2 051 | 2 637 | 2 930 | 4 103 |
| ტრასის სიგრძე - 2000კმ | 440 | 879 | 2 051 | 2 637 | 3 516 | 4 396 | 6 154 |
| ტრასის სიგრძე - 3092კმ | 445 | 879 | 2 344 | 3 223 | 4 396 | 5 568 | 8 307 |
| ტრასის სიგრძე - 3997კმ | 615 | 1 172 | 2 930 | 4 103 | 5 568 | 7 033 | 10 461 |
| **მიმღები ტერმინალი** | **30** | **59** | **176** | **294** | **441** | **882** | **1 322** |
| გამომავალი მილსადენი | 60 | 116 | 116 | 152 | 154 | 157 | 188 |
| **წრფივი ნაწილი** | **6** | **8** | **8** | **9** | **11** | **13** | **16** |
| საკომპრესორო სადგური | 80 | 108 | 108 | 144 | 144 | 144 | 172 |

საქართველოდან, შავი ზღვის ფარგლებში (1 079კმ-პორტი კონსტანცა, 1 137კმ-პორტი რენი. ანგარიშში აღებულია საშუალო მანძილი-1 108კმ) სხვადასხვა ტექნოლოგიებით მისაწოდებელი გაზის გადაზიდვის ტარიფები, ტრანსპორტირებული გაზის მოცულობაზე დამოკიდებულებით, მოცემულია ნახ.1-ზე

მცირეტონაჟიანი LNG*-ის ტარიფების ანგარიშის დროს არ არის გათვალისწინებული სამაცივრო საცავის მშენებლობისა და ექსპლოატაციის ხარჯები, რადგან საჭირო მოცულობის გაზის შესანახად შეიძლება გამოყენებული იქნას ყულევის ანტიკლინარული გეოლოგიური სტრუქტურა.

ნახ.1-დან ჩანს, რომ შავი ზღვის ფარგლებში 13 მლრდ.კუბ.მ/წ გაზის მისაწოდებლად ყველაზე ეფექტური ვარიანტია მისი LNG-სახით მიწოდება სამაცივრო საცავის გამოყენების გარეშე. 13 - 22,75 მლრდ.კუბ.მ/წ

დიაპაზონში საზღვაო მილსადენების უპირატესობა უმნიშვნელოა. 0,72-4,0 მლრდ.კუბ.მ/წ დიაპაზონში საზღვაო მილსადენით ტრანსპორტირება ყველაზე ცუდი ვარიანტია. 0,72-8,0 მლრდ.კუბ.მ/წ დიაპაზონში LNG*-სა და CNG-ს ტარიფები დაახლოებით თანაბარია და საზღვაო მილსადენების ტარიფებზე დაბალია.




**ნახ.1.**

უფრო დიდ მანძილებზე, შავი ზღვის გარეთ (ყულევიდან დუნაის აუზში, რენის არხამდე გაანგარიშებულია ორი დისტანცია 2 000კმ და 3 997კმ; ყულევიდან ალექსანდროპოლისის, მარმარასა და ხორვატიის კუნძულ კრკ-ზე განლაგებულ ტერმინალებამდე, შესაბამისად 1 215კმ, 1 355კმ და 3 092კმ მანძილებზე გაზის ტრანსპორტირების ტარიფები მოცემულია ნახაზებზე 2, 3 და 4.




**ნახ.2**

2 000კმ-ინ დისტანციაზე მწარმოებლობის თითქმის მთელ დიაპაზონში LNG-სა და CNG-ს საზღვაო გადაზიდვის ტარიფები საზღვაო მილსადენების ტარიფებზე დაბალია. მათი ტარიფები კი პრაქტიკულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.




**ნახ.3. ტარიფები 3 092კმ-იანი დისტანციისათვის.**




**ნახ.4. ტარიფები 3 997კმ-იანი დისტანციისათვის.**

3 092კმ და 3 997კმ-იან დისტანციებზე საზღვაო მილსადენების ტარიფები არ არის მოყვანილი, რადგან ეს უკანასკნელნი ამ დიაპაზონში არაკონკურენტუნარიანნი არიან. რაც შეეხება LNG-სა და CNG-ს რატიფებს, 2 000კმ-დან 3 997კმ-მდე დიაპაზონში LNG გარკვეული უპირატესობით სარგებლობს.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორების მიერ დადგენილია, რომ LNG-ს ტრანსპორტირების ღირებულება მილსადენის გაზზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, თუ მიწოდების მანძილი აღემატება 950 კმ-ს, ხოლო მიწოდების მიმართულებაზე არის არანაკლებ ხუთი მომხმარებლისა. ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნები მთლიანადაა დაკმაყოფილებული.

ამრიგად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კასპიისრეგიონიდან, საქართველოსა და შავი ზღვის გავლით, ევროპაში გაზის ტრანსპორტირების ცნობილი ტექნოლოგიებიდან უპირატესობა მცირე და საშუალოტონაჟიან LNG-ის უნდა მივანიჭოთ. მისი უპირატესობა დასტურდება, როგორც ტექნიკური და ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური (იხსნება თურქეთის სრუტეების გავლის პრობლემა) არგუმენტებით.

## ლიტერატურა:

1. Зураб Гараканидзе, Ната Гараканидзе «ОДИН ПОЯС - ОДИН ПУТЬ» (OBOR) И ПЕРСПЕКТИВЫ ЮЖНОГО ГАЗОВОГО КОРИДОРА ЕС ПОСЛЕ ГЛОБАЛЬНОЙ ПАНДЕМИИ, Business-Engineering N3-4; 2021. Стр. 93-98; https://business-engineering.bpengi.com/home/2021/number-03-04
2. „Эколого-экономическая оценка морской транспортировки сжатого газа". **Неправительственный экологический фонд имени В.И. Вернадского, 2017** М., 2017. – 248 с.
3. Вертикальный газовый коридор наполняется. Греция и Болгария подписали соглашения по СПГ-терминалу Александруполис. https://neftegaz.ru/news/transport-and-storage/627480-vertikalnyy-gazovyy-koridor-napolnyaetsya-gretsiya-i-bolgariya-podpisali-soglasheniya-po-spg-termina/
4. http://www.freecity.lv/biznes/70135/

# „საერთო ნიადაგის“ თეორიის შესახებ

***ჯემალ ხარიტონაშვილი***
*ეკონომიკის დოქტორი,*
*თსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

იდეისა და იდეოლოგიის გარეშე ქვეყნად ჯერ არც ერთი ღირებული საქმე არ გაკეთებულა. გლობალიზაციის ჟამს სწორედ, რომ უფრო საჭიროა და აუცილებელია ილიაც და მისი იდეოლოგიაც(1,10). „ დადგა დრო, ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები გავხადოთ ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გზამკვლევი“. “საერთო ნიადაგის“ დიდი იდეა და თეორია დინჯად და ჯიუტად გამოდის ევროპულ გზაზე შემდგარ საქართველოში. (2, 3-12-13).

**საკვანძო სიტყვები**: საერთო ნიადაგი, პლურალიზმი, ლამპარი, შრომა

**ABSTRACT**

Without idea and ideology has never been done any valuable work in the world. In the age of globalization, Ilia and his ideology are even more necessary. “The time has come for us to make the legal, political, socio-economic principles of Ilia„ ‘common ground’ theory a guide to a new Georgia and a new Georgian statehood. “ The great idea and theory of “common ground” is coming out in a dignified and stubborn way in Georgia, which is on the European path. (2, 3-12-13).

**შესავალი**

აკაკიმ ილიას „ლამპარი“ უწოდა, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა იწინასწარმეტყველა:“იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს. აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავლისა, ლაიბნიცის ამ თეზისს ხშირად ხმარობდა ილია და “საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ისაა, რომ ქართველმა ერმაც, თუ მას ერობა კიდევ სურს არ უნდა დაივიწყოს თავისი ცხოვრების სათავე. სახალხო კაპიტალიზმია ჩვენი გზა. ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდან შეიძლება ამოვაშობოთ მკვიდრად. ჩვენი ისტორია უნდა გახდეს ამის „ბალავარის“ ქვა(2,5).

“საერთო ნიადგის“ თეორიის არსი და დანიშნულება ეროვნული ერთობისაკენ მოწოდებაა.

**მასალები და მეთოდები**

ი. ჭავჭავაძე ქართველ ერში უპირველესად მოიხსენიება, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პუბლიცისტი, შემდეგ კი, როგორც ბრწყინვალე მწერალი და პოეტი. ის იყო ასევე დიდი ეკონომისტი. იგი შემოქმედებითი ენთუზიაზმით იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების გზებსა და საშუალებებს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძეს მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი შეუქმნია. მთელი მისი ყურადღება საქართველოს კეთილდღეობის და მისი აღმავლობისკენ იყო მიმართული, რომლის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად ეკონომიკური აღმავლობა მიაჩნდა. ი. ჭავჭავაძე მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის მმართველი იყო.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი გადმოცემულია პუბლიცისტურ წერილებში და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნარკვევებში. ესენია: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი“ (1893); „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ (1897); „ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (1897); „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“ (1900); „ცხოვრება და კანონი“; „ხიზნების საქმე“; „ბატონ მეისნერის პროექტი“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური ნაშრომები და მოსაზრებები საქართველოს მომავალი ცხოვრების სწორად წარმართვისკენ იყო მიმართული. მისი აზრით, დაუღალავად შრომას, მშრომელ ხალხს და მათ მიერ შექმნილი დოვლათის სამართლიან, სწორ გამოყენებას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა დაჩაჩანაკებული საქართველო. ეკონომიკურად წელში გამართული საზოგადოების ასაშენებლად ი. ჭავჭავაძე ყველსთვის სავალდებულო შრომის პრინციპს აღიარებდა. ი. ჭავჭავაძის აზრით, ყოველი ადამიანი რა წოდებისა და ხარისხისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, შრომას და გარჯაში უნდა ეძებდეს და ნახულობდეს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ საგანს.

ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის წინსვლისათვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა: ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებას; სხვადასხვა კლასებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებას; ქვეყნის სიმდიდრის ზრდას; დოვლათის სიუხვეს. საამისოდ, ზედმეტი იყო ლაპარაკი კულტურის სერიოზულ განვითარებასა და ხალხის სულიერი სიმდიდრის ზრდაზე.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ერი მაშინაა ძლიერი, როცა მისი ყველა კლასი და ფენა შეძლებულია. 1883 წ. გამოქვეყნებულ წერილში „წოდებათა თანასწორობა“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი გუ-

ლითადი რწმენა ყოველთვის ის ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველამ ერთად, საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლის, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინის თავისკენ და ჭირის სხვისკენ, მარტო თავ-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრების და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან".

„ტყუილა ფიქრობენ - აგრძელებს ი. ჭავჭავაძე - ვითომ კაცთა ურთიერთობაში შესაძ-ლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი ნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა თუ აგებულობა საზოგადოების, თუ ერის დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი ქარის პირველ შებერვაზედვე დაიფუშება. ამისი მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელისგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელიმე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა."(3,19).

ერის გაძლიერების და გამდიდრების ერთდაერთ სამართლიან და დაუშრეტელ წყაროდ ი. ჭავჭავაძე ეკონომიკურ წარმოებას მიიჩნევს. თავის წერილში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა" აღნიშნავდა: „ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრეს". „ნუ დავივიწყებთ, -წერდა იგი, - რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღონოა. ჩარჩული ფული ბუნებით მხდალია, იმიტომ რომ ქუდბაცაცაა. იქა მკის საცა არ უთესია. იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება. იგი სუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს. იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს." „ჩარჩული ფული არ ქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო თვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიკური წარმოებისთვის მკვდარია და, მაშასადამე მკვდარია იმისთანა მოქმედებისთვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მიუწვდომელი წყაროა გაღონიერების და თუნდ გაფულიანებისაც, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული". ამას ამბობს თავადი ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს ვაჭრობის დადებით მხარეებს. იგი მიუთითებს საქონელმიმოქცევის უდიდეს როლზე საზოგადოებრივ განვითარებაში, მისი თქმით, ეს არის ერთადერთი მხოლობითი ეკონომიკური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიკური დამოკიდებულება არ იცის."

ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობას, როგორც ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის განაწილების საშუალებას, რომლის დანიშნულებაც არის წარმოებული სქონლის დაყვანა მომხმარებლამდე. „ვაჭრობა რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისთვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ - საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორგებას ყველგან".

ვაჭრობის დადებითი მხარეების გარდა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს მის უარყოფით მხარეებზეც. ვაჭრობა, თვლის იგი, გარდაქმნის ადამიანის ბუნებას და პირადი ცხოვრების პრინციპებს, და ერი მარტო ვაჭრობით თუა დაკავებული არის „გაქსუებული, გაფანტული." ი. ჭავჭავაძის აზრით ვაჭრობაში არის კიდევ ერთი უარყოფით მხარე, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ყველა ვაჭარი ცდილობს დაძაბულობა შექმნას მიწოდება- მოხმარებას შორის და რაც შეიძლება ღირებულებაზე მაღლა გაყიდოს საქონელი.

ასეთი პრეცედენტი მოხდა საქართველოში 2022 წ. მარტში. საგარეო პოლიტიკური კლიმატის დაძაბვით ისარგებლა ზოგიერთმა ბიზნესმენმა და პანიკა შექმნა. კერძოდ, შაქრის დეფიციტი შექმნეს და ამით ისარგებლეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ: "არ არის გამორიცხული, ეს იყო ხელოვნურად ორგანიზებული პანიკის მცდელობა და გარკვეული ძალები ამით სარგებლობდნენო"(10). მასმედიაშიც ასევე აღინიშნა, რომ ერთმა ბიზნესმენმა მოახდინა ამის ინსცენირება. მას შემოტანილი ქონდა დიდი რაოდენობით შაქარი, რომელსაც მარტის ბოლოს ვადა გასდიოდა. ჯერ ააგდო ფასი, შემდეგ დასწია და თავისი მარაგი სრულად ამოყიდაო.

## დასკვნა

ნათქვამია: „გზა წინასი უკანასთვის ხიდიაო". დიდი ილია, იმიტომ იყო დიდი, რომ მისი აზრები თავის დროს ხომ ქუხდა, დღესაც აქტუალურია. დღესაც, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს გადაუჭრელი პრობლემები, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ერთობას, კონსოლიდაციას.

მთავრობიდან საყურადღებო სიგნალები ისმის მრეწველობის აღორძინება- განვითარების მიმართულებით. მაგალითად, თბილისის საავიაციო ქარანაში ისრაელის ინვესტიციით დამზადებული თვითმფრინავის კომპოზიტური ნაწილები მიეწოდება ამერიკულ ბოინგის მარკის თვითმფრინავებს. ვითარდება ენერგეტიკული სექტორი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერის ლევან დავითაშვილის განცხადებით თუ ინვესტორები დაინტერესდებიან საქართველოში ელექტრობატარეების წარმოების მხრივ, მათ მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათო. ეკონომიკის სამინისტროსათვის პრიორიტეტული

იქნება იმგვარი სამრეწველო ინვესტიციები რომლითაც შეიძლება საკმაოდ ბევრი ადამიანი დასაქმდეს და აწარმოოს პროდუქტი.(7).

საინტერესოა მეწარმეობის ადრინდელი, აქაური გამოცდილების აღორძინებაც. ჩვენი საზოგადოება პირდაპირ ჯუნგლებიდან არ არის გამოსული. კახეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, განსაკუთრებით სეზონურად, არა თუ უმუშევრობა, სამუშაო ძალის დეფიციტიც კი არის. ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა-მებახჩეობა.

ვინაიდან, ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ადგილი აქვს ეპოქის განმეორებას, სასურ-ველია გავითვალისწინოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ეკონომიკური იდეები, რომლებიც გზის მანათობელ ლამპარად შეიძლება გამოდგეს.

დღესდღეისობით ეტყობა საბაზრო ეკონომიკა, ბაზრის ავტომატიზმი ჩვენს ყველა პრობლემას თავისით ვერ გადაწყვეტს. საბაზრო ეკონომიკას ექსტრემალურ სიტუაციებში არ შეუძლია დარღვეული წონასწორობის აღდგენა და ეკონომიკური ზრდა. ასეთ ვითარებაში უპირატესად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკის რეგულირების პროტექციონისტული (მფარველობითი) პოლიტიკა.(11) მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით მსოფლიოში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ვითვალისწინებთ რა ამ გამოცდილებას, რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას,- საწყის პერიოდში და ექსტრემალურ სიტუაციებში უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროექტციონისტული პრინციპი, ხოლო შემდგომში როცა შესაძლებელი გახდება გზა გავუხსნათ ფრიტრედერობას-თავისუფალ მეწარმოებას, თავისუფალ ვაჭრობას და თავისუფალ კონკურენციას (8,4). დღევანდელი პანდემიის პირობებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ეს გასაკვირი არც არის.

დღეს ჩვენი საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს თვალი რჩება საზღვარგარეთულ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ჭარბობს მედასავლეთეობა. საქართველო ვერ განვითარდება მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზის გარეშე. დასავლეთზე არანაკლები ცივილიზაციაა აღმოსავლეთის ქვეყნებში(ჩინეთი, იაპონია, აზიური „ვეფხვები“, აზიური „დრაკონები“ და ა. შ). საჭიროა გამოვიყენოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ ძლიერი ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ბეჯითი შრომით და წარმოების კარგი ორგანიზაციით. ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა შრომის პირობების შექმნა და სათანადო დაინტერესება. თუ შეიქმნება წარმოების განვითარების სათანადო პირობები, მაშინ შესაძლებელი გახდება მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარებაც, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ა.შ.

უცხოური გამოცდილების გასაზიარებლად სასურველია მოვიწვიოთ გამოცდილი მეწარმე- მენეჯერები. მათ შევუქმნათ შრომის და დაინტერესების სათანადო პირობები. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაქციოთ ჩვენი ეკონომიკის უზურპატორებად. მათ კი არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ჩვენი საწარმოების და კორპორაციების საკონტროლო პაკეტი და მართვის სადავეები, არამედ ჩვენ უნდა გვეპყრას ისინი ხელთ.

გასათვალისწინებელია, კომპარდორული (შემთანხმებლური) ბურჟუაზიის როლის საკითხიც. კომპრადორი თავის პირადი გამორჩენის მისაღებად ადვილად გაურიგდება უცხოელებს ეროვნული სიმდიდირის განიავებაზე.

დიდ ყურადღებას მოითხოვს უცხოეთის ბანკების და ინვესტორებისგან აღებული სესხების ეფექტიანად გამოყენების საკითხიც. ამ მხრივ საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის სტატია მეისნერის პროექტის შესახებ.

გერმანელმა ბიზნესმენმა მეისნერმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შესთავაზა: შემოიტანდა მილიონ ნახევარ ინვესტიციას და ამ თანხით შეისყიდდა ამიერკავკასიაში ღვინისა და ხილის დამზადების და რეალიზაციის საქმეს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ სასარგებლოდ ცნო ეს პროექტი და დაამტკიცა.

შემდგომში გაიმართა პოლემიკა აღნიშნული პროექტის გარშემო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ილია ჭავჭავაძემ, რაფიელ ერისთვმა, იოსელიანმა, მონასტირცევმა და სხვ. ქართველ თავადაზნაურთა აღტაცება, რომ უამრავ ფულს იშოვნიდნენ მეისნერის პროექტის მიღებით ი. ჭავჭავაძემ სხვა ქვეყნების მაგალითებითა და ეკონომიკური მეცნიერების მოშველიებით სრულიად გააქარწყლა. ილია ამტკიცებდა, რომ მარტო ფულს არ შეუძლია ქვეყნის გამდიდრება.

კერძოდ, ი. ჭავჭავაძემ მოიტანა მაგალითი: 1870-1871 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვებულმა პრუსიამ, საფრანგეთს გადაახდევინა 5 მლნ ფრანკის კონტრიბუცია. მაგრამ ამდენი ფულის ერთბაშად გერმანიაში შეტანამ ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა. დაიწყო ინფლაცია და გერმანელი მუშები იძულებული გახდნენ სამუშაოდ სხვა ქვეყნებში წასულიყვნენ.. ამიტომ, მეისნერის პროექტით გათვალისწინებული თანხა, თუ შემოვიდოდა, მხოლოდ ნაწილ- ნაწილ შეიძლებოდა შემოტანილიყო.

ილია ჭავჭავაძე ასევე აღნიშნავდა, რომ მეისნერი შექმნიდა მონოპოლიას და ადგილობრივ მეწარმეებს შეავიწროებდა. ამასთან, მეისნერს ღვინის რეალიზაციის ძირითადი ბაზარი რუსეთში აქვს და ჩვენ ღვინოს იქ გაიტანსო.

ი. ჭავჭავაძე რჩევას იძლეოდა, რომ მიღებული არ ყოფილიყო მეისნერის პროექტი. ჩვენს მეურნეობას ჩვენვე მოუაროთ, თორემ ეს გამოიწვევს ისეთ საშინელ შედეგებს, რომ ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად გაგვიყიდიან, ჩვენც ასევე მოგვასყიდებენ და

ჩვენსავე გამრჯე ხალხს გალატაკებულ პროლეტარიატად გადააქცევენ უცხო ადამიანებიო.

ი. ჭავჭავაძის გამოსვლამ დიდი ზეგავლენა იქონია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე, რომელმაც დიდი ბჭობის და ყოყმანის შემდეგ უარყო მეისნერის ერთი შეხედვით მიმზიდველი პროექტი, რომელიც საქართველოს მევენახეობის და მეხილეობის ძირითადი ნაწილის შესყიდვის და უცხო პირების მიერ ჩვენი ღვინის და ხილის რეალიზაციის საქმის მისაკუთრებას გულისხმობდა.

ილია ჭავჭავაძის შემდეგ საერთო ნიადაგის თეორიას იცავდნენ: არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

* * *

ბოლო 30 წლის განმავლობაში, ჩვენში, მთელი იმედები უცოურ ინვესტიციებზეა დამყარებული. აი მოვლენ უცხოელი ინვესტორები და ისინი გვაცხოვრებენ. ქართული სიმღერაც არის: "შენ გამისუქე ცხვარ-თოხლი, მე წელგაშლილმა ვიაროო". დღესდღეობით, შემოსული უცხოური ინვესტიციები უმეტესად ინფრასტრუქტურის განვითარებას ხმარდება. ეს თანხები უპირატესად უნდა გამოვიყენოთ წარმოების განვითარების საჭიროებისთვის.

როგორც ვხედავთ, კარგი ეკონომიკური ცხოვრების შესაქმნელად, დაუღალავი და გააზრებული მუშაობაა საჭირო.

საქართველოს პრობლემებს თუ განვიხილავთ სახელმწიფოებრიობის პრიზმაში, საჭიროა: ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება; სახელმწიფოებრიობის აღქმა; სახელმ-წიფოებრივი(საზოგადოებრივი) ხედვის ჩამოყალიბება; საზოგადოებრივი პრობლემების გათავისება; ადამ სმითის „უხილავი ხელის"(კერძო ინტერესი, ეგოიზმი) გვერდით ჯონ ნეშის წონასწორობის პრინციპის დაყენება, რომელიც გულისხმობს ყველა ფენის, წარმოების ყველა ფაქტორის ინტერესების გამოხატვას. ეს იქნება არა მარტო ჰუმანიზმის გამოვლინება, არამედ ფართო ბაზარსაც შექმნის „უხილავი ხელით" შექმნილი შედეგების რეალიზაციისათვის; შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი წარმოების განვითარება; სრულყოფილი კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბება; მონოპოლიზმის აღმოფხვრა; სახელმწიფო სექტორის გარკვეულწილად აღორძინება.

სასურველია შეიქმნას მრავალწყობიანი, მრავალსაკუთრებიანი, მრავალინტერესიანი, პლურალისტული საზოგადოება.(8).

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ილია და „საერთო ნიადაგის" თეორია(2014), თბილისი, Google.
2. ილია მართალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატუული ალმანახი-რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ,(2019), Google.
3. ჭავჭავაძე, ი.,(1987), თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. III, V, VII.
4. ჭავჭავაძე, ი.,(1987) წოდებათა თანასწორობა , რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V,თბ.
5. აბზიანიძე, გ.,(1959), ნარკვევები, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან.
6. ხარიტონაშვილი, ჯ., (2019). ეკონომიკური ზრის ისტორია, თბილისი
7. IPN.ge. 21. 02. 2022
8. Kharitonashvili, D.,(2021) Economics through the Prism of Pluralism. - Journal Assotiation 1901 "SEPIKE'. Ausgabe 29.

Journal is indexed by ENDEX COPERNIKUS

5.15(2013); IVC 7.76(2014).Cite Factor

P-ISSN:2196-9531: Journal Association 1901 SEPIKE;

E-ISSN: w2372-7438: Journal Association 1901 SEPIKE ;

US Edition Frankfurt, Deutschlsnd; Poitiers,France, Los Angeles, USA, den 31.03, 2021

www.sepice.loud. Com

9. ხარიტონაშვილი, ჯ.,(1993), ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე", N 5.
10. IPN. ge, 13.02.2022
11. ხარიტონაშვილი, ჯ., (2008), პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბილისი

# მსოფლიო პანდემიის და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის შემუშავების აუცილებლობისათვის


***ბორის ჭიჭინაძე***

*ეკონომიკის დოქტორი.*
*აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.*
*საქართველოს ეკონომისტთა*
*სამეცნიერო საზოგადოების წევრი.*
*რეფერირებადი ჟურნალ „ბიზნესი და*
*კანონმდებლობის“ სამეცნიერო საბჭოს წევრი*



**რეზიუმე**

თანამედროვე პირობებში, მაშინ როცა მსოფლიო პანდემიის შედეგად გამოწვეული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები აღმოფხვრილი არ არის, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა და ეკონომიკური პროცესები არაპროგნოზირებადი გახადა რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა. მიმდინარე ომმა მნიშვნელოვნად გაართულა ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობები, რის შედეგადაც მცირდება ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი, იზრდება ინფლაცია და უმუშევრობა. გამომდინარე იქედან, რომ რუსეთიც და უკრაინაც წარმოადგენენ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს, მნიშვნელოვნად გართულდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. შექმნილმა მდგომარეობამ გაზარდა ინფლაციის მაჩვენებელი, შეამცირა უცხოური ინვესტიციების რაოდენობა. შექმნილი არაორდინალური მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, ქვეყნის ეკონომიკური დოქტრინის მიღების აუცილებლობას. დოქტრინის მიღებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები. დოქტრინის შემუშავებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე შესაძლებლობები და არსებული პოტენციალი. მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით. სწრაფად უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედი საგადასახადო კოდექსის შეცვლა. პოლიტიკა უნდა შეიცვალოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიმართულებით. ეტაპობრივად უნდა გატარდეს იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკა. სწრაფად უნდა გაუქმდეს მოგების გადასახადის ე.წ.„ესტონური ვარიანტი“, სანაცვლოდ უნდა დაინერგოს მოგების გადასახადით დაბეგვრის დიფერენცირებული სისტემა 0 დან 15 %-მდე დაბეგვრით, შესაბამისი დარგების მიხედვით. უნდა შეიცვალოს საშემოსავლო გადასახადით დაბევრის დღეს არსებული მანკიერი პრაქტიკა, 100 ლარის და 20 000 ლარის შემოსავლის მქონე პირები არ უნდა იბეგრებოდნენ ერთნაირი 20 %-იანი განაკვეთით. უნდა შემუშავდეს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისი კონცეფცია, რაც ეროვნული ეკონომიკის აღორძინების დოქტრინის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად უნდა შეიმუშავოს ქვეყნის შესაძლებლობების ადეკვატური საინვესტიციო პოლიტიკა. პოლიტიკის შემუშავებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, კიდევ უფრო მწვავედ დღას დღის წესრიგში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ომმა უკვე დაარღვია მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგი, გამომდინარე აქედან მსოფლიო ველარ იქნება ისეთი, როგორც ომამდე იყო. კორექტირებას დაექვემდებარება დღემდე არსებული ეკონომიკური მოდელები და კონცეფციები. წინა პლანზე წამოიწევს ეროვნული მთავრობების პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულის ფონზე უნდა გატარდეს ანტიკორუფციული და ჩრდილოვანი ეკონომიკის საწინააღმდეგო ღონისძიებები. უნდა აღმოიფხვრას ნეპოტიზმი და საჯარო სექტორში ფართო შესაძლებლობები უნდა მიეცეს პროფესიონალ კადრებს. მდგომარეობა მართლაც არაორდინალურია და მისაღები გადაწყვეტილებებიც არაორდინალური უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ სწრაფად არ იქნება მიღებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დოქტრინა, მაშინ სოციალურ--ეკონომიკური მდგომარეობა რთული იქნება არამარტო აწმყოში, არამედ ის შენარჩუნებულ იქნება მომავალშიც, ეს კი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის.



**საკვანძო სიტყვები:** ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ბიუჯეტის დეფიციტი. კორუფციის დონის შემცირება. დემოგრაფიული კრიზისი. ეკონომიკური წესრიგი. საფინანსო რესურსების მოძიება. რეგიონების სტრატეგიული განვითარება. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

## AGAINST THE BACKGROUND OF THE WORLD PANDEMIC AND THE WAR BETWEEN RUSSIA AND UKRAINE, THE NEED TO DEVELOP A DOCTRINE OF THE GEORGIA NATIONAL ECONOMY


### RESUME

In modern conditions, while the negative socio-economic consequences caused by the world pandemic have not been eliminated, the situation is further complicated and economic processes are made unpredictable by the ongoing military operations between Russia and Ukraine. The current war has significantly complicated trade and investment relations between the countries, resulting in declining GDP, rising inflation and unemployment. Due to the fact that Russia and Ukraine are Georgia's main trading partners, the ongoing economic processes within the country have become significantly more complicated. The current situation has increased the inflation rate in Georgia, reduced the amount of foreign investment. The created extraordinary situation puts on the agenda the need to adopt the economic doctrine of the country for the sustainable development of the national economy. Representatives of the Georgian Academy of Sciences should be actively involved in the implementation of the doctrine. While developing the doctrine, the modern opportunities and potential of the Georgian economy should be taken into account as much as possible. Furthermore, significant changes need to be made to improve monetary and monetary policy. The tax code, which has a negative effect on the economic development of the country, must be changed quickly. The policy should be changed in the direction of food supply for the population. Import substitution policies should be implemented in stages. The so-called "Estonian variant" should be abolished quickly, and in return a differentiated system of profit taxation with taxation from 0 to 15%, according to the respective sectors, should be introduced. The vicious practice of income taxation should be changed. Individuals with an income of GEL 100 and GEL 20,000 should not be taxed at the same 20% rate. An appropriate concept for improving the demographic situation of the population should be developed, which should become an integral part of the doctrine of national economic revival. The govenment,together with the National academy of sciences, should develop an adequate investment politics for the country s capabilities. Promoting the development of traditional and innovative industries should be taken into account as much as possible In policy development. Against the background of the war between Russia and Ukraine, the transformation of the national economy is even more acute on the agenda. The war has already disrupted the world economic and political order.Also,exidting rconomics models and concepts will be adjusted.The issue of the responsibility of national govenments will become more essential.Besides that,it so important that,anti-corruption measures should be taken.Nepotism must be eliminated and many opportunities should be given to professional staff in the public sector.Te situation is extraordinary and acceptable decisions also be extraordinary.If the doctrine of economic development of the country does nor adapdet quickl, the socio economic situation will be defficult not only in the present, but also in the future.This everything will make in danger situation a political and economical stability of the country.



**Keywords:** Economic development of the country. Budget deficit. Reducing the level of corruption. Demographic crisis. Economic order. Finding financial resources. Strategic development of regions. International Financial Institutions.


* * *

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების მდგომარეობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანას გააჩნია განვითარების ისეთი დოქტრინა, რომელიც მორგებულია ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და ორიენტირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ყოველწლიურად გაუმჯობესებაზე. სამწუხაროდ საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გასულია 30 წელზე მეტი, სრულყოფილი ეროვნული ეკონომიკური დოქტრინა არ მიუღია.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის შემუშავებას და ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულობაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე.„აქამდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა"--ამბობდა ის **[2].**

ილია აღნიშნავდა--„ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ის აკრიტიკებდა ასევე იმდროინდელ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, კერძოდ ბაზარზე გაბატონებულ ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც ადგილობრივ მწარმოებლებს პროდუქციის გაყიდვის გასაქანს არ აძლევდნენ, აიძულებდნენ საქონელი მათთვის კაპიკებში მიეყიდათ და ამ პროდუქტის რეალიზაციიდან დიდი მოგება შუამავლებს დარჩენოდათ **[3].**

ილია ჭავჭავაძე თავის ეკონომიკურ შეხედულებებში თამამად აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის აუცილებელია, პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა **[4],** ანუ ის აღნიშნავდა ყველა იმ მექანიზმის

გამოყენებაზე და ცხოვრებაში გატარებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. ანუ, თუ განვიხილავთ ილიას იმდროინდელ შეხედულებებს, თამამად შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ მას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და ანალოგიური პოლიტიკის გატარება ქვეყნისთვის დღესაც აუცილებლობას წარმოადგენს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი ხედვა გააჩნდა ნიკო ნიკოლაძესაც. ის ქვეყნის მატერიალური დოვლათის შექმნაში განსაკუთრებულ როლს მრეწველობას ანიჭებდა. ის მოითხოვდა საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებას, რაშიც განსაკუთრებულ როლს ცოდნას და განათლებას ანიჭებდა. ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძის მსგავსად აღნიშნავდა, რომ ქვეყანამ უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ვაჭრობას, ხელს შეუწყობს მოქალაქეების დასაქმებას, გააუმჯობესებს გაუარესებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას, შეამცირებს საბანკო კრედიტის განაკვეთს. საბანკო საქმიანობის ანალიზისას ის ძალიან ფრთხილობდა და აღნიშნავდა, რომ ბანკის საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და არა მის გაკოტრებაზე **[1]**. ამ აქტივობების ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად უმთავრეს ფაქტორად ნიკო ნიკოლაძეს ცოდნა და კვალიფიკაციის ამაღლება მიაჩნდა. რომლის გარეშეც მას ქვეყნის განვითარება ვერ წარმოედგინა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნავდა--„ქვეყნისთვის აუცილებელია, რომ საზოგადოებამ გამოიჩინოს დაინტერესება ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებისადმი. ის ქვეყნის განვითარების საქმეში ფულს დიდ როლს ანიჭებდა და ამბობდა, რომ ფული წამწყმედელიც არის კაცისთვის და მაცხონებელიც. ვინც ფულის გონივრული მოხმარება იცის, ფული მას აცხონებს, ხოლო, ვინც არა--წაწყმედს".

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და ცნობადობის გაზრდის მიზნით, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცოდნასა და განათლებას. ის ამბობდა, რომ„აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს საქართველოს მოსახლეობაში ცოდნა-განათლების დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად. სწორედ განათლებულ ადამიანს შეუძლია სიკეთის მოტანა საკუთარი ქვეყნისათვის".

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევის და საქართველოში ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია შემუშავდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების დოქტრინა. ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის შემუშავებისას საკვანძო საკითხებად უნდა გამოიყოს შემდეგი მიმართულება:

ა) მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა;

ბ) ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირება;

გ) სამართლიანი სახელფასო პოლიტიკის შემუშავება საჯარო სექტორში;

დ) ინფლაციის დონის დარეგულირება;

ე) ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება;

ვ) ეფექტური საჯარო მმართველობა;

ზ) მოსახლეობის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულობა;

თ) ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრინციპების დანერგვა;

ი) იმ პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება, სადაც უფრო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იქნება უცხოური ინვესტიციების განთავსება;

კ) ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციების შემოდინებისას, გარკვეული რეგულაციების დაწესება;

ლ) არაეფექტური საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირება. ადგილობრივ წარმოებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება;

მ) რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა;

ნ) ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული საბანკო სისტემის დანერგვა.

ზოგადად ცნობილია, რომ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვან სფეროს, მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს. მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით აუცილებელია მოხდეს დღეს არსებული საგადასახადო კოდექსის ძირეული, კარდინალური ცვლილებები. აღნიშნული საგადასახადო კოდექსი თავის დროზე (2010 წელს) საქართველოს პარლამენტის მიერ, მიღებულ იქნა ქვეყანაში იმ დროს არსებული იმპორტიორების ლობირებით და მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან აღნიშნულ კანონში მრავალი ცვლილება შევიდა, ის ნაკლებად უწყობს ხელს ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარებას. არსებული კოდექსის პირობებში 2010 წლიდან, ქვეყანაში განვითარდა შემდეგი სახის უარყოფითი პროცესები:

ა ) მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე;

ბ) გაიზარდა ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მაჩვენებელი;

გ) გაუარესდა გადასახადების გადამხდელების საგადასახადო კულტურა;

დ) განადგურების პირას მივიდა ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა ტრადიციული დარგები;

ე) გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი;

ვ) გაიზარდა ქვეყნის შიდა და საგარეო ვალის

ოდენობა და მან კრიტიკულ დონეს მიაღწია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში;

ზ) კიდევ უფრო გაზარდა როგორც მდიდრების, ასევე ღარიბების რაოდენობა.

უნდა შეიცვალოს ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების საქართველოში დაბეგვრის სპეციფიკა. კანონმდებლობით უნდა განესაზღვროს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომ გაასაჯაროვონ მონაცემები კომპანიების დამფუძნებლების შესახებ, დღეს ეს პრინციპები დარღვეულია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არალეგალური ფულის ქვეყნის შიგნით მოძრაობის რისკს და პრობლემებს უქმნის სამთავრობო სტრუქტურებს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული სუბიექტების გადასახადების დაბეგვრისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წელი) მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი. იმდროინდელი საქსტატის მონაცემებით საქართველოში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში აღურიცხავი წილი შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა: 1996 წელი--მშპ-ის 26.9 %, 1997 წელი--30.2 %, 1998 წელი--28.4 %, 1999 წელი--29.2 %, 2000 წელი-32,9 %, 2001 წელი-32,7 %, 2002 წელი--34.1 %. ჩრდილოვანი საქმიანობის მაღალი წილი შეინიშნებოდა ეკონომიკის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: მრეწველობა (39%), მშენებლობა (54 %), ტრანსპორტი (44 %), ვაჭრობა (67 %), რესტორნები და სასტუმროები (70 %), აქვე საჭიროა აღინიშნოს ის, რომ იმდროინდელი ექსპერტული გათვლებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ის 65 %-ს აღწევდა **[9].**

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 05 ნოემბრის №622 და 2003 წლის 24 ივნისის №282 ბრძანებულებები--„ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სხვადახვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს **[8]**, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 27 სექტემბრის №571 ბრძანებულებით გაუქმდა, სანაცვლოდ კი, საკითხის აქტუალობის მიუხედავად სხვა კანონი არ მიღებულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად რაიმე სახის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, მათ შორის სხვადასხვა სამთავრობო (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური) დონეებზე გასატარებელ ღონისძიებებს, ფაქტიურად არ არსებობს. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ საქართველოს კანონი„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2009 წლის 11 დეკემბერს, ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ აწვდის მთავრობას ობიექტურ ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების შესახებ, როგორიცაა: ინფლაცია, უმუშევრობა, საარსებო მინიმუმი და სხვა. ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს აღნიშნული მაჩვენებლების გამოაგარიშების სრულყოფილი მეთოდოლოგიები. კიდევ უფრო რთულადაა საქმე მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისას, რადგანც კანონი არ ავალდებულებს არცერთ სახელმწიფო ორგანოს (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური) შეაგროვოს მუნიციპალურ დონეზე ისეთი სახის სტატისტიკური ინფორმაცია, როგორიცაა: უმუშევრობის დონე, ადგილებზე შექმნილი დამატებული ღირებულება, შემოსული და გასული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა და სხვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი.

ეკონომიკის განვითარების ეროვნული დოქტრინის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის შიდა რესურსის და მდიდარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. ეტაპობრივად უნდა შემცირდეს ქვეყნის გარე საფინანსო ინსტიტუტებზე (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის ბანკი, გაეროს განვითარების ფონდი და სხვა) და სარეიტინგო ორგანიზაციებზე დამოკიდებულების ხარისხი. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი, რომელიც 1995-1997 წლებში იყო აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარე, 1997-2000 წლებში მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი და ვიცე პრეზიდენტი, რომელიც კარგად იცნობდა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურას და საქმიანობას, თავის წიგნში--„გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, აღნიშნავდა, რომ„როდესაც ერი კრიზისშია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მართვის სადავეებს იღებს ხელში და ერს სისხლის უკანასკნელ წვეთსაც გამოწოვს. ცეცხლს იქამდე უკეთებენ, სანამ ქვაბი სიმხურვალისგან არ აფეთქდება. მათ მსოფლიოს ხალხებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ და საერთოდ არ აღელვებთ ადამიანი იცოცხლებთ თუ არა'', ის ასევე აღნიშნავს, რომ„მდიდარი ქვეყნები გლობალიზაციას ღარიბი ქვეყნების ხარჯზე ავითარებენ, რის შედეგაც მდიდარი ქვეყნები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან“, გამომდინარე აქედან, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის გამოვიყენოთ შიდა რესურსები, რადგანაც გარე საფინანსო ინსტიტუტები დიდი ქვეყნების ინტერესების გამტარებლები არიან და მათ ნაკლებად აინტერესებთ პატარა ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავ-

რობის 2013 წლის 30 დეკემბერს მიღებულ იქნა დადგენილება №930 -„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დებულებით დამტკიცდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულება. ანტიკორუფციული საბჭოს ამოცანებად განისაზღვრა:

ა) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა;

ბ) საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი პერიოდული განახლება და მონიტორინგი;

გ) საქართველოს ეროვნულ-ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

დ) საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია;

ე) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, მათი იმპლემენტაციის შესახებ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნული საბჭო ანგარიშვალდებული იყო მთავრობის წინაშე. საბჭოს ასევე ყოველწლიურად, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა წარედგინა საქართველოს მთავრობისთვის.

საჭიროა, აღინიშნოს რომ დადგენილებაში წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების მოგვარების კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონის შემცირება, გამომდინარე აქედან, მთავრობის მხრიდან უმნიშვნელოვანესი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი მეთოდების შერჩევას. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის დონის ობიექტურად განსაზღვრის მიმართულებით, ქვეყანა არ უნდა იყოს დამოკიდებული უცხოურ ორგანიზაციებზე და ქვეყნის შიგნით უნდა არსებობდეს, დამოუკიდებელი კვლვითი (მათ შორის სამეცნიერო) ორგანიზაციები, რომლებიც ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის მთავრობას, კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შესახებ, რის შემდეგაც მთავრობა გადადგამს შესაბამის ადეკვატურ ნაბიჯებს, ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად **[6].**

გავლილი 30 წლის პერიოდში ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური ტენდენციები, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ვერ შეირჩა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია, გამომდინარე აქედან ქვეყნის ეკონომიკა ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა 1990 წლისთვის არსებულ მდგომარეობას. ცნობისათვის: 2003 წელს ქვეყნის მშპ-მ შეადგინა 1990 წლის მშპ-ის 47 %; 2012 წელს შეადგინა 1990 წლის მშპს-ის 80 %, ხოლო 2019 წელს კი---97%. კოვიდპანდემიის შედეგად კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა 2020 -2021 წლებში **[10].**

ვეთანხმები პროფ. ნ.ჭითანავას, რომელიც აღნიშნავს, რომ„ქვეყანას აქვს შანსი, მაქსიმალურად გამოიყენოს ჯერ კიდევ გადარჩენილი მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი. ყველას გასაგონად უნდა ითქვას, რომ შეზღუდული არჩევანი გვაქვს--ეროვნული ფენომენის გათანამედროვეობით დროსთან (სწრაფად ცვალებად გამოწვევებთან) თავსებადობის უნარი შევინარჩუნოთ და ქვეყანა განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გავიდეს, ან გლობალური პროცესების მილევად სახელმწიფო წარმონაქმნად ვიქცეთ და დროის მკაცრ (წინასწარ ცნობილი) განაჩენს დაველოდოთ--ბუნებრივია, პირველი არის ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზანი“ **[5].**

ჩემის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს ქვეყანა შედეგს, თუ ობიექტურად შევაფასებთ არსებულ რეალობას და მთავრობის მიერ, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მიღებულ იქნება მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული გადაწყვეტილებები. წიგნში--„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში”, პროფ.ნ.ჭითანავა აღნიშნავს,--„ახლა მთავარია, რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკონომიკა, რომელიც ჩვენივე აქტიური თუ პასიური პოზიციით შეიქმნა, ობიექტურად გავაცნობიეროთ. მოვლენებს, პროცესებს, ტენდენციებს, კანონზომიერებებს საკუთარი სახელი ვუწოდოთ და თანამედროვე მეცნიერული ლოგიკით, როგორც დიდი ილია იტყოდა„ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ განვსაზღვროთ, ამჯერად მაინც, ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგია“.

არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და მომავალს ბუნდოვანს ხდის რუსეთ-უკრაინის ომი. ევროპის და აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ფინანსური და ეკონომიკური სანქციები კარდინალურად ცვლის მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს. მაშინ როცა მსოფლიომ ჯერ ვერ დააღწია თავი პანდემიის შედეგად გამოწვეულ რთულ ეკონომიკურ პროცესებს, ომმა კიდევ უფრო გაართულა არსებული მდგომარეობა. ფაქტიურად რთულდება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამისი პროგნოზების გაკეთება. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებიც კი თავს არიდებენ შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. რუსეთის მისამართით დაწესე-

ბული სანქციები არაპირდაპირი გზით უკვე აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც, განსაკუთრებით გაუარესდა ქვეყნის მდგომარეობა სასურსათო უსაფრთხოების კუთხით.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს აგრარულ სფეროში არსებული მდიდარი პოტენციალი და მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი პროდუქციით მოსახლეობის მომარაგება. სწრაფად უნდა მოხდეს ქვეყნისთვის საჭირო პროდუქციის მომწოდებელი ბაზრების იდენტიფიცირება და მთლიანობაში საფუძველი უნდა ჩაეყაროს იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკის გატარებას **[7].**

შექმნილი მდგომარეობა არაორდინალურია, ამიტომ გასატარებელი ღონისძიებებიც არაორდინალური უნდა იყოს.

## დასკვნები და რეკომენდაციები

1. COVID 19-ის პანდემიის და რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთდ შეიმუშავოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინა, წარმოდგენილი ხედვებისა და მიგნებების გათვალისწინებით;

2. მთავრობის ხელმძღვანელობით და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უშუალო მონაწილეობით, სწრაფად იქნას მიღებული თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, ქვეყანაში უმუშევრობის და ინფლაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგიები (არსებული მეთოდოლოგიები კრიტიკას ვერ უძლებს და ვერ გვაძლევს სრულ სურათს უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების შესახებ). გამომდინარე იქედან, რომ დღეს მოქმედი მეთოდოლოგიები, რომლის საშუალებითაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახდენს უმუშევრობის და ინფლაციის დონის გამოანგარიშებას, არ შეესაბამება რეალობას, გამომდინარე აქედან მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც ხშირად არ არის არსებული მდგომარეობის ადეკვატური;

3. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიმუშავოს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონის გამოთვლის რეალური მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდეს შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების გეგმაში მკაცრად უნდა იყოს გაწერილი, სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

4. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთდ უნდა შეიმუშავოს, საჯარო სექტორში სამართლიანი და დროის მოთხოვნების შესაბამისი სახელფასო პოლიტიკა. ხელფასის ოდენობა უნდა მიებას, ყველაზე დაუცველი ფენის--პენსიონრების ყოველთვიურ შემოსავალს. უნდა განისაზღვროს დონე იმისა, თუ საწყის ეტაპზე რამდენჯერ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საჯარო (როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური მოხელის) მოხელის ხელფასი პენსიის ოდენობას. საჯარო მოხელის ხელფასი უნდა გაიზარდოს პენსიის ზრდის პროპორციულად, გარკვეული პარიტეტის დაცვით, რათა არ დაირღვეს საჯარო ფინანსების სამართლიანად გადანაწილების პრინციპი;

5. მთავრობის ხელმძღვანელობითა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უშუალო ჩართულობით სწრაფად უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნას კანონი ---„სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“. კანონის მიღება უნდა გახდეს საფუძველი ქვეყანაში, მოსახლეობის ადგილობრივი სურსათით მომარაგების მიმართულებით იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკის გატარებისა;

6. კრიტიკას ვერ უძლებს დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც თავის დროზე (2010 წელი) პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა იმპორტიორების ლობირებით და კარნახით. საგადასახადო კოდექსი ხელს არ უწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და ის ორიენტირებულია მსხვილი ბიზნესის ინტერესების დაცვაზე. სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს მოგების გადასახადის დღეს მოქმედი ე.წ. ესტონური ვარიანტი“, რომელიც თავის დროზე მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნაჩქარევად. საწარმოთა მოგების ამ პრინციპით დაბეგვრამ შედეგი არ მოიტანა და არსებული მიდგომა ვერ უძლებს დროის მოთხოვნებს. შემოღებულ უნდა იქნას მოგების გადასახადით დაბეგვრის დიფერენცირებული მიდგომა. კიდევ უფრო რთულადაა საქმე დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადების დღეს არსებული განაკვეთების მიმართულებით. დღგ-ის განაკვეთი უნდა იყოს დიფერენცირებული (5, 8, 10, 12 %) დასაბეგრი საქონლის სახეობების მიხედვით. იგივე პრინციპი უნდა იქნას შემოღებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას. ყველა შემოსავალი (როგორც 100 ლარი, ასევე 20 000 ლარი) არ უნდა იბეგრებოდეს 20 %-იანი განაკვეთით. შემოღებულ უნდა იქნას დაუბეგრავი მინიმუმი და სახელმწიფოს მიერ გამოთვლილ საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი არ უნდა იბეგრებოდეს საშემოსავლო გადასახადით. ამჟამად ეს პრინციპები დარღვეულია;

7. COVID19-ის პანდემიის და რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად გაუარესებული მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან (გაზრდილი ინფლაცია, გაზრდილი უმუშევრობა, გაზრდილი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, შემცირებული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, გაზრდილი საბიუჯეტო დეფიციტი, გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობა) გამომდინარე სწრაფად უნდა მოხდეს არსებული სახელმწიფო,

რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიული გეგმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირება და თანამედროვე რეალობაზე მორგება;

8. მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს საფინანსო რესურსების მოძიების მხრივ, გარე ძალებზე დამოკიდებულების ხარისხი. ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მდიდარი შიდა რესურსები და სჯობს გვქონდეს მეტი შიდა ვალი, ვიდრე საგარეო ვალი;

9. მთავრობამ, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად შეიმუშავოს ქვეყნის შესაძლებლობების ადეკვატური საინვესტიციო პოლიტიკა. პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა;

10. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის მთავარ მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნას განათლება და მეცნიერება, ასევე მოსახლეობის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;

11. რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარო ოპერაციების ფონზე კიდევ უფრო მწვავედ დგას დღის წესრიგში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობის საკითხი;

12. არაორდინალური ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ქვეყანაში მნიშვნელოვნად იზრდება ინფლაციის კიდევ უფრო ზრდის რისკი. აუცილებელია ეროვნულმა ბანკმა შეცვალოს დღეს არსებული ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ 1. გვ.21;

2. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, 2010 წ;

3. ჭავჭავაძე ი., „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი,თხზ., ტ.7. გვ.9;

4. ჭავჭავაძე ი., „შინაური მიმოხილვა. თხზულებათა სრული კრებული ტ.5., გვ.122;

5. ჭითანავა ნ., ,გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, თბილისი, 2021 წ;

6. ჭიჭინაძე ზ., „საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კოვიდპანდემიის პირობებში და სამომავლო პერსპექტივა". ჟ.„ბიზნესი და კანონმდებლობა"., 2021 წ, №2;

7. ჭიჭინაძე ზ., „საქართველოს მაკროეკონომიკური გამოწვევები მსოფლიო პანდემიის ფონზე"., ჟ.„ეკონომიკური პროფილი". 2020 1, №1;

8. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 24 ივნისის №282 ბრძანებულება - „ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამის შესახებ".

9. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი;

10. www.mof.ge - საქართველო ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი

# ადამიანურ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა

*ნაზი ჭიკაიძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*სალომე ოღაძე*
*თსსუ-ს მაგისტრი*

**რეზიუმე**

XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება დამოკიდებულია ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორებზე, როგორებიცაა: განათლების სისტემის განვითარება, ჯანდაცვის სისტემის განვითარება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მიგრაციული პოლიტიკის ოპტიმიზაცია, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, სამეწარმეო და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და სხვა. ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში გაცილებით ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული გრძელვადიან პერსპექტივაში. ადამიანური კაპიტალის განვითარების დაჩქარება კი მოითხოვს დამატებით რადიკალურ და ფუნდამენტურ რეფორმებს. ინვესტირება ადამიანებში, ხარისხიანი ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვისა და დასაქმების გზით ავითარებს ადამიანურ კაპიტალს. ეს არის უკიდურესი სიღარიბის დაძლევის და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი გარანტი.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური კაპიტალი; ინვესტიციები; ჯანდაცვა; განათლება; ინკლუზიური ზრდა.

**ECONOMIC OF INVESTMENTS IN HUMAN CAPITAL EFFICIENCY**

**Nazi Chikaidze**
Professor at GTU

**Salome Oghadze**
Master of TSMU

**RESUME**

The role and importance of human capital increased dramatically in the XXI century. It should be noted that the development of human capital depends on such fundamental factors as: development of education, healthcare systems, increase of population incomes, optimization of migration policy, development of social and economic infrastructure, entrepreneurial and innovative technologies, etc. Investing in human capital is associated with much lower costs in the long run. Acceleration of the development of human capital even requires additional radical and fundamental reforms. Investing in human capital, through quality healthcare, education, social protection and employment develops human capital. It is the main guarantor for overcoming extreme poverty problem and building an inclusive society.

**Keywords**: human capital; Investments; Healthcare; Education; Inclusive growth.

## შესავალი

თანამედროვე გლობალურ და ინოვაციურ სამყაროში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად აუცილებელი ფაქტორია სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენება. ეს კი შეუძლებელია ადამიანური კაპიტალის, თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის გარეშე. ადამიანური კაპიტალი მოიცავს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, განათლებას, კვალიფიკაციას, უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას, რასაც ადამიანი ცხოვრების მანძილზე იძენს. ადამიანური კაპიტალი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით შეიძლება გამოვლინდეს, წარმოადგენს წარმოების უმნიშვნელოვანეს რესურსს. მისი განვითარების მაღალ დონეს კი განათლების სფეროში გაწეული დანახარჯები განსაზღვრავს, რაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებას გულისხმობს.

ადამიანური კაპიტალის არსი, ბუნება იმაზე მიუთითებს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ინვესტიციები ადამიანური კაპიტალის სფეროში, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელსაყრელ გარემო პირობებში იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ამჟამად სულ უფრო ცხადი ხდება, რომ არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის ბედი დამოკიდებულია მოსახლეობის განათლების დონეზე, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მრავალ ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის თეორიის წარმომადგენელთა მიერ განათლება განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი, როგორც ეკონომიკური უთანაბრობის შემცირების ინსტრუმენტი და ამავე დროს უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალება.

## ძირითადი ნაწილი

ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები როგორც განათლებაში, ასევე ჯანმრთელობაში. ადამიანური კაპიტალის კონცეფციის მიხედვით, ეომელიც შეიმუშავეს ნობელის პრემიის ლაურიატებმა ტ.შულცმა, გ.ბეკერმა და მ.გროსმანმა, ადამიანის კეთილდღეობისათვის, ეკონონმიკური ზრდისათვის საჭიროა განათლებული და ჯანმრთელი მოსახლეობა[1]. განათლებას და ჯანმრთელობას აქვს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგან განათლებას და ჯანმრთელობას სარგებელი მოაქვს როგორც ადამიანისათვის,ასევე საზოგადოებისათვის, საერთოდ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. რაც უფრო განათლებული და ჯანმრთლია ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი პროდუქტიულობა, მით უფრო მზარდი და მდგრადია ეკონომიკა.[2]

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში განიხილება, როგორც მომუშავეთა უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ზრდის საფუძველზე მათი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა სისტემა. კერძოდ, დანახარჯები განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სამუშაო ძალის მობილურობის ზრდაზე. ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ მის შესწავლას და ცდილობენ მისი სხვადასხვა ასპექტით წარმოდგენას. მაგალითად, ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა ცნება„ინტელექტუალური ადამიანური კაპიტალი". იგი განმარტებულია, როგორც ადამიანში განივთებული კაპიტალი, რომელიც მიმართულია მუშაკის უნარ-ჩვევების, განათლების, კვალიფიკაციის და ცოდნის დონის ამაღლებისაკენ, ხოლო თვით ადამიანური კაპიტალი განიხილება, როგორც ინდივიდში განივთებული პოტენციური შესაძლებლობები, შემოსავლის მიღების უნარი.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს შემოქმედებითი ხასიათის სოციალური ქმედებების განვითარებას. ეს პროცესი ემყარება განათლების ეკონომიკური ღირებულების, მისი ეკონომიკური შეფასების, რესურსების განაწილების, დაგეგმვისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას.

ადამიანურ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციები კლასიფიცირდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- მშპ-ში განათლებაზე გაწეული დანახარჯების პროცენტული წილი;
- კადრების მომზადება-გადამზადებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურაში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით;
- შინამეურნეობების მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები.

მშპ-ში განათლებაზე გაწეული დანახარჯების პროცენტული წილი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის განათლების სფერო და ადამიანური კაპიტალის განვითარება, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური განვითარების საფუძველია. უმაღლესი განათლება და პროფესიული ცოდნა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, რაც თავისთავად ცვლის სოციალურ ფონა. ამ მხრივ,მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, განათლება ჯერ კიდევ არ არის პრიორიტეტი. ამას ადასტურებს განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც მშპ-ის 2.8%-ს შეადგენს. ამ მონაცემებით საქართველო ქვეყნების ასეულშიც კი ვერ შედის განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების/მშპ-ის შეფარდების მიხედვით.[3]

კადრების მომზადება-გადამზადებაზე გაწეული დანახარჯები შეგვიძლია განიხილოთ მიკროეკონომიკურ დონეზე, როგორც ფირმის გადაწყვეტილება გააუმჯობესოს დაქირავებული სამუშაო ძალის ხარისხი და შედეგად გაიზარდოს შრომის მწარმოებლურობა, რაც გაზრდის ასევე ფირმის შემოსავალსა და მოგებას, სხვა თანაბარ პირობებში. შინამეურნეობების მიერ განათლებაზე გაწეული დანახარჯი კი გულისხმობს ინდივიდების დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას განათლების მიღების საფუძველზე გაზარდონ მომავალში პოტენციურად მისაღები შემოსავლების სიდიდე. სამივე შემთხვევაში ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები მოკლევადიან პერიოდში დაკავშირებულია დანახარჯებთან, გრძელვადიან პერიოდში კი მოაქვს დადებითი უკუგება, როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე.

განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანგარიშების ჩატარების საფუძვლად მიღებულია დაშვება იმის შესახებ, რომ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში გვაძლევს მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს შემოსავლების ზრდაზე. განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება როგორც განათლებაში პირდაპირ ფულადი შემოსავლების შეფარდება მის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებთან. განათლება ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას შრომის პირობებზე, უმუშევრობის დონეზე და ა.შ. იმ ადამიანების შრომის პირობები, რომელთაც გააჩნიათ უკეთესი საგანმანათლებლო მომზადება, როგორც წესი, უფრო ხელსაყრელია. განათლება ამაღლებს ადამიანის სხვადასხვა სახის საქმიანობის ეფექტიანობას შრომის ბაზრის საზღვრებს გარეთაც. იგი ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას და ისეთი თვისებების შეძენას, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, მოქნილობა, ინტელექტუალური მოთხოვნილებების ზრდა და ა.შ. ამასთან, განათლება ზემოქმედებას ახდენს ისეთი ჩვევების გამომუშავებაზე,

როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების უნარი, სოციალურობა, დროის რაციონალური განაწილება, არაფორმალური ურთიერთ-კავშირების დამყარება. აღსანიშნავია აგრეთვე, განათლების ზემოქმედება მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების სტაბილიზაციის ასპექტში. თუ გავითვალისწინებთ განათლებიდან მიღებული არაფულადი შემოსავლების ყველა სახეს შეიძლება ვთქვათ, რომ განათლება ხასიათდება სოციალური ეფექტიანობით. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და წარმოქმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში კი არსებობს სერიოზული გამოწვევები და პრობლემები. გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა.

ადამიანური კაპიტალის განვითარების დონისა და საერთოდ ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული -ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსი, რომელიც არის ზოგადი მაჩვენებელი ქვეყანაში ადამიანის განვითარების დონის შესაფასებლად. ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსი არის ერთიანი აგრეგირებული მაჩვენებელი, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან: განათლება, ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრებისათვის საკმარისი შემოსავალი. გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიშში, გარდა ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსისა, ჩართულია გენდერული თანასწორობისა და სიღარიბის სხვადასხვა ინდექსი, როგორც შემოთავაზებული განვითარების მოდელის ნაწილი. გლობალური ტენდენცია მიმართულია ჰუმანური განვითარების ინდექსის გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020"-ის მიხედვით, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
- ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სისტემების უზრუნველყოფა.

მოცემული სტრატეგიის მიხედვით, შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრა, ადამიანური კაპიტალის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მისი ეფექტიანი გამოყენება, ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა და უმუშევრობის დონის შემცირება.

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ მაღალხარისხიანი და ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა და განვითარება. ინოვაციური სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის მომზადება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების აუცილებელი ფაქტორებია. ამასთან, აქტუალურია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართვა ეკონომიკურ პროცესებში. 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განათლების მიმართულებით 1491.7 მლნ ლარი იყო, 2021 წელს -1739.1 მლნ.ლარი. 2022 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებელია 2,051,085.9 ხოლო 2023 წ.-2,476,670.0 ლარი.[4]

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების მთავარი ფაქტორი ადამიანური კაპიტალია. მსოფლიოს მასშტაბით შექმნილი ინოვაციური პროდუქტები ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ეფექტიანი ინვესტიციების შედეგია და ნებისმიერი სამეცნიერო გარღვევა სწორედ ინტელექტის რეალიზაციის შედეგად მიიღწევა. ფაქტობრივად, ადამიანურ კაპიტალსა და ინოვაციურ განვითარებას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ცოდნა, კვლევები და ინოვაციები ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობისათვის გადამწყვეტია. შესაბამისად, ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ბოლო პერიოდის ეკონომიკური კვლევები ცალსახად ადასტურებს, რომ ინოვაციები და კვლევები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორ-

მირებასა და განვითარებას ხელს უშლის სწორედ ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული არასაკმარისი და არაეფექტიანი ინვესტიციები, უკვე შექმნილი ინოვაციური პროდუქტების ათვისებისადმი ნაკლები მზაობა და ეროვნული ინოვაციური პროდუქტების შექმნის ნაკლები სტიმული. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, პრიორიტეტული იქნება ადამიანური კაპიტალის განვითარება, ინოვაციების დანერგვა და სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ამ მიმართულებით. განვითარებული ადამიანური კაპიტალი სწრაფი ეკონომიკური ზრდის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების სისტემის არსებობა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.[5]

## დასკვნა

ამრიგად, ადამიანური კაპიტალი ინვესტიციების შედეგად ადამიანის მიერ დაგროვებული ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და მოტივაციების მარაგია. ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ინვესტიციები ჯანმრთელობის კაპიტალში ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდას, ავადობის შემცირებას, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის კაპიტალზე და, რაც მთავარია, განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხოლო განათლების სფეროში ეფექტიანი ინვესტირება ქმნის ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში, შედეგად იზრდება მწარმოებლურობა, არსებული შეზღუდული რესურსები ეფექტიანად გამოიყენება, იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობა და ეკონომიკა გადადის თვისებრივად ახალ მდგომარეობაში.

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ მაღალხარისხიანი და ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა და განვითარება.

ამასთან, ეროვნული ადამიანური კაპიტალის განვითარება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის, რაც გულისხმობს, სამუშაო ძალის ფართო ჩართულობას ეკონომიკური ზრდის პროცესში. ინკლუზიური ზრდის საფუძველზე მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი, ღარიბი სეგმენტის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება არა გადანაწილების პოლიტიკით, არამედ მათი უშუალო ჩართულობით ეკონომიკურ აქტივობაში. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში უპირატესობა ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი, ადამიანური კაპიტალის მაქსიმალური ათვისებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


[1] ვერულავა თ.„ჯანმრთელობის კაპიტალი-ეკონომიკის მდგრადი განვითარების ფაქტორი", ჟურნალი„ეკონომიკა და ბიზნესი №1", თბილისი, 2019.

[2] Tengiz Verulava. Health Capital, Primary Health Care and Economic Growth. Eastern Journal of Medicine. 2019; 24 (1): 57 – 62.

[3] ჯორბენაძე ა. სამედიცინო განათლების რეფორმა: გამოცდილება, მომავლის ხედვა;https:// / https://forbes.ge/2021/11/25/

[4]ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები2022-2025 წლებისათვის.თბ.2021

[5] სამთავრობო პროგრამა 2021-2024„ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის"

# ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემის ისტორიის შესახებ

## ბერძნული და ლათინური წყაროების მიხედვით

*გია კვაშილავა*
*სტუ-ს ეკონომიკის დოქტორანტი*

**რეზიუმე**

შრომაში წარმოდგენილია მასალები ტერმინის „უსაფრთხოება" განსაზღვრის, დაზუსტებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის ისტორიის შესწავლისათვის.

ტერმინი „უსაფრთხოება" ნაწარმოებია ძველი ბერძნული «aspháleia» და ლათინური «securitas» სიტყვების მიხედვით, რომელთა მნიშვნელობაა „უსაფრთხოება", „დაცვა".

შრომაში გამოყენებულია ძველი ბერძნული და ლათინური ლიტერატურა უსაფრთხოების პრობლემის მიმოხილვისა და დედნისეული ნაწილების ინტერპრეტაციებისთვის.

ძველმა ბერძენმა და რომაელმა ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა გზა გახსნეს თანამედროვე უსაფრთხოების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** «aspháleia», «securitas», უსაფრთხოება, დაცვა; «securitatis urbanae custos», ქალაქის უსაფრთხოების მცველი; «securitas publica», სახელმწიფოს უსაფრთხოება.

**ON THE HISTORY OF SOME PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY**

**According to Greek and Latin Sources**

**Gia Kvashilava**
Ph.D. Student at GTU

**ABSTRACT**

This paper reviews the material for studying of history of the economic security problems. Studying of the security problem will help us how we need to define term "security".

The author proposes to consider the question: Where is the term "security" derived? It traces from the Ancient Greek word «aspháleia» and Latin word «securitas» that literally means "security", "safety", "protection".

For this paper have used ancient Greek and Latin literature review for the security problem and interpretations of original pieces.

In short, the ancient Greek and Roman philosophers, historians and politicians paved the way for the origin of the modern security science.

**Keywords:** «aspháleia», «securitas», security, safety, protection; «securitatis urbanae custos», the guardian of the security of the city; «securitas publica», the security of the State.

**შესავალი**

უსაფრთხოება ადამიანების საზოგადოებაში გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომ თავი დაეცვა ბუნებრივი თუ სოციალური გარემო პირობებისგან. სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურების, ამოცანებისა და ფუნქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები საუკუნეების მანძილზე მრავალმა ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და პოლიტოკოსმა ყურადღებით შეისწავლა. მათ დასვეს უსაფრთხოების და ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემები და წარმოაჩინეს უსაფრთხოების განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზოგადად უსაფრთხოება განიმარტება, როგორც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების დაცვა ყველა სახის საფრთხისგან, რაც ბუნებრივი და ბოროტი ძალების საზიანო მოქმედებების დროს ვლინდება (შდრ. Сенчагов 2015:7).

**ძირითადი ტექსტი**

ძველმა ბერძენმა მოაზროვნეებმა უსაფრთხოების პრობლემა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძირითად მიმართულებებს დაუკავშირეს. ამ მხრივ ბერძნულ-ლათინური წყაროები ეხება უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც შემდგომში ეკონომისტებმა აღმოაჩინეს და ჩამოაყალიბეს ეკონომიკური კატეგორიების სახით.

ამ წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ სიტყვა „უსაფრთხოება" ძვ.წ. VI–III საუკუნეებში ძველ საბერძნეთში იხმარებოდა. ძველი ბერძნული სიტყვა ἀσφάλεια [asp$^h$áleia], რომლის მნიშვნელობაა „უსაფრთხოება", „დაცვა", როგორც ტერმინი დაამკვიდრეს ძველმა ბერძენმა სწავლულებმა, კერძოდ, დრამატურგებმა ესქილემ[1] (ძვ.წ. 525–455 წწ.) და სოფოკლემ (ძვ.წ. 497/496–406/405 წწ.), ისტორიკოსებმა თუკიდიდემ (ძვ.წ. 460–400 წწ.) და ქსენოფონტმა (ძვ.წ. 430–355/354 წწ.), ლოგოგრაფოს-

1 Aeschylus, Suppliant Women 495; Smyth 1922, I:52, 53.

მა ლისიასმა[2] (ძვ.წ. 445–380 წწ.), ფილოსოფოსებმა: დემოკრიტემ (ძვ.წ. 460–370 წწ.), პლატონმა (ძვ.წ. 428–347 წწ.), არისტოტელემ (ძვ.წ. 384–322 წწ.), ეპიკურემ (ძვ.წ. 341–270 წწ.) და სხვებმა.

ამ სწავლულების წიგნებში სიტყვა ἀσφάλεια [aspʰáleia] აღნიშნავდა: ადამიანის წინდახედულებას და სიფრთხილეს, პიროვნების, საზოგადოებისა და პოლისის, ანუ ქალაქ-სახელმწიფოს ნებისმიერი საფრთხისგან თავის დაცვას, ქალაქ-სახელმწიფოს მყარად მართვასა და სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებას.

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მმართველები იყვნენ ბრწყინვალე სამხედრო ლიდერები, მცველები და რეალისტი პოლიტიკოსები, რომლებსაც ჰქონდათ უსაფრთხოებისა და სამეთვალყურეო სტრუქტურები, სადაზვერვო და საკომუნიკაციო ორგანიზაციები, აკონტროლებდნენ სავაჭრო ურთიერთობებსა და გადასახადების მიღებას. ისინი კომერციული და პოლიტიკური აგენტების სახით უზრუნველყოფდნენ უსაფრთხოებასა და დაცვას მათი ქალაქ-სახელმწიფოების საზღვრების ფარგლებში. აგრეთვე ერთმანეთთან აფორმებდნენ ხელშეკრულებებს, რომლებითაც მათი უსაფრთხოება და მოქალაქეების საკუთრება დაცული უნდა ყოფილიყო.

ქვემოთ დასამოწმებლად მოტანილია მასალა რამდენიმე ძველი ბერძენი და რომაელი ავტორის თხზულებებიდან, რომლებშიც, შესაბამისად, დასტურდება სიტყვები: ἀσφάλεια [aspʰáleia] და «securitas» – „უსაფრთხოება“, „დაცვა“.

თუკიდიდე თავის წიგნში „პელოპონესის ომის ისტორია“ (ძვ.წ. 431–404 წწ.) ხშირად აღნიშნავს, რომ საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების მმართველების მთავარი მიზანი იყო საკუთარი თავის, ოჯახისა და ქალაქების უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ძალაუფლების განმტკიცებაზე ზრუნვა (Thucydides I.XVII; Smith 1980, I:30, 31). იგი წერს, რომ ათენში მთელი მსოფლიოდან შემოდიოდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი, რომლითაც ათენელები უპირატესად სარგებლობდნენ და ამით თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ (Thucydides II.XXXVIII; Smith 1980, I:324, 325). ისინი იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ უპირატესობა მჭიდროდ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან (Thucydides V.CVII; Smith 1959, III:168, 169).

ქსენოფონტი თავის თხზულებაში „კიროპედია“ პირველი ახსენებს ტერმინს „სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებას“ (Xenophon VII.IV.5; Miller 1914, I:252). აქ მან განსაკუთრებული გულისყური არსებითი ისტორიულ-ფილოსოფიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და შრომის უსაფრთხოების საკითხებისკენ მიმართა და ამ მხრივ დაწერა მრავალი შრომა.

უსაფრთხოების შესახებ სოფოკლე თავის დრამატულ ნაწარმოებში, რომლის სათაურია „ოიდიპოს მეფე“, ამბობს: „ჰე, ოიდიპოს, ჩემი ქვეყნის მეფეო,.. აღადგინე ქალაქის უსაფრთხოება“ (Sophocles 14, 51; Storr 1962, I:6, 10). ამ პიესაში უმთავრესად გამოკვეთილია ადამიანი და მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა მიმართ.

დემოკრიტე დიდად დაკვირვებული ადამიანი იყო და ადვილად საზღვრავდა მომავალ საფრთხეებს. ერთხელ შავი ჭირისგან გადაარჩინა ადგილობრივი მოსახლეობა, ამიტომ იგი ქალაქის მმართველდაც კი იყო არჩეული (კუკავა 1959:5). დემოკრიტეს ბევრი სწორი მიხვედრა ჰქონდა. მან გამოთქვა რიგი მოსაზრებები სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებისა და საფრთხეების, კანონისა და წესრიგის, მმართველების, თანამდებობის პირების, მცველების მოვალეობებისა და სამართლიანობის შესახებ (Democritus B248.[139N.]–IV,1,33, B252.[135N.]–43, B255.[146N.]–46, B256.[156N.]–14, B263.[148N.]–45, B265.[116N.]–47, B266.[165N.]–48; Diels 1922, II:110–115; კუკავა 1959:166–168). მისი აზრით, საფრთხეების გათვალისწინებით მოწყობილი სახელმწიფოს გონიერნი და ღირსეულნი მმართველნი, რომლებმაც იციან სახელმწიფოს მართვა, მისი სასარგებლო და საზიანო ქმედებები, კანონებით მოქმედებენ და სახელმწიფოებრივ საქმეებს წარმატებით წარმართავენ (კუკავა 1959:22, 23). ამიტომ იგი წერდა: „ყველას მიმართ ნუ იქნები ეჭვიანი, არამედ [იყავი] ფრთხილი და მტკიცე“ (კუკავა 1959:145; Democritus B91.[223N.]–57; Diels 1922, II:79).

პლატონი, რომელმაც ძვ.წ. 387 წელს ათენში ფილოსოფიის სკოლა – აკადემია დააფუძნა, აღნიშნავდა, რომ „[სახელმწიფოს] მცველებს შორის უნდა ამოვარჩიოთ იმნაირი ხალხი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახავდა დაუცხრომელ ზრუნვას სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და არასდიდებით არ დათანხმდებოდა, საზოგადო სიკეთის საზიანოდ ემოქმედა“ (ბრეგვაძე 2003:124; Plato III.XIX.412d, 412e; Shorey 1937, I:296, 297).

პლატონმა უსაფრთხოების ღონისძიების გატარება კეთილგონიერ პოლიტიკურ მმართველს, ხელმძღვანელს დაუკავშირა, რომელიც იქნება მეტისმეტად ფრთხილი, სამართლიანი, წინდახედული, გამბედავი, მკვეთრი, ქმედითუნარიანი და სახელმწიფოს წარმატებით გამმართავი (Plato 48.311a, 311b, 311c; Fowler and Lamb 1975, VIII:194, 195).

ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკური მართველობის დროს ერთმანეთში აირია სიმდიდრის, სიღატაკისა და შუალედური მდგომარეობები. ამ მხრივ პლატონი ამბობს: „ადამიანს... აქ ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი განზე უნდა გადადოს და, უწინარეს ყოვლისა, იქითკენ მიმართოს მცდელობა, რომ შეძლებისდაგვარად შეიცნოს ეს. იქნებ მიაკვლიოს ადამიანს, რომელიც ასწავლიდა და შეაძლებინებდა ერთმანეთისაგან გაერჩია ცხოვრების უკეთესი და უკეთური წესი, ხოლო იმ შესაძლებლობათაგან, ბე-

2 Lysias I.42; VIII.7; XVI.13; XXXI.7; Lamb 1967:25, 175, 639.

დი რომ არგუნებდა წილად, ყველგან და ყოველთვის ამოერჩია უმჯობესი. ამასთანავე, გაეთვალისწინებინა, რა ზემოქმედებას ახდენს სიქველეზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში... თავისი თავმოყრისა თუ განმხოლოების წყალობით, რათა, ამრიგად, წინასწარვე ეხილა სიკეთე და ბოროტება, რასაც იწვევს მშვენიერების შერწყმა სიმდიდრესა თუ სიღარიბესთან, სულის გარკვეული განწყობილების თანხლებით, და, იმავდროულად, შეეცნო, რას ნიშნავს კეთილშობილური თუ მდაბიური წარმომავლობა, პირადი ცხოვრება თუ სახელმწიფო საქმიანობა, ძლიერება თუ უძლურება, ნიჭიერება თუ უნიჭობა, ან ბუნებით თანდაყოლილი თუ შეძენილი თვისებები სულისა. ყოველივე ამის შეჯერებითა და სულის ბუნების გათვალისწინებით, ადამიანს შეუძლია არჩევანი მოახდინოს ცხოვრების უკეთეს და უკეთურ წესს შორის: უკეთურად ის მიიჩნევს ცხოვრების იმნაირ წესს, რომელსაც იქამდე მივყავართ, რომ სული უსამართლო ხდება, უკეთესად კი – იმას, რომელიც სულს უფრო სამართლიანს ხდის, ყოველივე დანარჩენს კი არას დაგიდევთ. ...ესაა ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი" (ბრეგვაძე 2003:388; Plato, X.XV.618b–618e; Shorey 1980, II:508, 509).

ძვ.წ. 334 წელს პლატონის მოსწავლემ, არისტოტელემ ჩამოყალიბა ფილოსოფიური სკოლა – ლიკეიონი (Lyceum – „ლიცეუმი"), სადაც ფართოდ ისწავლებოდა მეცნიერებანი, კერძოდ, ლოგიკა, მათემატიკა, ეკონომიკა, პოლიტიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა, რიტორიკა (მჭევრმეტყველება) და სხვა.

ლიკეიონში არისტოტელემ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა და გამოკვეთა უსაფრთხოების არსი, როგორც სახელმწიფოს გადარჩენის პრობლემა. იგი წერდა: „კანონმდებლებს და იმათ, ვისაც ...სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, მთავარი საზრუნავი ექნებათ არა სახელმწიფოს ჩამოყალიბების გამო, არამედ მისი გადარჩენის გამო. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის არაა ძნელი იარსებოს ერთი, ორი ან სამი დღე, მაგრამ მთავარია სახელმწიფოს ხსნისა და დაღუპვის საშუალებების გათვალისწინება... აქედან გამომდინარე, შევეცადოთ შევამზადოთ სახელმწიფოს უსაფრთხოების მეთოდები და ვერიდოთ ყოველივე დამღუპველს. მივიღოთ ისეთი კანონები, იქნება ის დაწერილი, თუ დაუწერელი, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფოს დაცვას. და სახელმწიფოს არ ვუწოდოთ, რომ ესაა დემოკრატიული ან ოლიგარქიული სახელმწიფო, რაც სახელმწიფოს იძულებულს ხდის იზრუნოს იმაზე, რომ ის იყოს ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული და არა იმაზე, რაც მას დღეგრძელს გახდის" (კუკავა 1996, II:57; Aristotle VI.III, 1319b, 1320a, 34–46; Rackham 1959:506, 507).

არისტოტელე წერს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საჭიროა ქონების გათანაბრების უკეთ მოწესრიგება, რადგან სოციალური გამოსვლები ქონების არასწორი გადანაწილების გამო ხდება (Aristotle II.IV.1226a, II.IV.1266b; Rackham 1959:110–113; კუკავა 1995, I:44, 45). აქვე იგი აღნიშნავს, რომ „ფალეასს [ქალკიდონელი, ძვ.წ. V–IV სს.] სურს თავისი სახელმწიფოს შიგნით ურთიერთობის კარგად მოწესრიგება, მაგრამ საჭიროა ურთიერთობის მოწესრიგება აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან და სხვა ერებთან. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, რაზეც ფალეასი არაფერს ამბობს. იგივე უნდა ითქვას ქონების შესახებაც. საჭიროა სახელმწიფოს ჰქონდეს ქონება არა მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ გარეშე საფრთხისაგან თავდასაცავადაც. მაგრამ არაა საჭირო იმდენი ქონება, რომ ის მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების შურს იწვევდეს, ხოლო ვისაც დიდი ქონება აქვს, არ შეეძლოს თავდაცვა შემოჭრილი მტრისაგან, მაგრამ არც ისე მცირე ქონება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რომ არ შეეძლოს წარმატების მიღწევა თანასწორი და მსგავსი ძალის მქონე სახელმწიფოსთან ბრძოლაში" (კუკავა 1995, I:46; Aristotle II.IV.1267a; Rackham 1959:114–117).

არისტოტელეს ამოსავალი დებულება იყო: „სახელმწიფოს გაუმჯობესება შეიძლება ზნეობით, ფილოსოფიით, კანონებით" (კუკავა 1995, I:38; Aristotle II.II.1263b; Rackham 1959:90–93).

საბერძნეთის ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოების მართველობის ფორმები ხელს უშლიდა მისი მთლიანი სივრცის უსაფრთხოებას და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებასა და განვითარებას. არისტოტელეს მოსწავლემ, ალექსანდრე დიდმა (ძვ.წ. 356–323 წწ.) შეძლო ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღება და თითქმის ყველა ბერძნული პოლისის ეკონომიკურ-პოლიტიკურად გაერთიანება. მან აგრეთვე დაიქვემდებარა მცირე აზია, ეგვიპტე, სირია, კაპადოკია, ბაბილონი, სპარსეთი და სხვა ქვეყნები და შექმნა ერთი მთლიანი ბერძნულ-სპარსული იმპერია, რომლის დაცვის უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო-საკაცობრიო კულტურული, ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების პროგრესისა და განხორციელებისთვის.

ელინური პერიოდის (ძვ.წ. 323–31 წწ.) საზოგადოების განვითარებასთან, მისი სიმდიდრის ზრდასთან ერთად შეიცვალა უსაფრთხოების კრიტერიუმი, მაგრამ მაინც ასოცირდებოდა პიროვნების თვითგადარჩენასთან, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და კომფორტის გაზრდასთან (Сенчагов 2015:7). ამ მხრივ ეპიკურე წერდა: „ნამდვილი უსაფრთხოება მოიპოვება მშვიდი ცხოვრებითა და ბრბოსგან განშორებით" (Epicurus XIV; Mühll 1922:54; შდრ. კუკავა 1959:214).

უსაფრთხოების პრობლემის შესახებ შეხედულებათა სისტემის, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომაელი პოლიტიკოსის, ციცერონის

(ძვ.წ. 106–43 წწ.) მოსაზრებები, რომლებიც მან ჩამოაყალიბა თავის ფილოსოფიურ შრომებში.

ციცერონი თავის წიგნში „სახელმწიფოს შესახებ" («De re publica») სახელმწიფოს განმარტავს, როგორც ხალხის, საზოგადოების საქმეს («Res publica»). ხალხი არაა ადამიანთა ყოველგვარი ერთობა, არამედ ხალხია ადამიანთა ისეთი გართიანება, რომელიც ეფუძნება სამართლის საკითხების ირგვლივ თანხვედრასა და საერთო კეთილდღეობას. ხალხმა თავისთვის შეარჩია გარკვეული საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენა ბუნებრივი თავდაცვითი საშუალებები, გაამაგრა ხელოვნური ნაშენითაც და ამგვარ ერთიანობას უწოდა ციხე-სიმაგრე ან ქალაქი (Cicero I.XXV.39, I.XXVI.41; Keyes 1970:64, 65). აქვე იგი ყურადღებას ამახვილებს ქალაქ-სახელმწიფოს საფრთხეებზე, რომლის ასარიდებლად საჭიროა ისეთი თანამდებობის პირი (პოლიტიკოსი), რომელსაც ამის გაკეთების უფლება ექნება (Cicero I.VI.10; Keyes 1970:24, 25).

ციცერონი თავის წიგნში „სიკეთისა და ბოროტების ზღვარის შესახებ" («De finibus bonorum et malorum») წერს, რომ დემოკრიტეს უსაფრთხოება, ანუ სულიერი სიმშვიდე, რასაც დემოკრიტემ εὐθυμία [eu̯tʰumía] – «კარგი სულიერი განწყობილება» უწოდა, არის სულიერი მდგომარეობა, იგივე კურთხეული ცხოვრება. შემდეგ იგი წერს: „[დემოკრიტეს] სურდა ბუნების კვლევის შედეგი კარგი სულიერი განწყობილება ყოფილიყო. ამიტომ უმაღლეს სიკეთეს იგი «კარგ სულიერ მდგომარეობას» უწოდებდა, ხშირად კი – «სიმამაცეს», ე.ი. შიშისაგან თავისუფალ სულიერ მდგომარეობას" (კუკავა 1959:124; Cicero V.xxix.87; Rackham 1931:490, 491; Democritus B169.[4N.]; Diels 1922, II:54).

რომაელი ისტორიკოსი, ველეიუს პატერკულუსი (ძვ. წ. 19–ახ. წ. 31) თავის ყოვლისმომცველ წიგნში, „რომის ისტორიაში" («Historia Romana») ცდილობს აღწეროს რომის იმპერიის მუდმივი უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც, მისი აზრით, იყო ყველაზე მძლავრი მოქმედება სახელმწიფოს მარად არსებობისთვის (Velleius Paterculus II.CIII.4; Shipley 1924:264, 265). აქ ახსენებს ლუციუს პისოს, როგორც „ქალაქის უსაფრთხოების მცველს" («securitatis urbanae custos») (Velleius Paterculus II.XCVIII; Shipley 1924:254, 255).

რომაელი ფილოსოფოსი, სენეკა (ახ.წ. 4–65 წწ.) თავის წიგნებში რამდენიმე პრაქტიკულ მოსაზრებას გამოთქვამს უსაფრთხოების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, ადამიანს დიდად ხელს უწყობს, რათა სწორად იცხოვროს. მან „წერილებში ლუცილიუსისადმი ზნეობის შესახებ" («Ad Lucilium epistulae morales») და „მოწყალების შესახებ" («De clementia») გამოიყენა ლათინური ტერმინი «securitas publica», რომელსაც შეესატყვისება ინგლისური "the security of the State" – „სახელმწიფოს უსაფრთხოება" (Seneca LXXIII.2; Gummere 1970, II:104, 105; Seneca I.XIII.1; Basore 1928, I:394, 395).

## დასკვნა

ამდენად, ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და სხვები უსაფრთხოების პრობლემას განიხილავდნენ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან მჭიდრო კავშირში. ეს მიმართებები მათ წიგნებში ახსნილია ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების კონტექსტში, რომლებიც მოქალაქეების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამ დამოკიდებულებამ დასრულებული სახე მიიღო ელინიურ პერიოდში, სადაც საბოლოოდ განისაზღვრა და გამოისახა უსაფრთხოების კონცეფციის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები. რომაელი ფილოსოფოსები, იურისტები და პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ უსაფრთხოების ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის მიხედვით. უსაფრთხოების საკითხები ოფიციალურად იყო ჩაწერილი კანონმდებლობაში, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ურთიერთობები რეგულირდება.

ამ მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ძველი საბერძნეთის, აგრეთვე რომის მოქალაქე იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციოლოგიური ადამიანი (Homo politicus, homo oeconomicus, homo legalicus, et homo sociologicus).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ბრეგვაძე 2003:** *პლატონი, სახელმწიფო,* ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 392 გვ.

2. **კუკავა 1959:** *დემოკრიტე, ეპიკურე, ფრაგმენტები, წერილები,* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და ნარკვევი დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1959, 238 გვ.

3. **კუკავა 1995, I:** *არისტოტელე, პოლიტიკა,* ნაწილი I, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1995, 135 გვ.

4. **კუკავა 1996, II:** *არისტოტელე, პოლიტიკა,* ნაწილი II, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1996, 118 გვ.

5. **Сенчагов 2015:** Сенчагов В. К. (ред.), *Экономическая безопасность России, Общий курс*, 5-е изд., Москва: Издательство „Бином, Лаборатория знаний", 2015, 816 стр.

6. **Basore 1928:** *Seneca, Moral Essays*, Vol. I, with an English translation by J.W. Basore, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXVIII, 456 pp.

7. **Diels 1922, II:** Diels, H., *Die Fragmente der Vorsokratiker, Griechisch und Deutsch*, Zweiter Band, Berlin: Weidmannsche Buchhandlung, 1922, 346 S.

8. **Fowler and Lamb 1975, VIII:** *Plato, The Statesman, Philebus, Ion*, with an English translation by H. N. Fowler and W. R. M. Lamb, Vol. VIII, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXV, 450 pp.

9. **Gummere 1970, II:** *Seneca, Ad Lucilium epistulae morales*, with an English translation by R. M. Gummere, Vol. II, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press**,** MCMLXX, 480 pp.

10. **Keyes 1970:** *Cicero, De re publica, de legibus*, with an English translation by C. W. Keyes, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXVIII, 534 pp.

11. **Lamb 1967:** *Lysias*, with an English translation by W. R. M. Lamb, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXVII, 708 pp.

12. **Miller 1914, I:** *Xenophon, Cyropaedia*, Vol. II, with an English translation by W. Miller, London, William Heinemann, Ltd, New York, The Macmillan Co., MCMXIV, 480 pp.

13. **Mühll 1922:** Mühll, P. von der, *Epicuri epistulae tres et ratae sententiae*, a Laertio Diogene servatae, Lipsiae, in aedibus B.G. Teubneri, MCMXXIl, 70 pp.

14. **Rackham 1931:** *Cicero, De finibus bonorum et malorum*, with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXXl, 512 pp.

15. **Rackham 1959:** *Aristotle, Politics,* with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 684 pp.

16. **Rackham 1961, V:** *Pliny, Natural History*, with an English translation by H. Rackham, Vol. V, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXI, 544 pp.

17. **Shipley 1924:** *Velleius Paterculus, Compendium of Roman History: Res gestae divi Augusti*, with an English translation by Frederick W. Shipley, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXIV, 432 pp.

18. **Shorey 1937, I:** *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. I, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXXVII, 536 pp.

19. **Shorey 1980, II:** *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. II, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 530 pp.

20. **Smith 1959, III:** *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. III: Books V–VI, with an English translation by C. F. Smith, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 376 pp.

21. **Smith 1980, I:** *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. I: Books I–II, with an English translation by C. F. Smith, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 462 pp.

22. **Smyth 1922, I:** *Aeschylus, Suppliant Maidens*, with an English translation by H. W. Smyth, Vol. I, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXII, 426 pp.

23. **Storr 1962, I:** *Sophocles*, Vol. I, with an English translation by F. Storr, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLXII, 420 pp.

# მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი საქართველოში

***გიორგი შენგელია***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია სწორი და მიზანმიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისათვის. მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის ტაქტიკური და სტრატეგიული გზების ერთობლიობა და ამ მიმართულებით გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების სისტემა. თავისუფალი ბაზრის პირობებში სახელმწიფო შეზღუდულია სამოქმედო ინსტრუმენტების არჩევაში და მხოლოდ რამდენიმე მათგანს ფლობს, რომელთა ოპტიმალური გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირება.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევა, რაც გულისხმობს პირველ რიგში ფისკალურ დისციპლინას, ფასების სტაბილურობას და უმუშევრობის დაბალ დონეს, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობას, ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი ფაქტორებია. შესაბამისად, იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანებიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის მთავარ საფუძველს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ფისკალური ანუ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა; ფისკალური დისციპლინა; მონეტარული პოლიტიკა;

**FORMATION OF MACROECONOMIC POLICY IN GEORGIA**

**Giorgi Shengelia**
PhD student at GTU

**SUMMARY**

Implementation of effective and target-oriented macroeconomic policy, which is essential for the economic growth of the country is overviewed in the article. Macroeconomic policy is a complex of tactical and strategic ways for achieving macroeconomic targets and a system for making decisions synchronously at this direction. In a free market environment, a state has limitations for using tools for actions and only holds some of them, in case of optimal use of these tools a country's macroeconomic regulation will be achieved.

In the article a special emphasis is given to the significance of achieving stable macroeconomic environment for economic growth of our country, which implies a fiscal discipline, a stability of the prices, and low rate of unemployment, an independence of monetary policy, keeping stability of financial sector, that are essential factors for long-term economic growth of the country. Therefore out of those important tasks, that our country has to solve, one of the most significant factor is achieving economic stability, which according to our opinion is based on fiscal, or in other words on budgetary and tax policy.

**Keywords: economic growth; Fiscal discipline; Monetary policy;**

## შესავალი

მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის ტაქტიკური და სტრატეგიული გზების ერთობლიობა და ამ მიმართულებით გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების სისტემა. თავისუფალი ბაზრის პირობებში სახელმწიფო შეზღუდულია სამოქმედო ინსტრუმენტების არჩევაში და მხოლოდ რამდენიმე მათგანს ფლობს, რომელთა ოპტიმალური გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირება.

ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, შესაბამისად, ის ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის განუხრელ და სტაბილურ ზრდას, ამდენად ადრე თუ გვიან დადგება ჩარევის აუცილებლობა და ეს ჩარევა სწორედ სახელმწიფოს მიერ უნდა განხორციელდეს, რომელსაც გააჩნია შეზღუდული, მაგრამ ეფექტიანი ბერკეტები ეკონომიკაში არსებული რყევების დასარეგულირებლად და დასაბალანსებლად.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეკონომიკური მიზნების შესაძლო მიღწევის შემთხვევაში, მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. ეს ქვეყნის პოლიტიკაა სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების სფეროში, რომელიც მიმართულია დასაქმების მაღალი დონის, ეკონომიკის სტაბილურობისა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

### ძირითადი ნაწილი

XX საუკუნის მიწურულს საქართველომ კიდევ ერთხელ შეძლო იმ საუკუნეში დამოუკიდებლობის მიღება და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალებაც მიეცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის წინაშე დადგა აუცილებლობა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური პროცესების წარმართვისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესის დაწყებისა.

ქვეყნისთვის სასიცოცხლო და პრინციპული გახდა ორი მიზნის მიღწევა და დასახული ამოცანების გადაჭრა:

1) დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა;

2) საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება და განხორციელება.

1990 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იწყებოდა ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ როგორც ჩანს ხელისუფლებაში მისული ძალა არ აღმოჩნდა მზად რადიკალური რეფორმების ჩასატარებლად და ძველი სისტემით მართვაც უფრო მარტივი ჩანდა, ვიდრე ახლებურად რეგულირება, რის გამოც ეკონომიკური რეფორმები პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ეს ეტაპი ცნობილია, როგორც უძრაობის ტოლფასი მოძრაობის ეტაპი, ხოლო მას შემდეგ რაც 1991 წელს ქვეყანა სამოქალაქო ომმა მოიცვა, ხელისუფლებას ეკონომიკის რეგულირებაზე საფიქრალად არ ეცალა.

მოგვიანებით, ქართველმა რეფორმატორებმა გადაწყვიტეს „შოკური თერაპიის" პრინციპის გამოყენება, რაც გულისხმობდა ფინანსურ სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ზომიერი საგადასახადო სისტემის დანერგვას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, თუმცა მათ ვერ გაითვალისწინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი: იმ ეტაპისათვის ქვეყნის ხელისუფლებას არ ჰქონდა არც ერთი რეალური მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, არ გააჩნდა ფულად-საკრედიტო სისტემა და არ ჰქონდა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების რეალური ბერკეტები. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება მოუმზადებელი აღმოჩნდა „შოკური თერაპიის" განსახორციელებლად.

„შოკური თერაპიის" გამოყენების საუკეთესო მაგალითია პოლონეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რომელიც „ბალცეროვიჩის გეგმის" სახელითაა ცნობილი. ამ გეგმის თანახმად, პოლონეთში გატარდა უმკაცრესი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რაც ფასების ლიბერალიზაციაში, საბიუჯეტო დოტაციებსა და სუბსიდიებზე უარის თქმის მეშვეობით ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვნად შემცირებაში, მოსახლეობის შემოსავლებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შეზღუდვაში გამოიხატებოდა.

საქართველოს „შოკური თერაპიის" ალტერნატივა, ჩვენი აზრით, არ გააჩნდა, თუმცა რთულია ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ ცვლილებებს კლასიკური გაგებით ვუწოდოთ „შოკური თერაპია". შეიძლება ითქვას, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ყველაზე ეფექტიანი და სწრაფი გზა, „შოკური თერაპია", პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში ვერ განხორციელდა. ეკონომიკური რეფორმის პოპულისტური ეტაპი, „შოკური თერაპიის" არასრულფასოვანი რუსული მოდელის კიდევ უფრო არასრულფასოვანი ქართული კალკის გარდაუვალი კრახით დასრულდა, რამაც საქართველოს ეკონომიკის შემდგომი კრიზისული მოვლენები დააჩქარა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე რთული 1992-1994 წლები აღმოჩნდა. ქვეყანა გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ცხოვრობდა, რაც, რა თქმა უნდა, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებშიც აისახა.

1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 27,5% შეადგინა, მრეწველობის პროდუქციამ შესაბამისად 12,9%, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება 48%-მდე დაეცა. 1993-1994 წლებში ინვესტიციების მოცულობა 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 3%-ს შეადგენს. 1990 წელს ქვეყანაში დასაქმებამ თითქმის 100%-ს მიაღწია, ძალიან მცირე იყო უმუშევრობის დონე, თუმცა უკვე 1992 წელს უმუშევრობის დონე 32-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1993 წელს არსებულმა მდგომარეობამ კიდევ 60%-ით მოიმატა და საერთო ჯამში მივიღეთ 180 ათასი უმუშევარი ადამიანი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმ წლებში შრომის ანაზღაურება მიზერული იყო და მოსახლეობა ძირითადად დანაზოგებით ცხოვრობდა, ცხადია, რეალური უმუშევრობის ციფრები გაცილებით მეტი იყო, უკიდურესი იყო ფარული უმუშევრობის მოცულობა.

პრობლემები გაჩნდა ბიუჯეტშიც. თუ კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლებმა 1990 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის სრული მოცულობის 34%-მდე შეადგინა, 1993 წელს მხოლოდ 6.4% იყო, რაც პრაქტიკულად ადასტურებს იმას, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ არსებობდა. ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდებოდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. თუ 1990 წელს კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯებმა, მშპ-ს 32% შეადგინა, 1993 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 4,8%-ს შეადგენდა. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ 1993 წელს ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა პრაქტიკულად არ არსებობდა.

წარმოების დაცემას თან ახლდა ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რის შედეგადაც მივიღეთ მწვავე ხასიათის ინფლაციური პროცესები. სამომხმარებლო საქონელზე ფასები და ტარიფები 1992 წელს გაიზარდა 25-ჯერ, 1993 წელს კიდევ 2-ჯერ, მომდევნო წელს უფრო მეტად. ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 1992 წელს შეადგინა 28%, ხოლო 1993 წელს კი - 49%.

ამ პერიოდში შექმნილი უმწვავესი ეკონომიკური

კრიზისის გამომწვევი მიზეზები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ფორმულირდეს:

• საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის გაჭიანურება;

• ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის შემდეგ საპირისპირო ეკონომიკური პოლიტიკის შეუმუშავებლობა;

• საზოგადოების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა საბაზრო ურთიერთობებისათვის;

• სახელმწიფოს პასიურობა ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში.

• ეკონომიკური გარდაქმნებისათვის საჭირო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არქონა;

• აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დაბალი პროფესიონალიზმი და რიგ ეკონომიკურ საკითხებში არაკომპეტენტურობა;

• „თოფიანი კაცის" პრიორიტეტულობა პოლიტიკასა და ეკონომიკაში;

• არასწორი და დაუსაბუთებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

• საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის შეუმუშავებლობა;

• ეროვნული მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის სრული იგნორირება;

• საფინანსო-სამეურნეო კონტროლის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშების მოშლა და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკური კრიზისის გამწვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინასწარი განჭვრეტისა და პროგნოზის არქონა, განსაკუთრებით კი ქართველ მეცნიერ ეკონომისტებისა და სპეციალისტების წინადადებებისა და რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა.

მხოლოდ 1994 წლის მეორე ნახევარში იქნა შემუშავებული „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა". აქ უკვე იქნა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რეკომენდაციები გათვალისწინებული და განისაზღვრა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დარეგულირდა ფასები ელ.ენერგიაზე, გაზზე, პურსა და შიდა საქალაქო ტრანსპორტზე. განხორციელდა შრომის ანაზღაურების სისტემის რეორგანიზაცია, საწარმოებს გაუუქმდათ ყველა სახეობის სუბსიდია და ტრანსფერტი, შეჩერდა ოვერდრაფტის წესით კრედიტების ავტომატური გაცემა და ა.შ.

ყოველივე ამის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკის მართვის თანდათანობით მოწესრიგების პროცესს. შეიქმნა შედარებით სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. რეგულირებას დაექვემდებარა ინფლაციური პროცესები, შემოღებულ იქნა ქართული ვალუტა და საბოლოოდ დაიწყო საფინანსო სისტემის სტაბილიზაციის პროცესი.

1995 წელს საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა. 2-წლიანი პაუზის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა ბიუჯეტი, რომლის უმნიშვნელოვანესი ღირსება ის იყო, რომ შემოსავლებისა და გასავლების დაბალანების მიზნით უარი ეთქვა ემისიური კრედიტების გამოყენებას და საერთოდ საკრედიტო ემისიას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გარკვეულმა ეკონომიკურმა ზრდამ არ დააყოვნა და უკვე 1995 წელს, წინა წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2.6%-ით გაიზარდა, მომდევნო წლებში კი აღნიშნული მაჩვენებლის ზრდამ შესაბამისად 11.2% და 10.6% შეადგინა.

1998 წლიდან ზრდის ტემპი შენელდა, რაც ქვეყანაში წარმოქმნილმა ფორსმაჟორულმა მოვლენებმა განაპირობა. კვლავ საომარი მოქმედებები გალის რაიონში და ლტოლვილთა რაოდენობის გაზრდა, ასევე რუსეთის საფინანსო კრიზისი, რამაც სერიოზული სირთულეები შეუქმნა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას და ჰიდროენერგეტიკას. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1996-1997 წლების მატების მსგავსად არ მომატებულა, თუმცა მატების ტენდენცია გაგრძელდა. 1998 წელს 2.9% შეადგინა, 1999 წელს წინა წელთან შედარებით 3%, 2000 წელს 2% და 2001 წელს 4,5%.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენასა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას ორი ეტაპი მოჰყვა: რეფორმები, რომელთაც ახალი ეკონომიკური სისტემის საფუძვლები შექმნეს, 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდგომ განხორციელდა. ეს იყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პირველი ეტაპი. რეფორმების მეორე ტალღა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ 2004 წელს დაიწყო, რომელიც მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ, რაც ძირითადად გადასახადების, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა.

მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების პარალელურად, მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევისა და კორუფციის რადიკალური შემცირებისაკენ, რაც აუცილებლად გააუმჯობესებდა საინვესტიციო გარემოს. 2004-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური მაჩვენებლის ზრდამ 9,3% შეადგინა, ხოლო 2007 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ორნიშნულიანი ზრდა 12,6% ოდენობით.

„ვარდების რევოლუციის" შემდგომ წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, ასევე ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდა შეინიშნებოდა, რასაც განაპირობებდა წინა წლებთან შედარებით ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული მასობრივი პიარკამპანიები. მოდით ვნა-

ხოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროპორცია ერთ სულ მოსახლეზე.

2002 წელი - 37 აშშ დოლარი

2004 წელი - 104 აშშ დოლარი

2006 წელი - 240 აშშ დოლარი

2007 წელი - 360 აშშ დოლარი

გარდა ამისა, მოხდა „ვარდების რევოლუციამდე" მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა. ამ ფულის დიდი ნაწილი ინვესტირებული იქნა ფინანსურ და სამშენებლო სფეროებში და ტელეკომუნიკაციებში, რამაც პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მშპ-ს ზრდაზე. ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, თუმცა სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. რა თქმა უნდა, იყო მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ტექნოლოგიების დანერგვას და ახალი ცოდნის მიღებას, რაც ექსპორტის ზრდასა და ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა, თუმცა ეს იმ მასშტაბებით არ განხორციელდა, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის ყველაზე მაღალმა დონემ 2009 წელს მიაღწია (16.9%) თუმცა მომდევნო წლებში ამ მაჩვენებელმა იკლო და 2012 წელს 15%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

დღესდღეობით სამუშაო ძალის დაახლოებით ორი მესამედი თვითდასაქმებულია. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია, რაც გასული წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ამ დარგის იგნორირებამ განაპირობა. საბოლოოდ ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების საერთო რაოდენობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70%-ია.

გასული 15 წლის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, თუმცა მაინც არ შეიქმნა საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.

ეკონომიკური ზრდის შედეგები დადებითად არ აისახა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და მნიშვნელოვანი გავლენაც არ მოუხდენია უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებაზე.

ამავდროულად ამ წლების განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად ცალკე აღებული მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ეკონომიკური განვითარების შეფასებისთვის ნაკლებად გამოგვადგება.

## დასკვნა

სწორი და მიზანმიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევა, რაც გულისხმობს პირველ რიგში ფისკალურ დისციპლინას, ფასების სტაბილურობას და უმუშევრობის დაბალ დონეს, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობას, ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი ფაქტორებია. შესაბამისად, იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანებიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის მთავარ საფუძველს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ფისკალური ანუ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა.

ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობასა და როლს ეკონომიკის რეგულირების სიტემაში განსაზღვრავს ის, რომ იგი გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს არსებობის ფინანსური უზრუნველყოფის ან და ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის კუთხით, არამედ შემოსავლებისა და რესურსების გასანაწილებლად. ასეთ პოლიტიკას ეკონომიკურთან ერთად გააჩნია წმინდა სოციალური დატვირთვაც. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა არის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომლითაც სახელმწიფო როგორც გადასახადებით ისე სახელმწიფო ხარჯებით უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა შემოსავლების ფორმირების პროცესში.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს აძლევს საშუალებას ერთის მხრივ საგადასახადო განაკვეთებითა და შეღავათებით და მეორეს მხრივ სახელმწიფო ხარჯების რეგულირებით აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე, სახელმწიფოსა და მეწარმეთა საინვესტიციო პოტენციალზე, ეკონომიკის განვითარების ციკლურობასა და სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნაზე, შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების რეგულირებაში ფისკალური პოლიტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს და მის ეფექტიანობაზე დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., ა.შ „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები". „მეცნიერება", თბ., 2003.

2. გაბრიჭიძე ა.. „საქართველოს ფისკალური სისტემა და მისი სრულყოფის მიმართულებანი". ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა", №12, თბ., 2005.

3. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები". გამომცემლობა „ეს პსკი", თბ., 1999.

4. www.napr.gov.ge უკანასკნელად გადამოწმდა 15.01 2022წ.

5. www.ei-lat.ge უკანასკნელად გადამოწმდა 15. 01.2022 წ.

# მიგრაცია და მიგრანტები - გლობალური მიმოხილვა

*ბესარიონ სიმონიშვილი*
*სტუ-ს ???????*

**რეზიუმე**

ადამიანთა მიგრაციის პროცესს საუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გლობალური მიგრაციისა და გადაადგილების შესახებ. მიგრაციისა და მიგრანტების გლობალური მიმოხილვისა და არსებული მონაცემების საფუძველზე, მონაცემთა ხარვეზებისა და შეფერხებების მიუხედავად, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

საერთაშორისო მიგრაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის სოციალურ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესებთან. შრომისუნარიანი მიგრანტები აგრძელებენ გადაადგილებას უფრო დიდი შესაძლებლობების მქონე რეგიონებისკენ, სადაც ეკონომიკის მაჩვენებელი იზრდება და შრომის ბაზარი ვითარდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ გადაადგილებები, გამოწვეული კონფლიქტით, ძალადობით და სხვა მსგავსი ფაქტორებით კვლავ რჩება რეკორდულ მაჩვენებელზე. გადაუჭრელი, მოუგვარებელი და განმეორებადი კონფლიქტები და ძალადობა ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში იწვევს ლტოლვილთა რიცხვის ზრდას, მათ შორის მნიშვნელოვანი წილი მოდის ქალებსა და ბავშვებზე. იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა 2018 წლის ბოლოს მაქსიმუმს აღწევდა გასულ წლებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების ფუნდამენტური საკითხების გარდა, მოქალაქეობის არქონამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ, მიგრაცია და გადაადგილება კვლავ მაღალ ნიშნულზეა. ამიტომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს უდიდესი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრის გზების და მიმართულებების ძიების მიმართულებით. მიგრანტების შესახებ მონაცემების შეგროვება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რათა უკეთ იყოს გაცნობიერებულები მიგრაციის საკითხის ტენდენციები, პროცესები და გამოწვევები. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია, მიგრანტები, დევნილები, ლტოლვილები.

**MIGRATION AND MIGRANTS - A GLOBAL OVERVIEW**

**Besarion Simonishvili**
??? at GTU

**SUMMARY**

The process of human migration has a centuries-old history, but only recently has information become available about global migration and displacement. Based on the Global Overview of Migration and Migrants and available data, despite important data gaps and delays, several important conclusions can be drawn. International migration is associated with different types of social, economic and geopolitical processes. The able-bodied migrants continue to move to regions with greater opportunities, where the economy is growing and the labor market is evolving. At the same time, it should be noted that displacements caused by conflict, violence and other similar factors still remain at record levels. Unresolved, unresolved and recurring conflicts and violence in recent years have led to an increase in the number of refugees, including a significant share coming from women and children. The number of IDPs at the end of 2018 reached a maximum compared to previous years. While, in addition to fundamental human rights issues, statelessness can pose a threat to them, migration and relocation are still high. Therefore, due to the urgency of the issue, data collection and analysis pays great attention to finding ways and directions to solve the problem. Collecting data on migrants is a crucial task to better understand the trends, processes and challenges of migration. This will help to find ways to solve the problem both internationally and domestically.

****

მიგრაციის თემა ისეთივე მნიშვნელოვანია ანთროპოლოგებს შორის, როგორც ფართო საზოგადოებისთვის. ეს დიასპორა განიცდის ადაპტაციას და ასიმილაციას ბევრ ახალ ტერიტორიაზე და ცვლის არა მხოლოდ „მშვილებელ“, არამედ წარმო-

შობის ქვეყანასაც. მსოფლიოს ბევრმა დიდმა ერმა შეითვისა და დღესაც აგრძელებს დიდი რაოდენობით ემიგრანტების „შთანთქმას". მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალშიც გაგრძელდეს ფართომასშტაბიანი იმიგრაცია, სამოქალაქო ომისა თუ სეპარატისტულ ზეწოლის ფაქტების გათვალისწინებით [1,2].

მიგრაციისა და მიგრანტის ზოგადი, სტანდარტული განმარტებების მიღმა, არსებობს მიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების სხვადასხვა სპეციფიკური განმარტებები, მათ შორის იურიდიული, ადმინისტრაციული, კვლევისა და სტატისტიკის სფეროები. აღსანიშნავია, რომ:

• ა. არ არსებობს მიგრაციის ან მიგრანტის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება, თუმცა, რამდენიმე განმარტება ფართოდ არის მიღებული და შემუშავებულია სხვადასხვა სტრუქტურის მიერ. ის ეფუძნება გაეროს DESA-ს 1998 წლის რეკომენდაციებს საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ.

• ბ. არ არსებობს მიგრანტებისა და მიგრაციის ტექნიკური განმარტებები, ცნებები და კატეგორიები, დაკავშირებული ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა გეოგრაფიული, სამართლებრივი, პოლიტიკური, მეთოდოლოგიური, პერიოდული და სხვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს მრავალი გზა, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს მიგრაციის მოვლენები, მათ შორის დაბადების ადგილთან დაკავშირებით, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი და ტერიტორიაზე ყოფნის ხანგრძლივობა და სხვა [3].

საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები ითვალისწინებს ტერმინს - „საერთაშორისო მიგრანტი", რომლის ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიცვალა ჩვეული საცხოვრებლის ქვეყანა. განასხვავებენ მათ შორის „მოკლევადიანი მიგრანტებსაც" (მათ, ვინც შეიცვალა მშობლიური საცხოვრებელი ქვეყანა სამი თვეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ ეს პერიოდი არ აღემატება ერთ წელს) და „გრძელვადიანი მიგრანტები" (მათ, ვინც დატოვა საცხოვრებელი ადგილი მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში). თუმცა, ყველა ქვეყანა არ იყენებს ამგვარ დიფერენცირებას პრაქტიკაში. ზოგიერთი მათგანი მიმართავს განსხვავებულ კრიტერიუმებს მიგრანტების საერთაშორისო იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, საცხოვრებლის გამოყენებას სხვადასხვა მინიმალური ხანგრძლივობის გათვალისწინებით. განსხვავებული ცნებები და დეფინიციები, ისევე როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია ქვეყნებს შორის, ხელს უშლის საერთაშორისო მიგრანტების სტატისტიკის სრულყოფას [4].

მიმდინარე გლობალური შეფასებით, 2019 წელს მსოფლიოში დაახლოებით 272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი იყო, რაც გლობალური მოსახლეობის 3,5 პროცენტს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რიცხვიდან გამომდინარე, მაინც უმცირესობად რჩება. რაც იმას ნიშნავს, რომ უმეტესად კვლავ ნორმად რჩება მშობლიურ ქვეყანაში ყოფნა და ადამიანთა უმრავლესობა არ მიგრირებს საზღვრებს გარეთ. თუმცა, გაცილებით დიდი რაოდენობის მიგრაციას ადგილი აქვს ქვეყნებს შიგნით (2019 წელს ფიქსირდება დაახლოებით 740 მილიონი შიდა მიგრანტი).

წლების განმავლობაში აშკარაა როგორც რიცხობრივი, ისე პროპორციული თვალსაზრისით მიგრაციის ზრდა უფრო სწრაფი ტემპით. ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა საერთაშორისო დონეზე იცვლის საცხოვრებელ ადგილს სამუშაოსთან, ოჯახთან და სწავლასთან დაკავშირებული მიზეზების გამო თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა ტოვებს თავიანთ სახლებს და ქვეყნებს ისეთი ტრაგიკული მიზეზების გამო, როგორიცაა კონფლიქტი, დევნა და კატასტროფა. იძულებით გადაადგილებული პირები, როგორიცაა ლტოლვილები და დევნილები, მიგრანტების საერთო რაოდენობაში შედარებით მცირე პროცენტს შეადგენენ და მათ სახელმწიფოების მხრიდან ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება და მხარდაჭერა [5].

მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკურ წყაროების შედგენაში მონაწილეობს გაეროს ეკონომიკური და სოციალური დაცვის დეპარტამენტი (UN DESA), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მსოფლიო ბანკი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), შიდა გადაადგილების მონიტორინგი ცენტრი (IDMC) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM).

არსებული მონაცემების მიხედვით, საერთო ჯამში, საერთაშორისო მიგრანტების სავარაუდო რაოდენობა გაიზარდა ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში. ჯამში, 272 მილიონი ადამიანი ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, 2019 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა 119 მილიონით, ვიდრე ფიქსირებული იყო 1990 წელს (153 მილიონი), და ის სამჯერ აღემატება 1970 წლის სავარაუდო რაოდენობას (84 მილიონი). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტების წილი გლობალურად იზრდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში, აშკარაა, რომ ადამიანების დიდი უმრავლესობა კვლავ აგრძელებს ცხოვრებას მშობლიურ ქვეყნებში. საერთაშორისო მიგრანტების რიცხვი გლობალურად გაიზარდა რაოდენობრივად, მაგრამ სტაბილურია, მსოფლიოს მოსახლეობის პროპორციასთან შედარებით. მიგრანტების რაოდენობის ზრდის მაჩვენებლები მოყვანილია N1 სურათზე.

272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი ფიქსირდება 2019 წლის მონაცემებით 7.7 მილიარდიან საერთო მოსახლეობას შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ, ყოველი 30-დან 1 ადამიანი მიგრანტია. დღეის-




**სურათი N1. მიგრანტების ზრდის მაჩვენებელი 1995-2019 წლებში**




**სურათი N2. მიგრანტების რაოდენობა ასაკის და სქესის მიხედვით**




**სურათი N3. ემიგრანტების რაოდენობა (%) ქვეყნების მიხედვით**

თვის არსებული მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო მიგრანტების 52% მამაკაცია, 48% კი ქალი, ამავდროულად, მიგრანტების 74% შრომისუნარიანი ასაკის (20-64 წელი) კონტიგენტზე მოდის [6]. მონაცემები მოყვანილია N2 სურათზე.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტები უმეტესად მიისწრაფვიან მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისკენ, მათი წარმომავლობა მრავალფეროვანია. ზოგიერთ წარმოშობის ქვეყანას ჰყავს მათი მოქალაქეების მაღალი რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ ეკონომიკური, პოლიტიკური, უსაფრთხოების, სავაჭრო ან კულტურული მიზნებით. ხოლო ზოგიერთ ქვეყანას, მაგალითად, სირიის არაბთა რესპუბლიკას აქვს ემიგრაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია გრძელვადიანი კონფლიქტის გამო გადაადგილებით [7]. მონაცემები მოყვანილია N3 სურათზე.

მიგრაციის საერთაშიროსო ორგანიზაცია - IOM ახორციელებს ნებაყოფლობით დაბრუნებისა და რეინტეგრაციის (AVRR) პროგრამებს 1979 წლიდან. IOM-ის AVRR-ის მხარდაჭერა მიგრანტებისთვის მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს და, როგორც წესი, ითვალისწინებს ისეთი სახის თანადგომას, როგორიცაა: გამგზავრებამდე კონსულტაციები, ფრენის ბილეთების შეძენა, ადმინისტრაციული და სამოგზაურო დახმარება და, სადაც შესაძლებელია, რეინტეგრაციის დახმარების გაწევა. საშუალოდ, 2005 წლიდან 2014 წლამდე, IOM ყოველწლიურად ეხმარებოდა 34000 მიგრანტს AVRR-ის მეშვეობით. შესაბამისად, ბოლო წლებში მიგრაციის მოცულობის მატებასთან ერთად გაიზარდა დაბრუნებულთა რაოდენობაც. 2018 წელს, AVRR-ის მხარდაჭერა მიეწოდა 63,316 მიგრანტს, რომლებიც დაბრუნდნენ 128 მასპინძელი ან სატრანზიტო ქვეყნიდან წარმოშობის 169 ქვეყანას ან ტერიტორიაზე, მათ შორის მე-5 ადგილზე საქართველო [6]. 10 ძირითადი ქვეყნის მონაცემები მოყვანილია N1 ცხრილში.

2018 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში სულ 25.9 მილიონი ლტოლვილი იყო, მათგან 20.4 მილიონი გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის (UNHCR) პატრონაჟის ქვეშ ფიქსირდება. 5,5 მილიონი ლტოლვილი რეგისტრირებულია გაეროს დახმარებისა და სამუშაოების სააგენტოს მიერ (UNRWA) ახლო აღმოსავლეთში. ლტოლვილთა საერთო რაოდენობა რეკორდულად მაღალია, თუმცა საყურადღებოა, რომ ზრდის წლიური ტემპი 2012 წლიდან შენელდა. დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანი, 2019 წელს ეძებდა საერთაშორისო თანადგომას და ელოდა გადაწყვეტილებას მათი ლტოლვილის სტატუსის შესახებ, როგორც თავშესაფრის მაძიებლები. 2018 წელს, დაახლოებით 2,1 მილიონი თავშესაფრის მოთხოვნა იყო შეტანილი UNHCR-თან. შეერთებული შტატები იყო თავშესაფრის მოთხოვნის პირველი მიმღები. 254,300-მა ადამიანმა მიმართა UNHCR -ს ახალი თავშესაფრის განაცხადით, რაც 23 პროცენტს შეადგენდა. პერუ იყო სიდიდით მეორე მიმღები, სადაც ფიქსირდებოდა თავშესაფრის განაცხადების მკვეთრი ზრდა, 2017 წელს, 37,800 ახალი თავშესაფრის მოთხოვნიდან, 2018 წელს, 192,500-მდე ვენესუელის მკვიდრებზე მოდიოდა. პერუს მოჰყვა გერმანია, სადაც თავშესაფრის მოთხოვნათა რაოდენობა თანდათან მცირდება (722,400 2016 წელს, 198,300-მდე 2017 წელს და 161,900-მდე 2018 წელს) [8,9,10]. ლტოლვილების რაოდენობის მიხედვით ტოპ-5 ქვეყნის მონაცემები მოყვანილია N4 სურათზე.

შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC) აგროვებს მონაცემებს შიდა გადაადგილების ორი ტიპის შესახებ: ახალი გადაადგილებები მოცემულ პერიოდში და დევნილთა მთლიანი რაოდ-

**ცხრილი N1. 10 ძირითადი მასპინძელი/სატრანზიტო და მშობლიური ქვეყანა AVRR ბენეფიციარებისთვის (2018 წ)**

| მასპინძელი ან სატრანზიტო ქვეყანა | რაოდენობა (%) | მშობლიური ქვეყანა | რაოდენობა (%) |
|---|---|---|---|
| გერმანია | 15,942 | ერაყი | 5,661 |
| ნიგერია | 14,977 | გვინეა | 5,088 |
| საბერძნეთი | 4.968 | ეთიოპია | 4,792 |
| ავსტრია | 3,469 | მალი | 4,041 |
| ჯიბუტი | 3,392 | საქართველო | 2.681 |
| ბელგია | 2,795 | ავღანეთი | 2,232 |
| ნიდერლანდები | 2,149 | ალბანეთი | 2,167 |
| მოროკო | 1,508 | რუსეთის ფედერაცია | 1,952 |
| თურქეთი | 1,494 | უკრაინა | 1,901 |
| იტალია | 958 | კოტ-დივუარი | 1,834 |




**სურათი N4. ტოპ -5 ქვეყანა ლტოლვილების რაოდენობის მიხედვით, 2018 წ.**




**სურათი N5. ტოპ 20 ქვეყანა, სადაც ფიქსირდება იძულებით გადაადგილებულ პირთა მაღალი მაჩვენებელი კონფლიქტების და ძალადობის მიზეზებით, 2018 წ**

ენობა დროის მოცემულ მომენტში. ეს სტატისტიკური ინფორმაცია კატეგორიზებულია გადაადგილების ორი ძირითადი მიზეზის მიხედვით:

(ა) კატასტროფები

(ბ) კონფლიქტები და ძალადობა.

IDMC მონაცემების მიხედვით, 41.3 მილიონი, კონფლიქტისა და ძალადობის შედეგად იძულებით გადაადგილებულთა საერთო გლობალური რაოდენობა, 2018 წლის ბოლოს ეს იყო ყველაზე მაღალი რეკორდული მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც IDMC–მ დაიწყო მონიტორინგი 1998 წელს, მონაცემები გაიზარდა 2017 წელთან შედარებით (40 მილიონი) [11]. იძულებით გადაადგილებულ პირთა მაჩვენებელი კონფლიქტების და ძალადობის მიზეზებით, ტოპ-20 ქვეყნის მაგალითზე ნაჩვენებია N5 სურათზე.

ქვეყნებს აქვთ საიმიგრაციო პოლიტიკის განსხვავებული პარამეტრები და მიგრანტების შესახებ მონაცემების შეგროვების განსხვავებული გზები, რაც ართულებს გლობალურად არალეგალური მიგრანტების რაოდენობასთან ჰარმონიზებული მიდგომის ჩამოყალიბებას. მიგრაციის პოლიტიკის სფეროში მიმდინარე ცვლილების ტემპი ასევე წარმოადგენს სირთულეს ერთიანი განზომილებებისთვის [12].

უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები მიუთითებს, რომ დაახლოებით 164 მილიონი შრომისუნარიანი მიგრანტი იყო მსოფლიოში 2017 წელს, რომელიც შეადგენდა (მაშინ) 258 მილიონი გლობალური რაოდენობის თითქმის ორ მესამედს (64%). 2017 წელს, მიგრანტი მუშაკების 68 პროცენტი ცხოვრობდა მაღალი შემოსავლის ქვეყნებში - სავარაუდო 111 მილიონი ადამიანი. დამატებით, 47 მილიონი მიგრანტი მუშაკი (29%) - საშუალო შემოსავლის ქვეყნებში, ხოლო 5,6 მილიონი (3,4%)- დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. 2017 წელს, შესამჩნევი ცვლილება ფიქსირდებოდა დანიშნულების ქვეყნის კატეგორიაში. ანუ, 2013 წლიდან 2017 წლამდე




**სურათი N6. შრომისუნარიანი მიგრანტების განაწილება ქვეყნების შემოსავლების დონის მიხედვით, 2013-2017 წწ.**




**სურათი N7. მიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით, 2017 წ.**

მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში მოხდა მიგრანტ მუშაკების 7 პროცენტით ვარდნა (75%-დან 68%-მდე), ხოლო საშუალო შემოსავლის ქვეყნებში აღნიშნა 7 პროცენტული პუნქტით ზრდა (12%-დან 19%-მდე). მონაცემები მოყვანილია N6 სურათზე. ეს აშკარა ცვლილება შეიძლება განპირობებული ყოფილიყო საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდით ან/და შრომითი იმიგრაციის რეგულაციების ცვლილებებით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

საყურადღებოა, რომ მსოფლიოში შრომისუნარიანი მიგრანტი მამაკაცების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ქალი, ამასთან, მამაკაცთა გაცილებით მეტ რაოდენობა ფიქსირდება დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში [13]. მონაცემები მოყვანილია N7 სურათზე.

ფულადი გზავნილები არის ფინანსური ან ნატურალური გადარიცხვები მიგრანტების მიერ წარმოშობის ქვეყნებში უშუალოდ მათი ოჯახებისთვის ან თემებისთვის. მსოფლიო ბანკი აგროვებს გლობალურ მონაცემებს საერთაშორისო ფულადი გზავნილების შესახებ. მიუხედავად ამისა, ზუსტი სტატის-

**ცხრილი N2. ტოპ-ქვეყნები, რომლებმაც მიიღეს ფულადი გზავნილები (მილიარდი დოლარი) მიგრანტებიდან 2005-2018 წ.**

| 2005 წელი | 2010 წელი | 2015 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|---|
| ჩინეთი 23.63 | ინდოეთი 53.48 | ინდოეთი 68.91 | ინდოეთი 78.61 |
| მექსიკა 22.74 | ჩინეთი 52.46 | ჩინეთი 63.94 | ჩინეთი 67.41 |
| ინდოეთი 22.13 | მექსიკა 22.08 | ფილიპინები 29.80 | მექსიკა 35.66 |
| ნიგერია 14.64 | ფილიპინები 22.56 | მექსიკა 26.23 | ფილიპინები 33.83 |
| საფრანგეთი 14.21 | საფრანგეთი 19.90 | საფრანგეთი 24.06 | ეგვიპტე 28.92 |
| ფილიპინები 13.73 | ნიგერია 19.75 | ნიგერია 21.16 | საფრანგეთი 26.43 |
| ბელგია 6.89 | გერმანია 12.79 | პაკისტანი 19.31 | ნიგერია 24.31 |
| გერმანია 6.87 | ეგვიპტე 12.45 | ეგვიპტე 18.33 | პაკისტანი 21.01 |
| ესპანეთი 6.66 | ბანგლადეში 10.85 | გერმანია 15.81 | გერმანია 17.36 |
| პოლონეთი 6.47 | ბელგია 10.35 | ბანგლადეში 15.30 | ვიეტნამი 15.93 |

**ცხრილი N3. ტოპ-ქვეყნები, საიდანაც გავიდა ფულადი გზავნილები (მილიარდი დოლარი) მიგრანტების საშუალებით 2005-2017 წ.**

| 2005 | 2010 | 2015 | 2017 |
|---|---|---|---|
| აშშ 47.25 | აშშ 50.78 | აშშ 61.86 | აშშ 67.96 |
| საუდის არაბეთი 14.30 | საუდის არაბეთი 27.07 | საუდის არაბეთი 40.33 | არაბთა გაერთიანებული საამიროები 44.37 |
| გერმანია 12.71 | რუსეთი 21.45 | საუდის არაბეთი 38.79 | საუდის არაბეთი 36.12 |
| შვეიცარია 10.52 | შვეიცარია 17.76 | შვეიცარია 25.40 | შვეიცარია 26.60 |
| გაერთიანებული სამეფო 9.64 | გერმანია 14.68 | ჩინეთი 20.42 | გერმანია 22.09 |
| საფრანგეთი 9.48 | იტალია 12.89 | რუსეთი 19.69 | რუსეთის ფედერაცია 20.61 |
| კორეის რესპუბლიკა 6.9 | საფრანგეთი 12.03 | გერმანია 18.03 | ჩინეთი 16.18 |
| რუსეთი 6.83 | ქუვეითი 11.86 | ქუვეითი 15.20 | ქუვეითი 13.76 |
| ლუქსემბურგი 6.70 | ლუქსემბურგი 10.65 | საფრანგეთი 12.79 | საფრანგეთი 13.50 |
| მალაიზია 5.68 | არაბთა გაერთიანებული საამიროები 10.57 | კატარი 12.19 | კორეის რესპუბლიკა 12.89 |

ტიკის შედგენისას უამრავი მონაცემთა ხარვეზი შეინიშნება, მათ შორისაა განმარტებითი განსხვავებები და მეთოდოლოგიური შერჩევები, მონაცემები არ ასახავს ფორმალური ან არაფორმალური არხების დაუფიქსირებელ ნაკადებს. შესაბამისად, რეალური გლობალური ფულადი გზავნილების სიდიდე უფრო დიდია, ვიდრე ეს ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციითაა ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამგვარი უზუსტობისა, არსებული მონაცემები მაინც ნათლად და მკაფიოდ ასახავს ფულადი გზავნილების საერთო ზრდას ბოლო ათწლეულების განმავლობაში, 126 მილიარდი აშშ დოლარიდან (2000 წელს), 689 მილიარდ აშშ დოლარამდე (2018 წელს) [14,15]. ტოპ-10 ქვეყნის მაჩვენებელი, საიდანაც გავიდა და რომლებმაც მიიღეს ამ ტიპის ფულადი გზავნილები, მოყვანილია N2 და N3 ცხრილების სახით.

ამგვარად, მიგრაციისა და მიგრანტების გლობალური მიმოხილვისა და არსებული მონაცემების საფუძველზე, მონაცემთა ხარვეზებისა და შეფერხებების მიუხედავად, რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება. შრომისუნარიანი მიგრანტები აგრძელებენ გადაადგილებას უფრო დიდი შესაძლებლობების მქონე რეგიონებისკენ, სადაც ეკონომიკის მაჩვენებელი იზრდება და შრომის ბაზარი ვითარდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ გადაადგილებები, გამოწვეული კონფლიქტით, ძალადობით და სხვა მსგავსი ფაქტორებით, კვლავ რჩება რეკორდულ მაჩვენებელზე. გადაუჭრელი, მოუგვარებელი და განმეორებადი კონფლიქტები და ძალადო-

ბა ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში იწვევს ლტოლვილთა რიცხვის ზრდას, მათ შორის მნიშვნელოვანი წილი მოდის ქალებსა და ბავშვებზე. იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა არსებული სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის ბოლოს, მაქსიმუმს აღწევდა გასულ წლებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების ფუნდამენტური საკითხების გარდა, მოქალაქეობის არქონამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ, მიგრაცია და გადაადგილება კვლავ მაღალ ნიშნულზეა [16,17]. ამიტომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს უდიდესი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრის გზების ძიების მიმართულებით როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე.

**ლიტერატურა:**


1. Triandafyllidou, A. 2018. Globalisation and migration. In: Handbook on Migration and Globalisation (A. Triandafyllidou, ed.). Edward Elgar, Cheltenham
2. Handbook of Art and Global Migration by Burcu Dogramaci (Editor); Birgit Mersmann (Editor). 2019
3. Amit, K. and D. Blum. 2018. Subjective perceptions related to migration. International Migration, 56(3):123–126.
4. United Nations. 2018. Implementation Will Be Ultimate Proof of Success, Deputy Secretary-General Tells Delegates in Talks on Global Compact for Migration. Press Release. 7 June. Ref DSG/SM/1183-DEV/3338S
5. 2019 Global Report on Internal Displacement 2019. IDMC, Geneva. Available at www.internal-displacement.org/global-report/grid2019/.
6. WORLD MIGRATION REPORT 2020. International Organization for Migration. https://www.un.org/sites/un2.un.org/files/wmr_2020.pdf
7. Gilman, D. and L.A. Romero. 2018. Immigration detention, Inc. Journal on Migration and Human Security, 6(2):145–160
8. McAuliffe, M. 2018 The nexus between forced and irregular migration: Insights from demography. In: The Demography of Refugee and Forced Migration (G. Hugo, J. Abbasi-Shavazi and E.P. Kraly, eds.). Springer, Cham, Switzerland
9. Bradley, M., J. Milner and B. Peruniak. 2019. Refugees' Roles in Resolving Displacement and Building Peace: Beyond Beneficiaries. Georgetown University Press, Washington, D.C
10. Türk, V. 2018 The promise and potential of the Global Compact on Refugees. International Journal of Refugee Law, 30(4):575–583.
11. Skeldon, R. 2018. International migration, internal migration, mobility and urbanization: Towards more integrated approaches. Migration Research Series, Paper No 53, IOM, Geneva.
12. The Handbook of Diasporas, Media, and Culture by Roza Tsagarousianou (Editor); Jéssica Retis (Editor). 2019.
13. Arouri, M. and C. Nguyen. 2018. Does international migration affect labor supply, non-farm diversification and welfare of households? Evidence from Egypt. International Migration, 56(1):39–62
14. World Bank. 2018. Moving for Prosperity: Global Migration and Labor Markets. Policy Research Report. World Bank, Washington, D.C. Available at w.worldbank.org/en/research/publication/moving-for-prosperity.
15. World Bank Group 2019 Migration and Remittances: Recent Developments and Outlook. Available at www.knomad. org/publication/migration-and-development-brief-31.
16. Bonjour, S. and S. Chauvin. 2018. Social class, migration policy and migrant strategies: An introduction. International Migration, 56(4):5–18.
17. Wasem, R.E. 2018. Immigration governance for the twenty-first century. Journal on Migration and Human Security, 6(1):97–120.

# ცირკულარული ეკონომიკის მოდელის დანერგვის გამოწვევები და პერსპექტივაში საქართველოში

***ბელა კუტიბაშვილი,***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლის შესაძლებლობები და უახლოესი პერსპექტიული პერიოდის გამოწვევები.

ევროკაშირი ცირკულარული ეკონომიკის მართვაში მთავარ მოთამაშეებად ბიზნესს და მომხმარებლებს მიიჩნევს. ევროკავშირის აქტიური ჩართულობით შემუშავებული იქნა ცირკულარული ეკონომიკის მარეგულირებელი ჩარჩო. 2015 წელს ევროკომისიამ „ცირკულარული ეკონომიკის პაკეტი" წარმოადგინა. აღნიშნულ პაკეტში შედის დოკუმენტი: „ციკლის ჩაკეტვა – ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ცირკულარული ეკონომიკისათვის", რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის სამოქმედო გეგმას და მოიცავს 54 კონკრეტულ ქმედებას. მათი შესრულების გრაფიკს და მონიტორინგს. ნარჩენების მართვისა და გადამუშავების დირექტივას, რომელიც მიღებული იქნა 2018 წლის ივლისში.

ავტორის მიერ სტატიაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში ცირკულარული ეკონომიკური მოდელის დანერგვის შესაძლებლობების განვითარებას და დამუშავებული აქვს შესაბამისი რეკომენდაციები ცირკულარულ ეკონომიკურ მოდელზე ეტაპობრივად გადასასვლელად.

ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების 17 მიზნის მიხედვით 2030 წლისათვის დასახული პარამეტრების მიღწევას და ქვეყანაში საზოგადოების ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და გაეროს ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპის „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა" მოთხოვნების დანერგვას.

**საკვანძო სიტყვები.** ცირკულარული ეკონომიკა, ბაზელის კონვენცია, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ნარჩენების მართვა.

## CHALLENGES OF THE INTRODUCTION OF THE CIRCULAR ECONOMY MODEL AND THE PERSPECTIVE IN GEORGIA

**Bela Kutibashvili,**
PhD student of GTU

**RESUME**

The article discusses the opportunities for Georgia's transition to a circular economic model and the challenges of the near future.

The European Union considers businesses and consumers to be key players in managing the circular economy. With the active involvement of the EU, a regulatory framework for the circular economy has been developed. In 2015, the European Commission presented the "Circular Economy Package". This package includes the document: "Cycle Closing - EU Action Plan for the Circular Economy", which is the EU Action Plan and includes 54 specific actions. Scheduling and monitoring their implementation. Waste Management and Recycling Directive, adopted in July 2018.

The author's article focuses on the development of opportunities for the introduction of the circular economic model in Georgia and has developed relevant recommendations for the gradual transition to the circular economic model.

The transition to a circular economic model will ultimately ensure that the country achieves its 2030 goals for sustainable development, significantly improves the standard of living in the country, and implements the fundamental principles of the UN Charter: "No one should be left out of the development process."

**Keywords:** Circular Economy, Basel Convention, Extended Producer Obligation, Waste Management.

**შესავალი**

ცირკულარული ეკონომიკა თანამედროვე ეკონომიკური მოდელია, რომლის მთავარი არსია რესურსების ეფექტიანი გამოყენებისკენ სწრაფვა მოხმარების შემცირების, გრძელვადიანი გამოყენების, პირველხარისხოვანი რესურსების ფლანგვის შეჩერების, პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების ცირკულარული გამოყენების გზით. ცირკულარულ ეკონომიკას შეუძლი მთავარ მოდელად იქცეს, რადგან სწორხაზოვანი ეკონომიკა გარემოზე მავნედ ზემოქმედებს და იწვევს რესურსების ამოწურვას.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ უცხოური და ქართული კომპანიების გამოცდილება წრიული ეკონომიკის მოდელების დანერგვის მიმართულებით. კომპანიები, საქმიანობიდან გამომდინარე, ნერგავენ გადამუშავების, აღდგენის, წარმოებაში დაბრუნებისა და ხელახალი გამოყენების პრინციპებიდან ყველას ან ზოგიერთს.

ცირკულარილი ეკონომიკის მიმართულებით ქართული პრაქტიკის შესასწავლად, ინტერნეტში იძებნება ათეულობით ისეთი საწარმო, რომელიც გადაამუშავებს ქაღალდს, მუყაოს, პლატმასას, შუშას, სხვადასხვა ლითონსა და საბურავებს. გარდა ამისა, ვხვდებით საკვები მცენარეული ზეთის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებსაც.

**ძირითადი ტექსტი**

ევროკავშირი ერთერთი პირველია, რომელმაც აქტიურად დაიწყო ცირკულარული ეკონომიკის კვლევა. დღეისათვის ცირკულარულ ეკონომიკას მკვლევართა სია ასე გამოიყურება, პირველ ადგილზეა გერმანია, მეორე ადგილზეა–დიდი ბრიტანეთი, მესამეზე–საფრანგეთი, მეოთხეზე –ავსტრია და მეხუთეზე–იტალია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცირკულარული ეკონომიკის კვლევასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, როგორიცაა: პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია, ხორვატია და ა.შ.

ცირკულარული ეკონომიკური განვითარების მოდელი წრფივი ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მოდელია. ამ მოდელის საშუალებით მზა პროდუქციას კიდევ უფრო დიდხანს უნარჩუნდება სასაქონლო ღირებულება და სასიცოცხლო ციკლი. ხოლო სასიცოცხლო ციკლის ბოლოს პროდუქციის ნარჩენების გადამუშავებით ახალ სიცოცხლეს იძენენ.

ეკონომიკის გადაყვანა ცირკულარული განვითარების მოდელზე უზრუნველყოფს წარმოების ახალ შესაძლებლობებს:

- ნარჩენების შემცირებას;
- რესურსების გამოსავლიანობის გაზრდას;
- ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- რესურსების დეფიციტის პრობლემის მოგვარებას;
- წარმოების ახალი მიდგომების გამოყენებით გარემოს ზიანის მინიმუმამდე შემცირებას.

ცირკულარული ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

- პროდუქციის წარმოებისას მოხმარების და ნარჩენების წარმოქმნის შემცირება;
- ახალი ბიზნეს მოდელების და სტრატეგიების გამოყენება, რომელიც პროდუქციის მოხმარების პერიოდს ახანგრძლივებს;
- პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპამდე პროდუქციის წარმოების მოხმარებას და გადამუშავებას კვლავწარმოების ციკლის შეკვრა.

ცირკულარულ ეკონომიკაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხელისუფლების ყველა რგოლის, ბიზნესის, ინოვატორების და ფინანსური წრეების, მომხმარებელთა და ფართო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ურთიერთანამშრომლობის პლატფორმების შექმნა, რათა ბიზნესებს შორის კავშირურთიერთობა მჭიდრო გახდეს და ასევე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარანტორის როლში გამოსვლა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კომპანიებისთვის ცირკულარულ ეკონომიკაში ჩართვის რისკები.

საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის მოდელზე გადასვლის მიზნით აუცილებელია „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016–2030 წლების“ მოთხოვნების და „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული რეგულაციების განხორციელება. ამ კუთხით აღსანიშნავია სამომავლოდ ეროვნულ დონეზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ) სისტემის დანერგვა, რომელიც „ნარჩენების მართვის“ კოდექსის მთავარი მოთხოვნაა. ნარჩენების მართვის გრძელვადიანი სტრატეგია მიზნად ისახავს კონკრეტული ქმედებების გატარებას სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვისათვის (იხ. ცხრილი 1)

**ცხრილი 1**
**სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვისათვის მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფა 2030 წლამდე პერიოდისათვის**

| დასახელება | 2025 | 2030 |
|---|---|---|
| | | |
| ბატარეები | 50% | 80% |
| ზეთები | 75% | 90% |
| შესაფუთი მასალები | 75% | 90% |
| ელექტრო და ელექტრო მოწყობილობები | 50% | 80% |
| საბურავები | 70% | 90% |
| აკუმულატორები | 80% | 90% |
| ამორტიზებული სატრანსპორტო საშუალებები | 50% | 80% |

**წყარო:** ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016–2030 წლები

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და მის განვითარებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე, გამომდინარე აქედან საქართველომ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა სახის ნარჩენების გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო მართვა.

ბაზელის კონვენციის და OECD–ის რეკომენდაციებით გათვალისწინებით საქართველოს აქვს ვალდებულება დანერგოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, როგორც შერჩეული სახეობის ნარჩენების მართვის ეფექტიანი საშუალება.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) არის საშუალება რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მართვას და მიზნად ისახავს პროდუქციის ხმარებიდან ამოღებას შემდეგ მასალების დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას. მწარმო-

ებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა აღიარებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: მწარმოებლები და იმპორტირება, დისტრიბუტორები, ნარჩენების მართვაში ჩართული ორგანოები (შემგროვებლები, გადამამუშავებლები, მუნიციპალიტეტების ორგანოები, გარემოსდაცვითი ზედამხედველების უწყებები და ა.შ.)

განვითარებად ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სისტემის დანერგვამ შეუძლია ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის სექტორში კერძო ინვესტირების მოზიდვას. საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, მათ შორის ასეთი სამუშაო ადგილები, სადაც შესაძლებელია დავასაქმოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) სისტემის დანერგვისათვის აუცილებელია ცენტრალური რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტიური თანამშრომლობა თითოეული უწყების როლი და პასუხისმგებლობები კონკრეტულად უნდა იქნეს გამოკვეთილი.

საქართველოსთვის მეტად საინტერესოა საფრანგეთის გამოცდილება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ტანსაცმელზე, თეთრეულზე და ფეხსაცმელზე. 2008 წელს საფრანგეთში ნარჩენების მდგრადი მართვის სფეროში ევროპის გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბდა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სქემა ტანსაცმლის, თეთრეულის და ფეხსაცმლის მწარმოებლებისათვის, დისტრიბუტორების და იმპორტიორებისათვის. აღნიშნული რეგულაციის მიზანია აიძულოს ბიზნესი, რომ ბაზარზე მათი განვითარებასთან ერთად იზრუნოს მათი ხმარებიდან ამოღებაზეც. ამ დარგში აკრედიტებულ კომპანია Eco TLC-ს მწარმოებლები მომსახურებისათვის ყოველწლიურად უხდიან გადასახადს.

Eco TLC-ის შეგროვილი თანხებს იყენებს ნარჩენების რეციკლირების ახალი მეთოდების ასათვისებლად. მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობისა და ზომის მიხედვით ტანსაცმელსა და საოჯახო თეთრეულის ერთ ერთეულზე (დღგ–ს ჩაუთვლელად) გამომდინარე ზომიდან შეადგენს 0,00132–დან 0,0588 ევროს. ასეთი განაკვეთები მოქმედებს ფეხსაცმლის დროსაც.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემას საქართველოში დანერგვა უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე საბოლოოდ გადასვლას და ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური მოდელის დანერგვას, რომელიც საბოლოო ჯამში 2030 წლისათვის ქვეყანას საშუალებას მისცემს ნარჩენების მართვის შესაბამის პარამეტრებზე გასვლისა. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ცენტრალური დ ადგილობრივი დონეზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სისტემის დანერგვა და სტრუქტურული ერთეულების ფორმირება. ამასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსში". დაიხვეწოს ამ კოდექსში გარკვეული მუხლების მოქმედების სპეციფიკა და კანონქვემდებარე აქტები.

ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების 17 მიზნის მიხედვით 2030 წლისათვის დასახული პარამეტრების მიღწევას და ქვეყანაში საზოგადოების ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და გაეროს ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპის „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა" მოთხოვნების დანერგვას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. „ნარჩენების მართვის კოდექსი" თბ. 2014

2. „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016–2030 წლები" თბ. 2016

3. Eco TLC-ს Mettrurs en Marche'. წყარო: http://www.ecotec.fr/page-297-information-in-english.html

4. Elen Macarthur Corporation (2017) A. new textiles economy: Regesiging fashion's future

5. www.Statistik. Ge.

6. http://environment.cenn.org/ge/

7. https://www.marketer.ge/what-is-circular-economy/

8. https://sustainability.ge/category/economy/circular-economy/

9. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=pers&leng=ge&adgi=1320&title

# შრომის მწარმოებლურობაში განსახვავებები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში

***გურამ ლომაია***
*სტუ-ს დოქტორანტი*


**რეზიუმე**

განვითარებული ქვეყნების უმთავრესი ამოცანა და მათი ძირითადი მიზანია, ეკონომიკური შედეგიანობა, რომელსაც მეტ-ნაკლებად შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით აღწევენ. რასთან დაკავშირებითაც, იყენებენ სწორ მმართველობით მეთოდებს. რა დროსაც, ორიენტირებულნი არიან ადამიანური რესურსების მიერ განათლებიდან და გამოცდილებიდან დაგროვილი ცოდნის რეალიზებაზე. ვინაიდან, განვითარებული ქვეყნებში მიიჩნევენ, რომ შედეგანიბას განაპირობებს მაღალი განათლების მქონე ადამიანური კაპიტალი.

გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მიზანი მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში, ინოვაციური პროცესების სრულყოფა-სისტემატიზაციაა. რა დროსაც, ცდილობენ ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლა-ანალიზს, რომლის საშუალებითაც ახდენენ ახალი იდეების გენერირებას და მათი საშუალებით მწარმოებლურობის დონის ამაღლებას.

აქვე, აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნები შრომის მწარმოებლურობის განვითარებას ცდილობენ, დანახარჯების შემცირებით და წარმოების ზრდით. თუმცა, ხსენებული არ მოიცავს, ადამიანური კაპიტალისათვის მატერიალური სტიმულირების შემცირებას.


**საკვანძო სიტყვები:** დეტერმინანტი; ბრაიან ატკინსონი; რობინ მილერი; ნილ ბეილი, იაკობ ფუნკ კირკეგარდი; რაკელ ფერნანდესისი; მანუელ პალაზუელოსი.

## DIFFERENCES IN LABOR PRODUCTIVITY IN THE US AND EUROPE

**Lomaia Guram**
PhD student at GTU


**SUMMARY**

The main task of developed countries and their main goal is economic efficiency, which is achieved more or less by increasing labor productivity. In this regard, they use the methods of proper governance. At the same time, they are focused on the realization of knowledge accumulated by education and experience by human resources. Whereas in developed countries it is believed that the result is due to a highly educated human capital.

In addition, one of the goals for developed countries in increasing productivity is to perfect-systematize innovative processes. At the same time, they try to study and analyze the current situation in the market, through which they generate new ideas and through them increase the level of productivity.

Here, it is noteworthy that developed countries are trying to develop labor productivity by reducing costs and increasing production. However, this does not include a reduction in human capital, a reduction in material incentives.


**Keywords:** determinant; Brian Atkinson; Robin Miller; Neil Bailey; Jacob Funk Kirkegard; Raquel Fernandez; Manuel Palazuelos.

## შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში არსებული შრომის მწარმოებლურობის საკითრები, ასევე მათ შორის განსხვავებები. რასთან დაკავშირებითაც, მოყვანილია უცხოელ მკვლევართა ძირითადი არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, აშშ-ში უფრო მაღალი დონის შრომის მწარმოებლურობის არსებობას, ვიდრე ევროპაში.

ნაშრომში გაანალიზებულია საკვანძო საკითხები, რომლებიც აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში განაპირობებენ შრომის მწარმოებლურობის განვითარებას.

ამასთან, განხილულია ინვესტიციების როლი, როგორც შრომის მწარმოებლურობის განვითარების საშუალების. ასევე, გამიჯნულია შრომის ხისტი რეგულაციების ნაკლოვანებები და მოქნილის უპირატესობები.

გარდა ამისა, ნაშრომში მკაფიოდაა გამოხარტული, ზემოაღნიშნულ ქვეყნებში არსებული შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობები. კერძოდ, ორივე ქვეყანაშაში ხდება სამუშაო ძალის მიგრაცია, რაც მათ საშუალებას აძლევთ შრომის ბაზარზე მაღალი სამუშაო სტანდარტების ჩამოყალიბების.

## აშშ-სა და ევროპის ქვეყნების შრომის მწარმოებლურობაში განსხვავებების ანალიზი

აღსანიშნავია, რომ შრომის მწარმოებლურობის თეორიები მიზნად ისახავს ამავე პროცესის დეტერმინანტების ახსნას. თუმცა, ამავე ფაქტორების გაზომვა მაინც პრობლემურია. ვინაიდან, სხვადასხვა ქვეყნებში მწარმოებლურობის დონის შედარება მო-

ითხოვს საჭირო რაოდენობის მონაცემებს.

XXI საუკუნის პირობებში, განსაკუთრებით თანამედროვე მწირი რესურსების, მაღალი კონკურენციისა და მოსახლეობის დაბერების დროს, მწარმოებლურობის შესახებ, მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მე-20 საუკუნეში. ამიტომ, მწარმოებლურობის შესწავლის საჭიროება დღეის მდგომარეობით უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე.

2014 წელს, ეკონომიკის დარგის სპეციალისტებმა **ბრაიან ატკინსონმა** და **რობინ მილერმა** გამოანგარიშეს, რომ თუ **ევროკავშირში** შრომის მწარმოებლურობა იმ ტემპით გაიზრდებოდა, როგორც **აშშ-ში** 1995-დან - 2013-წლამდე, ამ შემთხვევაში **მშპ-ს** საერთო დონე დღეის მდგომარეობით, ევროკავშირში 1,6 ტრილიონი ევროთი მეტი იქნებოდა. გარდა ამისა, **ბ.მილერი** და **რ.ატკინსონი** ამტკიცებდნენ, რომ მოსახლეობის დაბერებისგან **ევროკავშირის** ქვეყნებში, ეკონომიკის დაცვის ერთადერთი გზა იყო ყოველწლიურად, დაახლოებით 2,3%-მდე შრომის მწარმოებლურობის ზრდა. თუმცა, მათივე კვლევებმა ცხადყო, რომ ამჟამინდელი მწარმოებლურობის ზრდის ტემპი ყოველწლიურად 2 პროცენტზე ნაკლებია, რაც მომავალში ქმნის წარმოების შემცირების საშიშროებას.[6., გვ.,: 17-22]

ჩატარებული კვლევების მიხედვით, გარკვეულ დროს მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მწარმოებლურობის ზრდა **აშშ-ში** ოდნავ მეტი იყო, ვიდრე **ევროკავშირში** (დაახლოებით 3-4%). ხოლო, მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ზემოხსენებულზე ბევრად მეტი იყო სხვაობა **აშშ-სა** და **ევროკავშირს** შორის (დაახლოებით 8%-დან 10%-მდე). ამის პასუხად, არავის დაუმტკიცებია ის ფაქტი, რომ **ევროკავშირი** უფრო მწარმოებლური იყო, ვიდრე **აშშ.**

1995-დან 2015 წლამდე, თუ შევადარებთ, შრომის მწარმოებლურობის ტენდენციებს **აშშ-სა და ევროკავშირში.** პირველი ერა იყო 1995 წლიდან 2010 წლამდე, როდესაც **შეერთებულმა შტატებმა** აშკარად აჯობა **ევროკავშირს.** ხოლო, მეორე ერა 2010 წლიდან დღემდე, რა დროსაც **ევროკავშირის** სხვადასხვა ეკონომიკური ინსტიტუტის ყოველწლიური ანგარიშები და სტატისტიკა აჩვენებდა, რომ მწარმოებლურობის ზრდა ბევრად უფრო გაუმჯობესდა. თუმცა, მათივე განმარტებით, მწარმოებლურობის საერთო დონე კვლავ დაბალი იყო, ვიდრე **აშშ-ში.**

აღსანიშნავია, რომ **აშშ-ს** მკვლევარების მტკიცებით, მათ ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის ზრდა განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესების განვითარებით. ამასთან, ინვესტიციების განხორციელებით, რაც ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის განვითარებას. ამავე, ფაქტს ამტკიცებს ევროპელი მეცნიერების ერთი ნაწილი **(გერმანია, საფრანგეთი და იტალია).** კერძოდ, მათი თქმით, **აშშ-მა** მწარმოებლურობის უპირატესობას უახლეს ტექნოლოგიებში ინვესტიციების წყალობით მიაღწია, ხოლო მათივე განმარტებით, **ევროპის** ქვეყნებში მცირე ინვესტიციებმა შეზღუდა შრომის მწარმოებლურობის განვითარება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ **აშშ-ში** ინვესტიციების ზრდამ განაპირობა შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. მრავალი მეცნიერი, მათ შორის **„ბრუკინგის ინსტიტუტის“ ეკონომისტები: ნილ ბეილი და იაკობ ფუნკ კირკეგარდი** ირწმუნეოდნენ, რომ ინვესტიციების სიდიდე არ იყო მთავარი, მიზეზი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების. მათივე მტკიცებით, 2000-იან წლების დასაწყისში, **აშშ-ში** შემცირდა ინვესტიციების მოცულობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, თუმცა მას, ამავე სფეროში, არ შეუმცირებია შრომის მწარმოებლურობა, მაგრამ არც ზრდის პროცესისთვის შეუწყვია ხელი. [8., გვ.,: 5-11]

ზემოხსენებული მეცნიერების აზრით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის **ევროკავშირის** ქვეყნებს, ინვესტიციებზე მეტად ესაჭიროებათ ეკონომიკის რეფორმირება, რაც მოიცავს ორგანიზაციული სტრუქტურისა და პრაქტული მეთოდების ცვლილებებს. ამასთან, **ევროკავშირის** ქვეყნების უმთავრესი ამოცანაა ახალ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან ადაპტირება.

აღსანიშნავია, რომ **ევროპაში** შრომის ბაზრის რეგულაციები, **შეერთებულ შტატებთან** შედარებით, ძალიან მკაცრი და ხისტია, რაც აფერხებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ამასთან, მკაცრი შრომითი რეგულაციები ხელს უშლის კომპანიების განვითარებას. ვინაიდან, ახალი კვალიფიციური კადრების მიღების პროცესს ართულებს. რა დროსაც, ხსენებული კომპანიები იძულებულნი არიან გამოიყენონ დროებითი კონტრაქტები, რაც თავის მხრივ აქვეითებს მოტივაციურ ფაქტორებს და პერსონალს უქმნის არასტაბილურობის განცდას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **ევროკავშირის** უმეტესი ქვეყნების, შრომის მწარმოებლურობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს მათ მიერ შემოღებული შრომის დაცვის აქტები, რომელიც გამომდინარეობს სოციალური ფაქტორებიდან და ორგანიზაციებს, საწარმოებს იძულებულს ხდის ნაკლებად მწარმოებლური სამუშაო ძალის შენარჩუნების. ამიტომ, ხსენებული ფაქტი საბოლოო ჯამში იწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას. ამასთან, მაღალმწარმოებლურ ადამიანურ რესურსს, ერთგვარ ირიბ სტიმულს აძლევს სამუშაოს არაჯეროვნად შესრულების. თუმცა, აღნიშნულ პროცესს აქვს თავისი დადებითი მხარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ევროპელები მეტად ორიენტირებულნი არიან სოციალურ ფაქტორებზე. ამ უკანასკნელთა აზრით - **„დასაქმება სოციალური დაცვის ნაწილია“.**

აგრეთვე, ევროპელი მეცნიერების აზრით, შრომითი რეგულაციები ხელს უწყობს ინოვაციური პროცესების დანერგვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. მაგრამ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ამერ-

იკელი მეცნიერები, აცხადებენ, რომ ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის საჭიროა შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები, ხოლო მათ მისაღებად კი საჭიროა შესაბამისი ბაზისის შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **აშშ-ს** შრომის მწარმოებლურობის ზრდას და მის უპირატესობას განსაზღვრავს მოქნილი შომითი რეგულაციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სამუშაო ძალის განვითარებისა და ფორმირების პროცესს. მაგალითისათვის: მუშაკს, როდესაც აქვს განცდა, იმისა, რომ მას სამსახურიდან არ გაათავისუფლებენ. ამასთან, არ გააჩნია შესაბამისი სტიმულირების ფაქტორები, ის მის შრომით რესურსს სრულად არ გამოიყენებს. ამიტომ, ადამიანურ რესურსს არ უნდა ჰქონდეს „მოდუნების" საშუალება და გააჩნდეს შესაბამისი მოტივაციური საფუძველი მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის.

**აშშ** არის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანაა, რის გამოც ამავე ქვეყნის კომპანიები კადრების მიღებისა და გაშვების საკითხს შრომითი ეფექტიანობის კუთხით უდგებიან, და ამასთან ერთად, მოქნილი შრომითი რეგულაციების არსებობით, შრომის მწარმოებლურობის კუთხით იმგვარი დილემის წინაშე არ დგებიან, როგორც ევროკავშირის ქვეყნები. **აშშ-ს** კომპანიები დასაქმების კუთხით არ იღებენ, იმგვარ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორსაც **ევროკავშირის** ქვეყნები. ვინაიდან, მათთვის მთავარია შედეგი და არა გარკვეულ ინდივიდთა ჯგუფის კეთილდღეობა.

აღსანიშნავია, რომ **ევროკავშირის** 28 ქვეყნის სამუშაო ძალის მხოლოდ 3.4% მუშაობს საზღვარგარეთ. ანუ შრომის ბაზრიდან ადამიანური რესურსის გადინება ძალიან მცირეა. ხოლო, დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან ხსენებულ 28 ქვეყანაში ხშირია დასაქმების მსურველთა ემიგრირება. ევროპის ქვეყნებს აქვთ საკმაოდ დიდი შრომის ბაზარი და ამ ბაზარზე პროფესიონალი კადრების მაღალი კონკურენცია ხშირია, რაც რასაკვირველია, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას განაპირობებს.

**აშშ-ს** მეცნიერთა აზრით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში ყურადღება უნდა მიექცეს ბაზრის ისეთ მახასიათებელს და საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორიცაა კონკურენციის დონე. მათი მტკიცებით, კონკურენცია არის ის ძირითადი ფაქტორი რაც აიძულებს ორგანიზაციებს შრომის მწარმოებლურობის განვითარებას. ვინაიდან, როგორც საწარმოოო, ასევე მომსახურების სფეროში თუ არ იქნა მომხმარებელთა მოთხოვნა სრულფასოვნად დაკმაყოფილებული ამ შემთხვევაში ორგანიზაციის შედგომი საქმიანობა აუცილებლად ფიასკოს განიცდის. [10., გვ.,: 9-12]

**„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD),** კვლევის მიხედვით, 1995-2010წწ. საშუალოდ წელიწადში შრომის მწარმოებლურობა **აშშ-ში** გაიზარდა 2,18% და **ევროკავშირის** ქვეყნებში 1,45% პროცენტით. ამავე ტენდენციას ადასტურებენ საკონფერენციო საბჭო და სხვა სტატისტიკური ინსტიტუტები. ამასთან, საკონფერენციო საბჭოს გამოთვლების მიხედვით, 1999-2006წწ. **აშშ-ში** შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 2,8% პროცენტით და **ევროკავშირის** 28 ქვეყანაში 1,90%. ხოლო, მათივე განმარტებით, 2007-2013წწ. შრომის მწარმოებლურობა **აშშ-ში** გაიზარდა 1,30% და 0,7%. აქვე, საგულისხმოა, რომ საკონფერენციო საბჭოს გადაწყვეტილება ოპტიმისტურია **აშშ-სთვის** და პესიმისტურია **ევროკავშირის** ქვეყნებისათვის. ეს გარკვეულწილად, როგორც ევროპელი მეცნიერების დიდი ნაწილი ამტკიცებს, შესაძლოა აიხსნას **აშშ-სთან** მიკერძოებულ დამოკიდებულებაში. ხოლო, მეორე ნაწილის კერძოდ, მადრისის საერთაშორისო ბიზნეს სკოლის ეკონომისტების **(„Instituto de Empresa") რაკელ ფერნანდესისა და მანუელ პალაზუელოსის**, განმარტებით, ზემოხსენებულ პერიოდში **აშშ-ს** შრომის მწარმოებლურობა უფრო მაღალი იყო ვიდრე **ევროკავშირის** ქვეყნების. გარდა ამისა, **რ.ფერნანდესისა** და **მ.პალაზუელოსის** მტკიცებით, 2008-2009წწ. ფინანსური კრიზისის შემდეგ, **ევროკავშირმა** აჯობა **შეერთებულ შტატებს** შრომის მწარმოებლურობის ზრდაში. [9., გვ.,: 5-9]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე **ევროკავშირისა** და **აშშ-ს** შრომის მწარმოებლურობის ზრდის კუთხით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **შეერთებულმა შტატებმა** 1990-იანი წლების შუაპერიოდში აჯობა **ევროკავშირს** შრომის მწარმოებლურობის ზრდით. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 1995 წლიდან 2008 წლამდე, რა დროსაც **აშშ-ში,** შრომის მწარმოებლურობა საშუალოდ 0.77 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ვიდრე **ევროკავშირში.** თუმცა, როგორც ჩანს 2008-2009წწ. კრიზისი მძიმე აღმოჩნდა **აშშ-სათვის**, რა დროსაც **ევროკავშირის** ქვეყნების შრომის მწარმოებლურობა საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ, დღეის მდგომარეობით, როგორც ამას კვლევები ცხადყოფს **აშშ-ს** მწარმოებლურობის დონე, ისევ მაღალია **ევროკავშირის** ქვეყნებთან შედარებით. აგრეთვე, ყურადსაღებია, იმ მეცნიერთა, პოზიცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არსებობს გაზომვის პრობლემები, რაც თავის მხრივ წარმოქმნის გარკვეულ დაბრკოლებებს, შრომის მწარმოებლურობის შედარების პროცესში.

## დასკვნა

განხილული საკითხებიდან შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ **აშშ-ს** აქვს ბევრად მეტი საშუალება შრომის მწარმოებლურობის ზრდის, რასაც აღწევენ კიდეც. აქვე, საყურადღებოა მათი სწორი მმართველობითი ფუნქციების რეალიზების საკითხები.

გარდა ამისა, **აშშ-ში** შრომის მწარმოებლურობის ზრდის საშუალებას იძლევა ბიუროკრატიული საკითხების მიზანმიმართულად ფორმირება და მოქნილი შრომითი რეგულაციები, რასაც **ევროპის** ქვეყნებზე ვერ ვიტყვით.

ამასთან, საყურადღებოა **ევროპის** ქვეყნების მი-

ერ აღებული სოციალური ორიენტირი, რაც საშუალებას აძლევს სამუშაო ძალას სიმშვიდის განცდის შენარჩუნების. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სტაბილურობის განცდის საფუძველზე, მომუშავეებს არ უნდა მიეცეთ მოდუნების საშუალება, რაც თავის მხრივ შრომის მწარმოებლურობას შეამცირებს.

აგრეთვე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოტივაციური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში. ვინაიდან, მომუშავეებს აქვთ ძირითადი ბიძგი რისი საშუალებითაც ორიენტირებულნი არიან შედეგიანობაზე. თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტიმულირების ფაქტორები არ უნდა იყოს შაბლონური, არამედ იგი ინდივიდუალურად უნდა იქნეს მორგებული თითოეულ თანამშრომელზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1) „როგორ უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება“ (ქ. ტფილისი 1929წ. ავტორი, ვ. რომანოვი);

2) „მთავარიაშრომისნაყოფიერებისამაღლება“ ქ.თბილისი 1967წ., ავტორი, ნ. ხურციძე;

3) „ტექნიკური პროგრესი და შრომის ნაყოფიერება საქართველოს მრეწველობაში“ ქ. თბილისი 1973წ. ავტორი, მ. ნარგიზიშვილი;

4) „შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები“ ქ.თბილისი 1985წ. ავტორი: ლ.ჩიქავა;

5) „შრომის ეკონომიკა“ თბილისი 2009წ. ავტორი, მამუკა თორია;

6) Martin Neil Baily, Productivity comparisons: Lessons from Japan, the United States, and Germany 2020;

7) Development and Sources of Labor Productivity in Chinese Provinces 2011 წ. ავტორი, Almas Heshmati;

8) „პროდუქტიულობადაეკონომიკურიზრდა „forbes“ 2015წ. ავტორი, Bill Conerly;

9) Productivity Improvement and Economic Growth 2018წ. ავტორი, Koji Nakamura.

10) Fred Luthans, Organizational Behavior, NY, 2011.

# ფისკალური მულტიპლიკატორის თავისებურებები ღია ეკონომიკაში

## საქართველოს მაგალითზე

*ნიკოლოზ ოსტაპენკო*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში წარმოდგენილია ფისკალური მულტიპლიკატორის მოქმედების პრინციპი ღია ეკონომიკის პირობებში და განხილულია სხვადასხვა ტიპის მულტიპლიკატორები: ავტონომიური ხარჯების, პირდაპირი საგადასახადო შემოსავლების, პირდაპირი გადასახადის განაკვეთის, არაპირდაპირი საგადასახადო შემოსავლების, არაპირდაპირი გადასახადის განაკვეთის, იმპორტის გადასახადის განაკვეთის მულტიპლიკატორები. კვლევა აჩვენებს, რომ: 1. არაპირდაპირი გადასახადები გავლენას ახდენს პერმანენტულ შემოსავალზე და აქედან გამომდინარე ერთობლივ მოთხოვნაზე; 2. იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების ზრდა ამცირებს ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს, თუმცა იმპორტის გადასახადისა და არაპირდაპირი გადასახადების ზრდა, ზრდის ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს; 3. შემოსავალის დაბეგვრაზე დაწესებული პირდაპირი გადასახადები, აგრეთვე ამცირებენ მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას. ამრიგად, ღია ეკონომიკის პირობებში მულტიპლიკატორულ ეფექტზე გავლენას ახდენს არა მარტო იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, არამედ საგადასახადო პოლიტიკაც.

იმპორტის გადასახადის მულტიპლიკატორის მოქმედების ორადი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე მცირდება იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, ხოლო მულტიპლიკატორული ეფექტი ძლიერდება. მეორე მხრივ, იმპორტის გადასახადის ზრდა ზრდის ფასებს, რაც ამცირებს რეალურ განკარგვად შემოსავლებს და ამ გზით ამცირებს მულტიპლიკატორული ეფექტის მასშტაბს.

კვლევა ასევე ეხება მულტიპლიკატორის მოქმედების პრინციპს დინამიკაში დროითი ჰორიზონტის გათვალისწინებით და ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ რა პერიოდში მივიღებთ მულტიპლიკატორულ ეფექტს შესაბამისი იმპულსის წარმოქმნის შემთხვევაში?

შეფასებული ავტორეგრედიული ლაგის განაწილების (ADL) მოდელის მიხედვით საქართველოსთვის (1996-2012 წლის კვარტალური მონაცემები) მოკლევადიანი ავტონომიური ხარჯების მარტივი მულტიპლიკატორი ტოლია 1.1262 პერმანენტული შემოსავლისთვის დროითი ჰორიზონტი დაახლოებით 2.5-3 წელია, ხოლო გრძელვადიანი მულტიპლიკატორის მაჩვენებელი 2.5 წელიწადზე 2.2 ტოლია. მულტიპლიკატორული პროცესის რეალიზაცია იმპულსის წარმოქმნიდან გარკვეულ დროს მოითხოვს. მასზე გავლენას ახდენს, როგორც ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილება, მოხმარებისადმი და იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილებების მნიშვნელობები და მათი მნიშვნელობების ცვლილება. ამასთან, მოკლე და გრძელვადიანი მულტიპლიკატორების ანალიზი აჩვენებს, რომ კეინსის მოხმარების ფუნქციას, წარმოადგენს გრძელვადიან დროით მონაკვეთისათვის დამახასიათებელ პროცესს.

საქართველოს მაგალითზე, 2010-2020 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ეგზოგენური ცვლადებით ვექტორული შეცდომის კორექციის მოდელის (VECMX) გამოყენებით შესწავლილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მულტიპლიკატორები, მათი მოქმედების დროითი ჰორიზონტები და განხორციელებულია ავტონომიური ხარჯების და გადასახადების მულტიპლიკატორების შედარებითი ანალიზი. მოდელის მიხედვით მოკლევადიანი მულტიპლიკატორი შეადგენს სახელმწიფო ხარჯებისათვის 1,03, ხოლო საგადასახადო შემოსავლებისათვის -1,82. გრძელვადიანი მულტპლიკატორი სახელმწიფო ხარჯებისათვის შეადგენს 2,42, ხოლო საგადასახადო შემოსავლებისათვის -2,19. ამასთან მულტიპლიკატორის ეფექტის რეალიზაციისათვის 3-4 წელია საჭირო.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილი ორი სხვადასხვა მოდელი არსებითად მსგავს შედეგებს იძლევა და ხარჯების და გადასახადების მულტიპლიკატორი გრძელვადიან პერიოდში არსებითად ექვივალენტურია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული მოდელების გამოყენებით რთულია, საკმარისად სანდოდ, გადასახადების და ხარჯების იმპულსის გამიჯვნა.

**საკვანძო სიტყვები:** ზღვრული მიდრეკილება, მულტიპლიკატორი, ავტონომიური ხარჯები, ღია ეკონომიკა, პერმანენტული შემოსავალი.

**ABSTRACT**

The article presents principles of operation of fiscal multiplier under open economy conditions and reviews various types of multipliers: autonomous expenditures, direct tax proceeds, direct tax rate, indirect tax proceeds, indirect tax rate, import tax multipliers. The research shows that: 1. indirect taxes affect permanent revenue and thus common demand. 2. Increase in maximum import inclination reduces autonomous expenditure multiplier, however increased import tax and indirect taxes increases autonomous expenditure multiplier. 3. Direct taxes on revenue taxation also reduce maximum inclination to consumption. Thus, under open economy conditions, multiplier effect is influenced by not only the maximum inclination to import, but by the tax policy as well.

Import tax multiplier is characterized with double nature of operation. On the one hand, maximum inclination to import is reduced on account of import restriction and multiplier effect is enhanced. On the other hand, increased import tax causes higher prices, which reduces actual disposable revenues and thus reduces the scope of multiplier effect.

The research covers principles of multiplier operation in dynamics, considering time horizon, and attempts to answer the question as to when the multiplier effect will be obtained in case of impulse creation?

According to Autoregressive Distributed Lag (ADL) model (for 1996-2012 quarterly data), simple multiplier of short-term autonomous expenditures for Georgia equals 1.1262. Time horizon for permanent revenue is approximately 2.5-3 years, while long-term multiplier for 2.5 years being 2.2. Realization of multiplier process from the moment of impulse creation requires certain time. It is affected by instruments of fiscal and monetary policy as well as by changes in the structure of economy, values of maximum inclination to consumption and import and changes in their values. Analysis of short and long term multipliers show that Keynes consumption function is the process characterized for long time period.

In Georgian case, on the basis of analysis of 2010-2020 data, long and short-term multipliers have been studied using vector error correction model (VECMX), together with their time horizons of operation, and comparative analysis of autonomous expenditure and tax multipliers has been conducted. According to the model, short-term multiplier amounts 1,03 for state expenditures, and 1,82 for tax proceeds. Long-term multiplier for state expenditures amounts 2,42, and 2,19 for tax proceeds. Besides, 3-4 years are required for realization of multiplier effect.

Results of both studies using different models yield essentially similar results and expenditure and tax multipliers in long-term period are essentially equal. It shall also be noted that by using the selected models, it is difficult to mark off tax and expenditure impulses with sufficient reliability.

**Keywords:** Marginal Propensity, Multiplier effect, Autonomous Expenditures, Open Economy, Permanent Income.

## I

ხარჯების მულტიპლიკატორის განხილვის დროს საუბარია ინერციულ პროცესზე, რომელიც გარკვეულ ავტონომიურ შოკზე რეაგირების სახით რთავს ურთიერთ სტიმულირების ჯაჭვურ-სპირალურ მექანიზმს. პირველად ეს მექანიზმი რიჩარდ კანმა[1] აღმოაჩინა. კანის მულტიპლიკატორი წარმოადგენს დასაქმების მულტიპლიკატორს. ჯონ მეინარდ კეინსის[2] მიერ შემუშავებული მულტიპლიკატორი კი წარმოადგენს კანის მულტიპლიკატორის ინტერპრეტაციას. თუ კანი ერთმანეთთან აკავშირებს შიდა ინვესტიციებს და დასაქმებას, კეინსი დასაქმებას აიგივებს რეალურ შემოსავლებთან. შესაბამისად კეინსი საკუთარი კონცეფციის ფარგლებში მულტიპლიკატორულ მექანიზმს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების მექანიზმად განიხილავს და მას მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას უკავშირებს.

კეინსი განსაზღვრავს მულტიპლიკატორზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებსაც, რომელთა შორისაც ერთ-ერთი წარმოადგენს ღია ეკონომიკის არსებობის პირობას. კეინსი[3] განსაზღვრავს, რომ ღია ეკონომიკის პირობებში საგარეო ეკონომიკური კავშირები მოახდენს მულტიპლიკატორზე ზემოქმედებას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არამედ ნაწილობრივ ქვეყნის გარეთაც. თუმცა შესაძლოა უცხოეთში მიმდინარე მულტიპლიკატორულმა პროცესებმა დადებითი გავლენა მოახდინოს განსახილველი ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაზე.

მაშასადამე, კეინსი მიიჩნევს, რომ თუ ღია ეკონომიკის პირობებში მოხდება იმპორტული პროდუქციის შესყიდვა, ეს არ გამოიწვევს ქვეყნის შიგნით ავტონომიური ხარჯების იმპულსზე რეაქციის პროპორციულად ცვლილებას, რადგან ამ პროცესმა უცხოეთში შესაძლოა განსახილველი ქვეყნის ექსპორტზე მოთხოვნა გაზარდოს. ამრიგად, ღია ეკონომიკის პირობებში მულტიპიკატორული იმპულსი მცირდება, მაგრამ არა იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების პროპორციულად.

განვიხილოთ ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკაში, სადაც საქონლისა და მომსახურების ბაზრის მაკროეკონომიკური წონასწორობის განტოლება:

---

1 R.F. Khan “The relation of home investment to Unemployment” – Economic Journal, June 1931.

2 J.M. Keynes “The General Theory of Employment, Interest and Money”. L: Macmillan, 1936.

3 J.M. Keynes “The General Theory of Employment, Interest and Money”. L: Macmillan, 1936. P. 120.

$$Y = C + I + G + X_n \quad (1)$$

სადაც, $C$ - მოხმარება, $I$ - ინვესტიციები, $G$ - სახელმწიფო ხარჯები, $X_n$ - წმინდა ექსპორტი.

$$X_n = EX - IM = EX - mpm(Y - t_{im} \times Y) \quad (2)$$

სადაც, $EX$ - ექსპორტი, $IM$ - იმპორტი, $mpm$ - იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, $mpm = \Delta IM/\Delta Y$, $t_{im}$ – *იმპორტის გადასახადი.* ხოლო, მოხმარების ფუნქციას წარმოადგენს:

$$C = C_a + mpc\left(\frac{Y - T_a - tY}{(1 + t_{id})}\right) \quad (3)$$

სადაც,

$C_a$ - ავტონომიური მოხმარება, $mpc$ - მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება, $Ta$ - გადასახადები, რომლებიც შემოსავალზე არ არის დამოკიდებული და არ წარმოადგენს შემოსავლის რაიმე წილს (მაგალითად, ქონების გადასახადი), $t$ - შემოსავალზე გადასახადის განაკვეთი - პირდაპირი გადასახადები (მაგალითად, საშემოსავლო, მოგების გადასახადი და სხვა), $t_{id}$ - არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთი (მაგალითად, დღგ, აქციზი და სხვა), რომლებიც პირდაპირ არ ამცირებენ განკარგვად შემოსავალს, თუმცა არაპირდაპირ ყოველი ოპერაციიდან (დავუშვათ, რომ დასაბეგრი ოპერაციები და ეკონომიკური ოპერაციები იგივურია და არ არსებობს გადასახადისგან გათავისუფლებული ოპერაციები) ახდენენ საგადასახადო შემოსავლის მობილიზებას, მათ შორის მეორადი ბაზრიდან (დავუშვათ, რომ მეორად ბაზრებზე წარმოშობილი ოპერაციები არ იძლევა დასაბეგრ თანხას[4]).

თუ ზემოაღნიშნულ კეინსის საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელში გავაერთიანებთ მივიღებთ:

$$Y = C_a + mpc\left(\frac{Y - T_a - tY}{(1 + t_{id})}\right) + I + G + EX - mpm(1 - t_{im})Y \quad (4)$$

$$Y = C_a + \frac{mpc(1 - t)}{(1 + t_{id})}Y - \frac{mpc \times T_a}{(1 + t_{id})} - mpm(1 - t_{im})Y + I + G + EX \quad (5)$$

თუ, $I + G + EX = A$ და $C_a - \frac{mpc \times T_a}{(1+t_{id})} = A_t$, $A + A_t = A_0$[5], მაშინ

$$Y = \frac{A_0(1 + t_{id})}{1 + t_{id} - mpc(1 - t) + mpm(1 - t_{im})(1 + t_{id})} \quad (6)$$

$$k_a = \frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{(1 + t_{id})}{1 + t_{id} - mpc(1 - t) + mpm(1 - t_{im})(1 + t_{id})} \quad (7)$$

რას გვაძლევს მიღებული გამოსახულება? პირველ რიგში, არაპირდაპირი გადასახადები გავლენას ახდეს ერთობლივ მოთხოვნაზე, როგორც მიმდინარე შემოსავლების ისე ავტონომიური ხარჯების და ქონების სექტორის გავლით; მეორე, იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების ზრდა ამცირებს ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს, თუმცა იმპორტის გადასახადისა და არაპირდაპირი გადასახადების ზრდა, ზრდის ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს; მესამე, შემოსავალის დაბეგვრაზე დაწესებული პირდაპირი გადასახადები, აგრეთვე ამცირებენ მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას. ამრიგად, ღია ეკონომიკის პირობებში მულტიპლიკატორულ ეფექტზე გავლენას ახდენს არა მარტო იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, არამედ საგადასახადო პოლიტიკაც. მართალია, ამგვარი ზღვრული მიდრეკილებები შესაძლოა დროში სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების ძალით

[4] დაშვება გულისხმობს, რომ მეორად ბაზარზე არ წარმოიქმნება ნამეტი ღირებულება, რაც სავსებით მოსალოდნელია ბევრი ტიპის აქტივთან მიამრთებაში

[5] $A$ და $A_t$ შინაარსობრივად წარმოადგენენ ხარჯებს რომლებიც მიმდინარე შემოსავალზე არ არიან დამოკიდებულები

იცვლებოდეს, თუმცა კეინსიანურ კონცეფციაში ამგვარი ცვლილებები შესაძლოა გრძელვადიან პერიოდში მოხდეს და მოკლევადიან პერიოდში არ არის მოსალოდნელი[6].

ზემოთ მოცემული მულტიპლიკატორის ფორმულის აღსაქმელად განვიხილოთ მაგალითი. ცხრილ 1-ში მოცემულია ცვლადების მნიშვნელობები კონკრეტული მაგალითისთვის.

ცხრილი 1. ცვლადების მნიშვნელობები

| | |
|---|---|
| მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება | 0.7 |
| იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება | 0.15 |
| საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი | 0.2 |
| არაპირდაპირი გადასახადის განაკვეთი | 0.18 |
| იმპორტის გადასახადის განაკვეთი | 0.05 |

ასევე დავუშვათ, რომ ეფექტური გადასახადის განაკვეთი ტოლია ზღვრული განაკვეთის. მაშინ, ზემოთ მოცემული ფორმულის მიხედვით ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორი იქნება:

$$k_a = \frac{(1+0.18)}{1+0.18-0.7(1-0.2)+0.15(1-0.05)(1+0.18)} = 1.49 \qquad (8)$$

გამოვიყვანოთ, პირდაპირი გადასახადების განაკვეთის სტანდარტიზებული[7] მულტიპლიკატორი:

$$\frac{\Delta Y}{\Delta t} = -mpc\frac{A_0(1+t_{id})}{\left(1+t_{id}-mpc(1-t)+mpm(1-t_{im})(1+t_{id})\right)^2} \qquad (9)$$

რადგან,

$$A_0(1+t_{id}) = \left(1+t_{id}-mpc(1-t)+mpm(1-t_{im})(1+t_{id})\right)Y \qquad (10)$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირდაპირი გადასახადების განაკვეთის სტანდარტიზებული მულტიპლიკატორი:

$$k_t = \frac{\Delta Y}{Y\times\Delta t} = \frac{-mpc}{1+t_{id}-mpc(1-t)+mpm(1-t_{im})(1+t_{id})} \qquad (11)$$

თუ ზემოთ განხილული მაგალითში მოცემულ პირობებს და დაშვებებს გამოვიყენებთ, მივიღებთ, რომ პირდაპირი გადასახადების განაკვეთის მულტიპლიკატორი ტოლია:

$$k_t = \frac{-0{,}7}{1+0.18-0.7(1-0.2)+0.15(1-0.05)(1+0.18)} = -0{,}89 \qquad (12)$$

რაზე მიგვითითებს პირდაპირი გადასახადის განაკვეთის სტანდარტიზებული მულტიპლიკატორი? ის გარემოება, რომ მულტიპლიკატორის მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია არ ნიშნავს, რომ მულტიპლიკატორს რამე უარყოფითი ეფექტი აქვს. ეს ნიშნავს, რომ გადასახადის განაკვეთის 1%-ილი პუნქტით შემცირება (მაგალითად, 20%-დან 19%-მდე), გამოიწვევს მთლიანი გამოშვების ზრდას 0,87%-ით. ამ შემთხვევაში რა იქნება პირდაპირი საგადასახადო შემოსავლების მულტიპლიკატორი?

$$\Delta T = Y\times t_2 - Y\times t_1 + \Delta Y\times t_1 = \Delta tY + \Delta Y\times t_1 \qquad (13)$$

სადაც,

$T$ - პირდაპირი საგადასახადო შემოსავლები, $t_1$ - პირდაპირი გადასახადების განაკვეთი პირველ პერიოდში, $t_2$ - პირდაპირი გადასახადების განაკვეთი მეორე პერიოდში, $t_2\times Y_2 - t_1\times Y_1 = Y\times t_2 - Y\times t_1 + \Delta Y\times t_1, Y = Y_2$.

[6] J.M. Keynes “The General Theory of Employment, Interest and Money”. L: Macmillan, 1936. P. 107-112.

[7] პროცენტებში

$$\frac{\Delta Y}{\Delta T} = \frac{\Delta Y}{\Delta tY + \Delta Y \times t_1} = \frac{1}{\frac{\Delta tY + \Delta Y \times t_1}{\Delta Y}} = \frac{1}{t_1 + \frac{\Delta t \times Y}{\Delta Y}} = \frac{1}{t_1 + \frac{\Delta t \times Y}{k_t \times Y \times \Delta t}} = \frac{1}{t_1 + \frac{1}{k_t}} \quad (14)$$

მაშასადამე პირდაპირი გადასახადების მულტიპლიკატორი დამოკიდებულია პირდაპირი გადასახადების სტანდარტულ მულტიპლიკატორზე, განაკვეთის ცვლილების მნიშვნელობასა და არსებულ საგადასახადო განაკვეთის დონეზე. თუ ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით, მოცემულ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის განაკვეთის მულტიპლიკატორი -0,87-ია, გადასახადების მულტიპლიკატორი -1,07 იქნება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არსებული მოდელის ფარგლებში მულტიპლიკატორული ეფექტი უარყოფითი არ გახდება, სხვა თანაბარ პირობებში.

განვიხილოთ, არაპირდაპირი გადასახადების სტანდარტიზებული განაკვეთის მულტიპლიკატორი. სიმარტივისთვის[8] დავუშვათ, რომ $T_a = 0$. შემოვიღოთ აღნიშვნა, $f = 1 + t_{id} - mpc(1-t) + mpm(1-t_{im})(1+t_{id})$, $\varphi = (1 + mpm(1-t_{im}))(1+t_{id})$

$$\frac{\Delta Y}{\Delta t_{id}} = \frac{A_0 \times f - (1 + mpm(1-t_{im}))(1+t_{id})A_0}{f^2} = \frac{A_0 f - A_0 \varphi}{f^2} \quad (15)$$

$$A_0 = \frac{f \times Y}{1 + t_{id}} \quad (16)$$

$$k_{tid} = \frac{\Delta Y}{Y \times \Delta t_{id}} = \frac{1}{1 + t_{id}}\left(1 - \frac{\varphi}{f}\right) \quad (17)$$

თუ ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით და მოცემულ პირობებს და დაშვებებს გამოვიყენებთ, მივიღებთ, რომ არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთის მულტიპლიკატორი ტოლია:

$$k_{tid} = \frac{1}{1 + 0{,}18}\left(1 - \frac{1{,}36}{0{,}79}\right) = -0{,}62 \quad (18)$$

მაშასადამე, არაპირდაპირი გადასახადის განაკვეთის 1%-ილი პუნქტით შემცირება (მაგალითად 18%-დან 17%-მდე), გამოიწვევს მთლიანი გამოშვების ზრდას 0,86%-ით. ადვილად შეიძლება იმის ჩვენებაც, რომ იგივე ლოგიკა მოქმედებს არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთის სტანდარტიზებული მულტიპლიკატორიდან არაპირდაპირი გადასახადების შემოსავლების მულტიპლიკატორზე გადასვლის დროს, რაც პირდაპირი გადასახადის ანალიზის შემთხვევაში იყო წარმოდგენილი.

აქ ორი პარადოქსული ეფექტია, ერთი რომ ხარჯების მულტიპლიკატორი მეტია გადასახადების მულტიპლიკატორზე, ხოლო მეორე, რომ გადასახადის მულტიპლიკატორი შეიძლება 1-ზე ნაკლები იყოს. აღნიშნული პარადოქსის მიზეზი, რომელსაც მულტიპლიკატორის ფორმულა იძლევა, არ ის, რომ მოდელში ჩვენ სახელმწიფო ხარჯებს ეგზოგენურად, საგადასახადო შემოსავლებისაგან განყენებულად განვიხილავთ. ამრიგად, როცა ვსაუბრობთ სახელმწიფო ხარჯების ზრდაზე, ვუშვებთ რომ საგადასახადო შემოსავლები უცვლელია ანუ ბიუჯეტი დეფიციტურია, ხოლო როცა ვსაუბრობთ საგადასახადო შემოსავლების შემცირებაზე, ვუშვებთ, რომ საგადასახადო შემოსავლები მცირდება, ხოლო სახელმწიფო ხარჯები უცვლელია ანუ ბიუჯეტი კვლავ დეფიციტურია. ამრიგად, საგადასახადო შემოსავლების/საგადასახადო განაკვეთის შემცირება სახელმწიფო ხარჯების უცვლელობის შემთხვევაში ნიშნავს ერთი მხრივ, სახელმწიფო ხარჯების ზრდის საწყისი იმპულსის არ არსებობას, მეორე მხრივ კი - გამოდევნის ეფექტს სასესხო კაპიტალის ბაზარზე. თუ დავუშვებთ, რომ გადასახადების შემცირება ამავდროულად მოხდება სახელმწიფო ხარჯების ექვივალენტურ შემცირებასთან ერთად, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ექვივალენტურად გაიზრდება ინვესტიციები (გამოდევნის ეფექტი შემცირდება) ანუ $\Delta G = \Delta I$. დამატებითი მულტიპლიკატორის ეფექტი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება კერძო ინვესტიციები სახელმწიფო ხარჯებთან შედარებით. ეს ეფექტურობა დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფო ხარჯების და კერძო ინვესტიციების შედარებით უპირატესობაზე. შეგვიძლია,

[8] გამოთვლების და ინტერპრეტაციის მიზნებისათვის

ვივარაუდოთ, რომ კერძო ინვესტიციები მიმართულია უპირატესად გრძელვადიანი მოხმარების დაკმაყოფილებაზე და ხელს შეუწყობს ერთობლივი მოთხოვნის სტაბილურ ზრდას. თუმცა ქვეყნებში სადაც, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა სუსტად არის განვითარებული შესაძლოა კონკრეტული მიზნობრივი სახელმწიფო ხარჯები უფრო ეფექტური აღმოჩნდეს.

სავსებით ლოგიკური შედეგი გამომდინარეობს იმპორტის გადასახადის მულტიპლიკატორის განსაზღვრის დროს:

$$\frac{\Delta Y}{\Delta t_{im}} = \frac{mpm(1+t_{id})f \times Y}{f^2} \qquad (19)$$

$$k_{tim} = \frac{\Delta Y}{Y \times \Delta t_{im}} = \frac{mpm(1+t_{id})}{f} \qquad (20)$$

თუ ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით და მოცემულ პირობებს და დაშვებებს გამოვიყენებთ, მივიღებთ, რომ იმპორტის გადასახადების განაკვეთის მულტიპლიკატორი ტოლია:

$$k_{tim} = \frac{0.15 \times 1.18}{0{,}79} = 0.22 \qquad (21)$$

მაშასადამე, იმპორტის გადასახადის განაკვეთის 1%-ილი პუნქტით გაზრდა (მაგალითად 5%-დან 6%-მდე), გამოიწვევს მთლიანი გამოშვების ზრდას 0,22%-ით. რატომ იწვევს თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ამგვარ დადებით ეფექტს? თუ ვიწრო გაგებით შევხედავთ, იმპორტისათვის სავაჭრო ბარიერები, ზრდის აღნიშნული მულტიპლიკატორის ეფექტს, მაგრამ არა საერთო ეკონომიკის დონეზე ან გამოშვებაზე საკუთარი დადებითი ზემოქმედების გამო, არამედ ქვეყნის შიგნით არსებული მულტიპლიკატორული ეფექტის გაძლიერების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული იმპორტის გადასახადის მულტიპლიკატორი არ ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის გავლენას განკარგვად შემოსავალზე. იმპორტის შეზღუდვა ზრდის ალტერნატიულ დანახარჯებს პროდუქციაზე, რომლის იმპორტიც ხორციელდებოდა და იწვევს ფასების დონის ზრდას და განკარგვადი შემოსავლის შემცირებას. როგორც წესი, ფარდობითი უპირატესობის გამო ალტერნატიული დანახარჯების წარმოქმნა დაკავშირებულია რესურსების გამოყენების შეზღუდულობასთან. თუ ჩვენს მოდელს გავაფართოებთ აღნიშნული ფაქტორით იმპორტის მულტიპლიკატორს იგივე მოქმედების მექანიზმი ექნება, რაც ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს ჰქონდა, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში იმპორტის გადასახადის ზრდა განკარგვადი შემოსავლის არხით მოახდენს უარყოფით შედეგს მუტიპლიკატორულ ეფექტზე, თუმცა იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე დადებით ეფექტს. თუ რომელ ეფექტს ექნება ადგილი, დადებითს თუ უარყოფითს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ელასტიკურია საქონლის მოთხოვნა ფასების მიმართ, რომელზეც გავლენა მოახდინა იმპორტის გადასახადის ზრდამ. მეტად სავარაუდოა, რომ ეფექტი უარყოფითი იქნება, რადგან ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორი, როგორც წესი აღემატება იმპორტის გადასახადის მულტიპლიკატორს.

II

რამდენად სწორია ვიფიქროთ, რომ მულტიპლიკატორული მექანიზმი მყისიერად იმოქმედებს იმპულსის გაჩენის შემდეგ? თუ იმპულსის გაჩენის შემდეგ მოქმედების მექანიზმი მყისიერი არ არის, მაშინ როგორი იქნება დროითი ჰორიზონტი, რომლის ფარგლებშიც მივიღებთ მულტიპლიკატორულ ეფექტს? ეს პერიოდი იქნება მოკლევადიანი, თუ გრძელვადიანი?

კეინსი მულტიპლიკატორის მექანიზმსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს მრავალმხრივ განიხილავს, ის ამ თემაზე გარკვეულ მოსაზრებას გამოთქვამს საკუთარ ფუნდამენტურ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია". ნაშრომში კეინსი ცალსახად ასხვავებს წონასწორობის ამ ორ მდგომარეობას. კეინსი აბსტრაგირდება სუბიექტური ფაქტორებისაგან, რომელიც გავლენას ახდენს დაზოგვისადმი მიდრეკილებაზე და დასძენს, რომ ეს ფაქტორები ნაკლებად ცვალებადია დროში და

სტაბილურია დიდი ხნის მანძილზე, ამიტომაც ისინი წინასწარ განსაზღვრულად[9] შეიძლება ჩავთვალოთ. კეინსი განიხილავს სხვა ობიექტურ ფაქტორებსაც. ის ასკვნის, რომ მათი გავლენა მოკლევადიან დროით ჰორიზონტზე ასევე უმნიშვნელოა, მოხმარებისადმი მიდრეკილება კი საკმაოდ სტაბილური მაჩვენებელია და ის მხოლოდ ნომინალური ხელფასის ცვლილებაზე რეაგირებს[10]. კეინსი აგრეთვე განმარტავს, რომ სრული დასაქმების მდგომარეობა არის ის მდგომარეობა, რომელის დროსაც ნებისმიერი მცდელობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ინვესტიციები მოხმარების ზღვრული მიდრეკილების სიდიდისგან დამოუკიდებლად გამოიწვევს ფასების ზრდას და ფასების ზრდა შემოსავლების ზრდის შესაბამისი იქნება[11].

კეინსის განასხვავებს მოხმარებისადმი მიდრეკილების და ზღვრული მიდრეკილების ცნებებს და პირველ შემთხვევაში მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას მოიაზრებს. საბოლოო ჯამში დინამიკაში კეინსი მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას სტაბილურ მაჩვენებლად მიიჩნევს, მათ შორის მიმდინარე შემოსავალთან მიმართებაში, ხოლო მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას მიმდინარე შემოსავლის ფუნქციად განიხილავს. მაშასადამე ცხადია, რომ კეინსი ასხვავებს გრძელ და მოკლევადიან ეფექტებს და თვლის რომ გრძელვადიან პერიოდში მოხმარების ზღვრული მიდრეკილება ნეიტრალურია. თუმცა ის მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას განიხილავს მუდმივად ნებისმიერი დონის შემოსავლისთვის. მაგალითად ერთ თვიანი, ერთ წლიანი, 5 წლიანი შემოსავლებისათვის. ანუ ნებისმიერი აგრეგირებული დროითი მონაკვეთისათვის:

$$C_t = a + mpc \times Y_t \qquad (22)$$

შედეგად ვღებულობთ, რომ არსებობს კავშირი მიმდინარე მოხმარებასა და მიმდინარე შემოსავლებს შორის. შესაბამისად, აღნიშნული კანონზომიერებიდან მიღებული მილტიპლიკატორიც არის მიმდინარე მულტიპლიკატორი (ე.წ. მოკლევადიანი მულტიპლიკატორი).

აღნიშნული პარადიგმის გადახედვის მიზეზი კუზნეცის პარადოქსი გახდა, რომლის მიხედვითაც, ემპირიულად არ დადასტურდა, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მიმდინარე შემოსავლის ფუნქციაა. კუზნეცმა[12] აღმოაჩინა, რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება დროში საკმაოდ სტაბილური სიდიდე იყო და ის არ რეაგირებდა მიმდინარე შემოსავლების ცვლილებაზე.

აღნიშნული პრობლემის გასაღები შემოგვთავაზა მილტონ ფრიდმენმა[13] რომელმაც განმარტა, რომ, როგორც მიმდინარე მოხმარება ისე მთლიანი მოხმარება დამოკიდებულია არა მიმდინარე შემოსავალზე, არამედ პერმანენტულ შემოსავალზე. პერმანენტული შემოსავალი კი განისაზღვრება, როგორც ქონების სექტორით, რომელიც წინა პერიოდის შემოსავლების მიხედვით არის გენერირებული, აგრეთვე საპროგნოზო დროით ჰორიზონტზე განსაზღვრული მომავალი შემოსავლებით. მაშასადამე, მყარი კავშირი შეიძლება იყოს მხოლოდ პერმანენტულ შემოსავალსა და მიმდინარე მოხმარებას შორის.

$$C_t = mpc \times Y_{p,t} = \gamma \times mpc \times Y_t + (1-\gamma)C_{t-1} \qquad (23)$$

სადაც, $\gamma$ - მიმდინარე პერიოდის შემოსავლების წონა პერმანენტულ შემოსავალში.

პერმანენტული შემოსავლის თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ვინაიდან მიმდინარე პერიოდის შემოსავლების წონა პერმანენტულ შემოსავალში გამრავლებული მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე მცირე სიდიდეა. მულტიპლიკატორიც მცირე სიდიდე იქნება.

ოსტაპენკოს და ტაბაღუას 2014 წლის სტატიაში[14] შეფასებული იყო მოხმარების ფუნქცია პერმანენტული შემოსავლის თეორიისათვის (1996-2012 წლის კვარტალური მონაცემებისათვის). შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი სახის ფუნქცია:

---

[9] J.M. Keynes "The General Theory of Employment, Interest and Money". L: Macmillan, 1936. P. 109-110

[10] J.M. Keynes "The General Theory of Employment, Interest and Money". L: Macmillan, 1936. P. 97.

[11] J.M. Keynes "The General Theory of Employment, Interest and Money". L: Macmillan, 1936. P. 119.

[12] Kuznets, S. (1946) National Product since 1869. Epstein, L. and Zenks, E., Assisted, National Bureau of Economic Research, New York. pp.116-117.

[13] Friedman M. A Theory of the Consumption Function. Princeton, Princeton University Press, 1957.

[14] ოსტაპენკო ნ., ტაბაღუა ს.. მოხმარების მაკროეკონომიკური ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი. ეკონომიკა და საბანკო საქმე. 2014. ტომი 2, N2

$$C_t = 0,59 \times Y_{p,t} = 0,19 \times 0,59 \times Y_t + (1 - 0,19)C_{t-1} \quad (24)$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლევადიანი ავტონომიური ხარჯების მარტივი მულტიპლიკატორი ტოლია:

$$k_{a,t} = \frac{1}{1 - \gamma \times mpc} = \frac{1}{1 - 0.1121} = 1.1262 \quad (25)$$

პერმანენტული შემოსავლისთვის დროითი ჰორიზონტი დაახ. 2,5-3 წელია, ხოლო გრძელვადიანი მულტიპლიკატორი 2,5 წელიწადზე:

$$k_{a,p} = \frac{1}{1 - mpc} \times \gamma \sum_{t=0}^{10} (1 - \gamma)^t = \frac{1}{1 - 0.59} \times 0.19 \sum_{t=0}^{10} (1 - 0.19)^{10} = 2.44 \times 0.9 = 2.2 \quad (26)$$

მულტიპლიკატორული პროცესი დროში გაწელილი პროცესია და დამოკიდებულია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების, იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების და გადასახადების განაკვეთის, აგრეთვე დროით ჰორიზონტებზე, რომელთა მიმართებაშიც საოჯახო მეურნეობები განსაზღვრავენ საკუთარ პერსპექტივებს და მოლოდინებს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ კეინსის მოხმარების ფუნქცია აღწერს გრძელვადიან (კუმულატიურ-ზღვრულ) მულტიპლიკატორს და არა მიმდინარე მულტიპლიკატორს. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიკური წონასწორობის ჩამოყალიბების პროცესების გააზრებისათვის.

## III

ბოლო პერიოდში ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორის ირგვლივ ბევრი კვლევა ჩატარდა. აღნიშნული კვლევების მიზნები და მეთოდოლოგია განსხვავებულია, რაც, აგრეთვე მულტიპლიკატორების მნიშვნელობების შესახებ არაერთგვაროვან შედეგებს განაპირობებს. კერძოდ, გეჩერტმა და უილიმმა[15] 2012 წლის კვლევაში გაანალიზა ფისკალურ მულტიპლიკატორთან დაკავშირებული 89 კვლევა და დაადგინეს, რომ შედეგები ძირითადად დამოკიდებულია გამოყენებული მოდელის ტიპზე, მულტიპლიკატორის შეფასების ხერხსა და გამოყენებულ მონაცემებზე.

სხვადასხვა კვლევების შედეგად შეიძლება შემდეგი მახასიათებლების გამოყოფა:

- **იმპორტისადმი მიდრეკილება.** რაც ნაკლებად ღიაა ეკონომიკა, მით მაღალია ფისკალური მულტიპლიკატორი[16].
- **სახელმწიფო ფინანსების მდგრადობა.** რაც ნაკლებია სახელმწიფო ვალი, მით მაღალი მოსახლეობის ნდომა და მაღალია ფისკალური მულტიპლიკატორი[17].
- **გაცვლითი კურსის რეჟიმი.** ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში უფრო მაღალია ფისკალური მულტიპლიკატორი ვიდრე მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში[18]. თუმცა ეს საკითხი ერთმნიშვნელოვანი არ არის[19].

---

[15] Gechert, S., and H. Will, (2012). Fiscal multipliers: A meta regression analysis. Macroeconomic Policy Institute Working Paper, No. 97.

[16] Ilzetzki E., Mendoza E.G., and C. Végh, (2013). How big (small?) Are fiscal multipliers? Journal of Monetary Economics, 60, 239-254.

[17] Ilzetzki E., Mendoza E.G., and C. Végh, (2013). How big (small?) Are fiscal multipliers? Journal of Monetary Economics, 60, 239-254.

[18] Ilzetzki E., Mendoza E.G., and C. Végh, (2013). How big (small?) Are fiscal multipliers? Journal of Monetary Economics, 60, 239-254

[19] Corsetti, G., Meier, A., and G. Müller, (2012). What determines government spending multipliers? Economic Policy. October, 521-565.

- **ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.** თუ მონეტარული პოლიტიკა არის იმგვარი, რომ არ უწყობს ხელს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ეს ამცირებს გამოდევნის ეფექტის ფაქტორს და აძლიერებს ფისკალურ მულტიპლიკატორის ეფექტს. [20].
- **ფინანსური ბაზრების განვითარებულობა.** რაც უფრო განვითარებულია ფინანსური ბაზრები მით მაღალია ფისკალური მულტიპლიკატორი, რადგან ეკონომიკურ აგენტებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ დროში გადაანაწილონ საკუთარი მოხმარება[21].
- **ეკონომიკური ციკლის ფაზა.** დაცემის ფაზაში ფისკალური მულტიპლიკატორი უფრო მაღალი, ვიდრე აღმავლობის ფაზაში. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ხარჯების მიზნობრივი ხარჯვა და მისი მიმართვა უფრო მაღალი მოხმარებისადმი მიდრეკილების მქონე საოჯახო მეურნეობებისაკენ[22].

ემპირიული კვლევები ფისკალური მულტიპლიკატორის სხვადასხვა მნიშვნელობებს გვაძლევენ. მინეშიმა, პოპლავსკი-რიბერიოს და ვებერის[23] კვლევის მიხედვით, პირველი წლის საშუალო ფისკალური მულტიპლიკატორი სახელმწიფო ხარჯებისათვის შეადგენს 0,75, ხოლო გადასახადებისათვის -0,25. იზლეცკის[24] კვლევის მიხედვით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოკლევადიანი ხარჯების მულტიპლიკატორი 0,1-დან 0,3-მდე ფარგლებში მერყეობს, ხოლო შემოსავლების მულტიპლიკატორი -0,5-დან -0,4-მდე მერყეობს.

IV

წინამდებარე სტატიის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა საქართველოს მაგალითზე კვარტალური მონაცემები 2010-2020 წლებში, სულ 44 დაკვირვება და აგებულ იქნა VECMX მოდელი. მოდელის ზოგადი სახეა:

$$\Delta z = a_0 + a_1 t - D z_{t-1} + \sum_{i=1}^{p-1} B_i \, \Delta Z_{t-i} + u_t \qquad (27)$$

სადაც, z - ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადების ვექტორი, t - ტრენდი, D- გრძელვადიანი მულტიპლიკატორების მატრიცა, B - მოკლევადიანი მულტიპლიკატორების მატრიცა.

მოკლევადიანი მულტიპლიკატორი წარმოადგენს

$$M_s = \frac{\Delta Y_0}{\Delta X_0} \qquad (28)$$

ხოლო კუმულაციური (გრძელვადიანი) მულტიპლიკატორი:

$$M_{cum} = \frac{\sum_{t=0}^{T} \Delta Y_t}{\sum_{t=0}^{T} \Delta X_t} \qquad (29)$$

ენდოგენურ ცვლადებად აღებულ იქნა რეალური მშპ-ს, ეფექტური საგადასახადო განაკვეთის, რეალური საგადასახადო შემოსავლების, რეალური სახელმწიფო მოხმარების მაჩვენებლები. ეგზოგენურ ცვლადებად აღებულ იქნა ძირითადი სავაჭრო პარტნიორების (რუსეთის და თურქეთის) რეალური მშპ-ს ლოგარითმული მნიშვნელობები.

---

[20] Spilimbergo, A., Symansky, S., and M. Schindler, (2009). Fiscal multipliers. IMF Staff Position note, No. 11.

[21] Batini, N., Eyraud L., Forni L., and A. Weber, (2014). Fiscal multipliers: Size, determinants, and use in macroeconomic projections. IMF Technical Notes and Manuals, No. 4, Washington: International Monetary Fund

[22] Auerbach, A.J. and Y. Gorodnichenko, (2012). Measuring the output responses to fiscal policy. Eco-nomic Policy, 4, 1-27.

[23] Mineshima, A., Poplawski-Ribeiro, M., and A. Weber, (2014). Fiscal multipliers in post-crisis fiscal policy. Ed. by C. Cottarelli, P. Gerson, and A. Senhadji. Cambridge: MIT Press.

[24] Ilzetzki, E., (2011). Fiscal policy and debt dynamics in developing countries. The World Bank Policy Research Working Paper Series, No. 5666, Washington, DC: World Bank.

Vector Error Correction Estimates
Sample (adjusted): 2011Q3 2020Q4
Included observations: 38 after adjustments
Standard errors in ( ) & t-statistics in [ ]

| Cointegrating Eq: | CointEq1 | | |
|---|---|---|---|
| GDP_R(-1) | 1.000000 | | |
| TAX(-1) | -2.195725 | | |
| | (0.62518) | | |
| | [-3.51214] | | |
| GEXP(-1) | 2.420823 | | |
| | (0.82175) | | |
| | [ 2.94592] | | |
| **Error Correction:** | **D(GDP_R)** | **D(TAX)** | **D(GEXP)** |
| CointEq1 | -0.546283 | 0.232664 | -0.712379 |
| | (0.33487) | (0.31006) | (0.47238) |
| | [-1.63131] | [ 0.75039] | [-1.50805] |
| D(GDP_R(-1)) | 0.237583 | 0.594976 | 0.592392 |
| | (0.38493) | (0.35640) | (0.54299) |
| | [ 0.61721] | [ 1.66940] | [ 1.09097] |
| D(GDP_R(-2)) | -0.113446 | 0.512078 | 0.698218 |
| | (0.31707) | (0.29357) | (0.44726) |
| | [-0.35780] | [ 1.74433] | [ 1.56109] |
| D(GDP_R(-3)) | -0.518780 | 0.250834 | 0.524188 |
| | (0.32713) | (0.30289) | (0.46146) |
| | [-1.58585] | [ 0.82815] | [ 1.13593] |
| D(GDP_R(-4)) | -0.419544 | 0.225830 | 0.293272 |
| | (0.34017) | (0.31496) | (0.47986) |
| | [-1.23332] | [ 0.71700] | [ 0.61116] |
| D(GDP_R(-5)) | -0.488644 | -0.039744 | 0.455568 |
| | (0.30513) | (0.28252) | (0.43043) |
| | [-1.60140] | [-0.14068] | [ 1.05839] |
| D(TAX(-1)) | -1.822227 | -1.422693 | -1.712293 |
| | (0.59077) | (0.54699) | (0.83336) |
| | [-3.08448] | [-2.60094] | [-2.05468] |
| D(TAX(-2)) | -0.584374 | -0.750400 | -1.830803 |
| | (0.54242) | (0.50222) | (0.76516) |
| | [-1.07734] | [-1.49415] | [-2.39271] |
| D(TAX(-3)) | -0.529438 | -0.343938 | -1.356890 |
| | (0.50362) | (0.46629) | (0.71042) |
| | [-1.05127] | [-0.73760] | [-1.90999] |
| D(TAX(-4)) | -0.401865 | -0.036840 | -0.878499 |
| | (0.42269) | (0.39136) | (0.59626) |
| | [-0.95073] | [-0.09413] | [-1.47335] |
| D(TAX(-5)) | -0.342613 | -0.062257 | -0.691783 |
| | (0.26301) | (0.24352) | (0.37102) |
| | [-1.30264] | [-0.25565] | [-1.86456] |

| | | | |
|---|---|---|---|
| D(GEXP(-1)) | 1.033920 | -0.586896 | 0.252183 |
| | (0.71477) | (0.66180) | (1.00827) |
| | [ 1.44652] | [-0.88682] | [ 0.25011] |
| D(GEXP(-2)) | 0.761813 | -0.427096 | -0.030198 |
| | (0.58573) | (0.54232) | (0.82625) |
| | [ 1.30062] | [-0.78753] | [-0.03655] |
| D(GEXP(-3)) | 0.692509 | -0.265518 | -0.231810 |
| | (0.43858) | (0.40608) | (0.61868) |
| | [ 1.57897] | [-0.65386] | [-0.37469] |
| D(GEXP(-4)) | 0.361450 | -0.242953 | -0.174574 |
| | (0.31513) | (0.29178) | (0.44453) |
| | [ 1.14699] | [-0.83267] | [-0.39271] |
| D(GEXP(-5)) | 0.163704 | -0.061195 | -0.117975 |
| | (0.17284) | (0.16003) | (0.24381) |
| | [ 0.94716] | [-0.38241] | [-0.48389] |
| GDP_RU | 0.404838 | 0.739194 | 0.923021 |
| | (0.42533) | (0.39381) | (0.59998) |
| | [ 0.95183] | [ 1.87706] | [ 1.53842] |
| GDP_TUR | -0.033903 | -0.084013 | -0.074617 |
| | (0.04702) | (0.04353) | (0.06632) |
| | [-0.72106] | [-1.92986] | [-1.12502] |
| R-squared | 0.862462 | 0.845567 | 0.832916 |
| Adj. R-squared | 0.745555 | 0.714300 | 0.690895 |
| Sum sq. resids | 0.059749 | 0.051221 | 0.118894 |
| S.E. equation | 0.054658 | 0.050607 | 0.077102 |
| F-statistic | 7.377326 | 6.441547 | 5.864724 |
| Log likelihood | 68.72894 | 71.65490 | 55.65544 |
| Akaike AIC | -2.669944 | -2.823942 | -1.981865 |
| Schwarz SC | -1.894245 | -2.048244 | -1.206166 |
| Mean dependent | 0.002103 | 0.002301 | 0.004673 |
| S.D. dependent | 0.108356 | 0.094679 | 0.138679 |
| Determinant resid covariance (dof adj.) | | 1.60E-08 | |
| Determinant resid covariance | | 2.33E-09 | |
| Log likelihood | | 215.8754 | |
| Akaike information criterion | | -8.361861 | |
| Schwarz criterion | | -5.905482 | |

მოდელის მიხედვით განისაზღვრა, რომ მოკლევადიანი მულტიპლიკატორი შეადგენს სახელმწიფო ხარჯებისათვის 1,03, ხოლო საგადასახადო შემოსავლებისათვის -1,82. გრძელვადიანი მულტპლიკატორი სახელმწიფო ხარჯებისათვის შეადგენს 2,42, ხოლო საგადასახადო შემოსავლებისათვის -2,19.

მოდელიდან ჩანს, რომ საგადასახადო მულტიპლიკატორის მოკლევადიანი ეფექტი სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორთან შედარებით უფრო ძლიერია. თუმცა, მულტიპლიკატორის ეფექტის რეალიზაციისათვის გადასახადების მულტიპლიკატორისათვის 3 წელია საჭირო, ხოლო ხარჯების მულტიპლიკატორისათვის კი - 4 წელი. მაშასადამე, გადასახადების მულტიპლკატორი უფრო ეფექტურია დროში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ხარჯების და გადასახადების მულტიპლიკატორი გრძელვადიან პერიოდში არსებითად ექვივალენტურია, რაც ეხმიანება რიკარდოს ეკვივალენტობის თეორიას. სტატისტიკურად შესაძლოა ხარჯების და საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები ერთმანეთის

განმაპირობებელი იყოს. ამიტომ, გამოკვლეულ მონაცემებზე დაყრდნობით მაინც რთულია, საკმარისად სანდოდ, გადასახადების და ხარჯების იმპულსის გამიჯვნა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მოხმარების ფუნქციის განვითარება მისი სტრუქტურის შესწავლის თავლსაზრისით უფრო ადეკვატურ პასუხებს მოგვცემს მულტიპლიკატორის მაჩვენებლებზე, ვიდრე სახელმწიფო ხარჯების და საგადასახადო შემოსავლების აგრეგირებულად განხილვა. გამომდინარე იქიდან, რომ მულტიპლიკატორულ ეფექტთან ერთად, განსხვავებულია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობა, რაც განაპირობებს ეფექტური საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც. ამიტომ ფისკალური მულტიპლიკატორის აღნიშნული მოქმედების მექანიზმი დამოუკიდებლად შესწავლას საჭიროებს.

### *გამოყენებული ლიტერატურა*


1. ოსტაპენკო ნ., ტაბაღუა ს.. მოხმარების მაკროეკონომიკური ფუნქციის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი. ეკონომიკა და საბანკო საქმე. 2014. ტომი 2, N2
2. Auerbach, A.J. and Y. Gorodnichenko, (2012). Measuring the output responses to fiscal policy. Eco-nomic Policy, 4, 1-27.
3. Batini, N., Eyraud L., Forni L., and A. Weber, (2014). Fiscal multipliers: Size, determinants, and use in macroeconomic projections. IMF Technical Notes and Manuals, No. 4, Washington: International Monetary Fund.
4. Corsetti, G., Meier, A., and G. Müller, (2012). What determines government spending multipliers? Economic Policy. October, 521-565.
5. Friedman M. A Theory of the Consumption Function. Princeton, Princeton University Press, 1957.
6. Gechert, S., and H. Will, (2012). Fiscal multipliers: A meta regression analysis. Macroeconomic Policy Institute Working Paper, No. 97.
7. Gorodnichenko, Y., Mendoza, E.G., and L. Tesar, (2012). The Finnish great depression: From Russia with love. American Economic Review, 102(4), 1619-1644.
8. Ilzetzki, E., (2011). Fiscal policy and debt dynamics in developing countries. The World Bank Policy Research Working Paper Series, No. 5666, Washington, DC: World Bank.
9. Ilzetzki E., Mendoza E.G., and C. Végh, (2013). How big (small?) Are fiscal multipliers? Journal of Monetary Economics, 60, 239-254.
10. Keynes J.M. “The General Theory of Employment, Interest and Money”. L: Macmillan, 1936. P. 120
11. Khan R.F. “The relation of home investment to Unemployment” – Economic Journal, June 1931.
12. Kuznets, S. (1946) National Product since 1869. Epstein, L. and Zenks, E., Assisted, National Bureau of Economic Research, New York. pp.116-117.
13. Mineshima, A., Poplawski-Ribeiro, M., and A. Weber, (2014). Fiscal multipliers in post-crisis fiscal policy. Ed. by C. Cottarelli, P. Gerson, and A. Senhadji. Cambridge: MIT Press.
14. Spilimbergo, A., Symansky, S., and M. Schindler, (2009). Fiscal multipliers. IMF Staff Position note, No.
15. https://data.tuik.gov.tr/
16. https://www.geostat.ge/
17. https://www.mof.ge/
18. https://eng.rosstat.gov.ru/

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, ევროკავშირის გამოცდილება

***ნინო ბენდიანიშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) აქტუალობა, როგორც ეკონომიკური აქტივობის წყარო, სწრაფად გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორც გლობალურ, ისე ევროკავშირის დონეზე. 2000-იანი წლების დასაწყისიდან თანდათან შეიცვალა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ლანდშაფტი, განვითარებადი საბაზრო ეკონომიკა გახდა ცნობილი, როგორც ასეთი ინვესტიციების წყარო და დანიშნულების ადგილი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ექსპორტი ითვლება დამატებით სტრატეგიად უცხოური ბაზრების მომსახურებისთვის.

ზოგადად, პუის აქვს პოტენციალი რამდენიმე სარგებელი მოუტანოს მიმღებ ქვეყანას. ქვეყანაში ხელი ეწყობა ეფექტურობას კონკურენციის გაზრდის გზით. მას ასევე შეუძლია პროდუქტიულობის პოზიტიური გავრცელება. ხდება ახალი ტექნოლოგიებით გაჯერება და უზრუნველყოფა ახალ ბაზრებზე. უმჯობესდება ადგილობრივი სამუშაო ძალა, მათი კვალიფიკაცია.

განხილულია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით. იგი უზრუნველყოფს შესაბამის პოლიტიკას საერთაშორისო და შიდა ინვესტიციების მიმართ, როგორიცაა სამართლიანი მოპყრობა ინვესტორის ან ინვესტიციის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის არსებული მტკიცებულებები ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენას. ტრადიციულად, მოწინავე ეკონომიკა დიდ როლს ასრულებდა, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყარო. დიდი რეცესიის დასაწყისამდე, გარეგანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (OFDI) ნაკადების თითქმის 90% მოდიოდა მოწინავე ეკონომიკებზე. ევროკავშირის ქვეყნები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, რადგან მათი წილი მსოფლიო OFDI-ში თითქმის 50% იყო. ამავდროულად, ევროკავშირმა და სხვა განვითარებულმა ეკონომიკებმა მოიზიდეს მთლიანი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (IFDI) ნაკადების 60%-დან 70%-მდე. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ევროპის რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური გავლენა. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ვაჭრობაზე ზემოქმედებაზე, მაგრამ ზოგიერთმა კვლევამ ასევე აჩვენა, თუ როგორ იმოქმედა ევროკავშირმა FDI-ზე მათ წევრებს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტიციების მოტივაციები, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, ევროკავშირის გამოცდილება.

## FOREIGN DIRECT INVESTMENT MOTIVATIONS AND BILATERAL INVESTMENT AGREEMENTS, EU EXPERIENCE

**Nino Bendianishvili**
PHD student at GTU

**RESUME**

The relevance of foreign direct investment (FDI) as a source of economic activity has grown rapidly over the last decade. The determinants of foreign direct investment are significant, both globally and at the EU level. Since the early 2000s, the global landscape of foreign direct investment has gradually changed, with the emerging market economy becoming known as the source and destination of such investment. Foreign direct investment and export is considered as an additional strategy to serve foreign markets.

In general, Puis has the potential to bring several benefits to the host country. The country promotes efficiency by increasing competition. It can also have a positive effect on productivity. New technologies are being saturated and provided in new markets. Improving the local workforce, their qualifications.

Bilateral investment agreements related to the regulation of investment activities are discussed. It ensures appropriate policies for international and domestic investment, such as fair treatment of the investor or the investment.

It should be noted that the available evidence for EU countries confirms the positive impact of foreign direct investment. Traditionally, the advanced economy has played a major role as a source of foreign direct investment. Prior to the Great Recession, almost 90% of foreign direct investment (OFDI) flows came from advanced economies. EU countries stood out especially as their share of the world OFDI was almost 50%. At the same time, the EU and other emerging economies have attracted 60% to 70% of total foreign direct investment (IFDI) inflows. It is noteworthy that the eco-

nomic impact of European regional integration is widely discussed in the literature. The main focus was on the impact on trade, but some research has also shown how the EU has influenced FDI among their members.

**Keywords:** Foreign direct investment, investment motivations, Bilateral investment agreements, EU experience.

* * * *

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და განმსაზღვრელი ფაქტორები თავის მხრივ შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: 1) საკუთრება, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმას საუკეთესოდ გამოიყენოს თავისი კონკურენტული უპირატესობები საზღვარგარეთ; 2) მდებარეობა, რომელიც გულისხმობს ადგილმდებარეობის უპირატესობების გამოყენებას მთელ მსოფლიოში (მაგ. შრომით ან ბუნებრივი რესურსების მიწოდება); და 3) ინტერნალიზაცია, რომლის დროსაც ფირმა ახდენს უცხოური ბაზრების ინტერნალიზებას აქტივების გამოყენების ან წარმოქმნის მიზნით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. უცხოურ ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი ამტკიცებს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ. [1]

FDI განპირობებულია ოთხი ძირითადი ფაქტორით: ბაზრები; აქტივები; ბუნებრივი რესურსები და ეფექტურობის ძიება.

1) უცხოეთში ინვესტიციებით, კომპანიებმა შეიძლება მოიძიონ წვდომა პერსპექტიულ ახალ ბაზრებზე. ამ პერსპექტივიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად უნდა იყოს დაკავშირებული მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის ზომასთან და მის საბაზრო პოტენციალთან ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

2) აქტივების მოძიება განპირობებულია ახალი, დამატებითი რესურსებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობით. ამ ტიპის ინვესტიცია მოტივირებულია ფირმის სურვილით გააუმჯობესოს ან გააფართოოს არსებული ტექნოლოგიები, მენეჯერული უნარები ან სამუშაო ძალა. ის ხშირად მიმართულია მოწინავე ქვეყნებისკენ. **ევროკავშირში** ტექნოლოგიური პროგრესი იყო ყოველთვის IFDI-ის მთავარ მამოძრავებელთა შორის.

3) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შესაძლოა გამოწვეული იყოს ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის სურვილით. ამ ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად მიმართულა ქვეყნებისაკენ, რომლებსაც აქვთ უხვი ბუნებრივი რესურსები. თუმცა, ბუნებრივი რესურსების დიდმა ფასეულობებმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს შეფერხება, რაც ცნობილია როგორც „ბუნებრივი რესურსების წყევლა", ანუ დიდი ბუნებრივი რესურსების უარყოფითი გრძელვადიანი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე (მაგ. ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ინსტიტუციური ხარისხით, ან კაპიტალის განაწილება).

4) ეფექტურობის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად განპირობებულია შრომის დაბალი ხარჯებით და მაღალი პროდუქტიულობით. ზოგადად, მოსალოდნელია, რომ ამ ტიპის ინვესტიცია მიმართული იქნება იქითკენ, სადაც აქვთ იაფი მუშახელის დიდი მარაგი (მაგ. ჩინეთი და ვიეტნამი) დაბალი დამატებითი ღირებულების ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია **ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების,** როგორც ინვესტიციების დაცვის მექანიზმის განხილვა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ფორმა. მის მიზნებში შედის ეკონომიკური თანამშრომლობა საინვესტიციო საკითხებში, ეკონომიკური განვითარების სტიმულირება და ცხოვრების მაღალი დონე. ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ მუშაკთა უფლებების პატივისცემის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაცვა.

გულისხმობს ორ ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებას, რომელიც შეიცავს ორმხრივ ვალდებულებებს ხელმომწერი მხარეების მოქალაქეების მიერ ერთმანეთის ტერიტორიაზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ. ეს შეთანხმებები ადგენს პირობებს, რომლითაც ერთი ქვეყნის მოქალაქეები ინვესტიციას ახდენენ მეორეში, მათ შორის მათ უფლებებსა და დაცვაზე. BIT უზრუნველყოფს დაცვას უცხოური აქტივების უკანონო ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციისგან და სხვა ქმედებებისაგან BIT-ის ხელმომწერის მიერ, რამაც შეიძლება შეარყიოს სხვა ხელმომწერის მოქალაქის საკუთრება ან ეკონომიკური ინტერესები. იმის გამო, რომ BIT არის შეთანხმება ხელმომწერ მხარეებს შორის, მათი პირობები განსხვავდება. თუმცა, ისინი ჩვეულებრივ მოიცავს საერთო ზოგად პრინციპებს. BIT-ის ერთ-ერთი მთავარი დაცვა არის ის, რომ ის საშუალებას აძლევს უცხოელ ინვესტორებს უჩივლონ სახელმწიფოებს უშუალოდ BIT-ის დარღვევის შესახებ პრეტენზიების წარდგენით არბიტრაჟში და არა ადგილობრივ სასამართლოებში.

ხელშეკრულებების მიზნებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მის ინტერპრეტაციას და მხარეთა შორის კონსულტაციების პროცედურების გაფართოებას. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კი ხაზი გაუსვა კონფლიქტის სირთულეს და პოტენციალს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებსა და ევროკავშირის კანონებს შორის ურთიერთობაში. [2] ორ-

მხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების პირველი მოდელი შეიმუშავა გერმანიამ. ზოგადად, ხელშეკრულების მოდელი ხელს უწყობს მოლაპარაკების სწრაფად წარმოებას და ამცირებს ხარჯებს. ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი რეგულირებების ჩამოყალიბებას. [3] ზოგადად, ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად სარგებლობენ განხორციელებული ინვესტიციებისგან. [4]

რაც შეეხება **ევროკავშირის** წევრ ქვეყნებს, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია იკვეთება. რაც შეეხება ევროკავშირის წევრობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სავარაუდო ზრდა მერყეობს 28-დან 83 პროცენტულ პუნქტამდე. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს კვლევები განიხილავს სხვადასხვა პერიოდს და ქვეყნების სხვადასხვა კომპლექტს, ამიტომ ისინი არ არის სრულად შედარებადი რომ გაზომონ ევროკავშირში გაწევრიანებისა და ევროს მიღების გავლენა სხვადასხვა ქვეყანაზე. ევროპაში რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური გავლენა ფართოდ საკითხია. ძირითადი აქცენტი კეთდება ვაჭრობაზე ზემოქმედებაზე, მაგრამ ზოგიერთმა კვლევამ ასევე აჩვენა, თუ როგორ იმოქმედა ევროკავშირმა და კერძოდ, ევროზონამ, FDI-ზე მათ წევრებს შორის. ევროკავშირში ეკონომიკური, მონეტარული და ინსტიტუციური ინტეგრაციის პროცესი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ევროკავშირსა და ევროზონაში გაწევრიანებამ, სავარაუდოდ, გაზარდა ორმხრივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები წევრებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით. ევროკავშირის მასშტაბით შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვები საშუალოდ უფრო დაბალია, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ერთგვაროვანი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ევროკავშირში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვები, მხოლოდ ორი გამონაკლისის გარდა, დაბალია OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე. დარგობრივ დონეზე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს თითქმის არ აქვთ შეზღუდვები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ წარმოების სექტორში, მაშინ როცა პირველადი სექტორის შეზღუდვები ზოგადად უფრო დიდია, ვიდრე მომსახურების სექტორში.

უახლესი გამოწვევა, რომლის წინაშეც ევროკავშირი დგას, არის გაერთიანებული სამეფოს მომავალი ევროკავშირიდან გასვლა (Brexit). მიუხედავად იმისა, რომ Brexit-ის გავლენა გაურკვეველია, კვლევების უმეტესობამ შეაფასა გაერთიანებულ სამეფოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება 12%-დან 28%-მდე. მართლაც, ბრექსიტმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს გაერთიანებული სამეფოდან ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესვლის ღირებულება, რაც ქვეყანას ნაკლებად მიმზიდველს გახდის უცხოელი ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, რეგულაციის ცვლილებებმა, რომლებიც შესაძლოა მოხდეს გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, შესაძლოა გაერთიანებულ სამეფოში ბიზნესის კეთება უფრო ძვირი დაუჯდეს ევროკავშირის MNE (Multinational Enterprise)-ებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1) სიხარულიძე დ., ჭარაია ვ., "უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება". „უნივერსალი", თბ. 2018, გვ. 203.

2) https://kluwerlawonline.com/journalarticle/Common+Market+Law+Review/46.2/COLA2009019

[უკანასკნელად გადამოწმდა 27.04.22]

3) ცერცვაძე გ.,"შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში". "მერიდიანი", თბ.2013 გვ.47-288

http://geoeconomics.ge/?p=14111 [უკანასკნელად გადამოწმდა 27.04.22]

# შრომის მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ფაქტორები

**გურამ ლომაია**
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორების არსებობა, რომელთაგანაც შრომას ერთ-ერთი უპირატესი როლი უკავია. თუმცა, თანამედროვე პირობებში არსებული ეკონომიკური ტემპების გათვალისწინებით, შრომა გაიგივებულია მწარმოებლური ძალების განვითარებასთან. ვინაიდან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიჯნაზე, მწარმოებლური ძალების განვითარებით ხდება ბაზრისათვის მორგებული, ხარისხისა და რაოდენობის საქონელის/მომსახურების შექმნა.

გარდა ამისა, შრომის მწარმოებლურობა მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზების გამო. მათ შორის, შრომის მწარმოებლურობის განვითარების საშუალებით, შესაძლებელია იგივე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოება ნაკლები დანახარჯებით. ამასთან, ბიზნესისთვის გაზრდილ მწარმოებლურობას მოაქვს უფრო მაღალი მოგება, რაც ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. აგრეთვე, მწარმოებლურობის ზრდა უზრუნველყოფს ადამიანური რესურსებისათვის ანაზღაურების მატებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. ხოლო, გრძელვადიან პერსპექტივაში, შრომის მწარმოებლურობა ერთგვარი გასაღებია სამუშაო ადგილების შექმნის.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ინტენსივობა, ეფექტიანობა, შედეგიანობა; შესრულების პროცესი; წარმოების ეფექტიანობა; რობერტ ნოლანის შეფასების ინდიკატორები.

## DETERMINANTS OF LABOR PRODUCTIVITY

**Lomaia Guram**
PhD student at GTU

**SUMMARY**

The existence of production factors is important for the development of the economy, of which labor plays one of the most important roles. However, given the current economic pace of labor, labor is equated with the development of the productive forces. Whereas, on the verge of scientific and technical progress, the development of productive forces creates the quality / quantity of goods / services tailored to the market.

In addition, labor productivity is important for a variety of reasons. Among them, through the development of labor productivity, it is possible to produce the same number of goods and services at a lower cost. At the same time, increased productivity for businesses brings higher profits, which allows them to make investments. Increasing productivity will also increase wages for human resources and improve working conditions. And, in the long run, labor productivity is kind of the key to job creation.

**Keywords:** labor intensity, efficiency, effectiveness; Execution process; Production efficiency; Robert Nolan Evaluation Indicators.

## შესავალი

წარმოდგენილ სტატიაში საუბარია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებულ საკვანძო საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობასთან. ვინაიდან, შრომის მწარმოებლურობის განვითარებაზეა დამოკიდებული ნებისმიერი საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროცესის ზედმიწევნით, კონსტრუქციულად ჩამოსაყალიბებლად განხილულ უნდა იქნას ყველა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მასზე გავლენას ახდენს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტატიაში საუბარია შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ტექნიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. ასევე, იმ პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან და შემცირებასთან.

გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე პირობებში, ისეთ მნიშვლენლოვან საკითზე, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჰქვია.

ვინაიდან, სტატია შრომის მწარმოებლურობას შეეხება, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილებულია შრომის ინტენსივობაზე და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პროცესებზე.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ნაშრომში განხილულია წარმოების ეფექტიანობა და მისი ინდივიდუალური კრიტერიუმები. ვინაიდან, ხსენებული საშუალებით განისაზღვრება წარმოების შედეგები.

აქვე, მნიშვნელოვანია, რომ სტატიაში საუბარია შესრულების პროცესზე. რასთან დაკავშირებითაც, განხილულია კალიფორნიის უნივერსიტეტის **პროფესორის - რობერტ ნოლანის** მიერ შემუშავებული შეფასების ინდიკატორები.

## ძირითადი ნაწილი

საზოგადოების ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები არ იყო ერთი და იგივე. კაცობრიობა არსებობდა 2 მილიონ-

ზე მეტი წლის წინათ, რა დროსაც პრიმიტიული ეკონომიკური სისტემის პერიოდში, შრომის ძალების განვითარება ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, რასაც ადასტურებს უახლესი სამეცნიერო მონაცემები. აღნიშნული დროის უმეტესი ნაწილი ქვის ხანაზე მოდის, თავისი პრიმიტიული და არაპროდუქტიული ქვის იარაღებით. ხსენებული პერიოდიდან, დაახლოებით 7-6 ათასი წლის შემდეგ, დაიწყო მეტალის ხელსაწყოების გაჩენა, თავდაპირველად იყო სპილენძი, შემდეგ ბრინჯაო, რომლებიც დიდხანს თანაარსებობდა ქვასთან, რა დროსაც (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში) ქვის იარაღებიდან ლითონზე გადასვლას (განსაკუთრებით რკინას), მოჰყვა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის დაჩქარება და შრომის სოციალური დაყოფა.

რკინა აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებათა შორის, რამაც რევოლუციური როლი ითამაშა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. აღნიშნული, აიხსნება იმით, რომ მონების შემდეგ, ყმების ხელით შრომა დიდი ხნის განმავლობაში წარმოების მთავარ ბაზად რჩებოდა, რასაც მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია შრომის წარმოებლურობის გაზრდისათვის.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაჩქარება დაიწყო ხელსაწყოებიდან მანქანებზე გადასვლით. ორთქლის ძრავის გამოჩენამ (მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარი) გამოიწვია ინდუსტრიული რევოლუცია წარმოებაში, რასაც თავის მხრივ თან ახლდა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის დაჩქარება.

აღსანიშნავია, რომ შრომის მწარმოებლურობის გაზრდის გზები უკავშირდება პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, მაღალი ხარისხი ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას, რა დროსაც იზრდება პროდუქციის რეალიზაცია და მცირდება დაბალი ხარისხის პროდუქციის უკან, საწარმოში დაბრუნება.

ნებისმიერი პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობს ორი სახის რესურსი: ცოცხალი შრომა, ანუ ადამიანური რესურსის მიერ, პროდუქტის წარმოების პროცესში გაწეული (დახარჯული) შრომა და ძირითადი საშუალებები, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ნებისმიერი სახის პროდუქტის შესაქმნელად (**შენობები, მანქანები და მთლიანად - ნედლეული, საწვავი, ენერგია, მასალები**).

შრომის მწარმოებლურობა იზომება, სამუშაო დროის ერთეულში მომუშავეთა მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობით (**საათი, ცვლა, თვე, წელი**). ანუ, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული დროით. [6., გვ.,: 20-22]

შრომის მწარმოებლურობა შეიძლება გამოითვალოს წარმოების მოცულობით, რაც გამოიხატება მთლიან გამომუშვებაში ან რეალიზებადი პროდუქტებით.

მთლიანი გამომუშავების თვალსაზრისით შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშება, სრულყოფილად საკმარისი საშუალება არ არის და არ ასახავს მის რეალურ დონეს. ვინაიდან, იგი დამოკიდებულია მიმდინარე სამუშაოების მოცულობაზე, საჭირო რაოდენობის მასალა ნედლეულის რაოდენობაზე და სხვა. მაგალითისთვის: პურის ქარხანა 9 საათის განმავლობაში აწარმოებს 10 000 ცალ პურს. ხსენებული სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ქარხანა აბსოლიტურ შემთხვევაში გამოუშვებს 10 000 ცალ პურს. აღნიშნული ფაქტორი დამოკიდებულია, არამარტო ტექნოლოგიურ, არამედ და წარმოების სხვა საშუალებებზე (ადამიანური რესურსი, ნედლეული, მასალები).

რეალიზებადი პროდუქცია, პირდაპირ ასახავს შრომის პროდუქტიულობის რეალურ დონეს, რაც დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ წამოების ხარისხიან საშუალებებზე. საგულისხმოა, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რეალიზებადი პროდუქცია, უნდა იყოს ხარისხზე და სტანდარტებზე მორგებული, რაც მიიღწევა არამარტო ხარისხიანი ტექნიკა-ტექნოლოგიებით, არამედ კვალიფიცირებული ადამიანური რესურსის გამოყენებით.

**შრომის მწარმოებლურობის ზრდზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ძირითადი სამი სფერო, რაც ხელს უწყობს ხსენებული პროცესის გაუმჯობესებას და გაჯანსაღებას:**

**1) მმართველობით-ბიუროკრატიული სფეროები,** რომლებიც ქმნიან შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებს: მეცნიერების განვითარების დონე, ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის დისციპლინის გაძლიერება, პერსონალის ბრუნვის შემცირება და სხვა;

2) **პერსონალის მასტიმულირებელი, მოტივაციური სფეროები:** მატერიალური და მორალური წახალისება (ხელფასების გაუმჯობესება, თანამშრომელთა შექება, მეცნიერულად და ტექნიკურად შრომითი სტანდარტების დანერგვა, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა);

**3) ტექნოლოგიურ-ინოვაციური სფეროები,** რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავს საწარმოში შრომის მწარმოებლურობის დონეს: მექანიზირება და წარმოების პროცესების ავტომატიზაცია, შრომის ხარისხის გაუმჯობესება, სამუშაო დროის მაქსიმაურად რაციონალურად გამოყენება, დეფექტების შემცირება, შრომის მენეჯმენტისა და ორგანიზების გაუმჯობესება და ა.შ. [3, გვ.,: 10-13]

**აღსანიშნავია, ის ძირითადი ტექნიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. კერძოდ, ესენია:**

**1) წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება;**

**2) მენეჯმენტის გაუმჯობესება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია;**

**3) წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება;**

**4) ინდუსტრიის ფაქტორები.**

პირველი ჯგუფი მოიცავს ფაქტორებს, რაც გავ-

ლენას ახდენს წარმოების ტექნიკურ საშუალებების გამოყენებით, მწარმოებლურობის ზრდაზე, მათ შორის: ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, პროგრესული ტექნოლოგია, წარმოების პროცესების მექანიზაცია/ავტომატიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების აღჭურვილობის დონის ზრდა, ნედლეულის, მასალების გამოყენების გაუმჯობესება, მოწინავე მასალების გამოყენება და სხვა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მენეჯმენტის გაუმჯობესება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია. რაც საშუალებას იძლევა: სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენების, წარმოების დონის გაზრდის, მომუშავე პერსონალისა და მართვის აპარატის შემცირების, შედეგად მიიღწევა შრომის შრომის მწარმოებლურობა;

მესამე ჯგუფის ფაქტორების თანახმად, შრომის მწარმოებლურობის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ყველა სახის წარმოების საშუალების მოდერნიზება უნდა მოხდეს. ამასთან, უნდა განხორციელდეს მოძველებული სტრუქტურის ახლებურად ფორმირება;

მეოთხე ჯგუფში შედის ყველა ფაქტორი, რომელთა გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე განისაზღვრება შრომის ინტენსივობის ცვლილებით და გამოითვლება ინდუსტრიის მეთოდებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. [7., გვ.,: 26-31]

ამასთან, **შრომის მწარმოებლურობაზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს მის შემცირებაზე, კერძოდ:**

წამოების პროცესში მაღალი დანახარჯები, ამცირებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ვინაიდან, ამ დროს მცირდება პროდუქციის წარმოების მოცულობა, რაც ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის შემცირებას;

მკაცრი სამთავრობო რეგულაციები და ორგანიზაციულ-ბიუროკრატიული წესების შემუშავება იწვევს ხარჯების გაზრდას და მწარმოებლურობის შემცირებას;

ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა; მაგალითად, ინფლაციის პირობებში ხდება მწარმოებლურობის შემცირება;

საგადასახადო პოლიტიკა და გადასახადების ზრდა იწვევს უფრო მაღალ ფასებს, რაც განაპირობებს პროდუქტზე მოთხოვნისა და წარმოების ოდენობის შემცირებას;

დაბალი ხარისხის ტექნოლოგიები და ცუდად სპეციალიზებული ადამიანური რესური, პირდაპირ კავშირშია შრომის მწარმოებლურობის შემცირებასთან;

სოციალური ფაქტორები: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა. აღნიშნული მიდრეკილებების მქონე მუშა ხელი ნაკლებმწარმოებლურია. ასევე, ხსენებული ფაქტორები განაპირობებს შრომის ბაზარზე კადრების დეფიციტს.

შრომის მწარმოებლურობის დონის ზრდის საფუძველია სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი. მისი გაზომვა შესაძლებელია დროის ერთეულში, ან წარმოებული პროდუქციის ერთეული რაოდენობის მიხედვით.[5., გვ.,: 11-20]

**სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ეფექტიანობის გაზრდის პროცესში, ახალი აღჭურვილობის გამოყენება და საქონლის წამოებისათვის საჭირო მოწინავე ტექნოლოგიები, საშუალებას იძლევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების. ამასთან, შრომის ეფექტიანობის გაზრდის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: მოძველებული აღჭურვილობის ახლით შეცვლა; საქონლის მიმოქცევისათვის საჭირო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საქონლის მიწოდების, ასევე მისი გადაზიდვის საშუალებების ინდუსტრიალიზაცია.**

ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული დრო, არის შრომის ინტენსივობა. კერძოდ, ფორმულის ენაზე, დროის ერთეულში წამოებული პროდუქციის რაოდენობის **(ცვლა, თვე, წელი)** შეფარდებით შრომის ინტენსივობასთან, მიიღება (გამოითვლება), შრომის მწარმოებლურობა. [4., გვ.,: 6-10]

აქვე, საგულისხმოა, რომ შრომის მწარმოებლურობა ინტენსიური ფაქტორია, მისი დონე იზომება დროის ერთეულში პროდუქციის წარმოებით და საწარმოო პროდუქციის შრომის ინტენსივობით.

შრომის ინტენსივობა ასახავს სამუშაო დროის ღირებულებას, იგი იზრდება შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად და მცირდება მისი შემცირებით.

შრომის ინტენსივობის ერთეულები სტანდარტული საათებია. პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული შრომა შეიძლება აისახოს სამუშაო საათებში, სამუშაო დღეებში ან დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაზე.

ზემოხსენებული საკითხებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, წარმოების ეფექტიანობაზე, რაც მიიღწევა, საწარმოო რესურსების გამოყენებით და საბოლოო შედეგებს მიზანმიმართულად, სრულყოფილად ასახვას. წარმოების ეფექტიანობა გამოხატავს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რაც გულისხმობს ყველაზე დაბალი დანახარჯებით, ადამიანური რესურსების სრული შესაძლებლობების გამოვლენით და ამ უკანასკნელთა მიერ წარმოების სხვა ფაქტორების სრულად გამოყენებას, მაქსიმალური შედეგების მისაღწევად.

შრომის მწარმოებლურობის განხილვისას, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, შესრულების პროცესზე, რაც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამრეწველო წარმოების მართვის სფეროში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**თანამედროვე პირობებში, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ნოლანმა შეიმუშავა შესრულების შეფასების შემდეგი ინდიკატორები, რაც გარკვეულწილად ზუსტად ასახავს ადამიანური რესურსის მიერ შესრულებულ სამუშაოს. კერძოდ:**

**50% შესრულება** არის მწარმოებლურობის საერთო დონე, როდესაც არანაირი მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იდგმება პროდუქტიულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამასთან, 40-60% დიაპაზონი (ანუ 50% დონე) არ ნიშნავს, რომ ადამიანები მუშაობენ სამუშაო დროის ნახევარს. არამედ, 50% შერულება ნიშნავს, რომ მომუშავეები ახორციელებენ დაგეგმილი სამუშაოს მხოლოდ ნახევარს, განსაზღვრული დროის განმავლობაში.

**70% შესრულება** არის მწარმოებლურობა ის დონე, რომელიც შეიძლება მივიღოთ როგორც მინიმალურად მისაღები. რა დროსაც, დაბალი მწარმოებლურობით მუშაობა კომპანიისთვის მომგებიანი არ არის, ხოლო აღნიშნულზე გავლენას ახდენს: სამუშაო ადგილი (იგულისხმება რთულ პირობებში მუშაობა), გამოყენებული ტექნიკა და ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული სამუშაო არ ნაზღაურდება შესაბამისი ანაზღაურებით.

**100% შესრულებას** შესაძლებელია მიაღწიოს მიიღოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკმა, ზედმეტი სტრესის გარეშე. აქვე, საგულისხმოა, რომ ყველა მუშაკს არ შეუძლია აჩვენოს 100% მწარმოებლურობა. ამასთან, მწარმოებლურობის ქვედა ზღვარი, რომელსაც უნდა მიაღწიოს გარკვეული სტაჟის მქონე შემსრულებელმა, არის 85%.

**120% შესრულება** არის ის დონე, რომელზეც მატერიალური წახალისების სისტემაა ორიენტირებული. „საშუალო" მუშაკს შეუძლია ამ დონეს მიაღწიოს მისი შესაძლებლობების სრული გამოყენებით. ამიტომ, ასეთი დონის მწარმოებლურობის მიღწევასთან დაკავშირებული სამუშაოები სათანადო სტიმულირებით უნდა განხორციელდეს.

**135% შესრულება** მიიღწევა მაქსიმალური დატვირთვით და მხოლოდ ძალიან კარგი პერსონალის მიერ. ამგვარი ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი შესაძლებლობები. [6., გვ.,: 14-18]

შესრულების დონის განსაზღვრა მეტწილად სუბიექტური პროცესია, შესაბამისად, ექსპერტებს ეკისრებათ შესაბამისი მოთხოვნები (პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ობიექტურობა, მორალური თვისებები). გარდა ამისა, ამ დროს არ შეიძლება მწარმოებლურობის დონე გამოითვალოს ერთი თანამშრომლის მაგალითზე, ეს არის შემსრულებელთა ჯგუფზე დაკვირვების შედეგი და იგი მიიღება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის მწარმოებლურობას და მის ამაღლებას ნებისმიერ საქმიანობაში უპირატესი როლი უკავია. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის მწარმოებლურობა ზოგადად არის რთული პროცესი, რომლის განვითარებაც დამოკიდებულია სხვადასხვა მრავალფაქტორიანი ელემენტების სტრუქტურიზებულად წარმართვაზე.

გარდა ამისა, აღანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში, მომხმარებლების განსხვავებული მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ბაზარის მოთხოვნების სტანდარტებიც მაღალია. შესაბამისად, შრომის მწარმოებლურობის როლი უმნიშვნელოვანესია. ვინაიდან, სასურველი შედეგების მისაღწევად საჭიროა არა მარტო წარმოების მოცულობის გაზრდა, არამედ ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის საჭიროა თანამედროვე მიდგომების გამოყენება, რათა სასურველი შედეგი იქნეს მიღწეული. ამასთან, აღსანიშნავია ტექნოლოგიური ფაქტორების როლი, რომელთა სისტემური მოდერნიზება და სრულყოფა დღითი დღე აქტუალურია.

გარდა ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის მწარმოებლურობის განვითარებისათვის აუცილებელია შესრულების პროცესის მუდმივი მონიტორინგი, რა დროსაც განსაზღვრულ უნდა იქნეს ყველა საკვანძო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საქმის ზედმიწევნით შესრულებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fred Luthans, Robert Kreitner, Organizational behavior modification, Scott Foresman, 1975;

2. Walter Mischel, Personality and Assessment, Lawrence Erlbaum Associates;1996;

3. Max Weber, Economy and Society, University of California Press; First Edition, Two Volume Set, with a New Foreword by Guenther Roth edition (October 11, 2013);

4. Song Gao, A Study on the Productivity and Effifficiency Effects of Enterprise Reforms in China 2010;

5. Henri Fayol, General and Industrial Management, Martino Publishing, 2013;

6. Ville-Einari Utriainen, A COMPARATIVE ANALYSIS OF PRODUCTIVITY AND PRODUCTIVITY FACTORS IN THE EU AND USA OVER THE PERIOD 1995 – 2015. 2017;

7. Fred M. Taylor, The Guidance of Production in a Socialist State, The American Economic Review. Mar., 1929;

8. Гнездовский Ю.И., Поварич И.П. Проблемы организации оплаты труда в современных условиях. – Кемерово: Кузбассвузиздат, 2017.

# მწვანე ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგიის პრაქტიკული გააზრება

***ნინო ჯარიაშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

აკლია ქართული რეზიუმე

**PRACTICAL UNDERSTANDING OF GREEN ECONOMY TEACHING METHODOLOGY**

**Nino Jariashvili**
PhD student Of GTU

**ABSTRACT**

This theme is the new in Methodology of teaching economics. We would like to offer to our government and some competitive organizations to make the project that will invite famous and intelligent professors, methodologists, PhD people to make some practical and theoretical methods of teaching of the green economy. All we need is the new way to develop our Georgian society and economical principles. Thus, If the country has a typical education of its green economy, we will achieve every goal in social and economical way. We prefer the Georgian cases and also some practical examples of the world. Our slogan is "Green Education For A Green Economy".

From our practical experience in teaching, we know if we make our best green economy teaching methods, we will be able to grow up a person discovering himself or herself and skills to develop their own personality as a desirable green consumer or supplier.

**Key words**: Green economy, Green economy teaching methodology, Green consumer, Green supplier.

* * * *

თემა „მწვანე ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგიის პრაქტიკული გააზრება“ საკმაოდ საინტერესო საკითხია ნებისმიერი სკოლის ასაკის მოსწავლისათვის, როგორც არაფორმალური განათლების ერთ-ერთი ძირითადი საგანი და ასევე ყველა სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, რომლებიც თვლიან თუ არ თვლიან მოცემული სწავლების აუცილებლობას მიზანშეწონილად ყველა ადამიანისათვის აუცილებელია, რადგან ჩვენ, განურჩევლად სქესისა და განურჩევლად ეროვნებისა თუ რელიგიური წარმომადგენლებისა დაბადების პირველი წამიდანვე ვხდებით მომხმარებლები. თემა ძალიანსაინტერესო და სიახლეების მომცველია, სადაც ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგიური განვითარება მიიჩნევა მუდმივად განვითარებად სფეროდ და ინოვაციურ სიაახლეებზე დაფუძნებულ შემოქმედებით საკითხად. ამას მოწმობს ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებაც. ჩემი სადოქტორო თემა, რომელსაც დიდი ენთუზიზმით ვიკვლევ, სწორედ მწვანე ეკონომიკას შეეხება. მის მნიშნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მწვანე ეკონომიკური განათლების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენი დევიზია „მწვანე შუქი მწვანე განათლებას“ (-ნ. ჯ.).

2001-2011 წლების პირადი პრაქტიკული მაგალითებით ეკონომიკური სწავლების არაერთ გამოწვევას შევხვდით. თუმცა ამ პერიოდში საგანი მხოლოდ „ეკონომიკის საფუძვლების“ სახელწოდებით იყო ცნობილი სკოლის ზედა საფეხურზე (იგულისხმება 10-11 კლასი). ჩემი პირადი გამოცდილება ქ. თბილისის გალაქტიონ ტაბიძის 51-ე საჯარო სკოლას უკავშირდება. მაშინ და სამწუხაროდ ახლაც, საქართველოში არ არსებობდა მწვანე ეკონომიკის რაიმე განსაკუთრებული კურსი, ან თუნდაც სასწავლო თემა სახელმძღვანელოში. სწორედ ამ წლებში, პრაქტიკულად ვეზიარე ეკონომიკური სწავლების მეთოდებსა და მეთოდოლოგიას. დღესდღეობით არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები ან საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც ახორციელებენ საქართველოში არაერთ სასწავლო ეკონომიკურ პროგრამას საჯარო თუ კერძო სკოლებისათვის (საფეხურების მიხედვით: დაწყებით, საბაზისო და საშუალო საფეხურებზე). ზოგიერთი მათგანი ზის სასწავლო ბადეში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ხოლო ზოგიერთს კლუბური მუშაობის პრინციპით ახორციელებენ მოხალისე-მასწავლებლები გაკვეთილების შემდეგ. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს მწვანე განვითარების გეგმას.

2001 წლიდან, პირველი ექსპერიმენტი განხორციელდა პროფესორ როზეტა ასათიანისა და ჩემს მიერ 51-ე საჯარო სკოლასთან არსებული ლიცეუმის VI კლასის მოსწავლეებსა და სკოლა-ლიცეუმ „ნინო“-ს მოსწავლეებში, სახელმძღვანელო „ეკონომიკა - კეთილი ჯადოქარის მიხედვით“. სკოლის დირექტორის, ქ. ინეზა იამანიძის თანხმობითა და ინიციატივით ჩვენ შევძელით პირველად გვეზიარებინა საბაზისო სკოლის მოსწავლეები ეკონომიკურ ცოდნას. პროფესორ როზეტა ასათიანის მონდომებით სახელმძღვანელო VII და VIII კლასისთვისაც დაიწერა. ეს სამი სახელმძღვანელო არის პირველი ქართული ეკონომიკის საგანმანათლებლო სახელმძღვანელო საქართველოში, რომელიც სამწუხაროდ ბევრმა არ იცის. სახელმძღვანელო თავდაპირველად ზღაპრის სახით სთავაზობს მოსწავლეებს ეკონომიკის რაობისა და სიკეთის გარკვევაში (VI კლასი). ხოლო შემდეგ ეტაპებზე, იგი საინტერესო საერთაშორისო მაგალითებს მიმოიხილავს და სა-

ბავშვო დონეზე აცნობს თავისუფალი ცხოვრების ეკონომიკურ პრინციპებს.

რაც შეეხება X-XI კლასის სახელმძღვანელოს, იგი 2004 წელს შემოვიდა ჯერ თბილისის სკოლებში და შემდეგ რეგიონებში სახელწოდებით „გამოყენებითი ეკონომიკა" (იგი არასამთავრობო ორგანიზაცია "Junior Achievement - საქართველოს" მიერ დაიბეჭდა და არის „Junior Achievement -World"-ის ნათარგმნი ვარიანტი). ამის შემდეგ საგანმანათლებლო სივრცეში ჩნდება სხვა ადაპტირებული სახელმძღვანელოებიც, ამზადებენ მასწავლებლებს საქართველოს მასშტაბით და აზიარებენ ეკონომიკური საფუძვლების ძირითად პრინციპებს ჩვენი ქვეყნის მასწავლებლებს, რომლებსაც ხან ანაზღაურების გარანტიით, ხან სასკოლო სწავლების პრაქტიკის მიღების პრინციპით სთავაზობენ დასაქმებას.

ჩემი ტრენერობის პრაქტიკა საშუალებას მაძლევს დასკვნისას წარმოვადგინო ზრდასრული მასწავლებლებისა და თავად მოსწავლეების განწყობა აღნიშნულ სწავლებებთან დაკავშირებით. მწვანე ეკონომიკის ჩანაცვლებითი სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიის აუცილებლობა დღეს ნომერ პირველი საკითხია სკოლის დამამთავრებელი ეტაპის მოსწავლეებისათვის. მით უმეტეს, რომ მეთორმეტე კლასის მოსწავლეები ჩამოუყალიბებელი პროგრამის საფუძველზე გადიან სწავლებას (ჩვენ გამოვიკითხეთ რამოდენიმე სკოლის მოსწავლეები). ძალიან დიდი როლი მიუძღვის სწორად შერჩეულ მეთოდიკას სწავლების პროცესში. მეთოდიკის საშუალებით ჩვენი ახალგაზრდა წარმომადგენლები და თავად მასწავლებლები, ასევე სკოლის სხვა დანარჩენი თემიც კი, შესაძლოა ვაქციოთ ყველაზე სასურველ მოქალაქედ, რომლებშიც გაიღვიძებს შემოქმედებითობის ნიჭი და ჩვენთვის სასურველ „მომავლის პროგრამაში" (ნ. ჯ.), რომელსაც ჩვენი სადოქტორო ნაშრომის წაკითხვისას გაეცნობით.

მოცემული მეთოდიკა, ჩვენს შემთხვევაში ეყრდნობოდა სახელმძღვანელო მეთოდიკასა და პირად მეთოდიკას, რომელიც გზადაგზა შევიმუშავეთ მოსწავლეებისათვის მეტი დაინტერესებისათვის და სხვადასხვა ჩანაფირიქრების მისაღწევად (ყოველდღიური ქართული გამოწვევები ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომელიც სხვადასხვა მოსწავლეს ან ადამიანს ხვდება სკოლისა და უნივერსიტეტებს მიღმა, რასაც ე. წ. ქეისების სახით ვიხილავდით). იგივე მეთოდიკა განვითარებული ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით გამოვცადეთ კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგისა და ეკონომიკის" საგანში, რამაც უდიდესი დაინტერესება და სიკეთე მოგვიტანა ყველა სალექციო კურსის მონაწილეს ახალი მიდგომებითა და გზადაგზა ჩამოყალიბებული მოულოდნელად აღმოცენებული ახალი იდეების სახით. ეს არის ე. წ. „გონივრული თამაშების განზომილებაში" გადასვლა, რომელსაც აუცილებლად თან სდევს პრაქტიკული მოდელირებული ელემენტები ციფრული ან არაციფრული სახით.

ამდენად, მოცემული ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგიის პრაქტიკული გამოცდილება დღეს უკვე მაფიქრებს მწვანე ეკონომიკურ სწავლებაზე ახალი სტილით, ახალი მეთოდებითა და ახალი ე. წ. ქეისებით. ვფიქრობ, თემა ახალი და აქტუალურია. სამწუხაროდ დაგვიანებულია მისი პრაქტიკული განხორციელება, მაგრამ, როგორც ქართული გამონათქვამი გვეუბნება: „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს".

თანამედროვე საუკუნის მეცნიერები უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც მწვანე ეკონომიკის თემას განიხილავენ სხვადასხვა კუთხით. ჩვენ არ დავიწყებთ მისი მისიის, მიზნების, ამოცანებისა და მარეგულირებელი მექანიზმების რაობის შესახებ მსჯელობას. უბრალოდ აღვნიშნავთ, რაოდენ სიკეთის მომტანია იგი საზოგადოებისათვის. აქამდე სიტყვა „მწვანე" ეკონომიკურ სწავლებაში არ გამოიყენებოდა, რადგან კაცობრიობა ზრუნავდა ჯერ გადარჩენისათვის, სარჩო-საბადებლის შოვნისა და მისი გამოყენებისათვის, შემდეგ რამოდენიმმე საფეხურით განვითარებული ფუფუნების ნივთების შექმნისათვის და მოხმარებისათვის. როგორც იქნა, არსებული მსოფლიო მოსახლეობის მკვეთრი უთანასწორობითა და კვლავ შიმშილის დაძლევის სურვილით მეცნიერები საკმაოდ აქტიურად მსჯელობენ მწვანე ეკონომიკის სიკეთეებსა და გამოწვევებზეც. ეკონომიკა, როგორც მულტიდისციპლინური მეცნიერება, აუცილებლად უნდა შეიცვალოს „მწვანე ეკონომიკად" და მისი განვითარების მარცვალი სკოლამდელი და ასავე სკოლის ასაკის მოსწავლეების განათლებაში უნდა ჩაიდოს, როგორც მომავლის სასურველი ინვესტირება, რომელსაც სკოლის დამთავრებამდე ან მის შემდეგ „მწვანე ეკონომიკურ დოვლათს " (ავტორი - ნინო ჯარიაშვილი) შესაქმნელად გამოიყენებენ სალად მოაზროვნე ახალგაზრდები.

მაღალ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები, მაგალითად ამერიკა, ჯერ კიდევ 1919 წლიდან იწყებს მეთოდოლოგიური საფუძვლების განხილვას და აყალიბებს ეკონომიკის საფუძვლების სწავლების მეთოდებს ფსიქოლოგებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების დახმარებით (აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკა მულტიდისციპლინური მეცნიერებაა) სკოლამდელი განათლების სფეროდან დაწყებული ბოლო საფეხურებით დამთავრებული[1]. ჯუნიორ ეჩივმენტ მსოფლიოს დამსახურებით, მისი პროგრამები ძირითადად 100 ქვეყანაში ხორციელდება, ესენია მისი პარტნიორი ქვეყნები: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, საქართველო და სხვ. საქართველოში არსებობს მათი ქართული პროგრამები[2], რომელსაც სასურვე-

1 Junior Echivment-world მასალები. https://www.jaworldwide.org

2 http://jag.ge/index.php?page=programs&id=1

ლია მწვანე მიმართულებაც მიეცეს.

ჩვენ გვაქვს სურვილი, მწვანე ეკონომიკის მეთოდოლოგიის პრაქტიკული გააზრებისათვის მოხდეს დამსახურებულ მეცნიერ-მუშაკთა, პროფესორთა და დოქტორთა წარმომადგენლების თავმოყრა და ერთიან საგანმანათლებლო მეთოდოლოგიაზე ორიენტირება სამომავლო სახელმძღვანელო წიგნების შესაქმნელად. ყველა ერს თავისი განვითარების ისტორიის შესაბამისი მაგალითები სჭირდება, რომელიც არ გამორიცხავს მსოფლიო თანამეგობარი ქვეყნების გამოცდილებასა და მაგალითებს. ამ სურვილის ასრულება მხოლოდ სახელმწიფოსა და გრანტის გამცემ სხვადასხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ. ისედაც განათლების სისტემა აუცილებლად გადავა თანამედროვე სწავლების სტადიაზე, სადაც მოსწავლეთა მეტი თავისუფალი აზროვნება მოიაზრება. სკოლის დამთავრების შემდეგ ყველას აღარ აქვს სურვილი ჩააბაროს უნივერსიტეტში, რადგან ზეპირი გამოკითხვების საფუძველზე, გამოგვაქვს დასკვნა, რომ ახალგაზრდები ფიქრობენ სოფლისა და მეწარმეობის სფეროში საკუთარი ძალების მოსინჯვას. ეს კი მწვანე მიმართულებით უდიდეს სიკეთეს მოუტანს ყველას. სწორად შემუშავებული მეთოდოლოგია პრაქტიკაში მოგვცემს შემდეგ სასურველ შედეგებს: 1. ახალგაზრდები უფრო გონივრულად აირჩევენ მომავალ პროფესიას თეორიული თუ პრაქტიკული განხრით. 2. ახალგაზრდები ინოვაციური გზებით განავითარებენ მწვანე მიდგმების ასპექტებს. 3. ახალგაზრდები იქნებიან მაგალითი წინა და შემდგომი თაობებისათვის. ისინი შემოიკრებენ სხვა დანარჩენ საზოგადოებას საკუთარი წარმატების იდეა ფიქსის გასავითარებლად.

მეთოდოლოგიის სანიმუშოდ გთავაზობთ რამოდენიმე პრაქტიკულ მაგალითს. მაგალითად, სკოლის ბოლო საფეხურებზე მწვანე ეკონომიკის სწავლების პრინციპით შესაძლებელია განვავითაროთ შემდეგი ქეისი. შემთხვევას ვაყალიბებთ ჩვენი ავტორობით და საკითხი ეხება რეკლამასა და მისი კომპონენტების გააზრებას. მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი განაცხადს წინასწარ მოფიქრებულ „მწვანე პროდუქტზე" . ისინი ფიქრობენ პროდუქტის გაცნობის ხერხებზე და საშუალებებზე, ასევე სხვა კრეატიულ ელემენტებზე, რომლითაც ისინი იქნებიან გამორჩეული სხვა დანარჩენი მწარმოებლებისაგან. მათი მიზანია გააცნონ საზოგადოებას ამ „მწვანე პროდუქტის" დადებითი და უარყოფითი მხარეები. ცდილობენ შეიმუშავონ თანამედროვე ციფრული თუ არაციფრული გზებით დააფიქრონ საზოგადოება აღნიშნული პროდუქტის აბსოლიტურ ან შეფარდებით უპირატესობის დორმაზე. ვის როგორ და რა მიმართულებით შეუძლია მათი გამოყენება. ასევე, რამდენად დიდია მისი მომგებიანობა და ეფექტიანობა გრძელვადიანი პერსპექტივით მომავალი თაობების კეთილდღეობებისათვის და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. მათ შეუძლიათ შექმნან „მწვანე ციფრული ნომენკლატურა" „მწვანე პროდუქტის" მოძრაობისათვის. ამავდროულად უამრავი სააზროვნო თემა თუ ესსე შეუძლიათ ამ თვალსაზრისით განავითარონ.

ჩვენ თანამედროვე საზოგადოების მწვანე ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტად მიგვაჩნია მწვანე ეკონომიკური სწავლების მეთოდოლოგიის სრულყოფა, რომელიც გარკვეულ კორელაციურ კავშირს ქმნის მწვანე განათლებასა და მწვანე დროის მსვლელობას შორის.

მეთოდოლოგიის ნაწილია ასევე, მწვანე კლუბების ჩამოყალიბებაც, რომლებიც მოაწყობენ მწვანე ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. მომავალი ახალგაზრდების ხელშია და მათი არ დაფიქრება ამ მხრივ დიდი ზიანს მოუტანს მთელს საზოგადოებას, მაშინ როცა, აფრიკის დაბალგანვითარებული ქვეყნები უკვე მოწინავე ადგილს იჭერენ ამ თვალსაზრისით. მაგალითად კენია, რომელიც 99%-ით მწვანე წარმოებაზეა გადასული (UNDP).

ბაკალავრიატის დონის სტუდენტებს უფრო ფართო მასშტაბითა და შესაძლებლობებით შეუძლიათ ინტერნეტ-ციფრული წყაროების გამოყენება და მწვანე ეკონომიკური კრეატიული/შემოქმედებითი იდეების განვიტარება. თუმცა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეგვიძლია აუდიტორიის წინაშე წარმოდგენილი სცენარის/მოდელირების შეთავაზებაც და ინტერნეტ მოდელირების წარმოდგენაც პრეზენტაციებისა და პრეზენტატორების საშუალებით.

პრაქტიკული მოდელირების უამრავ კარგ მაგალითა შორის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია, მოდელირება სახელწოდებით „სტუმრად აბორიგენებთან". აღნუშნული, შესაძლოა ინტერნეტ პროგრამებითაც დაიხვეწოს და გაციფრულდეს. მოდელირების იდეა ზუსტად მიესადაგება მწვანე ეკონომიკის მსოფლიო პრინციპს - აღმოფხვრას დედამიწაზე შიმშილი, გაჭირვება და სიღარიბე. ამის სტრატეგიულ პოლიტიკად გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და მისი მხარდამჭერი ორგანიზაციები (PAGE, UNEP, IEA და სხვ.) მიიჩნევენ ურთიერთგაცვლის პოლიტიკას, სადაც ნაკლებად განვითარებული ქვეყანას მაღალ განვითარებული ქვეყანა შესთავაზებს ტექნოლოგიებს „მწვანე ნედლეულის" სანაცვლოდ. დაბალგანვითარებული ქვეყნები ხელით შრომის დროს უდიდეს დროს კარგავენ, მაშინ როცა იგივე საქმიანობისას, როგორიცაა მიწის მომზადება ხორბლეულის დასათესად, დათესვა, მომკა და დახარისხება ნედლეულისა უფრო მცირე დროშია შესაძლებელი შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით.

წარმოვადგენთ ზემოთ აღნიშნული მოდელირების მრავალჯერ გამოცდილ მაგალითს. არსებობს წესები, რომლებსაც სტუდენტები წინასწარ ეცნობიან. ყალიბდება ორი 5-8 კაციანი ჯგუფი. და ასევე მესამე ჯგუფი დამკვირვებლების სახით. პირველი ჯგუფი ანუ აბორიგენთა ტომი ირჩევს აფრიკის ტერიტორიას, ჩამოწერს კლიმატურ პირობებსა და ცხოვრების წესებს, რელიგიურ მიმდევრობასა და

სხვა დამახასიათებელ დემოგრაფიულ ნიშნებს. მეორე ჯგუფი, ამერიკის (საქართველოს ამ მაგალითში ვერ გამოდგება, რადგან თავად აქვს საკმარისი ნედლეული საკუთარი მოსახლეობის დასაპურებლად.) წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტექნოლოგიები და ეძებენ ნედლეულის იმპორტიორ ქვეყანას. ერთ-ერთი აფრიკელი, რომელიც რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ ადგილს კონტაქტს ამყარებს ამერიკელებთან და შემოყავს აფრიკის მოცემულ ტერიტორიაზე. (თუმცა აფრიკის ნაცვლად ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე ადგილი შეიძლება წარმოვადგინოთ. მაგ., სვანეთი, ხევსურეთი, მაღალმთიანი აჭარა ან სხვა.) რაუნდების მიხედვით ამერიკის ჯგუფმა უნდა შექმნას კითხვარი როგორ მოაწონოს თავი აფრიკულ ტომს და მარკეტინგული კვლევის საფუძველზე უნდა შესთავაზოს მათთვის სასურველი ტექნიკა დანადგარები, მაშინ როცა სადღაც მეორე განზომილებაში არსებობს სხვა იაპონელთა და ჩინელთა ჯგუფი (შეგვიძლია ისინიც ჩავრთოთ ამ მოდელირებაში, მაგრამ ასე 5 საათი არ ჰყოფნის ამ მეთოდს რადგან ძალიან აქტიური, შრომატევადი და სახალისოა), რომლებიც სხვა საუკეთესო ვერსიას სთავაზობენ მოცემულ ტომს. მოდელირება ასწავლის სტუდენტებს დაშვებული შეცდომებით საუკეთესო ხარხების ძიებას, ასევე გონებრივ აქტივობას და საუკეთესო არჩევანის გაკეთებას, მწვანე ეკონომიკის აქტუალობის არსსა და „მწვანე გუნდურ მოღვაწეობას“. აქვე ცალკე თემა ეთმობა რეკლამის მომზადების სახეებსაც, ფორმებსა და მეთოდებს. ეკონომიკის ძირითადი პრინციპი მინიმალური რესურსებით მაქსიმალური მოგების მიღებაა და ის, თუ როგორ შეიძლება მიიღონ „მწვანე გადაწყვეტილებები“ თანამედროვე ეკონომიკური თუ სოციალური გადაწყვეტილებების მიღებისას.

ასევე, შესაძლებელია გაკეთდეს სხვადასხვა მწვანე სიმულაციური თამაშები და მათი ჩამოყალიბება-განვითარების მხრივ მოსწავლე ახალგაზრდების ჩართვა. მოდელირებული კომპიუტერული თამაშით შესაძლებელია ადამიანის ტვინის აწყობა შესაბამისი სეგმენტ-ნაწილებისგან და ეს ნაწილები ადამიანის სხვადასხვა საქმიანობის პრაქტიკული თუ თეორიული სფეროები იქნება. ქალაქში, სოფელში ან დაბაში, ან თუნდაც აუთვისებელ მიწაზე, სტუდენტები მიიღებენ გადაწყვეტილებას როგორ წარმართონ საკუთარი ბედი და ჯერ გადაირჩინონ, დაიმკვიდრონ და შემდეგ განავითარონ პირადი პერსპექტივები მწვანე მომავლისათვის.

ჩვენს მიერ აღნიშნული თემიდან გამომდინარე, ფოკუსირება გავაკეთეთ პრაქტიკულ მეთოდოლოგიურ მაგალითებზე, თუმცა ყველა მაგალითის ერთად თავმოყრა შეუძლებელია ამ ერთ სტატია ში. როდესაც სტუდენტები თავად ეცნობიან ამგვარ მეთოდიკასა და მის არსს მათ ეძლევათ დავალებები საკუთარი ინტერპრეტაციით შემოგვთავაზონ ახლებური ხედვა ეკონომიკის ამა თუ იმ პროცესის უკეთესად გასააზრებლად. ეს არის თვით კვლევის სიმულაციური მაგალითი, რაც ლიტერატურაში არ შემხვედრია.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ცნობიერების გაზრდა გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. სტრატეგიის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს ადამინის უფლებების დაცვა, მათ შორის, ჯანსაღ გარემოში ეკონომიკური ცხოვრების უფლება. განათლების სისტემა თავად ვერაფერს შეცვლის თუ ხელისუფლება არ დაუდგა მას გვერდში. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სტარტეგიული გეგმისა და საერთაშორისო, მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელება. საჭიროა როგორც სასწავლებლების, დამსაქმებლებისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების, ასევე ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება მწვანე ეკონომიკის საკითხებთან.

ამ თვალსაზრისით აუცილებელია მასმედიის როლის გაძლიერება, ჟურნალისტების მომზადება გარემოსდაცვით საკითხებში, პუბლიკაციებისა და საინფორმაციო ბიულეტენების მომზადების ხელშეწყობა, ტელევიზიით რეგულარული გადაცემების, დისკუსიებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა. სატელევიზიო კონკურსებისა და თამაშების, სასკოლო, პროფესიული თუ საუნივერსიტეტო კონკურსების მოწყობას. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობის ჩართულობას მწვანე ეკონომიკის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის, ისეთი საკითხების, რომელთა მნიშვნელობასაც მოსახლეობა მოცემულ ეტაპზე ვერ აცნობიერებს.

განათლების პარალელურად ნებისმიერი საფეხურის ადამიანმა, სკოლის ასაკის იქნება თუ საუნივერსიტეტო საფეხურის, მონაწილეობა უნდა მიიღონ მწვანე ეკონომიკურ ღონისძიებებში, რათა გამოიმუშაონ შესაბამისი ჩვევები. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სწავლის შედეგების მიღწევას, არამედ მოსწავლეებსა და სტუდენტებში მწვანე ეკონომიკური ცნობიერების განვითარებას.

ასევე, აუცილებელია ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მშობლების მწვანე ცნობიერების გაზრდაზე, ეკოლოგიური და ენერგოდაზოგვითი ქცევების განხორციელებაზე. ამ თვალსაზრისით ექსპერტებთან, მასწავლებლებთან, პროფესორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნდა მომზადდეს ცვლილებები და შესაბამის დოკუმენტებში აისახოს: მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტი, ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტები, სახელმძღვანელოები, პროფესიული სტანდარტები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამები.

საქართველოს უნივერსიტეტებისათვის უნდა მომზადდეს რესურსები, გზამკვლევები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები, სახალისო აქტივობები, თამაშები, ვიდეომასალა, ასაკობრივად შესაბამისი ლიტერატურა. მნიშვნელოვანია სწავლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზების აღჭურვა სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

საჭიროა მასწავლებლებისათვის სწავლება-შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებაზე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, პრაქტიკის ორგანიზება, კონფერენციების მოწყობა და ა.შ.

რეკომენდებულია სწავლება-შეფასების დროს მრავალფეროვანი, მათ შორის, ვირტუალური, სიმულაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც ნაკლებად დამოკიდებულს ხდის სწავლებას გარემო პირობებზე.

ამგვარად, ჩვენ დავანახებთ ყველა მომხმარებელს, რომ მწვანე ეკონომიკას მოაქვს უდიდესი სიკეთე, კეთილდღეობა, რასაც სიღარიბის დაძლევა, დასაქმების ახალი სახეების შექმნა და ახალი ენერგიების ათვისების საშუალებით მივაღწევთ. აქვე უდიდესი როლი ენიჭება რეციკლირების პროცესის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას, სადაც ყველა ერთად დავრწმუნდებით, რომ ე. წ. ნარჩენები ანუ „ნაგავი“ შესაძლოა ჩვენი შემოსავლის ან გადარჩენის წყაროდ იქცეს მომავალში ან ახალი ენერგიის სახით ან/და მისი უტილიზაციით აქამდე უცნობი თვისებების გამომჟღავნებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტი (2010). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი (2011). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. ბაბუნაშვილი გ.,საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები; გამომცემლობა”თბილისის უნივერსიტეტი”; თბილისი, 2000;
4. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის ნაწ.1 (2008). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
5. გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის: ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012-2014 (2012). თბილისი;
6. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (2010). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
7. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
8. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2014). თბილისი;
9. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010, თბილისი;
10. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010, თბილისი;

# მწვანე გამოწვევების სინერგიული ეფექტი ეკონომიკაში

*ნინო ჯარიაშვილი*
*სტუ-ს დოქტორანტი*

აკლია ქართული რეზიუმე

## THE SYNERGISTIC EFFECT OF THE GREEN CHALLENGES IN THE ECONOMY

**Nino Jariashvili**
PhD student Of GTU

**ABSTRACT**

The green economy is a new wave of economic development to improve the well-being of the people. There are 3 questions: What? How? For Whom? The answers to these questions need some new creative approaches. Green challenges around the world pose new dangers that society must respond to by expanding scientific research, introducing new ideas and inventions. All of this should be facilitated by a green economic policy that focuses on building a green society. Countries around the world are concerned about the rate of global warming, which has a negative impact on economic well-being. According to the development of the history of green economy, nature is waiting for the right decision of people. The main agents of the economy, consumers and producers, must be solve given green challenges with new ideas and innovative entrepreneurial skills. The Green Keynesian theory at this time is considered timely in a given policy.

**Key words**: Green Economics, Green challenges, Green Keynesian Theory.

* * * *

აღნიშნული თემა უდიდეს ინტერესს იწვევს 21-ე საუკუნის მსოფლიოს ყველა დონის მეცნიერებაში. ახლა, როგორც არასოდეს, დროა გაერთიანდეს სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ამის მიზეზი არის საფუძვლიანი კვლევების ჩატარება, რომელიც საჭიროა არსებული ეკოლოგიური პრობლემებისა და მოსალოდნელი კატასტროფების თავიდან ასარიდებლად. მწვანე განვითარება ეკონომიკაში ნომერ პირველი საკითხია, რაც რა საკვირველია ეკონომისტებსაც აღელვებთ. ეკონომისტი, რომელიც კარგად ერკვევა კვლევით მეთოდოლოგიაში, აუცილებლად საჭიროებს ქიმიკოსების, ფიზიკოსების, ბიოლოგებისა და იურისტების კოსულტაციებს. ფიზიკოსები და ქიმიკოსები ახალი ცდებისა და გამოგონებების საფუძველზე გაუიოლებენ ეკონომისტ-რეფორმატორებს „ყავისფერი ეკონომიკიდან" „მწვანე ეკონომიკაზე" გადასვლის გზებს. რადგან საწარმოები, ქარხნები ან ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობები, რომლებიც გამოიყენებენ საწვავს, გამოყოფენ გარკვეულ გამონაბოლქვს, კატასტროფულად მოქმედებს ეკოლოგიაზე. ამის მიზეზი არის ის, რომ გარკვეული რესურსები რომლებიც გადამუშავდებიან, ვერ ასწრებენ გადამუშავებას ან წვას, ამიტომ საჭიროა პროცესის დაჩქარება. ქიმიკოსებთან გავლილი ზეპირი კონსულტაციებით გავარკვიეთ, რომ ქიმიკოსების კონსულტაციებით და მათი პროცესში ჩართულობით, შესაძლებელია საკითხის ოპტიმალურად მოგვარება. გარკვეული დამაჩქარებლების, ე. წ. კატალიზატორების, ანტრაციტის ან ჟანგბადის გამოყენებით (სპეციალური პრიალა ქვანახშირი ან რაიმე მისი მსგავსი შემცვლელით) შესაძლებელია შავი გამონაბოლქვის შემცირება,[1] რაც სპეციალური მარგი ქმედების კოეფიციენტების დადგენითა და მისი პრაქტიკაში გამოყენებით გადაწყდება. მისი ლიკვიდაცია მხოლოდ მზის, ქარის, წყლის ენერგიითაა შესაძლებელი.[2]

ეკოლოგია, მწვანე განვითარება ან მწვანე ეკონომიკა არ შეიძლება ცალ-ცალკე მოვიაზროთ დღეს. ადამიანი, რომელიც დედამიწის მთავარი წარმომადგენელი, სტუმარიც და ბატონ პატრონიცაა, უზენაესის ნებით, თავისი ცხოვრების მანძლზე ქმნის და მოიხმარს მისთვის საჭირო და საინტერესო საქონელსა და მომსახურებას. რასაც გასცემს ბუნებაში იგივე უბრუნდება ბუნებისაგან. ამიტომ ადამიანია პასუხისმგებელი რესურსების გაქრობასა და მის უყაირათო გამოყენებაზე. საჭიროა ადამინური რესურსების განვითარება ბუნების კანონების გათვალისწინებითა და მწვანე ნორმატიული კანონების შემოღებით (-ნინო ჯარიაშვილი), რომელიც რა საკვირველია უზრუნველყოფს ეკონომიკური ქცევების ჩამოყალიბებასა და ინოვაციური მეცნიერების განვითარებას (ახალი ინტერდისციპლინარული მეცნიერება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სიახლეებისა და გამომგონებლობის მეცნიერული კვლევები-ნინო ჯარიაშვილი).

ყოველ ისტორიულ საფეხურზე არსებობდა სამი ძირითადი ეკონომიკური კითხვა: რა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? და ვისთვის ვაწარმოოთ? ამ კითხვაზე პასუხების გაცემაც ადამიანთა განვითარების ყოველ ეტაპზე სხვადასხვა სახით არის შესაძლებელი. ამჯერად, უნდა გავააქტიუროთ „მწვანე პასუხები"(-ნ. ჯარიაშვილი), რომლებიც რაციონალურად მოერგებიან ზემოთ აღნიშნულ სამივე კითხვას. თუმცა აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა დღესდღეობით არის მეორე კითხვა: როგორ უნდა ვაწარმოოთ საქონელი ან მომსახურება, რომ

1 https://tdiesel.ru/ka/opredelyaem-sostoyanie-dvigatelya-po-cvetu-vyhlopnyh-gazov-cvet-vyhlopnyh.html

2 http://www.eiec.gov.ge/თემები/დაცული-ტერიტორიები/Documents/Strategic-Document/ენერგოეფექტურობა-და-განახლებადი-ენერგიის-წყაროები.aspx

მან ნაკლები ზარალი მიაყენოს ადგილობრივ ტერიტორიასა და მასზე მოსახლე ადამიანებს, რომელიც ციკლური ბრუნვის ზეგავლენით სხვადასხვა ქვეყნებზეც აისახება გარკვეული ფორმით.

**რა ვაწარმოოთ?** - ამ კითხვაზე პასუხი თანამედროვე ეკონომიკაში შემდეგნაირად ჟღერს: მართალია უნდა ვაწარმოოთ ის, რაზეც არის მოთხოვნა. მაგრამ ცივილიზაცია მოითხოვს აღნიშნული მიდგომა დავუპირისპიროთ შემდეგ მოსაზრებას, რომ საჭიროა ვაწარმოოთ ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც იძლევა „მწვანე ეფექტს" (-ნ. ჯარიაშვილი) და რომლის საჭიროებასაც ადამიანები ხედავენ, ან უნდა ხედავდნენ შესაბამისი საერთო მსოფლმხედველობის გათვალისწინებითა და არსებული ეკოლოგიური გამოწვევებით. ასევე, მთავარია იურისტების მიერ სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შემოღება, რომელიც აკრძალავს რიგი „ყავისფერი მფრქვეველების" (-ნ. ჯარიაშვილი) წარმოებას და, ან შეამცირებს მათ წარმოებას სხვა ჩასანაცვლებელი საქონლისა და მომსახურების გაწევით (ე. წ. აეროზოლები, მანქანის გამონაბოლქვი, ცემენტის ქარხნები და ა. შ.). ან შეამცირებს გარდამავალ ეტაპზე მავნე ნივთიერებების გაფრქვევის პროცენტულ მაჩვენებელს, რაც გლობალურ დათბობას საფრთხეს არ შეუქმნის.

**როგორ ვაწარმოოთ?** - საჭიროა ვაწარმოოთ ახალი, ინოვაციური მეთოდებითა და მიდგომებით, თანამედროვე ტექნოლოგიური ხერხებით, რომლის დროსაც მივიღებთ რაციონალურად დაბალ დანახარჯებს და შესაბამისად, რაციონალურად მაღალ მოგებას. აქ მთავარია გადამუშავებადი ნარჩენების მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოება და არსებული გადაუმუშავებელი ნარჩენების მინიმიზება. აღდგენითი რესურსების გამოყენებითა და აღუდგენელი რესურსებისათვის შემცვლელი რესურსების შემოღებითა და გამოყენებით. აქ მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ფიზიკოსები, რომლებიც თუნდაც ძველი ჰესების აგების ტექნოლოგიებს ჩაანაცვლებენ მზის, ჰაერის, წყლის, სინათლის ან თუნდაც სიბნელის გამოყენებით. ასევე თერმული წყლის გამოყენებით შესაძლებელს გახდიან გამოავლინონ ახალი ალტერნეტიული ენერგიები და ჩანაცვლებითი მამოძრავებელი ძალები.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ დღეს არსებული ეპიდემიური ვითარება სწორედ ეკონომიკაზე ახდენს უარყოფით გავლენას, რომელიც 2019 წლის დეკემბერში დაიწყო ჩინეთში და დღესაც ვრცელდება. იგი მსოფლიოში მუტაციას განიცდის სხვადასხვა ფორმით. უფრო მეტი პროცენტული დაავადებული მოსახლეობაა იქ და უფრო მეტად გავრცელდა დაავადება იქ, სადაც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი მეტია[3]. ამიტომ ამ პრობლემის მოგვარებაში ბიოლოგები უდიდეს წვლილს შეიტანენ გარკვეული ხე-მცენარეების დარგვის რეკომენდაციით, რომელიც მეტ ჟანგბადს გამოყოფს ატმოსფეროში და მეტად გაასუფთავებს გარემოს. იგივე საფრთხე ემუქრებათ წყლებსა და მდინარეებს. საჭიროა მოსახლეობის ყველა ნაწილის ჩართვა საერთო მიზნისათვის და ამ მიზანს ჩვენი მშვიდი მომავალი წარმოადგენს. თუ არ იქნება ჯანმრთელი გარემო ვერ იარსებებს ეკონომიკური პროცესების ძირითადი წარმომადგენელი ადამიანი, როგორც ეკონომიკური მომხმარებელი და ეკონომიკური დოვლათის მწარმოებელი.

საჭიროა იურისტების, ქიმიკოსების, ფიზიკოსების, ბიოლოგების გაერთიანება და მეტი სინერგია ეკონომისტებთან. ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელია ყველა კვლევითი მეთოდის გამოყენება, როგორიცაა: სოციოლოგიური, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, დედუქციური და ინდუქციური კვევის ჩათვლით.

**ვისთვის ვაწარმოოთ?** - უნდა ვაწარმოოთ ყველასათვის, ყველა სახელმწიფოში ერთიანად უნდა გაძლიერდეს სოციალური პროგრამები და თითოეულ ადამიანს უნდა ქონდეს ნორმალური გამოკვების და საბინაო საცხოვრებელი პირობების საშუალება. ამიტომ არის მწვანე ეკონომიკა სიღარიბისა და უმუშევრობის აღმომფხვრელი ბერკეტი, რომლის განვითარება ყოველთვის ახალ-ახალ გამოწვევებს შემოგვთავაზებს და ეკონომიკური მეცნიერება მწვანე ეკონომიკის პულსაციას უნდა ავითარებდეს მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის კეთილდღეობის ჩამოსაყალიბებლად. მასიურად უნდა მოხდეს ახალი მსოფლმხედველობის მქონე, შეგნებული მომხმარებლის აზროვნების დახვეწა, რომელიც კეთილსინდისიერად მოიხმარს და არ აბინძურებს გარემოს ნარჩენებით. აქ სინერგიის მეთოდით უნდა ჩაერთოს საბავშვო, საშუალო და უმაღლესი დაწესებულებები თავიანთი ახალი პროგრამებით, რომელიც მიმართული იქნება „მწვანე აზროვნების" ადამიანის აღზრდაზე. რაც დაამკვიდრებს „მწვანე ქცევის" კულტურას საზოგადოებაში. სწორედ ასეთი მიდგომა შეგვაძლებინებს ვაწარმოოთ ის საქონელი და მომსახურება, რომლებიც ცალკეული ადამიანებისა და მთლიანი საზოგადოებისათვის, ასევე მიმავალი თაობისათვის იქნება სიკეთისა და ხანგრძლივი სიცოცხლის მომტანი.

როგორც აღვნიშნეთ ეკონომიკური მეცნიერება უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები, ერთის მხრივ საინტერესო და შთამაგონებელი, ხოლო მეორეს მხრივ, უდიდესი საფრთხის შემცველია. მთავარია სახელმწიფოს ერთიანი გონივრული პოლიტიკის გატარება, რომლის გადაწყვეტილება მეცნიერულ გათვლებსა და დასკვნებზე იქნება დაფუძნებული. ამიტომ ჩვენი მთავარი საკითხი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული გააზრებაა.

მას შემდეგ, რაც ჯონ მეინარდ კეინზი გახდა მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი, ეს საკითხი არასოდეს კარგავს აქტუალობას. მეტიც,

3 წყარო: https://www.hsph.harvard.edu/c-change/subtopics/coronavirus-and-pollution/

იგი უფრო და უფრო იხვეწება და თანამედროვეობის პრინციპებზე დაყრდნობით სხვადასხვაგვარ სახეს იღებს. აქვე, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1932 წელს, კეინზის ეკონომიკური ნაშრომების გამომცემლობამდე 4 წლით ადრე, არსებობდა გერმანელი ეკონომისტის ვერნერ ზომბარტის ნაშრომი „კაპიტალიზმის მომავალი", სადაც ავტორი პირველად აჟღერებდა პირად მოსაზრებებსა და შეხედულებებს სახელმწიფოსა და მისი რეგულირების სფეროების შესახებ, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა მიუხედავად ამისა, ჯონ მეინარდ კეინზმა შეძლო შემოეკრიბა საკუთარი იდეის მიმდევრები და თაყვანისმცემლები. სწორედ მან მოიპოვა მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის ფუძემდებლის აღიარებაც. კეინზი, როგორც გენიოსი (პოლ სამუელსონის შეფასებით), საწყის ეტაპზე გვთავაზობს სახელმწიფოს ცნობილ მაკროეკონომიკურ მოდელს სტატიკური მოცემულობით. ეს წარმატებული ნაბიჯი მან არსებული ეკონომიკური პოლიტიკის სურათის საილუსტრაციოდ შემოგვთავაზა. სწორედ მისი მოსაზრებების გამოყენებით ვცდილობთ ვაჩვენოთ თანამედროვეობის ახალი მოწოდებები და გამოწვევები, რომლებიც საჭიროებენ გამწვანებას და გადახალისებას.

მსოფლიოს უდიდესი პრობლემა, დედამიწის გამოფიტვა და მისი ზემოქმედება, მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო და კრეატიული საფიქრალი ხდება ჯერ კიდევ 1983 წლიდან, როცა გერმანიის პარლამენტში პირველად გამოჩნდნენ ჯინსიანი ახალგაზრდა პოლიტიკოსები ქოთნით ხელში. მათი მოწოდება, იმ დროს, იყო მხოლოდ მწვანე გარემოს დაცვა. შემდეგში ჩნდება ქალბატონი ვანგარი მაათაი[4], კენიიდან (აფრიკა), რომელიც გახდა მწვანე ღვედის მოძრაობის დამაარსებელი. ამისათვის მან 2004 წელს ნობელის მშვიდობის პრემიაც მიიღო. მართალია იგი პროფესიით ბიოლოგი იყო, მაგრამ 2005 წელს იაპონიაში მოგზაურობისას მას ნარჩენების გადამუშავების ენთუზიაზმის წოდებაც მისცეს.

პირველად ტერმინი „მწვანე ეკონომიკა" გაჟღერდა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მოხსენებაში 1989 წელს, რომელსაც გარემოსდაცვის მთავარი ეკონომისტები ხელმძღვანელობდენ. 1992-1994 წლებში ეს ტერმინი კვლავ გაჟღერდა „გეგმა ორი" და „გეგმა სამი"-ს სახელწოდებით.

უკვე 2008 წელს, არსებულმა ორგანიზაციამ UNEP--მა (გაერთიანებული ერების გარემოს დაცვითი პროგრამა) დავალება მისცა ე. წ. Blueprint-ს (ტერმინი აღებულია არქიტექტურის სფეროდან და ნიშნავს დეტალური მოქმედებების გეგმას), რომ მოემზადებინა ანგარიში Global Green New Deal -გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება/კურსი (GGND) სახელწოდებით (თავად ტერმინი Global Deal -გამოიყენება ჯერ კიდევ რუზველტის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკიდან (რომელიც ამერიკის მთავრობამ გამოიყენა 1929-1933 წლის კრიზისის დასაძლევად ), რაც 2009 წელს გამოიცა, სადაც მკაფიოდაა გამოხატული ის სამი მიზანი, რაც სახელმწიფოებმა და მთავრობებმა უნდა განახორციელონ სტიმულირების პროგრამის ფარგლებში. ესენია: 1. ეკონომიკური აღდგენა; 2. სიღარიბის დაძლევა; 3. ნახშირბადის ნაკვალევისა და ემისიის შემცირება.

2015 წელს პარიზში მსოფლიო თანამეგობრობის წარმომადგენლები მსჯელობდნენ ატმოსფეროში ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებაზე. ჯერ კიდევ 1950 წელს მეცნიერები მსჯელობდნენ გლობალურ დათბობაზე, ხოლო ზოგნი უარყოფდნენ მას[5]. 1965 წელს შეიკრიბა ამერიკის 36-ე პრეზიდენტ ლინდონ ბ. ჯონსონის სამეცნიერო მრჩეველთა კომიტეტი და განიხილა საკითხი ქვეყნის ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურების შესახებ. სამუშაო ჯგუფში შედიოდა ამერიკელი ქიმიკოსი და მეცნიერი ჩარლ დეივიდ კილინგი, რომელმაც შემდგომში განავითარა ეს საკითხი და 1979 წელს იზოტიპური გაზომვების შესახებ პირველ ნაშრომში გამოაქვეყნა ნახშირორჟანგის დაგროვების ნეგატიური ზემოქმედება ატმოსფერულ დათბობაზე.[6]

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ სამიტზე, რომელსაც ასევე დედამიწის სამიტსაც უწოდებენ, მიღებულ იქნა ჩარჩო კონვენცია, რომელსაც ესწრებოდა 108 სახელმწიფო მეთაური, 2400 არსამთავრობო ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე 1000 ჟურნალისტი და 1700 არასამთავრობო ორგანიზაციის სხვადასხვა წევრი[7]. სამიტზე განიხილეს კლიმატური ცვლილებების საზიანო მოქმედედებებისაგან თავის არიდების დაუზუსტებელი ღონისძიებები. მას შემდეგ არსებული დავა, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა გადაწყდა 1997 წელს კიოტოს პროტოკოლით. მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს დაუდგინდათ ემის შემცირების სასურველი დონეები[8].

როგორც ცნობილია, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი **გორლის** მიერ ხელმოწერილმა პროტოკოლმა სავალდებულოდ აღიარების თანხმობა ანუ რატიფიკაცია ვერ მიიღო. ამგვარად კანონი ძალას ვერ ღებულობდა მსოფლიო ემისიის ისეთი ქვეყნებიდან სადაც ადამიანის უარყოფითი ნაკვალევს პროცენტული წილი 55-ია.

ამის შემდეგ, 2007 წელს ბალის სამოქმედო გეგმა და 2009 წლის კოპენჰაგენის კონფერენცია, გლობალური შეთანხმებით არ იყო გამოირჩეოდა. თუმცა კოპენჰაგენში შეთანხმდნენ მხოლოდ ემისიის დონეების შემცირებაზე.

4 https://www.greenbeltmovement.org/wangari-maathai

5 https://en.wikipedia.org/wiki/History_of_climate_change_science

6 https://www.acs.org/content/acs/en/education/whatischemistry/landmarks/keeling-curve.html

7 https://www.encyclopedia.com/environment/energy-government-and-defense-magazines/earth-summit-1992

8 http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International-Convention/კიოტოს-ოქმი.aspx

მსოფლიოს ეშინია 3 გრადუსიანი ტემპერატურის ზრიდს. არადა, არსებული გაეროს მონაცემებით იგი ამ 3 გრადუსსაც გასცდება[9]. ამიტომ რიგი ქვეყნები მოითხოვენ განახლებული კვლევებით დადგინდეს ახალი დონეები 5 წელში ერთხელ. ამ შემთხვევაში, კლიმატური პირობები და ნახშირბადის კვალი მხოლოდ ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის. იგი დედამიწის წრებრუნვის კანონზომიერების თანახმად გავლენას ჰპოვებს სხვა ქვეყნებზე გარკვეულ დროსა და სივცეში. აქ ყველაზე მთავარია დაფინანსების სისტემა, რომელიც გადანაწილების პრინციპს უზრუნველყოფს ღარიბ ქვეყნებზე, რადგან შესაძლოა ღარიბი ქვეყნები ვერ განვითარდნენ ეკონომიკურად სათანადო დახმარების გარეშე. აი აქ ვხედავთ სწორედ კეინზიანისეული თეორიის ძირითად პოლიტიკას, რომ საჭიროა მოხდეს ინვესტირება, რომლის მიხედვითაც ხელი შეეწყობა მწვანე დასაქმებას, მწვანე შემოსავლებსა და მოხმარებას და შესაბამისად მწვანე საბიუჯეტო სისტემის განვითარებას. ამიტომ ჩვენ გამოსავალს ვხედავთ „მწვანე კეინზიანური თეორიის განვითარებაში" (-ნ. ჯარიაშვილი).

სწორედ დაფინანსების არ ქონის გამო ვერ ხორციელდება იდეა სახელწოდებით „ენერგოკოშკურა", რომელიც გამოიმუშავებს სიმძლავრეს 15 დედამიწისთვის.[10] ეს არის ყველაზე ოპტიმალური იდეა, რომელიც დედამიწაზე ნახშირორჟანგის დაგროვებას რადიკალურად შეამცირებდა.

ამგვარად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, მწვანე გამოწვევების სინერგიული ეფექტის მიღწევა შეუძლებელია ნორმატიული კანონების განახლების, ინტერდისციპლინარული კვლევითი მეცნიერების განვითარების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წახალისებისა და ინვესტირების სხვადასხვა ფონდების განვითარების გარეშე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბაბუნაშვილი გ.,საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები;გამომცემლობა"თბილისის უნივერსიტეტი"; თბილისი, 2000;

2. კვარაცხელია ლ,. „ერგონომიკული ეკონომიკა- ინოვაციური ეკონომიკის ზედნაშენი", ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, #3, თსუ, 2016 წ;

3. კვარაცხელია ლ,. დათო ქარაზანიშვილი, „ეკონომიკის ძირითდი მიმართულებები", თბილისი, მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია-IEC2013„ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ" თბილისი, სტუ 2013;

4. მექვაბიშვილი ე., თანამედროვე ეკონომიკური თეორიები. ლექციების კურსი, შესავალი და 1 თემის 1 ლექცია;

5. http://www.eiec.gov.ge/თემები/დაცული-ტერიტორიები/Documents/Strategic-Document/ენერგოეფექტურობა-და-განახლებადი-ენერგიის-წყაროები.aspx (გადამოწმებულია 03.22.2022)

6. https://www.goethe.de/lhr/prj/ede/erf/gie/kaindex.htm (გადამოწმებულია 03.22.2022)

7. https://www.hsph.harvard.edu/c-change/subtopics/coronavirus-and-pollution/ (გადამოწმებულია 03.22.2022)

8. https://www.greenbeltmovement.org/wangari-maathai (გადამოწმებულია 03.22.2022)

9. https://tdiesel.ru/ka/opredelyaem-sostoyanie-dvigatelya-po-cvetu-vyhlopnyh-gazov-cvet-vyhlopnyh.html (გადამოწმებულია 03.22.2022)

10. https://sustainabledevelopment.un.org/index.php?menu=1446 (გადამოწმებულია 03.22.2022)

11. https://www.unep.org/regions/asia-and-pacific/regional-initiatives/supporting-resource-efficiency/green-economy (გადამოწმებულია 03.22.2022)

12. https://www.un.org/waterforlifedecade/green_economy_2011/pdf/technology_cases_iha.pdf (გადამოწმებულია 03.22.2022)

13. https://en.wikipedia.org/wiki/History_of_climate_change_science (გადამოწმებულია 03.22.2022)

14. https://www.acs.org/content/acs/en/education/whatischemistry/landmarks/keeling-curve.html (გადამოწმებულია 03.22.2022)

15. https://www.encyclopedia.com/environment/energy-government-and-defense-magazines/earth-summit-1992 (გადამოწმებულია 03.22.2022)

16. https://news.un.org/en/story/2019/11/1052171 (გადამოწმებულია 03.22.2022)


9 https://news.un.org/en/story/2019/11/1052171

10 https://niksologi.wordpress.com/tag/მეცნიერება/

# რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სექტორზე

*გვეტაძე თეიმურაზი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*მოწვეული სპეციალისტი*
*აუდიტის, შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ"*

**შესავალი და მიზანი:** 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო. პირველივე დღეს ლარი დოლარის მიმართ 11 თეთრით გაუფასურდა. გრძელვადიან პერიოდში რუსეთის აგრესიას უკრაინაში საქართველოს ეკონომიკაზე სამი მიმართულებით აქვს უარყოფითი გავლენა: 1. რუსეთი და უკრაინა არიან საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები, განსაკუთრებით, ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით და აქედან გამომდინარე საქართველო შემოსავალს დაკარგავს; 2. დაპირისპირება არის საქართველოს რეგიონში, განსაკუთრებით შავი ზღვის მხრიდან. საომარ მდგომარეობაში მყოფი რეგიონი ინვესტიციებისთვის მიმზიდველი არ არის. რასაც ემატება რუსეთის მიერ დასავლეთზე წაყენებულ ულტიმატუმებში უკრაინასთან ერთად საქართველოს მოხსენიება და 3. ფართომასშტაბიან ომს და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე ექნება უარყოფითი გავლენა, რაც, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკასაც დააზარალებს.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებული იქნა როგორც სტატისტიკური, ისე შედარებითი ანალიზის განმსაზღვრელი, მეცნიერული და სხვა საჭირო მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება:** რუსეთ-უკრაინის ომმა და მისმა შედეგებმა ასახვა ჰპოვა ნედლეულსა და მასალებზე რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა მაღალი ფასებით, ომის პირობებში უფრო მეტად გაძვირდა. მათ შორის ენერგომატარებლებზე, სურსათზე, სამშენებლო მასალებზე, და ა.შ. რაც თავისთავად, გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე; უცხოეთიდან ფულადი გზავნილები შემცირდა. საფრთხის ქვეშ არის ექსპორტი. შემცირდა ტურიზმიდან შემოსავალი. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ომის პირობებში მკვეთრად გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი, ეს ყველაფერი რა, თქმა, უნდა იმოქმედებს ჩვენზე და სავარაუდოდ, ეროვნულ ბანკსაც მოუწევს მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება.

საქართველოს ხელისუფლების მიზანი რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება უნდა იყოს. აქედან გამომდინარე: მთავრობამ კიდევ უფრო აქტიურად იმუშაოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებაზე, უნდა შეეწყოს ხელი ადგილობრივ წარმოებას და იმპორტის დივერსიფიცირებას; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები (გრანტი, შეღავათიანი კრედიტი და სხვა) არ უნდა გაიცეს ისეთ ბიზნესზე, რომელიც რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ზრდის; წინა წლებისგან განსხვავებით, ტურისტების მოსაზიდად სამიზნე ბაზარი რუსეთი არ უნდა იყოს. მარკეტინგული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი რესურსები უფრო აქტიურად უნდა მიემართოს სხვა ქვეყნების, მათ შორის მაღალბიუჯეტიანი ტურისტების შემომყვანი ქვეყნებისაკენ; სახელმწიფო შესყიდვებში რუსული კომპანიების მონაწილეობა უნდა დარეგულირდეს. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უნდა გამოიყოს ის საქონელი და მომსახურება, რომლის რუსული კომპანიებისგან შესყიდვა აიკრძალება ან შეიზღუდება. ასევე, უნდა შეიზღუდოს იმ რუსული კომპანიების მონაწილეობა, რომლებსაც საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიდან სანქციები აქვთ დაწესებული რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინაზე განხორციელებული აგრესიის გამო.

დასკვნა: რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელიც უკვე ორი თვეა მიმდინარეობს, საკმაოდ დიდი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და კიდევ უფრო დიდი ზიანია მოსალოდნელი ახლო მომავალში. ჩვენს დროში, როდესაც უკვე არსებობს კონფლიქტების გადაჭრის ცივილური გზები, არ უნდა ხდებოდეს ომი. რუსეთზე მაღალი ეკონომიკური დამოკიდებულება საფრთხის შემცველი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ ისევე როგორც წინა წლებში, რუსეთმა შესაძლოა გარკვეული შეზღუდვები დაგვიწესოს და ამით ეკონომიკური ზიანი მიაყენოს საქართველოს, აღნიშნული ზიანის თავიდან ასაცილებლად კი პოლიტიკური ფასის გადახდა მოითხოვოს. უკრაინაზე განხორციელებული აგრესიის გამო რუსეთის მიმართ დასავლეთის ქვეყნებმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დააწესეს, რაც ბუნებრივად შეამცირებს საქართველოს შემოსავლებს რუსეთიდან და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, ლარის გაცვლით კურსზე და სეგმენტურ ბაზრებზე, მაგალითად ღვინის ექსპორტზე და ხორბლის იმპორტზე.

რუსეთის ბაზარი არასტაბილურია და აუცილებლად უნდა იფიქროს ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ბაზრის ჩანაცვლებაზე.

**საკვანძო სიტყვები**: ომი, საქართველოს ეკონომიკა, სანქციების დაწესება; ბაზრის ჩანაცვლება.

მოცემულ სტატიაში განხილულია რუსეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, უკრაინის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური თუ ფინანსური პრობლემები საქართველოში.

## THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON THE GEORGIAN ECONOMIC SECTOR

**Teimuraz Gvetadze**
???????????????

### ABSTRACT

**Introduction and aim**: On February 24, 2022, Russia launched a major war in Ukraine. On the first day, the Georgian Lari has depreciated by 11 tetri against the dollar. Overall, Russian aggression in Ukraine has a negative impact on the Georgian economy in three directions: 1. Russia and Ukraine are important economic partners of Georgia, especially in terms of trade, tourism and remittances, and therefore Georgia will lose revenue; 2. There is controversy in the region of Georgia, especially on the Black Sea side. A war-torn region is not attractive for investment. In addition, Russia mentions Georgia along with Ukraine in its ultimatums to the West 3. Large-scale war and sanctions imposed on Russia will have a negative impact on the world economy, which, among other things, will affect the Georgian economy.

**Research methodology**: Statistical, as well as comparative analysis and scientific and other necessary methods were applied in the study

**Results and implications**: The Russo-Ukrainian War and its aftermath were reflected in raw materials and materials coming in from Russia at high prices, which became more expensive during the war. Including on energy, food, building materials, etc. Which in itself will affect the Georgian economy; Remittances from abroad decreased. Exports are in jeopardy. Revenues from tourism decreased. Russia's central bank has sharply increased its refinancing rate during the war, all of which, of course, will affect us, and the National Bank will probably have to tighten monetary policy even more. The goal of the Georgian government would be to reduce economic dependence on Russia to a minimum. Therefore: the government should work even more actively to diversify export markets, should promote local production and import diversification; Subsidies from the state budget (grants, soft loans, etc.) should not be given to businesses that increase their economic dependence on Russia; Unlike previous years, Russia should not be the target market for attracting tourists. Resources allocated for marketing activities should be more actively directed to other countries, including countries that bring in high-budget tourists; The participation of Russian companies in public procurement should be regulated. For security reasons, goods and services whose purchase from Russian companies will be banned or restricted should be distinguished. Also, the participation of Russian companies that have imposed sanctions on Georgia from its partner countries due to the aggression of the Russian Federation on Ukraine should be limited.

**Conclusion:** The Russia-Ukraine war, which has been going on for two months now, has had a significant impact on the Georgian economy and even greater damage is expected our future. In our time, when there are already civil ways to resolve conflicts, there should be no war. High economic dependence on Russia is not only dangerous because, as in previous years, Russia may impose certain restrictions on us and thus cause economic damage to Georgia, and demand a political price to prevent this damage. Due to the aggression on Ukraine, Western countries have imposed severe economic sanctions on Russia, which will naturally reduce Georgia's revenues from Russia and will have a significant negative impact on Georgia's economic growth, the GEL exchange rate and segment markets such as wine exports and wheat imports.

The Russian market is unstable, and our government must definitely think about replacing this market.

**Keywords:** War, Georgian economy, imposition of sanctions; Market replacement.

## რუსეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი სფეროები, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომმა გავლენა იქონიეს:

**ვაჭრობა**

• 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტი 38%-ით გაიზარდა და 610 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2019 წლის მაჩვენებელზეც მეტია. რუსულ ბაზარზე ექსპორტში პირველ ადგილზე ფეროშენადნობები იყო 172 მლნ აშშ დოლარით. რუსეთს საქართველოს ექსპორტში ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს;

• რუსულ ბაზარზე მაღალი დამოკიდებულებით ისევ ღვინის ექსპორტი გამოირჩეოდა. რუსულ ბაზარს ქართული ღვინის ექსპორტში 55% ეკავა;

• 2021 წელს რეკორდულად მაღალი იყო რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებაც, რომელმაც 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა და პანდემიამდელ, 2019 წლის მაჩვენებელს 51 მლნ აშშ დოლარით გადააჭარბა;

• იმპორტის მხრივ საქართველო ყველაზე მეტად რუსულ ხორბალზე და ხორბლის ფქვილზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ერთი ტონა რუსული ხორბლის ფასი 220 აშშ დოლარიდან 260 აშშ დოლარამდე გაიზარდა, რუსულ პროდუქციას საქართველოს ხორბლის ჯამურ იმპორტში 94% ეკავა. გასულ წელს 87 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა რუსული ხორბალი შემოვიტანეთ;

• ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტი. 2021 წელს რუსული ბუნებრივი აირის წილმა საქართველოს

ბუნებრივი აირის მთლიან იმპორტში 23.1% შეადგინა, როცა ეს მაჩვენებელი 2018 წელს 2.8% იყო. 2021 წელს რუსული ბუნებრივი აირის შესყიდვა საქართველოს 77 მლნ აშშ დოლარი დაუჯდა.




**მონაცემთა წყარო: საქსტატი**

• საქართველოს რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ანუ უფრო მეტი პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. 2021 წელს რუსული პროდუქციის იმპორტი 1 მლრდ დოლარს გადასცდა. რუსული პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში 10.2%-მდე შემცირდა და მხოლოდ თურქეთს ჩამორჩება. რუსეთიდან იმპორტში ყველაზე დიდი წილი (13%) საავტომობილო საწვავს უჭირავს.

**ვიზიტორები და ფულადი გზავნილები**

• 2021 წლის ზაფხულიდან რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ ზრდა დაიწყო, მაგრამ პანდემიის გამო 2019 წლის მაჩვენებელს 86%-ით ჩამორჩებოდა. 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში 213 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც საქართველოში შემოსული ვიზიტორების 11.3%-ია;




**მონაცემთა წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**

• რუსეთიდან ემიგრანტების მიერ გადმოგზავნილი თანხების წილი საქართველოს მიერ მიღებულ მთლიან გზავნილებში მცირდება, თუმცა იგი საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში 411 მლნ აშშ დოლარი გადმორიცხა, რაც საქართველოს მიერ უცხოეთიდან მიღებული ჯამური ფულადი გზავნილების 17.5% იყო. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 25%-მდე იყო.

რომ შევაჯამოთ, ყველაზე მკაცრი სცენარის შემთხვევაში საქართველო რუსეთიდან მაქსიმუმ 1.3 მლრდ დოლარის წლიურ შემოსავალს დაკარგავს. თუმცა ასეთი სცენარი რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულ შეწყვეტას ან რუსული ეკონომიკის სრულად განადგურებას გულისხმობს, რისი ალბათობაც ძალიან მაღალია. უფრო რეალურია 2015-2016 წლების მსგავსი სცენარის განმეორება, როდესაც საქართველოს შემოსავალი რუსულ ბაზარზე ექსპორტიდან და ფულადი გზავნილებიდან განახევრდა. იმ პერიოდში ტურიზმმა ზრდა ისევ განაგრძო, თუმცა ახლა პანდემიის გამო ისედაც მნიშვნელოვნადაა შემცირებული. აღნიშნული რეალური სცენარის შემთხვევაში საქართველო წლიურად 500-600 მლნ დოლარის შემოსავალს დაკარგავს. ამას დაემატება რეგიონში არსებული ომის და მსოფლიო ეკონომიკის შენელების გავლენები, რისი მონეტიზებაც და რიცხვებში ზარალის გამოსახვა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

## რუსული კომპანიები საქართველოში

საქართველოში მსხვილი რუსული კომპანიები ძირითადად საქართველოში რეგისტრირებული შვილობილი კომპანიების მეშვეობით საქმიანობენ. საშუალო და მცირე ზომის კომპანიებს კი ძირითადად რუსეთის მოქალაქეები აფუძნებენ.

დღეისათვის საქართველოში 7,000-ზე მეტი კომპანიაა დარეგისტრირებული, რომელთა მფლობელები რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირები და მოქალაქეები არიან.

**2013 წლიდან რუსული კომპანიების და რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში კომპანიების დაფუძნების ტემპი კიდევ უფრო იზრდება, რაც, სავარაუდოდ, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენითა და რუსეთიდან ტურიზმის ზრდით არის გამოწვეული.** 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, რუსული კომპანიების რეგისტრაციამ 10%-ით იკლო, 2020 წელს კი პანდემიის გამო 611-მდე შემცირდა. 2013-2020 წლებში საქართველოში რუსეთის კომპანიებმა და მოქალაქეებმა სულ 5,600-მდე კომპანია დაარეგისტრირეს.

## უკრაინის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

რუსეთის ეკონომიკისგან განსხვავებით უკრაინის ეკონომიკაზე საქართველო ნაკლებადაა დამოკიდებული. უკრაინას საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილი უჭირავს. 2021 წელს უკრაინაში 307 მლნ დოლარის საქონელი გავიტანეთ. 2021 წელს უკრაინაში ექსპორტი 41%-ით გაიზარდა. იმპორტში კი უკრაინა მე-7 ადგილზეა. გასულ წელს 418 მლნ დოლარის საქონელი შემოვიტანეთ. უკრაინის მიმართულებით ექსპორტში პირველ ადგილზე 88 მლნ დოლარით მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტია. შემდეგ მოდის სპირტი 43 მლნ დოლარით, სასუქები 38 მლნ დოლარით, მინერალური და მტკნარი წყლები 26 მლნ დოლარით და ღვინო 26 მლნ დოლარით. უკრაინიდან შემოტანილ პროდუქციაში სიგარეტია პირველ ადგილზე 78 მლნ დოლარით, შემდეგ მოდის ლითონები 23 მლნ დოლარით და სამკურნალო საშუალებები 21 მლნ დოლარით.

**ცხრილი 2. საქართველოს ექსპორტი უკრაინაში**




**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

საქართველოში შემოსული ვიზიტორების მხრივ უკრაინა მე-4 ადგილზეა. 2021 წელს უკრაინიდან 145 ათასი ვიზიტორი შემოვიდა. უკრაინის წილი ვიზიტორებში 8%-მდეა. უკრაინული ტურიზმიდან შემოსავალი დაახლოებით 100 მლნ დოლარია. მაქსიმალური რაოდენობის – 208 ათასი ტურისტი – უკრაინიდან 2019 წელს შემოვიდა. უკრაინიდან ფულადმა გზავნილებმა 2021 წელს 93 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიან გზავნილებში უკრაინის წილი 4%-ია. ჯამში, უკრაინიდან ექსპორტით, ტურიზმით და ფულადი გზავნილებით საქართველომ 2021 წელს 500 მლნ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. საქართველო-უკრაინის ეკონომიკურ ურთერთობებს საფრთხე არ ემუქრება (თუ რუსეთმა უკრაინის სრული ოკუპაცია არ მოახდინა), მაგრამ უკრაინის ეკონომიკა დიდ ზიანს მიიღებს და, შესაბამისად, საქართველოს უკრაინიდან შემოსავლები შეუმცირდება. რა თანხა დააკლდება საქართველოს, დამოკიდებულია უკრაინის ეკონომიკის ზიანზე, თუმცა ეს თანხა 500 მლნ დოლარზე მეტი ვერ იქნება.

ყველაზე მკაცრ სცენარში საქართველო რუსეთ-უკრაინის ომიდან 1.5 მლრდ დოლარის პირდაპირ შემოსავალს დაკარგავს, თუმცა უფრო რეალური 700-800 მლნ დოლარის დანაკლისია, რაც საქართველოს ეკონომიკის (მშპ-ის) მიმართ დაახლოებით 4%-ია. ამას დაემატება რეგიონის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა. საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური ეკონომიკის ზრდა შეიძლება 2-3%-მდე შემცირდეს, როგორც ეს 2015-2016 წლებში მოხდა. ამასთან ერთად, საქართველოს მოსახლეობას დააზარალებს ომის გამო გაუფასურებული ლარი, რაც, თავის მხრივ, ინფლაციას შეუწყობს ხელს. რუსეთი და უკრაინა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების მომწოდებლები არიან. მათგან იმპორტის შემცირება ქართულ ბაზარზე ფასებს გაზრდის.

### რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები საქართველოში

რუსეთ-უკრაინის ომის ვითარების ფონზე საქართველოს ეკონომიკისათვის მოსალოდნელი საფრთხეებია ვალუტის დევალვაცია და პროდუქტებზე ფასების ზრდა. ყველაზე დიდი ზრდა შესაძლოა შეეხოს პურის ფასს, რადგან ხორბლის 90% საქართველოში რუსეთიდან შემოდის და სხვა ქვეყნების ხორბლის შესყიდვა მნიშვნელოვნად გააძვირებს პურს, როგორც ეს ეკონომისტმა ნიკა შენგელიამ განაცხადა. მისი თქმით, ერთი ალტერნატივა ხორბლის შემოსატანად არის ყაზახეთი და ამ შემთხვევაში 1 კგ პურის ფასი შესაძლოა 1.5 ლარი გახდეს, რადგან რუსეთი უფრო ახლოსაა და ამიტომ შემოტანაც შედარებით იაფი ჯდება. ფასების მატებას ვიხილავთ ასევე უკრაინიდან შემოტანილ პროდუქციაში – ზეთზე, ცხიმებზე, კარაქზე და სხვა პროდუქტებზე. ეკონომისტის აზრით, აგრეთვე მოსალოდნელია სხვადასხვა საფრთხეები, როგორიცაა ინვესტორების მიერ უარის თქმა ინვესტიციების განხორციელებაზე ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ასევე ტურისტების ნაკადის შეწყვეტა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. საქართველოს ეკონომიკაში უდიდესი წილი უჭირავს რუსეთიდან და უკრაინიდან ფულად გზავნილებს, რაც უახლოეს მომავალში საგრძნობლად შემცირდება სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომ თუ მოხდება რუსეთ-უკრაინის ომის გახანგრძლივება, კიდევ უფრო მეტად დააზარალებს საქართველოს ეკონომიკას, სანედლეულო საქონელზე ფასების ზრდა ომის პირობებში კიდევ უფრო დაჩქარდება;

ფულადი გზავნილების შემცირება. უკრაინიდან და რუსეთიდან ამ კუთხით იქნება 70-80%-იანი დანაკლისი; 2022 წელს დაგეგმილი იყო ტურიზმის და ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა. ცხადია, ამ მიმართულებითაც იქნება დანაკარგები, შემცირდება ექსპორტი. საბოლოო ჯამში, უნდა ავღნიშნო რომ საჭირო და აუცილებელია რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება, რომ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული მისი მმართველის „კეთილ-განწყობით", რომელსაც ძვირი გვიჯდება ქართველებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ნამჩავაძე, რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე, 2022, https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekonomikaze/
2. ა. ჯოხაძე, საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთის გავლენა სრულად დათვლილი არაა – ექსპორტის ასოციაცია, 2022, Business Media Georgia, https://bm.ge/ka/article/quotsaqartvelos-ekonomikaze-rusetis-gavlena-srulad-datvlili-araaquot—eqsportis-asociacia-/104405
3. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები და რუსული კომპანიები საქართველოში, 2022, https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-vachroba-turizmi-puladi-gzavnilebi-da-rusuli#_edn2

# დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და განმახორციელებელი ინსტიტუტი

*ეკა ლეჟავა*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. უმუშევრობა – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იძულებითი დაუსაქმებლობაა. უმუშევრობასთან ბრძოლას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ. დასაქმების თანამედროვე ეროვნული პროგრამების ამოცანაა არა უმუშევრობის აღმოფხვრა, არამედ მისი ბუნებრივ დონემდე შემცირებაა. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური პირობების მიხედვით. 2012 წლიდან საქართველომ შრომის ბაზრის ინსტიტუტების შექმნა და შესაბამისი პროგრამების ამუშავება დაიწყო. 2020 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში შრომის აქტიური პოლიტიკის განხორციელების მიზნით ფუნქციონირება დაიწყო დამოუკიდებელი სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა **სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ,** ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელების მიზნით.

დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა შემდეგი სამი ძირითადი ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

• დასაქმების ხეშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა;

• სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა;

• საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

აღნიშნული სტატიის მიზანია განვიხილოთ საქართველოში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტკის განხორციელების შესაძლებლობები, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს განსახორციელებელი პროგრამები, რაც კიდევ უფრო დეტალურ და სიღრმისეულ კვლევასა და შესწავლას საჭიროებს სამომავლოდ.

**საკვანძო სიტყვები:** დასაქმების აქტიური პოლიტიკა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, დასაქმების პროგრამები.

## THE MAIN DIRECTIONS OF THE ACTIVE EMPLOYMENT POLICY AND THE IMPLEMENTING INSTITUTION

**Ela Lejhava**
Phd student at GTU

**RESIUME**

Unemployment is one of the most important socio-economic problems in Georgia. Unemployment is the forced unemployment of economically active people. The fight against unemployment has always been given great attention. The task of modern national employment programs is not to eliminate unemployment, but to reduce it to its natural level. Specific measures of state employment policy may vary according to the socio-economic conditions of the country. In 2012, Georgia started to establish labor market institutions and develop relevant programs. In order to implement an active labor policy in the country on January 1, 2020, the State Employment Promotion Agency under the Ministry of Refugees, Labor, Health and Social Affairs of Georgia started to operate independently to develop / implement active labor market policies and employment promotion services in the country.

The implementation of the 2022 state program for employment promotion will be implemented within the framework of the following three main sub-programs:

1. Employment Timing Services Development Subprogram;

2. Sub-program for professional development of job seekers;

3. Public Works Employment Promotion Sub-Program.

The purpose of this article is to discuss the possibilities of implementing an active labor market policy in Georgia, the programs to be implemented by the State Employment Promotion Agency, which requires even more detailed and in-depth research and study in the future.

**Key Words:** Active employment policy, State Agency for Employment Promotion, Employment programs.

უმუშევრობა – საბაზრო ეკონომიკის რთული, მრავალასპექტიანი სოციალურ–ეკონომიკური მოვლენაა. უმუშევრობა – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იძულებითი დაუსაქმებლობაა. უმუშევარია ადამიანი, ვისაც შეუძლია და სურს მუშაობა, ამასთანავე ეძებს სამუშაოს. უმუშევრობა ვლინდება სხვადასხვა ფორმებში. უმუშევრობის ძირითადი ფორმებია – ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში უფრო მეტად გავრცელებულია სტრუქტურული უმუშევრობა, რომელსაც თან ახლავს ახალი ტექნოლოგიური პრინციპები, რაც იძულებით ფორმას იღებს. ნებაყოფლობითი უმუშევრობა მოიცავს დაუსაქმებელ შრომისუნარიან ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ მუშაობა, და მათ, ვინც ნებაყოფლობით ხდება უმუშევარი იმიტომ, რომ ეძებს სამუშაოს უფრო კარგი პირობებითა და შრომის მაღალი ანაზღაურებით. სტრუქტურული უმუშევრობა ფრიქციულთან ერთად ქმნის ბუნებრივი უმუშევრობის ცნებას.

უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, განსაკუთრებით კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის შემდგომ. პანდემიამ, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში, რამდენიმე თვით სრულიად გააჩერა ეკონომიკა და შეცვალა ადამიანების ცხოვრების რიტმი

**უმუშევრობის დონე გრაფიკი N1**




უმუშევრობასთან ბრძოლას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მაგრამ უმუშევრობის, „საზოგადოების ამ ყველაზე მნიშვნელოვანი მანკიერების“ (კეინსი) დაძლევა პრაქტიკულად საკმაოდ რთული ამოცანაა. უმუშევრობის წინააღმდეგ საჭირო „წამლის“ შერჩევა ნიშნავს დასვა უმუშევრობის ეკონომიკური ბუნების სწორი დიაგნოზი (ნებაყოფლობითი, იძულებითი, სტრუქტურული, ფრიქციული, ციკლური), გაითვალისწინო ცვლილებები მაკროეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაში, იპოვო დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ადეკვატური ზომები.

დასაქმების თანამედროვე ეროვნული პროგრამების ამოცანაა არა უმუშევრობის აღმოფხვრა, არამედ მისი შემცირება ბუნებრივ დონემდე, შემცირდეს უმუშევრობის ხანგრძლივობა, არ მიეცეს მას ქრონიკული ხასიათი, შეჩერდეს უმუშევრობა სოციალურად დასაშვებ დონემდე, გამოყენებული იყოს უმუშევრობასთან ბრძოლის ინფლაციურად „უვნებელი“ მეთოდები, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევართა სოციალური დაცვა. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანაა შეიქმნას პირობები ეფექტიანი დასაქმების მუდმივი ზრდისთვის.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური პირობების მიხედვით. ამასთან ერთად მიღებულია დასაქმების დონეზე სახელმწიფოს ზემოქმედების ყველა ზომა კლასიფიცირებული იყოს როგორც დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ორი ტიპი – **აქტიური და პასიური.**

**დასაქმების სახელმწიფო აქტიური პოლიტიკა** საკმაოდ ახალი ტიპია, ის გამოიყენება XX საუკუნის 60–იანი წლებიდან. მისი არსი შეიძლება მოკლედ იყოს გამოხატული დებულებებით – შრომა შემწეობების მაგიერ, უმუშევრობის შემცირება, მისი ზრდის შეკავება და არა უმუშევრობის შედეგების შემსუბუქება. ამ პოლიტიკის პრიორიტეტული ღონისძიებებია დასაქმებულების და უმუშევრების სწავლება ეკონომიკაში დასახული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე. ეს ღონისძიებები შრომის ბაზარზე ზრდის დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობას, აყალიბებს სამუშაო ძალის მიწოდების სტრუქტურას, რომელიც შრომის ბაზრის მოქნილობის მოთხოვნების ადეკვატურია. დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა – შემცირდეს უმუშევრობა და მისი ხანგრძლივობა, ხელი შეუწყოს სტრუქტურულ გარდაქმნებს, დასაქმების უფრო მაღალ და სტაბილურ დონეს.

**დასაქმების პასიური პოლიტიკა** მიმართულია სოციალური დაცვის ზომების გატარებაზე, უმუშევართა შემწეობების გაცემაზე, მატერიალური დახმარების აღმოჩენაზე ხანგრძლივად დარჩენილი უმუშევრებისთვის.

**უპირატესობა ენიჭება დასაქმების სახელმწიფო აქტიური პოლიტიკას, რომელიც** გამოხატულია შრომის მოთხოვნა და მიწოდებაზე მოქმედ ფაქტორთა ფართო ნაკრებში.

ამგვარად, საბაზრო ეკონომიკაში მიმდინარეობს მიზანმიმართული დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირებას უკეთებს მოთხოვნას და მიწოდებას შრომის ბაზარზე, პასუხიმგებლობას იღებს უმუშევრების სწავლებასა და დასაქმებაზე, მუდმივად ეძებს ახალ მიდგომებს დასაქმების რეგულირებისთვის შრომის ბაზარზე.

დასაქმების სახელმწიფო სისტემა სათავეს იღ-

ებს დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში. ეს გახლდათ რეაქციაც და შედეგიც, რომელსაც ზეგავლენა უნდა მოეხდინა უმუშევრობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2012 წლიდან საქართველომ შრომის ბაზრის ინსტიტუტების შექმნა და შესაბამისი პროგრამების ამუშავება დაიწყო. ეს, დიდწილად, ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობით და მის წინაშე აღებული ვალდებულებებით იყო განპირობებული. შრომისა და დასაქმების სფეროში ვალდებულებები კიდევ უფრო გაიზარდა 2014 წელს, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. შრომისა და დასაქმების პოლიტიკაზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა. კერძოდ კი, წინარე წლებში ეს იყო სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, რომელიც 2013 წელს შეიქმნა.

შემუშავებულია შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგია (2019-2023 წწ), რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას შრომისა და დასაქმების სფეროში მომდევნო 5 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სისტემური და სტრატეგიული რეფორმებისა და ღონისძიებების ერთობლიობას.

სტრატეგიაში განისაზღვრა ორი ურთიერთდაკავშირებული სექტორული პრიორიტეტი და თითოეულ მათგანში რამდენიმე მიზანი.

***სექტორული პრიორიტეტი: დასაქმების ხელშეწყობა***

● მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება;

● **შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) გაძლიერება ;**

• მიზნობრივი სოციალური და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე ქალების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობა;

***სექტორული პრიორიტეტი: შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა***

◆ სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის აღსრულების სისტემის გაუმჯობესება;

◆ შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესება.

**დასაქმების ხელშეწყობისთვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“,** რომელიც ახალი სამუშაო ადგილების მოძიება-დასაქმებისთვის მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ამ მიმართულებით ქვეყანაში სახელმწიფოს მთავარი ინსტრუმენტია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის სერვისცენტრები დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებას სთავაზობს სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებულ პირებს.

„შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა“[1] - სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ფუნქციონირებას, მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას და შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის შემცირებას შრომის ბაზრის მონაწილეთა ინდივიდუალური უნარების განვითარებით.

„დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ კანონი აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას, განსაზღვრავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს - სწორედ ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი დასაქმების ხელშეწყობის სახელწიფო სააგენტო.

2020 წლის პირველი იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო დამოუკიდებელი სახით **სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ,** ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელების მიზნით. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დასაქმების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები განკუთვნილია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - Worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული 16 წლის ასაკიდან სამუშაოს მაძიებლებისათვის. Worknet- ეს არის ელექტრონული სივრცე, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს გადაწყვეტილებით და ხელშეწყობით, დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

**მიმდინარე ეტაპისთვის სააგენტო წარმოდგენილია თბილისსა და საქართველოს 7 რეგიონულ ცენტრში:**

● თბილისის სერვის ცენტრი;

● რეგიონული ცენტრები: კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო- ზემო სვანეთი, გურია და აჭარის ა.რ.

სააგენტოს საქმიანობა განისაზღვრება „დასაქმების ხელშეწყობის კანონში“ წარმოდგენილი დასაქმების 4 ძირითადი ფორმით:

◆ დასაქმება;

◆ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით დასაქმება;

◆ სტაჟირება;

◆ შრომითი მიგრაცია.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის დადგენილებით N-81 დამტკიცდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა,

1 დასაქმების ხელშეწყობის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

სადაც განისაზღვრა შემდეგი ქვეპროგრამები:

● დასაქმების ხეშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა;

● სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა;

● საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

სააგენტოს დააარსების დღიდან წარმოდგენილი აქვს 2020 და 2021 წლის ანგარიში. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს საქმიანობა დაარსებიდან მკვეთრად შეაფერხა ახალი კორონავირუსის COVID-19 მიერ გამოწვეულმა პანდემიამ, რომელმაც შეცვალა არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება და სამუშაო პროცესი. აქედან გამომდინარე სახელმწიფო სააგენტო ჩაერთო პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემის ადმინისტრირების პროცესში. კერძოდ, სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დაქირავებით დასაქმებულებისთვის და ფორმალური და არაფორმალური თვითდასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ანდა შემოსავალი პანდემიის შედეგად. დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა თვეში 200 ლარით, 6 თვის ოდენობით, ხოლო თვითდასაქმებულებისთვის განისაზღვრა ერთჯერადი კომპენსაცია 300 ლარის ოდენობით.

**მთავრობის მიერ დამტკიცებული დასაქმების ხელშეწყობის მიმდინარე წლის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემდეგი ღონისძიებების გატარებით არის დაგეგმილი:**

❖ შრომის ბაზრის მართვის სიანფორმაციო სისტემის განვითარება;

❖ შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

❖ საშუამავლო მომსახურების მიწოდება-განვითარება;

❖ ცირკულარული შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების იმპლემენტაცია;

❖ მოწყვლადი, დაბალკონკურენტიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

❖ დასაქმების ფორუმების მოწყობა;

❖ ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ;

❖ სააგენტოს შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება;

❖ სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

❖ პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდება რეგიონალურ დონეზე;

❖ საკვანძო კომპეტენციების განვითარება;

❖ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში დასაქმების აქტიური პოლიტიკის კონკრეტული მომსახურებები და პროგრამები შინაარსობრივად:

❖ **ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები** - ორიენტირებულია, დაეხმაროს პიროვნებას, რათა მან შეძლოს დამსაქმებელთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, საკუთარი ინდივიდუალური თვისებებისა და შრომის ბაზარზე არსებული რეალური სიტუაციის გათვალისწინებით;

❖ **პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა** - პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელს, შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას სჭირდება პროფესიულ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გასაკეთებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად;

❖ **საშუამავლო მომსახურება** - ვაკანსიის შესაფერისი კადრის მოძიება/ შერჩევა (ერთი კვირის ვადაში) და მონაცემების დამსაქმებლისთვის მიწოდება;

❖ **მხარდაჭერითი დასაქმების სერვისი მოწყვლადი ჯგუფებისთვის**- მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა;

❖ **დასაქმების ფორუმების ორგანიზება** - პოტენციურ კანდიდატთა არჩევის ან სასურველი სამუშაო ადგილის მოძიების მიზნით, სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის წარმომადგენელი დამსაქმებლებისა და რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების ორგანიზებული, მასიური შეხვედრა/გასაუბრება.

❖ **დამატებითი სერვისები რთულად დასასაქმებლებისთვის** - სააგენტო ინტენსიურად მუშაობს ისეთ რთულად დასასაქმებელ პირებთან, როგორებიც არიან შშმ პირები, მარტოხელა დედები და ძალადობის მსხვერპლი პირები (უახლოეს მომავალში ამ ჯგუფებს დაემატება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და ზრუნვიდან გამოსული პირები) და ეხმარება მათ ბარიერების დაძლევაში, მოტივაციის გაზრდასა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციაში. ამასთან, ამ კუთხით სააგენტო აქტიურად მუშაობს დამსაქმებლებთანაც, რათა გაიზარდოს მათი მზაობა სამიზნე ჯგუფების დასაქმების კუთხით;

❖ **ცირკულარული შრომითი მიგრაცია (დროებითი ლეგალური დასაქმების სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება)** - საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი, ლეგალური დასაქმების ხელშეწყობა. ამჟამად შრომითი მიგრაციის შესახებ ხელშეკრულება/შეთანხმება გაფორმებული და ძალაში შესული არის 4 პარტნიორ ქვეყანასთან, კერძოდ: ისრაელის სახელმწიფოსთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, საფრანგეთსა და ბულგარეთთან.

დასაქმების სახელმწიფო აქტიური პოლიტიკის

განხორციელება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემუშავებული შემდეგი პროგრამების მეშვეობით ხდება:

● **პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა** - შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსების უზრუნველყოფა.

● **საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ-კურსები** - საკვანძო კომპეტენცია წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებებისაგან შემდგარ ერთობლიობას, პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისთვის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისთვის. საკვანძო კომპეტენციებში სამუშაოს მაძიებელთა მომზადების მიზანია მათი უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებით. სააგენტო მოქალაქეებს სთავაზობს შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით მოკლე ვადიან ტრენინ-კურსებს:

– პერსონალური და სოციალური კომპეტენცია;
– ციფრული კომპეტენცია;
– სამეწარმეო კომპეტენცია;
– მულტილინგვურობის კომპეტენცია.

◆ **სტაჟირების პროგრამა** - დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით. სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს არაუმეტეს 3 თვისა. ერთ პოზიციაზე შესაძლებელია არაუმეტეს 3 სტაჟიორის გადამზადება. დამსაქმებელს აქვს ერთ პოზიციაზე მინიმუმ 1 სტაჟიორის დასაქმების ვალდებულება და შრომითი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მინიმუმ 6 თვით გამოსაცდელი ვადით. სამუშაოს მაძიებლის სტიპენდია შეადგენს თვეში 200 ლარს, ხოლო დისტანციური მუშაობის შემთხვევაში - 100 ლარი. აღსანიშნავია რომ, გაცემული ანაზღაურება (სტიპენდია) არ იბეგრება.

◆ **ხელფასის სუბსიდირების პროგრამა** - სუბსიდირების პროგრამა მიმდინარეობს 1-დან 3 თვემდე ვადით. ერთ ბენეფიციარზე ვაუჩერის ღირებულება განისაზღვრება შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 560 ლარისა. სუბსიდირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი ვალდებულია ბენეფიციარს შრომითი ხელშეკრულება გაუფორმოს სულ მცირე 6 თვის ვადით. პროგრამით მოსარგებლეები შეიძლება იყოს - შშმ/სსსმ პირები, 16-29 წლის ჩათვლით ახალგაზრდები მოწყვლადი ჯგუფებიდან (სოც. დაუცველები, სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, დევნილები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და ზრუნვიდან გასული პირები).

◆ **დაცული სამუშაო ადგილის სუბსიდირება** - დაცული სამუშაო ადგილი – დამსაქმებლის მიერ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის არის ადაპტირებული. დაცული სამუშაო ადგილი შეიძლება ასევე იყოს სპეციალური ვაკანსია, რომელსაც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი დაიკავებს. სააგენტო უფლებამოსილია დაცული სამუშაო ადგილის სამუშაო გარემოს ადაპტირებისთვის ან შექმნისთვის განახორციელოს დამსაქმებლის სუბსიდირება იმ პირობით, რომ ეს სამუშაო გარემო სულ მცირე 3 წელს იფუნქციონირებს. სააგენტო უზრუნველყოფს დამსაქმებლის სუბსიდირებას კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, არა უმეტეს 50%-ისა.

**მიმდინარე წლის 1 მარტიდან ამოქმედდა და სააგენტო ახორციელებს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამას.** საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა, რათა მოხდეს მათი წახალისება და მოტივაციის ამაღლება - გახდნენ აქტიური სამუშაო ძალა და ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამის მოსარგებლე არის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი პირი, რომელსაც აქვს მინიჭებული 120 000 ქულამდე და იღებს სოციალურ დახმარებას. საზოგადოებრივი სამუშაოს მომწოდებელი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არიან თვითმმართველი ერთეულები და სახელმწიფო ორგანიზაციები. მოსარგებლეს აქვს არჩევანი შემდეგ შეთავაზებებს შორის:

● საზოგადოებრივი სამუშაო;
● შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსია;
● დასაქმების ფორმალიზება;
● მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადება

თუ მოსარგებლე თანახმაა ერთ რომელიმე შეთავაზებაზე ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა (არ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება), ხოლო თუ ოჯახი უარს იტყვის აღნიშნულ შეთავაზებებზე, უარის დაფიქსირების მომდევნო თვიდან 1 წლის შემდეგ სოციალური დახმარების მიმღები ოჯახი დაექვემდებარება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმებას.

სტატიაში განხილული პროგრამები შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს წარმოადგენს, სსიპ დასაქმების დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მოქმედების არეალში.

აღსანიშნავია, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის საკანონმდებლო ნორმები და ამასთან არსებული რესურსების, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და პროგრამების შესახებ სამიზნე აუდიტორიას მიეწოდოს კონკრეტული ინფორმაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://socialjustice.org.ge/ka/products/dasakmebis-politika-sakartveloshi

2. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Dashboard.aspx?CategoryID=df02f9aa-a610-42ba-9a41-ee5f8bc4bf7e

3. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

4. http://eprints.tsu.ge/1425/1/Labor%20market%20in%20the%20Georgian%20state%20sector.pdf

5. http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH01f4140e9d4b6128d223b9a8;jsessionid=C9108B04F496A41BF887FE84D3845549?ed=1

6. http://ssa.gov.ge/files/2015/Sajaro/1/4/05/07.05.2015_03.pdf

7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2659895?publication=0

8. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_elm/documents/publication/wcms_114329.pdf

9. დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

10. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

11. https://www.moh.gov.ge/ka/743/

12. დასაქმების ხელშეწყობის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

13. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

14. დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

15. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების შესრულების ანგარიში, 2021 წელი (https://www.moh.gov.ge/ka/743/)

16. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის 2020 წლის სტატისტიკური ანგარიში (https://www.moh.gov.ge/ka/743/)

17. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Surveys.aspx

18. შრომის ბაზარზე ვაკანსიები მონიტორინგი (https://www.moh.gov.ge/ka/743/)

# ასიმეტრიული ინფორმაცია და მისი გავლენა ბაზრის ფუნქციონირებაზე

*ნატო ჩიკვილაძე*
*სტუ-ს პროფესორი*

**ASYMMETRIC INFORMATION AND ITS IMPACT ON MARKET FUNCTIONING**

**Nato Chikviladze**
professor of GTU

**ANNOTATION**

This article discusses the problems associated with asymmetric information and possible protection mechanisms. Information asymmetry is considered to be one of the most disruptive conditions in the marketplace. The term “asymmetric information” emerged in economics in the 1970s thanks to George Akerloff, Joseph Stiglitz and Michael Spence. The problem is very rarely discussed in the academic literature, mainly in textbooks by foreign authors, but authors in the academic literature see the problem relatively more often. When considering information as an economic category, studying the workings of agents and analysing failed market analysis. The fact is that asymmetric information is defined in the economic literature as the lack of information about a possible transaction partner, leading to market intolerance. Asymmetric information in some cases leads to a number of negative processes, namely increasing monopolism and hence market instability throughout the economic system.

**Key words:** asymmetric information, market signals, missing information, transition economy, complete information, market insolvency.

* * * *

ტერმინი, „ასიმეტრიული ინფორმაცია“, ეკონომიკურ მეცნიერებაში გაჩნდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჯორჯ აკერლოფის,ჯოზეფ სტიგლიცისა და მაიკლ სპენსის დამსახურებით.

2001 წელს შვედეთის აკადემიამ მიანიჭა ნობელის პრემია ამ სამ მეცნიერს ეკონომიკაში ასიმეტრიული ინფორმაციის შემთხვევებში ბაზრების ანალიზისათვის. სასწავლო ლიტერატურაში ეს პრობლემა ძალიან იშვიათად არის განხილული, ძირითადად უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოებში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორები შედარებით უფრო ხშირად იხილავენ ამ პრობლემას ინფორმაციის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განხილვისას, აგენტთა ურთიერთობებისა და ბაზრის მარცხის შესწავლისას. საქმე იმაშია, რომ ასიმეტრიულ ინფორმაციას განმარტავენ ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც ინფორმაციის უკმარობას რაიმე ხელშეკრულების დადებისას შესაძლო პარტნიორის შესახებ, რომელსაც მივყავართ ბაზრის მარცხთან. არასრულ ინფორმაციას მივყავართ ცრუ არჩევანთან (ან არასასარგებლო არჩევანთან) ხელშეკრულების დადებამდე და არაკეთილსინდისიერი საქციელის პრობლემამდე (მორალური რისკი) მისი განხორციელების შემდეგ. ცრუ არჩევანის პრობლემა იკვეთება არაპატიოსანი აგენტების გადაჭარბებული აქტიურობისას, რომლის შედეგადაც კონტრაქტის დადებისას უპირატესობა მიეცემათ სწორედ არასანდო პარტნიორებს. არაპატიოსანი საქციელის პრობლემა აღმოცენდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, როდესაც ერთი მხარე გადაწყვეტს იმოქმედოს ისე, რომელსაც ვერ გააკონტროლებს მეორე მხარე.

ეკონომიკურ სასწავლო ლიტერატურაში ბაზრის მარცხის განხილვისას ავტორები შემოიფარგლებიან მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ასიმეტრიული ინფორმაციის გავლენით მონაწილეებს შორის კონკურენციის ინტენსივობას და ეფექტიანობაზე გარე ეფექტებით. ამასობაში ინფორმაციის ასიმეტრიულობამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მიგვიყვანოს მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებამდე, კერძოდ, მონოპოლიზმის გაძლიერებამდე, რომელსაც შედეგად მთელი ეკონომიკის მასშტაბით ბაზრის არასტაბილურობამდე მივყავართ. რაც უფრო მაღალია ბაზარში შესვლის ბარიერები,მით უფრო ნაკლებია კონკურენტების რიცხვი და მით უფრო ვუახლოვდებით ბაზარზე მონოპოლიურ სიტუაციას. ყველაფერს ამას მივყავართ უხარისხო პროდუქციამდე, გარიგების წევრების ოპორტუნისტულ საქციელთან და ასიმეტრიული ინფორმაციის სხვა გამოვლინებებამდე, რომლებიც აუცილებლად მოახდენენ საბაზრო მექანიზმის დეფორმირებას.

ავიღოთ მოხმარების თეორიის ელემენტარული დებულებები,სადაც საუბარია სამომხმარებლო წონასწორობაზე.მყიდველი ყიდულობს საქონელს თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით იმისათვის, რომ ეს საქონელი სარგებლიანობის მომტანია და აუცილებელია მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოცემული საქონლის შეძენაზე გაწეული დანახარჯები უნდა დაემთხვეს საქონლის სარგებლიანობას. რეალობაში ჩვენ ხშირად ვეჯახებით ისეთ სიტუაციას, როდესაც საქონლის შესაძენად გაწეული დანახარჯები არ შეესაბამება მოცემული საქონლის სარგებლიანობას, რომელსაც ელოდა მომხმარებელი მისგან (საქონლის დაბალი ხარისხის გამო). მოცემულ შემთხვევაში წონასწორობა ირღვევა, ხოლო შედეგად უარესდება მომხმარებლის კეთილდღეობა. ცხადია, რომ ბაზარს ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს ჩარევის გა-

რეშე,მით უფრო ტრანზიტული ეკონომიკის პირობებში არ შეუძლია. ამიტომ ამ პრობლემის კვლევას არა მარტო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის აქვს მნიშვნელობა,სადაც ჩამოყალიბებულია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და ასიმეტრული ინფორმაციის ზოგიერთი ფორმები, არ ვლინდება ყოველთვის, არამედ ისეთი ქვეყნებისათვისაც, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე.

არშემდგარი ბაზრის ყოველი ტიპი მოითხოვს სახელმწიფოს განსაზღვრულ რეგულირებას. მაგალითად, როდესაც ეკონომიკაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობს უარყოფითი ექსტერნალიები (გარე ეფექტები) გამოიყენება სახელმწიფოს რეგულირების ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულს წარმოადგენს საგადასახადო ბერკეტი და ა.შ. რაც შეეხება ასიმეტრიული ინფორმაციის პრობლემას, აქ საგადასახადო ბერკეტების გამოყენება უმეტეს შემთხვევაში არ არის მისაღები, საჭიროა სხვა მექანიზმები. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთმა მკვლევარმა, ჯ.სტიგლიცმა, გამოიკვლია ასიმეტრიული ინფორმაციის საკითხი სახელმწიფო რეგულირებასთან მიმართებაში.

უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა უამრავი პუბლიკაცია, რომელიც მიეძღვნა ინფორმაციას, როგორც ეკონომიკური კატეგორიას, ასევე, როგორც საქონელს, რომელსაც გააჩნია სახმარი ღირებულება, მაგრამ ინფორმაცია წარმოადგენს ძალზედ სპეციფიკურ საქონელს. სინამდვილეში, რაც უფრო ინფორმირებულია მწარმოებელი ან მომხმარებელი,მით უფრო მაღალია მისი კეთილდღეობა. მაგრამ ეკონომიკის აგენტმა უნდა გადაიხადოს საინფორმაციო მომსახურებაზე, უნდა გასწიოს დანახარჯები ინფორმაციის შეგროვებაზე. განვიხილავთ ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთი დებულებას სავსე, სრულყოფილი ინფორმაციის და ბაზარზე გარიგების ავტომატურობაზე. სრული ინფორმაციის პირობებში საბაზრო ურთიერთობა ავტომატური ხდება. მარტივ შემთხვევაში შეიძლება იყოს ორი გამოსავალი: გარიგება ან შედგება, ან არა. თუ იდეალური ბაზრის სიტუაციიდან გამოვალთ, მომხმარებელსა და მწარმოებელს აქვთ სრული ინფორმაცია ეკონომიკურ ცვლადებზე, რომელიც დაკავშირებულია მათ არჩევანთან. რეალურ სინამდვილეში იდეალური ბაზრები არ არსებობს. ხშირად ვაწყდებით სიტუაციას,როცა ერთი მხარე უფრო გათვითცნობიერებულია, ვიდრე მეორე, ანუ ასიმეტრიულ ინფორმაციაში. ასიმეტრიული ინფორმაცია დამახასიათებელია ეკონომიკის მრავალი სიტუაციებისთვის. როგორც წესი, საქონლის გამყიდველი უფრო კარგად არის გარკვეული ამ საქონლის ხარისხში, ვიდრე მყიდველები. საკმარისია გავიხსენოთ, როგორი უნდობლობა გვქონდა კოოპერატიული საწარმოების პროდუქციისადმი, ან როგორი სიფრთხილით ვყიდულობდით საქონელს საეჭვო ჯიხურებში.

ავიღოთ შრომის ბაზარი. მუშებმა სამსახურში მოწყობისას უფრო მეტი იციან თავიანთი უნარების შესახებ, ვიდრე დამქირავებელმა. საკრედიტო ბაზრის მაგალითზე უფრო მეტი იციან მევალეებმა თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებზე, ვიდრე ბანკებმა. ყველა ამ მაგალითიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს ასიმეტრიულ ინფორმაციასთან. თვითონ ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია მარტივია ერთის მხრივ, მაგრამ სხვა მხრივ, მისი ანალიზი არასრულყოფილი ბაზრის პირობებში უფრო რთულია.

ჩვენ მიერ ნაშრომში დასახელებული თითოეული ნობელის პრემიის ლაურეატის მიერ შესწავლილ იქნა ასიმეტრიული ინფორმაციის თეორიის ცალკეული პრობლემა. საქონლის ხარისხზე ასიმეტრიული ინფორმაციის მნიშვნელობაზე კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მეორადი მანქანების ბაზარი (ანუ“ ლიმონების ბაზარი“) ჯორჯ აკერლოფის მიერ აღწერილი. გამოიკვლია რა ეს ბაზარი, მან გვიჩვენა, რომ ინფორმაციის ასიმეტრიის გამო დაბალხარისხიანი მანქანები,“ლიმონები“, ბაზრიდან ედევნებიან კარგი ხარისხის ავტომანქანებს. თუ მანქანის ფასი საშუალო დონეს უახლოვდება, მაშინ კარგი მანქანის გამყიდველები კარგავენ მყიდველებს და ტოვებენ ბაზარს, ხოლო ნახმარი მანქანებით მოვაჭრეები მოგებულები რჩებიან. საქმე იმაშია,რომ გამყიდველებმა უფრო მეტი იციან თავიანთი ავტომობილების ხარისხის შესახებ, ვიდრე მყიდველებმა. შესაბამისად, უკანასკნელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ბევრი მანქანა დაბალხარისხიანია.

კარგი ხარისხის მანქანების მიერ ბაზრის დატოვებით მანქანების საშუალო ხარისხი მკვეთრად ეცემა, შედეგად კი გასაყიდი მანქანების ფასი კლებულობს. სწორედ ეს აძლევს ბიძგს კარგი მანქანების გამყიდველებს დატოვონ ბაზარი. ამის შემდეგ ბაზარზე მხოლოდ „ლიმონები“გაიყიდება.

ჩვენ ვხედავთ, რომ არა მარტო მყიდველები, არამედ გამყიდველებიც ზარალდებიან ინფორმაციის ასიმეტრიის გამო. მოცემულ მაგალითში გამყიდველებმა, რომელთაც იციან, რომ მათი საქონელი მაღალი ხარისხისაა, მოინდომებენ უფრო მაღალი ფასის დაწესებას. ხოლო მყიდველები, რომლებიც მოელიან ბაზარზე დაბალი ხარისხის მანქანებს, მზად იქნებიან, შეიძინონ უფრო დაბალ ფასად. თუ წარმოვიდგენთ იდეალურ ბაზარს, ამ შემთხვევაში მომხმარებლებს შეეძლებათ არჩევანი გააკეთონ დაბალ და მაღალხარისხიან მანქანებს შორის. პირველი შეიძლება აირჩიონ სიიაფის გამო, ხოლო მეორეზე მყიდველებმა შეიძლება გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი. სინამდვილეში, ნებისმიერი, ვისაც სურს კარგი მანქანა გაყიდოს, წააწყდება სირთულეებს - დაამტკიცოს, რომ მისი მანქანა მაღალი ხარისხისაა. ხოლო მომხმარებლებისათვის შეძენისას ადვილი არ არის განსაზღვრონ ნახმარი მანქანების ხარისხი. მაგალითისათვის საქართველოში სხვა-

დასხვა ქვეყნებიდან შემოდიოდა მანქანები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა წყალში ცუნამის დროს (იაპონიაში). გარეგნულად ეს მანქანები კარგად გამოიყურებიან, მაგრამ მართვისას მყიდველები წააწყდებიან ელექტრონული სადენების დაჟანგვას. ასეთ სიტუაციაში მომხმარებელს მოუხდება დამატებითი ხარჯების გაღება მსგავსი ავტომობილების ექსპლუატაციის პირობებში.

„ლიმონების ბაზრის“ თავისებურებას წარმოადგენს მისი არაორგანიზებულობა. თუმცა, ინფორმაციის ასიმეტრია შესაძლებელია მაღალ დონეზე ორგანიზებულ ბაზარზეც.

ჯ. აკერლოფის აზრით, მაგალითად, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ინფორმაციის ასიმეტრიულობამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შერჩევის პრობლემა მაშინ, როდესაც არასაკმარისი ინფორმაციის ფონზე ახალი მაღალტექნოლოგიური პროექტების შესახებ ინსაიდერებსა და ინდუსტრიასთან დაკავშირებული ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია პროექტის სამომავლო ღირებულების შესახებ. როგორც შედეგი, ზოგიერთი კონკურირებადი კომპანიების აქციები შეიძლება მნიშვნელოვნად ამაღლდეს მიუხედავად შემოსავლის საშუალოზე დაბალი დონისა. ეს იძლევა დამატებითი კაპიტალის მიზიდვის სტიმულს დაბალშემოსავლიანი ფირმებისათვის ახალ, მეტად რისკიან პროექტებში. ჯამში გამოდის, რომ საფონდო ბირჟაზე სჭარბობენ " ლიმონები". ისმება კითხვა, როგორ უნდა დავძლიოთ ან შევარბილოთ ინფორმაციის ასიმეტრიულობა? ერთ-ერთი იმ მექანიზმებიდან, რომელიც გამყიდველებსა და მყიდველებს საშუალებას აძლევს ინფორმაციის ასიმეტრიის თავიდან აცილების შესაძლებლობას, წარმოადგენს საბაზრო სიგნალები(გამაფრთხილებელი მინიშნებები). საბაზრო სიგნალების კონცეფცია პირველად შემუშავებულ იქნა მ.სპენსის მიერ. მისი წვლილი ასიმეტრიული ინფორმაციის თეორიაში იმაში მდგომარეობს, რომ განავითარა და ფორმალიზება გაუკეთა სიგნალების გადაცემის იდეას. თავის ნაშრომში იგი განათლებას განიხილავს შრომის ბაზარზე მწარმოებლურობის სიგნალად (ნიშნად).

მ. სპენსის აზრით, სიგნალიზაცია არ იმუშავებს, თუ მისი ხარჯები არ განსხვავდება სიგნალის გამომგზავნების დანახარჯებისაგან (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება სამუშაო ადგილებზე პრეტენდენტები). დამსაქმებლებს შეუძლიათ უპირატესობა იმ პრეტენდენტებს მიანიჭონ, ვისაც შედარებით მეტი და უფრო ძვირადღირებული განათლება აქვს მიღებული. თუმცა, ამ მტკიცებულებაში არის ზოგიერთი ხარვეზი, კერძოდ, ის, რომ უმაღლესი განათლების ქონა ყოველთვის არ წარმოადგენს პოტენციური მუშაკის შრომისუნარიანობის მაჩვენებელს. სტუდენტი სწავლის პროცესში ხშირად ვერ იღებს შესაფერის განათლებას, ხოლო მის განათლებაზე გაღებულ დანახარჯის ანაზღაურება მოხდება შედარებით უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურით. ეს უფრო პოსტსაბჭოთა ქვეყნების შრომის ბაზრებისათვისაა დამახასიათებელი. თუნდაც ორი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ვერ შოულობენ შესაფერის მაღალანაზღაურებად სამუშაოს. მოცემულ სიტუაციაში ასიმეტრიული ინფორმაციის შერბილებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება სასწავლო დაწესებულების რეპუტაციას, გამოჩენილი მეცნიერების რეკომენდაციებს. ამასთანავე, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ როგორც სიგნალების გადაცემა, ასევე მიღება, მოითხოვს დანახარჯებს. ავიღოთ საქონლის ბაზარი, სადაც გამყიდველები მოწადინებული არიან, სიგნალი გასცენ პროდუქციის მაღალ ხარისხთან დაკავშირებით. ასეთ სიგნალად შეიძლება ჩაითვალოს ძვირად ღირებული რეკლამა და მწარმოებელთა ხანგრძლივი გარანტიები. თუმცა, როგორც წესია, დაბალხარისხიანი საქონლის გამყიდველს არ შეუძლიათ დიდი გარანტიების მიცემა.

ამრიგად, მოცემული პრობლემა ძალზედ აქტუალურია არა მხოლოდ განვითარებული საბაზრო ურთიერთობის მქონე ქვეყნებისათვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, სადაც საბაზრო სისტემის ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშია. მათ შორის, საქართველოც არაა გამონაკლისი. საკითხი იმის შესახებ, თუ საბაზრო სისტემის განვითარება რა ასპექტებს გამოავლენს მოცემული პრობლემის კვლევის პროცესში, დაუდგენელია და საჭიროებს შემდგომ კვლევას.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Akerloff G.A (1970)The Market for Lemons: Quality Uncertainty and Market Mechanism. Quarterly Journal of Economics. 84:pp 488-500.
2. Spence M, Job Market Signaling //The Quarterly Journal of Economics.1973.Vol.87.No.3.p.355-374.
3. Stiglitz J.E. Information and Chang in the Paradigm in Economics //The American Economic Review,2002. Vol.92.No 3.p.460-501.
4. Стиглер Г. Д . Экономическая теория информации //Теория фирмы. Экономическая Школа.- СПб: Изд- во „Вехи Экономической Мысли“, 1999 –с. 432-447.

# საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა

*მარიკა მერაბიშვილი*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**ანოტაცია**

თანამედროვე ტელეკომუნიკაცია წარმოადგენს მთავარ მმართველ ფაქტორს სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესისა, საზოგადოების ინტელექტუალური და საქმიანი აქტივობების ზრდისა, ავტორიტეტის გამყარებისა და ქვეყნის პოზიციების გამაგრებისა მსოფლიო საზოგადოებაში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური კავშირის კონვერგენცია საშუალებას გვაძლევს საგრძნობლად გავაფართოვოთ საქმიანი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გასართობი ინფორმაცია, უზრუნველყოს ეკონომიკური გლობალიზაციის საქმიანობა და ეკონომიკის ცალკეული სახელმწიფოების გაერთიანება ერთიან სისტემაში საერთაშორისო მასშტაბით.

**საკვანძო სიტყვები**: ნარჩენი პრინციპი; კავშირინვესტი.

**DETERMINING THE COMPETITIVENESS OF THE GEORGIAN TELECOMMUNICATIONS MARKET**

**Marika Merabishvili**
PhD student at GTU

**SUMMARY**

Modern telecommunications is a major governing factor in scientific-technological and economic progress, the growth of society's intellectual and business activities, the strengthening of authority and the strengthening of the country's position in the world community. The introduction of digital technologies, network convergence allows us to significantly expand business, educational, scientific and entertainment information, ensure the activities of economic globalization and unite the individual states of the economy in a single system internationally.

**Keywords:** Residual principle; Union Invest.

* * * *

თანამედროვე ტელეკომუნიკაცია წარმოადგენს მთავარ მმართველ ფაქტორს სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესისა, საზოგადოების ინტელექ-ტუალური და საქმიანი აქტივობების ზრდისა, ავტორიტეტის გამყარებისა და ქვეყნის პოზიციების გამაგრებისა მსოფლიო საზოგადოებაში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური კავშირის კონვერგენცია საშუალებას გვაძლევს საგრძნობლად გავაფართოვოთ საქმიანი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გასართობი ინფორმაცია, უზრუნველყოს ეკონომიკური გლობალიზაციის საქმიანობა და ეკონომიკის ცალკეული სახელმწიფოების გაერთიანება ერთიან სისტემაში საერთაშორისო მასშტაბით.

კონკურენცია (წარ. ლათინ. Concurrentia-დაჯახება) არის მეტოქეობა საქონლის შემქმნელებსა და მომსახურებას შორის გასაღების ბაზარზე, ბაზრის გარკვეეული სეგ-მენტის დაპყრობა. თითოეული ფირმა ასრულებს თავის სტრატეგიას და ტაქტიკას ამ მიზნის მისაღწევად.

საქონლის კონკურენტუნარიანობა - გადამწყვეტი ფაქტორია კომერციული წარმა-ტებისთვის. ასევე საქონლის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დანახარჯების დონე.

ბაზრის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ხდება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით (HHI), რომელიც არის ბაზრის კონცენტრაციის საყოველთაოდ მიღებული საზომი. ასევე გამოიყენება HHI-ს პოტენციური გაერთიანების საკითხების შესაფასებლად.

$$HHI=s12+s22+s32+\ldots sn2$$

სადაც S არის ფირმის ბაზრის წილის პროცენტი n არის მთელი რიცხვი.

ციფრული კავშირგაბმულობის განვითარების დონე ხასიათდება ანალოგური და ციფრული კავშირის შეფარდებით. ტელეკომუნიკაციის სისტემების მიმართ აბონენტთა ზრდა განაპირობა კავშირგაბმულობის განვითარებამ და ციფრული სისტემების დანერგვამ, ასევე ბაზარზე არსებული ხარჯების დაკლებამ. დღესდღეობით ციფრული სისტემის ბაზრის წილი არის სააბონენტო ბაზრის თითქმის 92%.

ციფრული კავშირის ბაზრის ზრდის პირობები:

• მოძრავი კავშირგაბმულობის განვითარებაში საზოგადოების მხრიდან მზარდი მოთხოვნა;

• მობილური ოპერატორის მიერ გარე ინვესტიციების მოზიდვა, რის ხარჯზეც მოხდება კაპიტალის დაგროვება და სარფიანი პირობების შეთავაზება ინვესტორებისთვის;

• მარეგურილებელი ორგანოს მხრიდან ტელეკომუნიკაციის ბაზრის ეფექტური რეგულირება. კონკურენციის განვითარება ახალი ოპერა-ტორების არადისკრიმინაციულ პირობებში, აბონენტებთან ფინანსუ-რი ანგარიშის ხელსაყრელი პირობები;

• WEB ინფორმაციისა და რადიოკავშირის პერსონალიზაცია.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში კავშირგაბმულობის განვითარება საქართ-ველოში ფინან-




სდებოდა ნარჩენი პრინციპით. კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიების და კავშირის ალ-ჭურვილობის კაპიტალდაბანდება იწარმოებოდა ძირითადად ქვეყნის თავდაცვის პოტენციალის გამტკიცების მიზნით. ფინანსების „ნარჩენმა“ პრინ-ციპმა მიიყვანა იქამდე, რომ დარგში ინვესტიციები იყო ორჯერ-სამჯერ ნაკლები ვიდრე საჭირო იყო. შედეგად ამისა, ძირითადი საწარმოო კავშირგაბ-მულობის ტრადიციული ოპერატორების ფონდების ცვეთა, რომელიც შედის „კავშირინვესტი“ სადლე-ისოდ შეადგენს 50%-ზე მეტს და საქართველო საგ-რძნობლად ჩამორჩება სატელე-ფონო სიმჭიდრო-ვის დონით განვითარებულ ქვეყნებს.

სატელეფონო სიმჭიდროვე განისაზღვრება სა-ტელეფონო აპარატების რიცხვით 100 მაცხოვრე-ბელზე, მაგრამ არაპირდაპირ განსაზღვრავს მთე-ლი კავშირგაბმულობის ქსელის მდგომარეობას, მათ შორის სააბონენტო კავშირგაბმულობის ხა-ზების რაოდე-ნობას, ავტომატური კომუტაციური სადგურების მონტირებული ტევადობა და ხაზოვა-ნი ნაგებობების გამტარობის უნარი.

საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენილობა სატელეფონო სიმჭიდროვეში აიხსნება იმით, რომ სატელეფონო სიმჭიდროვესა და ეკონომიკის დო-ნეს შორის, რომელიც გამოხატულია ერთ მომხმა-რებელზე მთლიანი შიდა პროდუქტით, არსებობს კორელაციური დამოკიდებულება რომელიც ცნო-ბილია, როგორც ჯიპის დიაგრამა.

მაჩვენებელი რიგ ქვეყნებში 100 სულ მოსახ-ლეზე 2020 წლის მონაცემებით კორელაციური და-

**ცხ.1. სატელეფონო ტელეკომუნიკაციის სიმჭიდროვის შედარებითი**

| ქვეყანა | სატელეფონო სიმჭიდროვე, ფიქსირებული და მობილური ტელეფონების ჯამური რიცხვი 100 მაცხოვრებელზე |
|---|---|
| აშშ | 106.19 |
| ჩინეთი | 119.39 |
| იაპონია | 154.22 |
| გერმანია | 128.19 |
| საფრანგეთი | 111.46 |
| ინგლისი | 116.38 |
| რუსეთი | 163.59 |
| იტალია | 128.31 |
| ბრაზილია | 96.84 |
| საქართველო | 127.85 |

**2. საბაზრო ურთიერთობების ფორმირების ეტაპები ინფოკომუნიკაციებში.**




მოკიდებულება სატელეფონო სიმჭიდროვესა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის, რომელიც გამოხატავს არა მარტო კავშირგაბმულობის ქსელის განვითარების დონეს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური დონის განვითარებას და მისი მაცხოვრებლების მდგომარეობას. რაც მეტია მთლიანი შიდა პროდუქტი მით მაღალია საშუალოდ ქვეყნის თითოეული მაცხოვრებლის კეთილდღეობა და ასევე, ციფრული კავშირის შემოსავლები. საქართველოს ეკონომიკური სისუსტე განაპირობებს ტელეკომუნიკაციის განვითარების დონეს.

ტელეკომუნიკაციის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ მოტივად გვევლინება არამარტო ტექნიკური პროგრესი და ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა, არამედ საბაზრო ურთიერთობების ფორმირება. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ინფოკომუნიკაციებში საბაზრო ურთიერთობების განვითარების ეტაპები მრავალგ ზის თანხვდება ანალოგიურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიო წამყვან ქვეყნებში.

### ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. https://www.comcom.ge/uploads/other/7/77-75.pdf
2. https://www.itu.int/en/ITU-D/Regulatory-Market/Documents/USF_final-en.pdf

# ბიზნეს-ინჟინერინგი ფინანსებში

## ორგანიზაციული კულტურის თავისებურებებზე მოქმედი ფაქტორები

**თამარ ღამბაშიძე**
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
**ნინო ხუჭუა**
*სსუ-ს ასოცირებული პროფესორი*
**სოფია გურგენიძე**
*სტუ-ს დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**
საბაზრო ეკონომიკის განვითარება შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს საკუთარი კანონებით და პრინციპებით განვითარდნენ. ამ კანონების და პრინციპების შესაბამისად განვითარდება და ჩამოყალიბდება საწარმოს კულტურა. ამგვარად, თითოეული ორგანიზაცია ხდება უნიკალური კულტურის მფლობელი, რომელიც განსაზღვრავს ყველა თანამშრომლის ქცევას, საქმიანობას და ურთიერთქმედებას, როგორც საწარმოში, ასევე მის გარეთ, გარემოსთან. სხვადასხვა კულტურული თავისებურებების, უკვე ჩამოყალიბებული კულტურის მოვლენების ფორმირება გამოწვეული იყო გარკვეული გარემოებებით, პირობებით, ფაქტორებით, რომლებიც მოქმედებდნენ ამ ორგანიზაციაზე წარსულში და, შესაძლოა, ახლაც განაგრძობენ მოქმედებას.

**საკვანძო ტერმინები:** სოციალური ინფრასტრუქტურა, შრომის ორგანიზაცია, პროფესიული კოდექსი, ექსპრეს-გამოკითხვა, შავი პიარი.

FACTORS AFFECTING THE RECULIARITIES OF ORGANIZATIONAL CULTURE

**Tamar Ghambashidze,**
Associate Professor of GTU
**Nino Khuchua,**
**Associate Professor of GAU**
**Sofia Gurgenidze,**
PhD student of GTU

**ABSTRACT**
The development of a market economy enables enterprises to develop according to their own laws and principles. The culture of the enterprise will be developed and formed in accordance with these laws and principles. In this way, each organization becomes the owner of a unique culture that determines the behavior, activities and interactions of all employees, both in the enterprise and outside it, with the environment. The formation of cultural events of different cultural peculiarities was already caused by certain circumstances, conditions, factors that have influenced this organization in the past and may continue to operate today. Therefore, before you try to change the culture in any direction, it is worth analyzing what led to the emergence of these features, whether the conditions have changed, what has influenced them and what role these phenomena play today.

* * * *

თითოეული ორგანიზაცია ხდება უნიკალური კულტურის მფლობელი, რომელიც განსაზღვრავს ყველა თანამშრომლის ქცევას, საქმიანობას და ურთიერთქმედებას, როგორც საწარმოში, ასევე მის გარეთ, გარემოსთან. სხვადასხვა კულტურული თავისებურებების, უკვე ჩამოყალიბებული კულტურის მოვლენების ფორმირება გამოწვეული იყო გარკვეული გარემოებებით, პირობებით, ფაქტორებით, რომლებიც მოქმედებდნენ ამ ორგანიზაციაზე წარსულში და, შესაძლოა, ახლაც განაგრძობენ მოქმედებას.

**გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებზე:**

**პერსონალური -** ორგანიზაციის შემადგენლობაში არსებული ადამიანების სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების გავლენა ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებზე. უდიდეს გავლენას, რა თქმა უნდა, ახდენენ გამოკვეთილი,, აქტიური, წამყვანი (ლიდერი) პიროვნებები, მაგრამ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ გარემოში აღზრდილი სხვა თანამშრომლების პიროვნული მახასიათებლების ურთიერთქმედება ასევე ქმნის ორგანიზაციული კულტურის ელემენტების უნიკალურ შინაარსს.

**სოციალური -** გარემომცველი საზოგადოების პირობები, დაწყებული მოსახლეობის ცხოვრების დონით და სოციალური ინფრასტრუქტურით და დამთავრებული საზოგადოების განწყობილებებით, საზოგადოების და მმართველი ორგანოების მხრიდან ამ საწარმოსადმი დამოკიდებულებით.

**ტექნიკური -** ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გან-

ვითარების დონე ძირითადად განსაზღვრავს საწარმოში გამოყენებული სამუშაო ძალის ხარისხს: განათლების დონეს, თანამშრომელთა ერთმანეთთან ურთიერთქმედების ხარისხს და ხასიათს; შრომის ორგანიზაციის საჭირო ფორმები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნოლოგიური თავისებურებები.

**ეკონომიკური** - ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ რამდენად ადეკვატური ხელფასი შეუძლია კომპანიას შესთავაზოს თავის თანამშრომლებს, ეს გავლენას ახდენს სამუშაოს მიმართ დამოკიდებულებაზე, პერსონალის დენადობის მაჩვენებელზე. პერსონალის დენადობის მაღალი დონე იწვევს ორგანიზაციული კულტურის გამოფიტვას, ხოლო დაბალი ხელფასი აჩვევს ადამიანებს უსაქმურობას, აყალიბებს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სამუშაოსადმი, აუარესებს დისციპლინას.

**პროფესიული** - პროფესიის მახასიათებლები კვალს ტოვებს ადამიანური ურთიერთობების ხასიათზე, ღირებულებით ორიენტაციებზე, მოითხოვს გარკვეულ მორალურ თვისებებს (პროფესიული კოდექსი, ჰიპოკრატეს ფიცი). დარგობრივი კუთვნილება, სამუშაოს ხასიათი განაპირობებს ორიენტაციას ისეთ ფასეულობებზე.

**ნაციონალური** - ნაციონალური კულტურის გავლენა ორგანიზაციის კულტურაზე. ეს შეიძლება იყოს თითოეული ერისთვის დამახასიათებელი ქცევის თავისებურებები, განსაკუთრებული მენტალიტეტი, ისტორიული განვითარებით განპირობებული ტრადიციები, კლიმატის, გეოგრაფიული მდებარეობის, სივრცის თავისებურებები.

**შიდა** - მოცემული ორგანიზაციის, მისი შიდა გარემოს თავისებურებებით განპირობებული, არის ყველაზე მართვადი და პროგნოზირებადი. მაგალითად - საკადრო პოლიტიკა, ორგანიზაციის სტრუქტურა, ხელმძღვანელობის გაბატონებული სტილი.

**გარე (გარეგანი)** - ეხება გარემოს ფაქტორებს და საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზს მათ შესაბამისობაში მოსაყვანად, ასევე ფაქტორებს, რომლებზეც რთულია ზემოქმედება, მაგრამ მათ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ .ეს არის კანონები, მოცემული ინდუსტრიის საწარმოსთან მიმართებაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გატარებული პოლიტიკა, მაგალითად, მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმი, საგადასახადო შეღავათები (გადასახადებისგან განთავისუფლება), ან საზოგადოების საწარმოს მიმართ დამოკიდებულება.

**ობიექტური** - წარმოიქმნება და მოქმედებს ჩვენი ნებისა და სიტუაციის აღქმისგან დამოუკიდებლად.

**სუბიექტური** - პირდაპირ არის დამოკიდებული ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესის თითოეული მონაწილის მხრიდან სიტუაციის აღქმაზე და მის იდეალის შესახებ წარმოდგენებზე.

**კონტროლირებადი** (მართული) - მიზანმიმართულ ქმედებებს შეუძლია გააძლიეროს ან შეასუსტოს მათი გავლენა, ზოგჯერ უბრალოდ ფაქტების ან თავისი პოზიციის, დამოკიდებულების დაფიქსირებით, შესაძლებელია ფაქტორების შინაარსის შეცვლა (მაგალითად, ორგანიზაციული სტრუქტურა, კორპორატიული საკადრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიმე კანონპროექტის ლობირება).

**არაკონტროლირებადი** (უმართავი) - ფაქტორების უკონტროლობა შეიძლება იყოს მათი არსებობის შესახებ ინფორმაციის უქონლობის შედეგი. ასეთ შემთხვევაში პრობლემა წყდება მარტივი დიაგნოსტიკური კვლევით.

**ფორმირებადი** - შემუშავებული, კონსტრუირებული ფაქტორები, შექმნილი ორგანიზაციული კულტურის პარამეტრებზე განსაზღვრული მიმართულებით ზემოქმედებისთვის. მაგალითად, სპეციალური, ოჯახური, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა მიკუთვნებულობის, ინტერესთა ერთიანობის, კოლეგების მხარდაჭერის და ბედში მონაწილეობის გრძნობის ფორმირებისთვის.

**არაფორმირებადი** - წარმოიქმნება სპონტანურად, პერსონალის რეაქციის დაგეგმვის და პროგნოზირების გარეშე ან კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისთვის.

**მაღალი ღირებულების** (ხარჯიანი) - ფაქტორები, რომელთა მოქმედებაში მოყვანა, გავლენის შემცირება, მოფიქრება და ფორმირება, მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რაც ყოველთვის გამართლებული არ არის. ფაქტორის ასეთად, მაღალ ღირებულების მქონედ, შეფასება ხდება მისი მოქმედების მოსალოდნელი ეფექტიანობის და გამოყენების ღირებულების საფუძველზე.

**საშუალო ღირებულების** - ფაქტორები, რომლებიც მათ გასააქტიურებლად, გავლენის შესამცირებლად, დასამუშავებლად და ფორმირებისთვის საჭიროებენ საშუალო ღირებულების დანახარჯებს. საშუალო დანახარჯებისას არსებობს გარკვეული დადებითი შედეგი. მაგალითად, სპეციალური განათლების, ტრენინგების ორგანიზება, ტესტირება, ექსპრეს გამოკითხვების, ბიზნეს თამაშების, დღესასწაულების ჩატარება, ტრადიციები.

**დაბალი ღირებულების** - ფაქტორები, როდესაც დაბალი, მცირე დანახარჯის ფასად, არის გარკვეული დადებითი შედეგი. მაგალითად, ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის შექმნა, ბრძანებების, ინსტრუქციების, განცხადებების გარკვეული მიმართულებით ფოკუსირება და ა.შ.

**პირდაპირი** - ფაქტორები რომლებიც უშუალოდ ახდენენ ორგანიზაციული კულტურის ელემენტების პარამეტრების და შინაარსის ფორმირებას. ასეთი ფაქტორები იქნება ორგანიზაციის წესდება, ხელმძღვანელობის სტილი, ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციაში მიღებული ხარისხის სტანდარტები, წახალისების სისტემა და ა.შ.

**არაპირდაპირი** (ირიბი) - მათი გავლენა ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაზე, მისი ელემენ-

ტების შინაარსზე არის არაპირდაპირი, ირიბი. მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურის საქმიანობა, რეკლამა, სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, მენეჯერების ქცევა.

**ეფექტიანი** - შედეგები ბევრად აღემატება ხარჯებს. ეს შეიძლება იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადი მაგალითი, როდესაც ის მუდმივად, სხვადასხვა გარემოებებში, აჩვენებს ქცევას, რომელიც შეესაბამება გაცხადებულ მიზნებს, პრინციპებს, ღირებულებებს.

**არაეფექტიანი** - შედეგები უმნიშვნელოდ აღემატება, ტოლია ან არსებითად დაბალია დანახარჯებზე და ზოგჯერ მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი.

**გრძელვადიანი ზემოქმედების** - ფაქტორის ზემოქმედების სიხშირის და ხანგრძლივობის მიუხედავად, მისი გავლენა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება (მაგალითად, მოტივაცია).

**მოკლევადიანი** - ფაქტორის გავლენა დიდხანს არ გრძელდება ან ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედების შემდეგ უცბადვე წყდება (მაგალითად, სტიმული).

**მუდმივი** - ფაქტორები რომლებიც მოქმედებს მუდმივად, შეიძლება თავად საწარმოს მახასიათებლებით განისაზღვრებოდეს (სამუშაო პირობები - მუდმივი ხმაური ან ვიბრაცია, სამუშაო ადგილების განლაგება და იზოლირება) ან იყოს უფრო გლობალური ხასიათის, როგორიცაა, მაგალითად, კანონები.

**ხანმოკლე** - ფაქტორი, რომლის ზემოქმედება შეიძლება იყოს ერთჯერადი, ასევე შესაძლებელია ზოგჯერ ხელახლა გამოჩნდეს, მაგრამ მისი გამოჩენის მოლოდინმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს საქმიანობაზე, პრინციპებზე, ღირებულებებზე, ნორმებზე და ორგანიზაციის სტრუქტურაზეც კი. ასეთია მაგალითად, კრიზისი.

**კანონზომიერი** - ფაქტორები რომლებიც ასახავს და შეესაბამება სოციალური პროცესების და მოვლენების განვითარების ზოგად კანონებს. მსგავსი ფაქტორების რიგშია პროგნოზირებადი ფაქტორები.

**შემთხვევითი** - ფაქტორები რომლებიც არ არის დაკავშირებული ცნობილ კანონზომიერებებთან (შაბლონებთან) და მოვლენებთან, არის მოულოდნელი და მათი გამოჩენის მენეჯერებისთვის ხილული წინაპირობების გარეშე.

**ბუნებრივი** -ფაქტორები რომლებიც საზოგადოების, ორგანიზაციის ბუნებრივი განვითარების პროცესში წარმოიშვა. მაგალითად, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები.

**ხელოვნური** - ნებისმიერი მიზნისთვის სპეციალურად შექმნილი ფაქტორები. მაგალითად, შავი პიარი, საკადრო პოლიტიკის გარკვეული მიმართულება (თანამშრომლის მაქსიმალურად გამოყენება და მერე გადაგდება ან ოჯახური იდილია).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Organisational Culture, (2003) ICFAI Centre for Management Research, ECCH Collection, http://www.ecch.cranfield.ac.uk. 3M's Annual Report (2006) 'Working Our Magic', USA:3M,

2. http://solutions.3m.com/wps/portal/3M/en_US/our/compa ny/information/ 3M McKnight Principles, 3M Leadership, History, CEO and Corporate Officers .

3. http://solutions.3m.com/wps/portal/3m/en_US/our/compa ny/information/history/

# სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის როლი ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების პროცესში

***იური კოჩარიანი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფო ვალი. სახელმწიფო ვალი არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დროთა განმავლობაში ოპტიმალური განაწილების მთავარი ინსტრუმენტი. იმისთვის, რომ სახელმწიფო ვალმა, როგორც ინსტრუმენტმა შეასრულოს თავისი როლი, კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოს მიმართ ნდობა. აღნიშნული ნდობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ქონდეს მდგრადი ფისკალური პოლიტიკა და სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანი სტრატეგია.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ვალი, ფისკალური პოლიტიკა, ვალის სტრატეგია, სახელმწიფო კონტროლი.

**THE ROLE OF A PUBLIC DEBT MANAGEMENT STRATEGY IN IMPLEMENTING AN EFFECTIVE DEBT MANAGEMENT POLICY**

**Iuri Kocharian**
PhD student of GTU

**RESUME**

One of the most important elements of fiscal policy is government debt. Public debt is the main tool for optimal distribution of state socio-economic policy over time. In order for public debt to play its role as an instrument, creditors must have confidence in the state. To gain this trust, it is important for the state to have a sustainable fiscal policy and an effective public debt management strategy.

**Keywords:** Public debt, Fiscal policy, Debt strategy, State control.

* * * *

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ფინანსური მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ვალის აღების ძირითად მოტივს საბიუჯეტო გადასახდელების დაფინანსება წარმოადგენს, რომლის მიზანია მოსახლეობის სახელმწიფო სერვისებით უწყვეტი უზრუნველყოფა. არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფო ვალის აღება იძლევა შესაძლებლობას თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების შეჩერება, გადასახადების ზრდა ან/და მიმდინარე გადასახდელების შემცირება, რაც უარყოფითად აისახებოდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე. შედეგად, გონივრული ფინანსური მმართველობის პირობებში, სახელმწიფო ვალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი. თუმცა, სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მიიყვანოს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა. სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეებისა თუ რისკების არა ჯეროვნად შეფასებამ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მიიყვანა სავალო კრიზისამდე. გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზაციამ აუცილებელი გახადა სახელმწიფო ვალის მართვის დამკვიდრებული პრაქტიკის გადახედვა, ხოლო საერთაშორისო სავალო კრიზისების შედეგად, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვან პრიორიტეტად დაასახელეს.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ვალის ეფექტიანად გამოყენების და მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილიზაციის მიზნით ძირითადად ხელმძღვანელობს ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ხდება კონკრეტული მიზნების და მაჩვენებლების განსაზღვრა მომავალი პერიოდისთვის. საქართველოს მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს მთავრობის ვალის მართვის ძირითად მიმართულებებს და მიზნებს 2022-2025 წლებისთვის. სტრატეგია ასახავს საქართველოს მთავრობის გეგმას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარება და ვალის მართვის მიზნების მიღწევა. მთავრობის მიერ ფინანსური რესურსების მოზიდვა ხდება კაპიტალური დანიშნულების პროექტებისათვის და მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერის მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის შესაბამისად საქართველო ამჟამად შედის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე (Upper Middle Income) ქვეყანათა ჯგუფში. მოსალოდნელია, რომ საქართველოს შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება საშუალო ვადიანი პერიოდის განმავლობაში,

მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად, შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობა თანდათან შემცირდება. კრედიტორებისგან ფინანსურ რესურსებზე წვდომის შემცირებასთან ერთად მათი ჩანაცვლება მოხდება ადგილობრივი ბაზრის ინსტრუმენტებით. ამასთან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე ცნობადობის ზრდა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის დივერსიფიკაციისთვის. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია არის საჯარო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკის გამჭვირვალობას და აღნიშნულ საკითხზე კრედიტორების, ინვესტორების, სარეიტინგო სააგენტოების და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას.

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი ვრცელდება ვალის მაჩვენებელზე, რომელიც მოიცავს:

1. საქართველოს მთავრობის ვალს, რომელიც განმარტებულია ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით. კერძოდ, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალზე, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით აღებულ ვალზე, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა.

2. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ვალდებულებებს, რომელიც წარმოადგენს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

2019 წლის ბოლოს დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც. შედეგად, 2020 წელს ეკონომიკა შემცირდა 6.8 პროცენტით, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობა გაიზარდა 9.3 პროცენტამდე, ლარი გაუფასურდა მთავრობის ვალის პორტფელში არსებულ ძირითად სესხის ვალუტებთან მიმართებით. შედეგად, მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობამ, რომელიც 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით შეადგენდა 40.4 პროცენტს, გადააჭარბა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტიკულ ნიშნულს, 60.0%-ს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მთავრობის ვალის მართვა დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. შედეგად, გამოიკვეთა მთავრობის ვალის მართვის შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. მთავრობის წმინდა ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება;

2. მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა;

3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულების ზრდა;

4. მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯის და რისკის ოპტიმიზაცია;

5. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი ორიენტირებულია სწორედ ამ ხუთ მიმართულებაზე, თითოეული მიმართულებით განსაზღვრავს მიზნობრივ მაჩვენებლებს და ადგენს მათი მიღწევის გეგმას.

სწორედ გლობალური პანდემიის შედეგად, გაუარესებულმა მაკროეკონომიკურმა ინდიკატორებმა ნათლად წარმოაჩინა, თუ რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის ეფექტიანად მართვა.

სახელმწიფო ვალი ხშირად წარმოადგენს მთავრობის უდიდეს ფინანსურ ვალდებულებას და ქვეყნის საგარეო ვალის მთავარ წყაროს. უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო ვალი, მისი ხასიათისა და ზომის გათვალისწინებით, წარმოშობს მისი ოდენობის შემცირების აუცილებლობას. მაღალი დავალიანება, როგორც წესი, იწვევს მაღალი ვალის მომსახურების ვალდებულებას. როგორც წესი, მაღალი ვალის მომსახურების ვალდებულებები, იწვევს სოციალური და კაპიტალური პროექტების კლებას, რადგან ვალების დაფარვა ნელი ეკონომიკური ზრდის პირობებში არ ტოვებს საკმარის ფინანსურ რესურს მათ დასაფინანსებლად.

სტრატეგიის შემუშავების დროს, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში შემავალი რისკები. აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფოს ფულადი ნაკადების ფინანსური და სხვა რისკების მახასიათებლები, ასევე უნდა ხორციელდებოდეს სავალუტო რისკების და მოკლევადიანი ან მცურავი საპროცენტო განაკვეთის რისკების მონიტორინგი და შეფასება.

ამრიგად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალი კონტროლდებოდეს არამხოლოდ სამართლებრივი შეზღუდვებით, არამედ ეფექტური მართვით. თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო ვალის შედეგად წარმოქმნილ კეთილდღეობას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა განსაზღვრავს, ვიდრე ვალის სტრუქტურა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2022-2025 წლებისთვის. თბილისი, 2021 წელი.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი. თბილისი, 2014 წელი.

3. International Monetary Fund. Guidelines for Public Debt Management. 2001.

4. The International Standards of Supreme Audit Institutions. Debt Indicators. 2010.

# ინვესტირება ფინანსურ ბაზრებზე

***გივი ჩუბინიძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ინვესტიციები და ფინანსური ბაზრები წარმოადგენენ მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებს. საინვესტიციო საქმიანობა არის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. საინვესტიციო პროცესები ხორციელდება ფინანსური ბაზრების საშუალებით და უზრუნველყოფს, როგორც ინვესტორების ისე ინვესტიციის მიმღები პირებისთვის გარკვეულ პირობებს. საინვესტიციო საქმიანობაში ჩართული პირები შეისწავლიან, ინვესტიციების ბაზარზე არსებულ ფაქტორებსა და ძირითად საინვესტიციო მიმართულებებს, ამის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას.

საინვესტიციო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მდგენელი არის რისკები, რომელიც უნდა გაიზომოს და დაიძლიოს ინვესტორების მხრიდან. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსურ ბაზრებზე, გარკვეული ჩავარდნების შემდეგ, ინვესტიციების რაოდენობა იზრდება, რაც კარგი ტენდენციაა გლობალური ეკონომიკისათვის, მაგრამ არასაკმარისი ზრდის ტემპით.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური სისტემა, ეკონომიკა, რისკი, დეპოზიტი, ინფლაცია, ამონაგები, ფინანსური ბაზრები, ფორექსის ბაზარი, საფონდო ბირჟა.

**INVESTING IN FINANCIAL MARKETS**

**Givi Chubinidze,**
Doctorate of GTU

**RESUME**

Investments and financial markets are closely related fields of activity. Investment activities are an important part of economic development. Investment processes are carried out through the financial markets and provide certain conditions for both, investors and recipients of investments. Individuals, who are involved in investment activities will study the factors existing in the investment market and the main investment directions, and make decisions based on this.

One of the key factors in the investment process is the risks that need to be measured and overcome by investors. After some setbacks, we can say that the number of investments in financial markets is increasing over time, which is a good trend for the global economy. But that is not enough.

**Keywords:** Economic system, economic, Risk, Deposit, inflation, yields, financial markets, forex market, stock exchange.

* * * *

ინვესტიციებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, მისი საშუალებით იქმნება და ფართოვდება კომპანიები, იზრდება სახელმწიფოთა ეკონომიკები, თუმცა რაც უფრო მეტია რისკი მით მეტი უნდა იყოს სარგებელიც, რადგან დააკომპესიროს შესაძლებელი დანაკარგი ამასთან ის არის ერთერთი მდგენელი ინვესტორისთვის, რასაც გადაწყვეტილების მიღებისას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ინვესტირების ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს **ინფლაცია**სთან[1] ბრძოლა. ჩვენს მაგალითზე გასულ წელს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა (13.9%) და მსოფლიოში მეოცე ადგილზე ვართ, თუმცა საქართველო არაა გამონაკლისი, ინფლაციაა მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამერიკაშიც კი გასული 40 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა შარშან 6.8%-ის ოდენობით. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს რომ ფულის მსყიდველობითი უნარი იკლებს და თუ დღეს გარკვეული პროდუქტის შეძენას ვახერხებთ გარკვეულ ფასად, მომავალში დაგვჭირდება მეტი თანხის გადახდა. ამიტომ როდესაც ინვესტორი ახდენს ინვესტირებას პირველ რიგში ცდილობს გაითვალისწინოს ინფლაციის დონე დაგეგმილი შემოსავლის დროს, ამიტომ ინვესტიციიდან მიღებული მოგება **(ამონაგები)** პროცენტულად ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს ინფლაციის დონეს.

გარდა პირდაპირი ინვესტიციებისა, არსებობს ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დაფინანსების სხვა ალტერნატიული გზა: საბანკო სესხი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ეს მექანიზმი გულისხმობს ინვესტორების თანხის შესვლას დეპოზიტის სახით ბანკებში (გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ) და შემდეგ ბანკების მიერ ამ თანხების გაცემას კრედიტის სახით (შედარებით მაღალ პროცენტად). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემთხვევაში კი ფულადი სახსრები უშუალოდ მიედინება ინვესტორისგან საბრუნავ კაპიტალში, კომპანიების ან სხვა სუბიექტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ.

**ფინანსური ბაზრები**[2] ფართოდ ეხება ნებისმი-

1 ინფლაცია არის ფასთა საერთო დონის ზრდა საბაზო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით.

2 სავალუტო ბაზარი, რის ბაზარი, რომელზეც დროის ნებისმიერ პერიოდში შესაძლებელია ვიყიდოთ ან გავყიდოთ პროდუქტი (ვალუტა), იმ ფასად, რომელიც აწყობს ორივე მხარეს.

ერი სახის ბაზარს, სადაც ხდება საინვესტიციო ნაკადების მიმოქცევა, ფასიანი ქაღალდების ვაჭრობა, მათ შორის საფონდო ბაზარი, ობლიგაციების ბაზარი, **ფორექსის ბაზარი**[3] და სხვა პროდუქტები.

ფინანსური ბაზრების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია **საფონდო ბირჟა**. ფინანსური ბაზრები იქმნება მრავალი სახის ფინანსური ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების შედეგად. რომელთა მთავარი ინსტრუმენტებია აქციები, ობლიგაციები, ვალუტები და სხვადასხვა წარმოებულები. ფინანსური ბაზრები დიდწილად ეყრდნობა ინფორმაციულ გამჭვირვალობას, რის შედეგადაც ხდება იმის უზრუნველსაყოფა, რომ ბაზრებმა დააწესონ ეფექტური და შესაბამისი ფასები. ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასები შეიძლება არ იყოს მათი შინაგანი ღირებულების მანიშნებელი მაკროეკონომიკური ძალების გამო, როგორიცაა გადასახადები.

აქციების (საფონდო) ბაზარი არის ფინანსური ბაზარი, რომელიც საშუალებას აძლევს ინვესტორებს, განახორციელონ ინვესტიციები, იყიდონ და გაყიდონ ამავე საზოგადოებაში ვაჭრობის უფლების მქონე კომპანიების აქციები. აქციებით ვაჭრობისას მიმოქცევა იწყება **პირველადო საფონდო ბირჟაზე, რომელიც** არის ახალი აქციების გამოშვებები, სახელწოდებით „პირველადი საჯარო შეთავაზებები" (IPO). აქციების ნებისმიერი შემდგომი ვაჭრობა ხდება **მეორად ბაზარზე,** სადაც ინვესტორები ყიდულობენ და ყიდიან ფასიან ქაღალდებს.

საქართველოს საფონდო ბირჟას გააჩნია არსებობის 22-წლიან გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში, როგორც ვთქვით, პრობლემები ბევრია და ფაქტია, რომ დღეს საქართველოს საფონდო ბაზარი გამოირჩევა ძალიან დაბალი აქტივობით. საქართველოს საფონდო ბირჟა არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ჩამოყალიბდა 1998 წლიდან 2000 წლამდე, USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. მას შეუძლია შესთავაზოს ეფექტური საინვესტიციო მექანიზმი როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს.

საქართველოში საფონდო ბირჟის განვითარება 2000 წლიდან საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყო, თუმცა 2008 წლის ომმა დიდი უარყოფითი გავლენა იქონია, ამას თან დაერთო მაშინდელი მთავლობის არასწორი პოლიტიკა და გაუქმდა დამოუკიდებელი რეგულატორი, ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა ჩაბარდა ეროვნულ ბანკს, რომლის მთავარ საზრუნავს ყოველთვის კონკურენტი საბანკო სფეროს განვითარება წარმოადგენდა, ამიტომ საფონდო ბირჟა გხდა მეორე ხარისხოვანი ინსტრომებტი ინვესტიციების მოზიდვის სფეროში. ამასთან გაუქმდა შეზღუდვები საფონდო ბირჟის მესაკუთრეობაზე და ბანკებს მიეცათ შესაძლებლობა სრულად დაპატრონებოდნენ კონკურენტი სფეროს ინფრასტრუქტურას; ამას გარდა, თუ ამ ცვლილებებამდე ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებები აუცილებლად კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში, საფონდო ბირჟაზე, უნდა დადებულიყო, ცვლილების შემდეგ ეს აღარ იყო აუცილებელი. შედეგად, გარიგებათა 95%-ზე მეტმა ბირჟის გარეთ, ჩრდილში, არაკონკურენტულ გარემოში გადაინაცვლა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს საფონდო ბირჟისადმი, უცხოელი ინვესტორების სერიოზული უნდობლობა გააჩინა ჩვენი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ და შედეგად, როგორც ბაზრის კაპიტალიზაციის, ასევე ბრუნვების მოცულობის მნიშვნელოვანი კლება მივიღეთ.

გასული 7-8 წლის განმავლობაში, ფინანსური ბაზრებისა და საფონდო ბირჟის სრული კონტროლი გადავიდა, საბანკო ჯგუფის ხელში, რომელშიც დიდი წილი „საქართველოს ბანკს" ეკუთვნის, საბანკო სფეროს ინიციატივით, ქართული საფონდო ბირჟა და ფასიანი ქარალდები მიემართება უცხოური ფინანსური ბაზრებისკენ და იქედან ცდილობს ინვესტორების მოძიებას. ეს დამოკიდებულება კი რეალურად ხელს უწყობს საბანკო ანაბრებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების დაწესებას, რადგან ალტერნატივა, ქართული საფონდო ბირჟა ადექვატური ამონაგებისა ნაკლებად განიხილება. საბანკო სექტორის ერთერთი მთავარი არგუმენტი არის ის რომ საქართველოში არ არის საფონდო ბირჟის დაფინანსების საკმარისი სახსრები, მაგრამ ფაქტია რომ მხოლოდ საქართველოს ბანკში, 14 მილიარდ ლარზე მეტია განთავსებული, საბანკო დეპოზიტებზე[4], რომლით შესაძლებელია დაფინანსდეს საფონდო ბირჟაც.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა, გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირება და ნებისმიერ წუთს შესაძლებელია ფინანსების დაბანდება მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების აქციებში, მაგალითად: Tesla, Amazon, Google, Walmart და Apple -რომლის ღირებულება წლის დასაწყისში 3 ტრილიონ დოლარამდე ავიდა.

საქართველოს და მის მსგავს ქვეყნებში, სადაც კაპიტალზე ხელმისაწვდომობა ნაკლებია, სჭიროა გამართულად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის არსებობა, რათა მოხდეს შიდა ინვესტიციების მობილიზება და სარგებელიც მიიღონ ადგილობრივმა ინვესტორებმა. მიუხედავალ იმისა რომ, 2014 წლის შემდეგ სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარი თითქმის 2,8-ჯერ გაიზარდა, მაინც ვერ ხერხდება

---

3 ფორექსის ბაზარი, ბანკთაშორისი, გარე-საბირჟო ბაზარი.

4 დეპოზიტი - თანხა ან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეაქვთ ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გარკვეული პირობებით

სათანადო ნდობის მოპოვება, რადგან არსებული საკონონმდებლო ხარვეზები ისევ უცვლელი ჩება, საჭიროა აღდგეს 2007-2008 წელს გაუქმებული დამოუკიდებელი რეგულატორი, ფასიან ქაღალდებზე გარიგებები აუცილებლად უნდა მოხდეს კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში. საჭიროა გადაიდგას მკვეთრი და დროული ნაბიჯები, შემუშავებულ იქნას სამოქმედო გეგმა, რომ შევძლოთ მოსახლეობის ინფორმირება, რათა გავუჩინოთ მათ დანაზოგების გამოთავისუფლების სურვილი, მათზე შედარებით დიდი ამონაგების იმედით, სანაცვლოდ უძრავ ქონებაში ან და ანაბარზე თანხის განთავსებისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ე. ბარათაშვილისა დ. მაგრაქველიძის ნაშრომში „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“, თბილისი 2009.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020; საქართველოს მთავრობა; ნოემბერი, 2013.

4. http://forbes.ge/ The Global Competitiveness Report 2015-2016, World Economic Forum.

5. https://www.youtube.com/watch?v=STPgE_AYNdo

6. https://www.youtube.com/watch?v=ZaJXygVwHog&ab_channel=SOLO

# მეწარმეობის მხარდამჭერის ინსტიტუტების გავრცელებული პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

*მერი ჯანჯღავა*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნებისმიერი ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო წარმოების განვითარებას. საწარმოთა ურთიერთობის ქსელში მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებაში, დასაქმების ზრდაში, მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში. მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველზე ყალიბდება ე.წ. „საშუალო ფენა", რომელიც არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია, არამედ მისი სრულყოფისა და განვითარების ყველაზე შემოქმედებითი და მობილური ნაწილი. ქვეყნების მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და ყოველმხრივ მხარს უჭერენ მათ განვითარებას, შეიმუშავებენ მხარდამჭერის სპეციალურ პროგრამებს და მეწარმეებს სთავაზობენ შეღავათების ფართო სპექტრს. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, მშპ-ის 50–70% იწარმოება სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების მიერ.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე და საშუალო საწარმოები, კონკურენტული გარემო, სოციალური უთანასწორობა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ნოვაციები.

**COMMON PRACTICE OF ENTREPRENEURSHIP SUPPORT INSTITUTIONS IN FOREIGN COUNTRIES**

**Meri Janjgava**
PhD student at GTU

**ABSTRACT**

The development of small and medium production is of great importance for any country. In the enterprise relations network, the small and medium enterprise sector plays an important role in creating a competitive environment, mitigating social inequality, increasing employment, gross domestic product, meeting the needs of large companies, and introducing new technologies and innovations. Based on the development of small business, the so-called The "middle class", which is not only a guarantee of socio-economic stability of the country, but also the most creative and mobile part of its perfection and development. The governments of the countries attach great importance to such enterprises and fully support their development, develop special support programs and offer a wide range of benefits to entrepreneurs. It should be noted that in developed countries, 50-70% of GDP is produced by small and medium enterprises.

**Keywords:** Small and medium enterprises, Competitive environment, Social inequality, GDP, Innovation.

## შესავალი

ნებისმიერი საზოგადოება წარმოუდგენელია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, მეწარმეობად იწოდება, რომელშიც მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

## ძირითადი ტექსტი

მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ფლობენ მსს მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედების ფართო შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ წაახალისონ კერძო სექტორის ინვესტიციები ისეთ სფეროებში როგორიცაა: სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, პროფესიული განათლება, მეწარმეობა და სხვ. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებით მოქმედი მეწარმეობის ცენტრები შექმნილია ერთი მთავარი მიზნით – გააუმჯობესონ მსს მდგომარეობა დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების პირობებში.

ქვეყნების მიხედვით მეწარმეობის განვითარების ცენტრების ყველაზე გავრცელებული სახეებია: ბელარუსში მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი - „ბელბიზნესცენტრი" კონსულტაციებს უწევს პოტენციალურ მეწარმეებს ბიზნესის ორგანიზაციის საკითხებზე.იგი მიაწოდებს მათ ინფორმაციას ბ აზრების შესახებ და ეხმარება კორპორაციული დოკუმენტაციის შექმნაში, იძლევა რეკომენდაციებს დაბეგვრის,ლიცენზირებისა და სერთიფიცირების საკითხებზე. ისრაელში მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები ფუქნციონირებენ როგორც დამოუკიდებელი თვითფინანსირებადი სრტუქტურები, რომლებიც გასცემენ კომპლექსურ მომსახურებას

მოქმედ და დამწყებ მეწარმეებზე. მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს რეგიონებში და ჩვეულებრივ, თანამშრომლობენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. **[1]** ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილია რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები **[2]** და მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები **[3]**. ჩეხეთში ადმინისტრაციულ საკითხებში და ბიზნესის ხელმისაწვდომობის კუთხით მოხსნილია ბარიერები, სამეწარმეო კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმეობისთვის ადგენს საწესდებო მინიმალურ კაპიტალს 200 000 ჩეხური კრონის (დაახლოებით 8 000 ევრო) ოდენობით. სამეწარმეო კანონის გამარტივებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით მთავრობამ შეამცირა საწესდებო კაპიტალი 1 ჩეხურ კრონამდე. გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოთა განვითარების სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს საწარმოთა პოტენციალის სრულად გამოვლენა, გამოხატოს და დაიცვას მათი ინტერესები მართვის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე ევროკავშირში, ხელი შეუწყოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უმთავრესად ინოვაციების სტიმულირების მეშვეობით. 1991 წელს ჩამოყალიბდა კომპანია „ბიზნეს ჩელენჯი", რომელიც ავრცელებს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გადასახადები, საწარმოთა ლიკვიდაცია, სამთავრობო დახმარება, ფულადი ნაკადების გაანგარიშება, კადრები, ხარისხსის სისტემა და სხვ. **[1]** მეწარმეები არიან როგორც დიდ, ისე მცირე კომპანიებში და მომხმარებლებს, საქონლისა და მომსახურების ფართო ასორტიმენტიდან არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევენ. **[5]** ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. **[8]** მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით, (საბაზისო - 2013 წელი). **[6]** ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს ევროპული კომისიის ლიბერალურ მიდგომებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გავლენას ახდენს ევროკავშირის სხვა ქვეყნებზე და არა ბრიტანეთზე. ბრიტანეთში ევროპული კერძო კომპანიის მიმართ ინტერესის ნაკლებობაა. სამთავრობო კონსულტაცია ამ საკითხზე 2008 წელს გაიმართა და მხოლოდ 14 დაინტერესებული მხარე გამოჩნდა. ინტერესების ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ევროპული კერძო კომპანიის ფორმა ნაკლებად მიმზიდველია ბრიტანეთში. ვიდრე უშუალოდ ბრიტანეთის კერძო კომპანიის ფორმა, რადგან კერძო კომპანიის დაარსების ხარჯები ბრიტანეთის ისედაც დაბალია. **[4]** გერმანიაში საწარმოთა საერთო რაოდენობის 99% მცირე და საშუალო საწარმოებია. ამ კატეგორიის საწარმოებში მუშაობს დაქირავებულ მუშაკთა საერთო რიცხვის 60%-ზე მეტი. ამასთან, მათზე მოდის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 50%. ისინი ძირითადად მომსახურების სფეროში ფუნქციონირებენ. **[7]**

## დასკვნა

საზღვარგარეთის ქვეყნებში მეწარმეობის განვითარების პროცესი რიგი რეგულაციებითა და მხარდაჭერის ფორმებით ხასიათდება. ცხადია, მეწარმეობის მხარდაჭერის პროცესი არაა მარტივი და ადვილად განხორციელებადი. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს პროცესი დაიწყო და რაც კი ღირებული წარმატებისთვის მიუღწევიათ, ამ წარმატების მიზეზი იყო თითოეული ცალკე აღებული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ნება (სახელმწიფოს მიერ ჩატარებული რეფორმები), რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია მეწარმეობის განვითარების სტიმულირება და მხარდაჭერა.

ამასთან გათვალისწინებით, რომ დღეს მცირე და საშუალო ბიზნესი წინააღმდეგობრივ პირობებში ვითარდება ხშირი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის და არასტაბილურობის, გართულებული ეკონომიკური პროცესების, მეწარმოებრივი ძალების სწრაფი განვითარების და მეცნიერებატევადი დარგების ზრდის ვითარებაში, საზღვარგარეთის ქვეყნებში მცირე ბიზნესის მოწყობისა და ფუნქციონირების პრინციპები, მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები განსხვავებულია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გობეჯიშვილი ე., თემა: საქართველოში მცირე და საშუალოო მეწარმეობის სახელმქიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, დისერტაცია, 2013 წელი.

2. გებოჯიშვილი ე., მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების რეგიონული ასპექტები. საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2011. გვ. 325-327.

3. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ა., საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები. პირველი ნაწილი (ბიზნეს-იდეიდან-ბიზნესის იურიდიულად გაფორმებამდე) დამხმარე სახელმძღვანელო. გორი, 2008, გვ. 119

4. კობერიძე ზ., მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები, დისერტაცია, 2015 წელი.

5. შორენა ხუბუნაია, მეწარმეობა, თბილისი, 2015 წ.

6. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy_annual_report_2018_geo_.pdf

7. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Tamar_Khabelashvili_disertacia_.pdf

8. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

# საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ზოგიერთი ფისკალური პარამეტრი და პანდემიის ზეგავლენა მათზე

***ირინე ჯავახაძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

წამოდგენილ სტატიაში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი გარკვეული ფისკალური პარამეტრები. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი შიდა და საგარეო ფაქტორები, ასევე პანდემიის ზეგავლენა აღნიშნულ პარამეტრებზე. დღესდღეისობით უკვე შესაძლებელია მსჯელობა იმაზეც თუ როგორია მოლოდინები პოსტპანდემური პერიოდის ფისკალური პარამეტრების. რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების პანდემიამდე პერიოდის ნიშნულზე დაბრუნება და შემდგომი წლების დინამიკის გაუმჯობესება. აქტიური მუშაობა უნდა დაეთმოს ქვეყნის ეკონომიკის სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემებს. პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებლია ქონდეს ყველა წინაპირობა სწრაფი აღდგენისა და „შესაძლებლობების ეკონომიკად" გარდაქმნისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, პანდემია, პოსტპანდემია, ფისკალური პარამეტრები.

**SOME FISCAL PARAMETERS DETERMINING GEORGIA'S ECONOMIC SECURITY AND THE IMPACT OF A PANDEMIC ON THEM**

**Irine Javakhadze**
PhD student at GTU

**RESUME**

In the presented article, there is discussed, some of the fiscal parameters that define economic security. Internal and external factors affecting economic security. As well as the impact of the pandemic on these parameters. Nowadays is possible to discuss the expectations of the fiscal parameters of the post-pandemic period. How important economic security indicators are Return to the period before the pandemic and improve the dynamics of the following years. Active work should be devoted to the systemic and structural problems of the country's economy. In the post-pandemic period, it is essential for the Georgian economy to have all the prerequisites for a rapid recovery and transformation into an "opportunity economy".

Keywords: economic security, pandemic, post-pandemic, fiscal parameters.

* * * *

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან, შესაბამისად მისი განხილვისას საჭიროა ყურადღება იქნეს გამახვილებული, სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველა თავდაცვითი ღონისძიების ერთობლიობაზე, რომლის საშუალებითაც მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ქვეყანაზე მოქმედი ნეგატიური შიდა და გარე ფაქტორების გავლენა. უპირველესყოვლისა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ინტერესების დაცვა, თუმცა ასევე საკითხი მოიცავს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ პოლიტიკას და სხვა თემებსაც. ერთის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პროცესებისა და მოვლენების მწვავე კრიზისულ, ე.წ. გარდამავალ პერიოდში, თუმცა მსოფლიო პანდემია, რომ უდიდეს უარყოფით გავლენას მოახდენდა ეკონომიკური განვითარების ტრენდებზე უკვე 2020 წლის გაზაფხულისათვის ნათელი იყო სურათი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა გადახედეს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე და საშუალოვადიან პროგნოზებს. უარყოფითი ეკონომიკური ზრდა [1]2009 წლის ღრმა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროის მაჩვენებლზე მეტი იქნებოდა (2009 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 60%-ს შეადგენდა).

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. აღსანიშნავია ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობა და, ამასთან, ადგილობრივი და უცხოური რესურსების ხელმისაწვდომობა. ასევე, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე და მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სტრატეგიული მნიშვნელობის [2]მატერიალურ სიმდიდრეთა არსებობა, რომელიც საკმარისი იქნება ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაცია ინდუსტრიული ინოვაციური

1 The Financial and economic crisis of 2008-2009 and developing countries (https://unctad.org/system/files/official-document/gdsmdp20101_en.pdf)

2 Economic security for a better world (https://digitallibrary.un.org/record/535783)

ეკონომიკის შექმნის ხელშეწყობაზე, რომელზეც ეროვნული უსაფრთხოების ხარისხზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართვა იმ დარგებისა და საწარმოებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის კონკურენტულობის ზრდას.

ეკონომიკური უსაფრთხოება შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან მათ შორის შესაძლებელია გამოვყოთ [3]ბუნებრივი რესურსების ტიპი და რაოდენობა, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ტერიტორიების თავისებურება, სახელმწიფო მართვის თავისებურება, საწარმოო სფეროს პოტენციალი, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარება, სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვა. თითქმის ყველა ეს კომპონენტი გააჩნიათ იმ ქვეყნებს, რომლებიც ლიდერობენ ეკონომიკური განვითარების მხრივ, რაც გარკვეულწილად მათი ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობა. ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას არ გააჩნია მდიდარი ბუნებრივი რესურები, ან სულაც აქ აქვს სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა მაგრამ ეს მათი ასე ვთქვათ „ნაკლი" სხვა ფაქტორებით კომპენსირდება, ისეთით, როგორიცაა წარმოების მაღალი დონე, ინოვაციურობა და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ [4]2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებში არის გაწერილი - ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა მთლიანობაში სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების (სამინისტროები, უწყებები, სამსახურები და სხვ.) და კერძო სექტორის დაწესებულებების კომპლექსურმა და გამართულმა საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე.

2020 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში. ბუნებრივია პანდემიამ ეკონომიკური რეცესია გამოიწვია საქართველოშიც, რის შედეგადაც მივიღეთ რეალური ეკონომიკური კლება 6,8%-ის ოდენობით.

2020 წლის მონაცემებით ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა (7.9%), სოფლის მეურნეობა (3.6%), განათლება (3.1%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა (1.8%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (1.5%). ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში (37.9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (37.9%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (18.9%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (18.4%), ტრანსპორტი და დასაწყობება (22.3%) და სხვა.

**კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში** - 2020 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 0.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 7.2 პროცენტით შემცირდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 39.6 ათასი ადამიანით, ხოლო მხოლოდ ბოლო კვარტალში 72.3 ათასი ადამიანით შემცირდა (აღნიშნული მონაცემები მოცემულია საქსტატის, ბიზნეს სექტორის 2019-2020 წლების კვარტალური კვლევების მიხედვით).

**ფასები** - 2020 წლის ბოლოს წინა წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის დონე 2.4 პროცენტით განისაზღვრა. ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 5.2 პროცენტის დონეზეა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 6.8 პროცენტით, რაც 2.19 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 9.6 პროცენტით, რაც 0.76 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინდექსზე; ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ფასები გაიზარდა 9.5 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 0.56 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 8.6 პროცენტით, რაც 0.56 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში; საცხოვრებელი, წყალი, ელ ენერგია, აირი: დაფიქსირდა ფასების 21.7 პროცენტიანი კლება, რაც -1.94 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაში.

**გაცვლითი კურსი** - 2020 წელს ლარი გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებაში. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 14.3 პროცენტით გაუფასურდა და 3.28 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გაუფასურდა 5.6 პროცენტით.

**მონეტარული აგრეგატები** - 2020 წლის დეკემბერში 2019 წლის დეკემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 24.6 პროცენტით გაიზარდა და 30 379.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 18.8 პროცენტით გაიზარდა და 13 659.7 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 1.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 62.8 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხე-

3 Economic security as a phenomenon and concept (Saulius KROMALCAS)

4 ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის

ბის დოლარიზაციის კოეფიციენტი და 55.5 პროცენტი შეადგინა.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** - 2020 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 52.9 პროცენტით შემცირდა და 616.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს გაერთიანებული სამეფო (307.8 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდები (172.1 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (108.1 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები საფინანსო სექტორში (400.3 მლნ აშშ დოლარი), სამთომოპოვებითი მრეწველობაში (101.5 მლნ აშშ დოლარი) და უძრავ ქონებაში (71.8 მლნ აშშ დოლარი) განხორციელდა. შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს, 2020 წლის ბოლოსთვის, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 340.5 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა.

ვინაიდან პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე, 2020 წელს აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო რესურსმა შეადგინა დაახლოებით **3.4 მლრდ ლარი,** კერძოდ ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა:

❖ COVID-19-ის პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურების ხარჯები;

❖ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური დახმარებები (მათ შორის კომუნალური ხარჯების სუბსიდირება და ბავშვების დახმარება);

❖ დასაქმებულთა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით დამსაქმებელთა ხელშეწყობის ღონისძიებები;

❖ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროგრამების და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის საჭირო რესურსი.

2021 წელი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო და იანვარში რეალური ეკონომიკის კლებამ 11,5%, ხოლო თებერვალში 5,1% შეადგინა. ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში დადებითი დინამიკა პირველად მარტში დაფიქსირდა, თუმცა ჯამურად, პირველ კვარტალში ეკონომიკური კლების მაჩვენებელმა 4,5% შეადგინა. ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა აპრილიდან, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის ივლისში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები და განხორციელდა ცვლილებები 2021 წლის ბიუჯეტში.

საბიუჯეტო ცვლილებები და განახლებული პროგნოზები ეფუძნებოდა 5 თვის მონაცემებს, თუმცა პროგნოზირებულზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები შენარჩუნდა ივნისი-აგვისტოს პერიოდშიც. მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 29,9% შეადგინა, ივლისში 9,9%, ხოლო აგვისტოში 10,3%, შედეგად, 8 თვის წინასწარი მონაცემებით რეალური ეკონომიკური ზრდა 12,0%-ს შეადგენდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის წარდგენისათვის 9,5%-ს შეადგენდა. 30 ნოემბერს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყანა ოქტომბრის და ჯამური 10 თვის ეკონომიკური ზრდის წინასწარი მონაცემები, რომლის მიხედვითაც ოქტომბერში ეკონომიკურმა ზრდამ 6,9%, ხოლო წლის პირველი 10 თვის ეკონომიკურმა ზრდამ 10,5% შეადგინა. შესაბამისად გადაიხედა 2021 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი და ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში ნაცვლად 9,5%-ისა განისაზღვრა 10,0%-ის ოდენობით. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში არ შეცვლილა 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი და 8,0%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 1).




**გრაფიკი 1. ეკონომიკური ზრდა და მშპ ერთ სულ მოსახლეზე**




**გრაფიკი 2. რეალური მშპ-ს ინდექსი**

მიუხედავად არსებული სირთულეებისა შემდგომი წლების მაჩვენებლები დადებითი ტენდენციით პროგნოზირდება, მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის დოკუმენტში, საბაზისო სცენარის მიხედვით 2025 წლისათვის ეკონომიკა ახერხებს 2020 წლის დანაკარგის დაახლოებით 70 პროცენტის კომპენსირებას. ამ პერიოდში ნულოვან სცენართან შედარებით ეკონომიკა 2.5 პროცენტით ჩამორჩება. უნდა აღინიშნოს, რომ დანაკარგის სრულად კომპენსირება ვერ ხერხდება პოზიტიურ სცენარში, ხოლო ნეგატიურ სცენარში ჩამორჩენა ღრმავდება 8.5 პროცენტამდე (იხ. გრაფიკი 2).

აღნიშნული ჩამორჩენის მთავარი მიზეზებია: გაზრდილი ვალი/შემცირებული ბუფერები; ტურიზმის გლობალური სენტიმენტები; მომხმარებელთა შემცირებული სენტიმენტი; ეკონომიკის დივერსიფიცირების დაბალი ხარისხი.

ამგვარად, ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რომლის დანიშნულებაა წინასწარ განსაზღვროს მოახლოებული ეკონომიკური საფრთხე, მოიცავს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: მოსახლეობის ცხოვრების დონე, ინფლაციის დონე და ტემპი, უმუშევრობის დონე, ეკონომიკური ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ოქროს რეზერვების შემადგენლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. მათი საშუალებით შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესების შეფასება, ქვეყნის რესურსული პოტენციალის, მისი ეფექტურად გამოყენების, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სუვერენიტეტის, სოციალური სტაბილურობის და ა.შ. გაანალიზება.

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი შიდა და საგარეო ფაქტორები, სახელმწიფო უსაფრთხოების მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს. ისინი კონკურენტუნარიანობის ზრდის, ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების უპირველეს ამოცანათა რიგში დგას. მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება თავდაცვით ღონისძიებათა მწყობრი სისტემის გონივრული გატარებით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორთა უარყოფითი გავლენა და ამით ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და მდგრადობას მიაღწიოს.

ახალი კორონავირუსის პანდემიამ ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დააყენა საქართველოს ეკონომიკა, გამოავლინა მისი გამოწვევები. ამასთან, გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე უნდა იყოს მიმართული შემდგომი წლების ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა. პარალელურად, აქტიური მუშაობა უნდა დაეთმოს ქვეყნის ეკონომიკის სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემებს. პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებელია ქონდეს ყველა წინაპირობა სწრაფი აღდგენისა და „შესაძლებლობების ეკონომიკად“ გარდაქმნისთვის.

თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს კვლავაც ამოსავალი წერტილი, სადაც კერძო სექტორი ითვლება ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, განსაკუთრებით, კოვიდ-პანდემიის შემდგომ პერიოდში, ასევე ბიზნესს და საინვესტიციო გარემოს შემდგომ განვითარებაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ახლებური პოზიციონირება პოსტ-

კოვიდურ რეალობაში და ახალი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, განსაკუთრებით, შიდა ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

ამასთან, აქტიურად უნდა გაგრძელდება ეკონომიკური უსაფრთხოების მდგრადობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. The Financial and economic crisis of 2008-2009 and developing countries. Sebastian Dullien Detlef J. Kotte Alejandro Márquez Jan Priewe 2010; (https://unctad.org/system/files/official-document/gdsmdp20101_en.pdf)

2. Economic security for a better world / International Labour Office 2004; https://digitallibrary.un.org/record/535783

3. Economic security as a phenomenon and concept (Saulius KROMALCAS)

ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის (https://mof.ge/5439)

4. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" და „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები.

# საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები და სატრანსფერო პოლიტიკა

***გიორგი შენგელია,***
*სტუ-ს დოქტორანტი*
***შალვა კუტუბიძე***
*სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*

**რეზიუმე**

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის გაუმჯობესებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საბიუჯეტო ურთიერთობის მოწესრიგება, რაც პირველ რიგში, ფინანსების მობილიზებას და მის ეფექტიან გადანაწილებას ითვალისწინების ქვეყნის ერთიანი ბიუჯეტის სხვადასხვა დონეებს შორის.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ბიუჯეტის შემოსულობების განაწილების წესს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე საბიუჯეტო კოდექსით აღდგენილი გათანაბრებითი ტრანსფერების ფორმაცია რადიკალურად განსხვავდება წინა ათწლეულის ფორმულირებისგან, არსებული მიდგომები მაინც საჭიროებენ დახვეწასა და სრულყოფას.

აუცილებელია გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინება.

ოპტიმალური საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება არ არის მარტივი პროცრსი, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და შემდგომ პრაქტიკაში მისი გატარება.

**საკვანძო სიტყვები:** საბიუჯეტო ურთიერთობები; გათანაბრებითი ტრანსფერები, ბიუჯეტის შემოსულობები

## INTER-BUDGETARY RELATIONS AND TRANSFER POLICY IN GEORGIA

**Giorgi Shengelia**
PhD student of GTU
**Shalva Kutubidz**e
Assistant Professor of GTU

**SUMMARY**

For the improvement of the budget system of Georgia and its effective functioning, it is necessary to regulate the inter-budget relations, which, first of all, envisages the mobilization of finances between the different levels of budgets and its effective distribution.

The Budget Code of Georgia defines the rules for the distribution of budget revenues between the state budget of Georgia, the budgets of the Autonomous Republics of Abkhazia and Adjara, and the budgets of self-governing units. According to this rule, the percentage is distributed among the budgets of different levels.

Although the formation of the equalization transfer restored by the current Budget Code in Georgia is radically different from the formulation of the previous decade, the existing approaches still need to be refined and perfected.

It is necessary to take into account the experience of developed countries and at the same time we should not forget to take into account the economic peculiarities of our country. Establishing an optimal budget system is not an easy process, however, to solve this problem, it is necessary to develop effective measures by the state government and put it into practice.

**Keywords:** Budget relations; Equalization transfers, budget revenues

**შესავალი**

იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა, რაც მის ეფექტიან ფუნქციონირებაში გამოიხატება, უნდა იყოს დარეგულირებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები. ამის გარეშე საბიუჯეტო სისტემა ვერ იქნება ეფექტიანი. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები პირველ რიგში ითვალისწინებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ფინანსების მობილიზებას და მის ეფექტიან გადანაწილებას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის, საბიუჯეტო შემოსულობების განაწილების წესი.

ამ წესის შესაბამისად პროცენტულად არის გადანაწილებული შემოსავალი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის. მაგ:

საშემოსავლო გადასახადი, გარდა ავტონიმოირი რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა, 100%-ით ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 100%-ით ირიცხება ასიგნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოგები, აქციზისა

და იმპორტის გადასახადიდან. რაც შეეხება დამატებითი ღირებულების გადასახადს, აქ 81% მოდის ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტზე, ხოლო 19% ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ანგარიშზე.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის 100%-ით ირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში, ხოლო სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი 100%-ით ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. ანალოგიურად, შესაბამისი პრინციპით არის გადანაწილებული ყველა სხვა შემოსავალი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

### ძირითადი ნაწილი

ბიუჯეტებს შორის ურთიერთობებში ძალიან დიდი როლს თამაშობს ქვეყნის სატრანსფერო პოლიტიკა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სხვა დონის ბიუჯეტებისათვის ფულადი დახმარების გაწევას. ადგილობრივი ბიუჯეტები დიდწილად არიან დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის გამოყოფილ ასიგნებებზე და ტრანსფერებზე.

იმისათვის, რომ მოხდეს ადგილობრივი თვითმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალანსება და მოხდეს მათი ასე თუ ისე თანაბარ პირობებში მოქცევა, ქვეყნის ხელისუფლება ყოველწლიურად გამოყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრებს და ფინანსური დახმარების სახით ურიცხავს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებს გათანაბრებითი ტრანსფერების სახით. მისი ხარჯვა კი უკვე დამოუკიდებლად ხორციელდება ადგილობრივი თვითმართველობების მიერ. ამ ფინანსური ოპერაციის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების მიერ ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გათანაბრება.

არსებობს გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშების სპეციალური ფორმულა, რომელიც ქვეყნის საბიუჯეტო კოდექსით შემუსავებული წესის მიხედვით ვრცელდება ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულზე.

აღსანიშნავია, რომ ფორმულების საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაცემი ტრანსფერების მოცულობის დადგენას, ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა საქართველოში გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშების პრაქტიკა მეტად არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. მაგალითად 2007-2008 წლებში გათანაბრებითი ტრანსფერების გასაანგარიშებელი ფორმულები საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებით ხასიათდებოდნენ და ისინი უპირატესად თანხების განაწილებაზე იყვნენ ორიენტირებულნი, ვიდრე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გატანაბრებაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ გატანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებაში სუბიექტური მიდგომა გამორიცხული უნდა იყოს, ხოლო ხარჯვაში კი ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ. [1; გვ. 5-6]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე საბიუჯეტო კოდექსით ადგენილი გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმაცია რადიკალურად განსხვავდება წინა ათწლეულის ფორმულირებისგან, არსებული მიდგომები მაინც საჭიროებენ დახვეწასა და სრულყოფას.

მოდით მოკლედ მიმოვიხილოთ ის ეტაპები, რა ეტაპებსაც ითვალისწინებს გატანაბრებითი ტრანსფერები და გავშიფროთ ფორმულის შინაარსი: [2]

პირველ რიგში საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერტეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიან მოცულობას. მომდევნო ეტაპზე ხდება თითოეული თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობის დადგენა. შემდეგი ეტაპია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შემოსავლების დადგენა, (გრანტების გარდა). თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, მაშინ ამ თვითმმართველი ერთეულისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან არ ხდება. დანარჩენ სხვა შემთხვევებში კი კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად ხორციელდება გათანაბრებითი ტრანსფერების განაწილება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრძანების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$T=E-R$$

სადაც: **T** - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გატანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა.

**E** - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი. თვითმმართველი ქალაქებისათვის **E** გამოისახება, როგორც **E**city, ხოლო მუნიციპალიტეტებისატვის - **Em**

**R** - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც გაიანგარიშება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიმდინარე წლის შემოსავლისა და გასული 3 წლის შემოსავლის ფაქტიური მაჩვენებლის ტენდენციის მიხედვით.

თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი (E) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

**E**city = **S**city * **G**city%

**E**m = **S**m * **G**m%

სადაც: **S**city და **S**m - არის შესაბამისად თვითმმართველი ქალაქისა და მინუციპალიტეტის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტის ხვედრითი წილი, შესაბამისად თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გატანაბრებითი კოეფიციენტების საერთო მოცულობაში.

**G**city% - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის - 72%

**G**m% - არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 28%

თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების ხვედრითი წილის (S) გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

**S**city = **K**city / **Kt**city%

**S**m = **K**m / **Kt**m%

სადაც: **K**city - არის კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი.

**Kt**city - არის თვითმმართველი ქალაქების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების (Kcity -ების) ჯამი.

**K**m - არის მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი.

**Kt**m - არის მუნიციპალიტეტების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების ჯამი.

თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი (K) გაიანგარიშება:

**K**city = **A**city / **EC**city

**K**m = **A**m / **EC**m

სადაც: **A**city და **A**m - წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.

**EC**city და **EC**m - წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის გათანაბრებით კოეფიციენტს და ა.შ. [2]

გარდა გათანაბრებითი ტრანსფერებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან შესაძლებელია ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გამოყოფილ იქნეს მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები. მიზნობრივი, რომელიც გამოიყენება დელეგირებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ხოლო სპეციალური, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის დახმარების სახით გამოყოფილ ასიგნებას.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაშიარსებული სატრანსფერო პოლიტიკა, მიუხედავად მთელი რიგი პროცესებისა და განხორციელებული ცვლილებებისა, მაინც საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული სამართლიანობის პრინციპი. თუმცა არც ისე ივარგებს, ერთი დონის თვითმმართველი ერთეულებისათვის თანაბარი ასიგნება განისაზღვროს. უნდა მოხდეს საფუძლიანი ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს ტრანსფერების ოდენობები. ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება, მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. უნდა მოხდეს თვითონ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ, საკუთარი რეგიონის პრიორიტეტების განსაზღვრა და შემუსავება, რამდენად მნიშვნელოვანია ის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალური მობილიზება, რათა ნაკლებად იყოს დამოკიებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებზე. ამასტან სახელმწიფოს მხრიდან ძირფესვიანად უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების მობილიზების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში სასურველია განხორციელეს ადგილობრივ ბიუჯეტებზე გარკვეული სახის გადასახადებისა და შემოსავლების მიმაგრება, რათა მოხდეს მათი ფულადი რესურსების მატება და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსებით უზრუნველყოფა, რადგან დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები საკუთარი შემოსავლებით ძირითადად ვერ ახერხებენ საჭირო ხარჯების სრულიად გაწევას და დიდწილად მაინც დამოკიდებული არიან სახელწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებზე.

ჩვენი აზრით ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა უნდა შეძლონ და მობილიზება მოახდინონ საკუთარი ბიუჯეტის შემოსავლების ისე, რომ მათ არ მოუწიოთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების იმედად ყოფნა, რაც ძალიან შრომატევადი, თუმცა არა შეუსრულებელი ამოცანაა, რაშიც მათ სახელმწიფოც უნდა დაუდგს გვერდში.

ცენტრსა და რეგიონებს შორის გადასახადის სამართლიანი გადანაწილების მიზნით მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ბიუჯეტური ფედერალიზმის პრონციპები, რომელიც გულისხმობს რეგიონების ბიუჯეტებისათვის მეტი ფინანსური რესურსების დატოვებას, რათა რეგიონმა მოახდინოს ნორმალურ დონეზე სოციალური ხარჯების

დაფინანსება, რისთვისაც აუცილებელია რეგიონალური გადასახადების წილის გაზრდასთან ერთად შემცირდეს დოტაციური რეგიონების წილი.

აკადემიკოსი ა. გრაინბერგის გაგებით საბიუჯეტო ფედერალიზმი ეს არის, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ავტონომიურობასა და ბიუჯეტთაშორის ურთიერთობების შეხამება. [4; ст, 365]

პროფესორი ვლადიმერ პაპავას აზრით, საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოს მიერ გასაწევი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. [5; გვ.3-4]

## დასკვნა

ყოველივე ზემოთთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა მაინც საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ამავრდოულად არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიატებელი ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინება. აუცილებელია ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის რეალური შემოსავლის მომტანი გადასახადის გამოვლენისა და მისი განაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. ოპტიმალური საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება არ არის მარტივი პროცრსი, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და შემდგომ პრაქტიკაში მისი გატარება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1) ფისკალური დეცენტრალიზაცია საქართველოში, ანალიტიკური კვლევა. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, GTZ, 2009 წ.

2) matsne.gov.ge – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №904, 30.12.2009

3) T Gamsachurdia. The Role of Inerbudgetary Relation of Tax and Bugetary System in Georgia. BULLETIN GEORGIAN ACADEMY OF SCINCES 2002.

4) Гранбергю А,Г, Основы региональной экономики, Висшая школа экономики, 2001.

5) პაპავა ვლ. "საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი." თბ. 2000 წ.

# ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ

***თამარ ხარიტონაშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

## ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ

სამეცნიერო სტატიაში, უახლესი ლიტერატურული წყაროებისა და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით, განხილულია საბანკო ბიზნესში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანია საქართველოში, სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებისა და გამოწვევების გამოვლენა. იგი ასევე მიზნად ისახავს შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებას, საბანკო ბიზნესისთვის.

დადგინდა, რომ საბანკო ბიზნესში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი, მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით პოპულარიზაციას და პოზიციონირებას, რაც გამოიხატება სრულიად საზოგადოების ჩართულობით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის როლის გაძლიერებაში.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო ბიზნესი, ESG ფორმები.

## MODERN CHALLENGES IN SOCIALLY RESPONSIBLE BANKING BUSINESS

**Tamar Kharitonashvili**
PhD student at GTU

## ABSTRACT

The scientific article discusses the challenges of corporate social responsibility in the banking business and development prospects in Georgia, taking into account the latest literary sources and a variety of factual materials. More specifically, the aim of the research is to identify the factors and challenges hindering the development of socially responsible banking business in Georgia. It also aims to offer relevant recommendations for the banking business.

It was found that the development of social responsibility in the banking business, as an important component of the economic development of the country, requires popularization and positioning across the country, which is reflected in the strengthening of the role of corporate social responsibility through public involvement.

**Keywords**: Corporate Social Responsibility, Socially Responsible Banking Business, ESG Forms.

* * * *

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის დამკვიდრებამ, გარდატეხა იქონია ყველა იმ სფეროში, სადაც მნიშვნელოვანი გახდა მისი პრონციპების გათვალისწინება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო ბიზნესი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა აქვს. საბანკო ბიზნესი, რომელიც ყოველდღიურად გეგმავს და ანვითარებს ახალ ინოვაციურ პროდუქტებს და მომსახურების სფეროებს, მნიშვნელოვანია იცავდეს სოციალური პაუსიხმგებლობის იმ პრინციპებს, რომელსაც მას ავალდებულებს კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობა, ესენია გარემო, საზოგადოება, პლანეტა.

ამასთან მნიშვნელოვანია, საბანკო ბიზნესის მიერ განხორციელებული სოციალური ღონისძიებების და მათი სოციალურად პასუხისმგებლიანი მისიის შესახებ საზოგადოებას მიეწოდებოდეს ინფორმაცია, რადგან საზოგადოების და ბიზნესის ინფორმაციული თანხვედრა, სოციალური პასუხისმგებლობსი პრინციპების თანხვედრასთან, მნიშვნელოვნად ამყარებს, და ეფექტურს ხდის კორპორაციული სოციალური პრინციპების დანერგვა, განხორციელებას ქვეყანაში.

## ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევა, რომლის მიმართ ინტერესი 2007 - 2010 წლებში გაღრმავდა, მას შემდეგ, რაც მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის და მაღალი დონის კორპორაციული კოლაფსის წინაშე დადგა. ორივე გარემოებამ ხელი შეუწყო საზოგადოების უნდობლობას და ბანკის ბიზნეს პროცესებში გაუმჯობესე-ბული კორპორაციული მმართველობის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მოთხოვნას; კრიზისის შედეგად, სოციალურად პასუხისმგებლიანი ბანკი და სოციალური ფინანსები მნიშვნელოვანი ტენდენცია გახდა საბანკო ბიზნესის მომხმარებლებს შორის.

კრიზისმა სოციალური ბანკები ნიშური ინსტიტუტებიდან გარდაქმნა დიდ, საჯაროდ თვალსაჩინო მოთამაშეებად. ეს წარმატება განპირობებულია დასავლეთის და ევროპის ბანკის კლიენტების დარწმუნებით, რომ სოციალური ბანკი არის ნაკლებად სპეკულაციური და უფრო პასუხისმგებლიანი, ეთიკური და საზოგადოებაზე ორიენტირებული გზა ფულის შესანახად, ვიდრე ტრადიციული ბანკი.

კრიზისის შემდეგ, ბევრი მიიჩნევს, რომ სოციალური ბანკი ნაკლებად ეგოისტურია და უფრო მეტად ზრუნავს საზოგადოების საერთო პროგრესსა თუ ინტერესებზე, ვიდრე კომერციული ბანკი (Benedikter R. 2011).

ორგანიზაციებმა, როგორიცაა გაერო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), შეიმუშავეს დეკლარაციები, სახელმძღვანელო პრინციპები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც ასახავს მისაღები კორპორაციული ქცევის ნორმებს და რომელი ნორმებიც ინტეგრირებული არის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საბანკო ბიზნეს სუბიექტების სტრაეგიულ გეგმებსა თუ მიზნებში (https://www.oecd.org/).

სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო ბიზნესი ახალი არ არის, მაგრამ ბოლო წლებში მან უფრო მეტად მოიპოვა პოპულარობა. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ინვესტორებმა და მომხმარებლებმა ისწავლეს მეტად იყვნენ ინფორმირებული იმ გადაწყვეტილებებსა თუ მიზნებზე, რომელსაც ბიზნესი უჭერს მხარს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ისინი დაკავშირებულია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) პრინციპებთან. შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გახდა საუკეთესო გამოსავალი დღევანდელ ეკონომიკაში მორალური პრინციპების საბანკო საქმეში ინტეგრირებისთვის.

საქართველოში სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო ბიზნესი, შედარებით ახალი, თუმცა განვითარებადი კონცეფციაა, რომელიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება, შესაბამისად მის მიმართ ქართულ ბანკებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ და თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, თუ გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებში ავითარებენ სხვადასხვა მეთოდებს.

თანამედროვე სამყაროში, რომელიც სავსე არის სხვადასხვა სახის გამოწვევებით და მსოფლი გლობალურად ჩართული არის კონკურენცის ჯაჭვში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს ბიზნესს შეინარჩუნოს თანამშრომლების, საზოგადოების, ინვესტორების ნდობა, განავითაროს გრძელვადიანი მიზნები, რომელიც გლობალურად, მიმართული იქნება ქვეყნის და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე საქართველოში საბანკო ბიზნესის სოციალური პასუხიმგებლობის განვითარებაზე, კერძოდ, მის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და განვითარების პერსპექტივებზე დაკვირვება.

## კვლევის შედეგები

კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 2004 წლიდან ვითარდება და მის მიმართ მზარდი ინტერესი ყოველდღიურად ვლინდება. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოს ფინანსური სექტორი ძირითადად კომერციული ბანკებისგან შედგება. ბაზარზე თხუთმეტი კომერციული ბანკია, რომლებიც ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების 95%-ს ფლობენ. გარდა ამისა, მაღალია კონცენტრაციის დონე - კერძოდ, ორი ყველაზე დიდი ბანკი (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი) მთლიანი აქტივების 70%-ის მფლობელია (https://nbg.gov.ge/)

წარმოდგენილი თხუთმეტი კომერცილული ბანკიდან თორმეტი საბანკო სუბიექტის მისიას წარმოადგენს სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოება იმგვარად, რომ მოიძიონ საზოგადოებასთან შეხების წერტილები, რომლის საფუძველზეც შეძლებენ შექმნან ინსტრუმენტები, მათ მიმართ სანდო პარტნიორის განცდის გასაჩენად, ამასთან მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს სთავაზობენ მდგრადი ფინანსური სერვისებით უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება სოციალური პასუხისმგებლობის განვითრების ხელშეწყობის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პირდაპის არ არის ჩართული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის მართვაში, ცალკეული სახელისუფლებო ინიციატივები და პროგრამები პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება და ხელს უწყობს საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას და განვითარებას. მნიშვნელოვან სახელისუფლებო ინიციატივებს წარმოადგენს: „მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო“, „მწვანე ეკონომიკა“, „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება“, „ბიზნესი და ადამიანის უფლებები - საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, „საგადასახადო შეღავათი, საქველმოქმედო საქმიანობაზე“. (https://csrgeorgia.com)

საქართველოს სახელისუფლებო ინიციატივას სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ასევე უკავშირდება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი“ რომელიც ხელს უწყობს საბანკო სექტორის და ზოგადად, ფინანსური სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობას, ინვესტორთა ნდობის ამაღლებას და საბანკო სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

დღესდღეობით, საქართველოში ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას ხელს უწყობს საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი ავითარებს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს, რომლის ფარგლებში კაპიტალის ბაზრის მონაწილეებს მოუწოდებს ფინანსური სტაბილურობისთვის და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებას და მათთან დაკავშირებული რისკების მართვას.

2021 წელს კომერციულ ბანკებს პირველად მოეთხოვათ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფორმების შევსება. მათმა ანალ-

იზმა და კვლევამ აჩვენა, რომ ბანკებში არსებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრაქტიკა განსხვავდება. კომერციული ბანკების მცირე ნაწილი საკმაოდ წინ არის მდგრადი დაფინანსებისა და ESG რისკების მართვის მიმართულებით და მათ ასევე გააჩნიათ სხვა სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკა. მეორე მხრივ, არის ბანკები, რომელთაც ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ ESG პოლიტიკა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მსგავსი პოლიტიკის შემუშავების პროცესშია, ნაწილი კი უახლოეს მომავალში გეგმავს ESG პრაქტიკის დანერგვას

საბანკო ბიზნესის ESG ანგარიშებთან დაკავშირებით „მდგრადი დაფინანსება საქართველოში ანგარიში 2021", ასევე აღნიშნულია, რომ 2021 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში კომერციული ბანკების უმრავლესობას არ გააჩნია მწვანე სესხების განმარტება ან მათი კლასიფიკაციის სისტემა და შედეგად, მწვანე სესხებზე მონაცემებს არ ფლობენ. ეს კი გვაძლევს შეფასების საშუალებას, რომ საბანკო ბიზნესში სოციალური პასუხისმგებლობის საშუალოზე მაღალი განვითარების მიუხედავად, მათ ჯერ კიდევ არ აქვთ სწორი განმარტება მწვანე სესხებთან მიმართებაში და მხოლოდ ენერგო ეფექტური პროექტების დაფიანანსება არ იძლევა საშუალებას CSR ის ინტეგრირება ჩავთვალოთ წარმატებულად. (მდგრადი დაფინანსება საქართველოში ანგარიში 2021).

საბანკო სექტორის მიერ 2021 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშების ანალიზზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ საბანკო ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას უმეტესად, როგორც რეპუტაციისა და იმიჯის გაზრდის საშუალებად ხედავს. საზოგადოების ყურადღების და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად, დღეს ქართული საბანკო ბიზნესის აქცენტი მეტად მიმართული არის ახალი პროდუქტების შექმნასა და ინოვაციებზე და ის ფაქტი, რომ სწორად განხორციელებული სოციალური პასუხისმგებლობა მათი გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის და შედეგების გაუმჯობესების საფუძველი არის, ნაკლებად აქვთ გათვითცნობიერებული"

მიუხედავად აღნიშნულის, საქართველოში საბანკო ბიზნესი, თავის შესაძლებლობებთან შეფარდებით, საკმაოდ დიდ ფულად სახსრებს ხარჯავს ქველმოქმედებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობებზე, რომელთაც უკანასკნელი წლები სისტემური ხასიათი აქვს და მდგრადი შედეგების მქონე, დაგეგმილ საქმიანობაზე გადასვლის ტენდენცია შეინიშნება. საბანკო ბიზნეს გაცნობიერებული აქვს, რომ გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად საჭირო არის სოციალური პასუხისმგე-ბლობის მაღალი სტანდარტებით ხელმძღვანელობა და შესაბამისად საზოგადოების წინაშე გამჭვირვალე ანგარიშგების წარმოება.

საქართველოში 2007 წლიდან აქტიურად ტარდება კვლევები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, ისინი ძირითადად უკავშირდება მისი განვითარების დონის, ახალი ტენდეციების თუ CSR სიახლეების გამჟღავნების მასშტაბების შეფასებას, რომელიც ზოგადად ქართული ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი. კვლევებით დასტურდება, რომ 2007 წლიდან დღემდე, სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ინტერესი არის მზარდი. ყოველწლიურად შესამჩნევი ხდება მისი განვითარების დინამიკა და ინტეგრირება ბიზნეს საქმიანობაში. მზარდი დინამიკა ძირითადად შესამჩნევია მსხვილ, მათ შორის საბანკო ბიზნესში და საშუალო ბიზნესში (https://gcsd.org.ge).

2007-2021 წლების კვლევების სრული თუ ცალკეული ფრაგმენტების ანალიზით შესაძლებელი არის გამოვთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ დადებითი დინამიკის მიუხედავად, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მცირე პროგრესით, თუმცა მაინც მიიწევს წინ იმ შინაარსის თუ კონცეფციის აზრის გაცნობიერებაში, რასაც CSR წარმოადგენს. და მაინც, ყოველივე დადებითის მიღმა, საინტერესო არის საზოგადოების ინფორმირებულობის დონის განსაზღვა, რადგან სოციალური პასუხისმგებლობა სწორად იმ საზოგადოების მოთხოვნებით და იმ გარემოში იმართება, სადაც ბიზნესი ოპერირებს.

განხორციელებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, პასუხი გაგვეცა მთავარი კითხვისთვის: როგორია მომხმარებლის დამოკიდებულება და ინფორმირებულობის ხარისხი, საბანკო ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ. შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კვლევის მონაწილეთა შეფასებები სოციალური პასუხისმგებლობის შინაარსთან დაკავშირებით არის არაერთგვაროვანი: გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არის „ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში ქმნის საზოგადოების კეთილდღეობას", ასევე, უმრავლესობამ აქცენტი გააკეთა კომპანიის გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა /ეკოლოგიაზე, საშუალოზე მეტი მაჩვენებელი აფიქსირებს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საზოგადოების მხარდაჭერაა და ასევე თვლიან, რომ სოციალური პასუხისმგებლობა განათლების /კულტურის/სპორტის მხარდაჭერაა, საშალო მაჩვენებელზე ნაკლების აზრით კი, სოციალური პასუხისმგებლობის ქვეშ იგულისხმება ქველმოქმედება.

ანალოგიურად, არაერთგვაროვანი შეფასებები მივიღეთ სოციალური პასუხისმგებლობის „აღქმასთან" დაკავშირებით კითხვაზე, კომპანია სოციალურად პასუხისმგებლიანად რომ ჩავთვალოთ, რა კრიტერიუმის დაკმაყოფილება უნდა შეეძლოს, რესპოდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ სო-

ციალური პასუხის-მგებლობის ფარგლებში, კომპანია საზოგადოებას უნდა სთავაზობდეს ხარისხიან, უსაფრთხო, სამართლიანი ფასის მქონე პროდუქტს. ამასთან აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური მდგომარეობასთან შეფარდებით საბანკო ბიზნესის მიერ შეთავაზებული პროდუქტების ფასი დიდი ოდენობით აჭარბებს განვითარებული ქვეყნების ანალოგიური პროდუქტების ფასს, რაც არ აძლევს საზოგადოებას საჭირო ოდენობით ან/და მიზნობრივად გამოიყენოს ქართული ბანკების მიერ შეთავაზებული მიმდინარე თუ ინოვაციური პროდუქტები.

საგულისხმოა ავღნიშნოთ, კითხვა - „საქართველოში არსებული რამდენი საბანკო სუბიექტი იყენებს სოციალურ პასუხისმგებლობას" - გამოკითხულ რესპოდენტთა 50% მეტი თვლის, რომ საქართველოში 25 %-ზე ნაკლები საბანკო კომპანია იყენებს საოციალურ პასუხისმგებლობას თავიანთ საქმიანობაში. რაც, დამაფიქრებელი ფაქტია, ვინაიდან 2021 წლის მდგოამრეობით საქართველოში რეგისტირებული თხუთმეტი კომერციული ბანკიდან თორმეტი მათგანის მისიას წარმოადგენს სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოება. ჩვენს რელობაში, კი საზოგადოებას ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ აქვს, ან მცირე დოზით ფლობს.

დადგინდა, რომ საკითხი ღრმა ანალიზს მოითხოვს, ერთის მხრივ რესპოდენტთა პასუხები მივიჩნიოთ ინფორმაციის ნაკლებობად, თუ, მეორე მხრივ, თვითონ საზოგადოების ნაკლები ინტერესი, მიიღონ უფრო მეტი ინფორმაცია იმ საბანკო სუბიექტებთან მიმართებაში, რომლებთანაც გადაკვეთის წერტილი აქვთ და ნებით თუ უნებლიედ ყოველდღიურად მათი მომხმარებელი ხდებიან.

რესპოდენტთა უმრავლესობის ინფორმაციით, საბანკო ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია არა საკმარისია, ასევე, უმრავლესობა თვლის, რომ - სოციალური ღონისძიებების განხორციელება აუცილებელია. CSR-ისთვის ორივე კომპონენტი მიზეზ-შედეგობრივია და თუ მომხმარებლი კომპანიის მიმართ გახდება მეტად მომთხოვნი, ბიზნეს საქმიანობა აწარმოოს სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების გათვალისწინებით და დაცვით, ბიზნეს საქმიანობა მართოს ღიად და გამჭირვალედ, ბიზნესის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ფართო მასებისთვის გახდეს ხელმისაწვდმი, მიზანი უპირობოდ მიგვიყვას შედეგამდე და მოსახლეობის აღქმა, რომ ქართულ საბანკო ბიზნესს სოციალური პასუხისმგებლობის ნაკლები გრძნობა აქვს, შეიცვლება საპირისპირო დამოკიდებულებით, ამასთან შევნიშავთ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება და სოციალურ პროექტებში მათი უპირობო ჩართულობა შეცვლის მათ ურთიერთ განწყობას და მოლოდინებს.

კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების აღქმით საბანკო ბიზნესი სოციალურ პასუხისმგებლობას აღიქვავს, როგორც ხარჯს და არა როგორც ინვესტიციას და მათი მხრიდან ნაკლები ჩართულობა იგრძნობა განსახორციელებელი სოციალურ ღონისძიებებში.

რესპოდენტთა უმეტესობა თვლის, რომ ხელისუფლების ნაკლები მხარდაჭერა არის სოციალური ღონისძიებების მიმართ. აქაც, ერთი მხრივ, შეგვიძლია დავეთანხმოთ საზოგადოების აზრს, ვინაიდან სახელმწიფოს და მთავრობის პირდაპირი ვალდებულებაა საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუჯობესება, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური პასუხისმგებლობა ვინაიდან ნებაყოფლობითი საქმიანობაა, თვითონ საზოგადოება და ბიზნესი უნდა იყოს დაინტერესებული შექმნას საქმიანობისთვის თუ საცხოვრებელი გარემოსთვის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პირობები და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაბოლოს, იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, სასურველი არის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია სხვადასხვა მასობრივი გავრცელების საშუალებებით, ინტერნეტით თუ კომპანიის ვებგვერდით.

## დასკვნა

კვლევის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის პროცესს სჭირდება კომპლექსური მიდგომა. მასზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ამ ფაქტორთა განსაზღვრისა და ანალიზის გარეშე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის პროცესი წარიმართება ხარვეზებით და იქნება წარუმატებელი. იმისათვის რომ სოციალური საბანკო ბიზნესი გრძელვადიან პერიოდში იყოს წარმატებული, საჭიროა მოიცავდეს CSR_ის შემდეგ ელემენტებს, 1. ნებაყოფლობით ხასიათს, 2. კორპორაცილული სოციალური პასუხისმგებლობა შეადგენდეს კომპანიის განუყოფელ ნაწილს, 3. სოციალური ღონისძიებები იყოს სისტემატიური და არა შემთხვევითი, 4. ითვალისწინებდეს საზოგადოებაზე ბიზნეს ოპერაციების გავლენას.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებულია რეკომენდა-ციები, რომლის მიხედვით CSR ეფექტიანად წარმართვისთვის, ქართულ საბანკო ბიზნესს უნდა გააჩნდეს, გარემოსდაცვითი საქმიანობა, გარემოს მდგრადობის შესანარჩუნებლად; კორპორატიული გამჭვირვალობა და შრომის სტანდარტი; მომხარებელთა დაცვის კოდექსი; მშრომელთა უფლებების, კორუფციის და უსაფრთხოების ნორმები; პასუხისმგებლიანი ინვესტიციის პრინციპი.

ასევე, მათი გრძელვადიანი მიზნების, კონკურენტუნარიანობის და ფინანსური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანი არის, თანამშრომლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება; კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა; ბრენდის იმიჯის და კომპანიის რეპუტაციის გაძლიერება, კვალიფიციური და მოტივირებული სამუშაო ძალის მოზიდვის და შენარჩუნების შესაძლებლობების ამაღლება, სოციალური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ფართო საზოგადოებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Benedikter R. European Answers to the Financial Crisis: Social Banking and Social Finance, March 2011.

2. Organisation for Economic Co-operation and Development, https://www.oecd.org/

3. საქართველოს ეროვნული ბანკი - https://nbg.gov.ge

4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ჰაბი. https://csrgeorgia.com/

5. საქართველოს ეროვნული ბანკი - კორპორაციული მართვის სტანდარტები https://nbg.gov.ge

6. საქართველოს ეროვნული ბანკი: გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება. https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure

7. საქართველოს ეროვნული ბანკი: „მდგრადი დაფინანსება საქართველოში ანგარიში 2021"

8. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. https://gcsd.org.ge/

# ბიზნეს-ინჟინერინგი მენეჯმენტში

## ადაპტური პროცესების ასპექტები და მათი დანერგვის მექანიზმები ჯანდაცვის მცირე ბიზნესში

*მარიამ წიკლაური*
*სტუ-ს დოქტორანტი*

### რეზიუმე

ურთულეს გამოწვევები, არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ფინანსურ მდგრადობაზე, ისე მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე. შესაბამისად, ბიზნეს სექტორში გაჩენილი რისკების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება არასტაბილურ საბაზრო გარემო ფაქტორებს, რაც ერთობლიობაში ამცირებს მენეჯმენტურ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირების გარანტირებულებას. აქტუალური ხდება მართვის მცირე ფორმებში ადაპტაციის პროცესების ასპექტების შესწავლა, აგრეთვე ადაპტაციური მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ფორმირება და განხილული ტიპის საწარმოებში მათი დანერგვა.

ნაშრომის მიზანია ჯანდაცვის სექტორის მცირე ბიზნესისთვის, ინტენსიური კონკურენციის და არასტაბილურობის განპირობებულობაში, ადაპტური მენეჯმენტის განხორციელებისათვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა მოიცავს სინთეზისა და ანალიზის მეთოდს, პროგნოზირების და ექსპერტული შეფასების მეთოდს. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფუნდამენტური კონცეფციები, წარმოდგენილი ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებში, რომლებიც მიძღვნილია მცირე ბიზნესის სტრატეგიული მენეჯმენტის პოზიციიდან ადაპტური მენეჯმენტისადმი.

**საკვანძო სიტყვები:** ადაპტური მენეჯმენტი, ჯანდაცვის სისტემა, მცირე ბიზნესი

## ASPECTS OF ADAPTIVE PROCESSES AND MECHANISMS FOR THEIR IMPLEMENTATION IN THE SMALL BUSINESS OF HEALTHCARE

**Mariam Tsiklauri**
PhD student at GTU

### RESUME

The most difficult challenges, the unstable socio-economic environment have a serious negative impact on both the financial sustainability of state institutions and the solvency of consumers. Consequently, a significant part of the risks in the business sector is related to volatile market environment factors, which together reduce the effectiveness of management decisions and guarantee results. The study of aspects of adaptation processes in small forms of management becomes relevant, as well as the formation of adaptive methodological tools and mechanisms and their introduction in the enterprises of the type in question.

The aim of the paper is to develop methodological and practical recommendations for the implementation of adaptive management for small businesses in the health sector due to intense competition and instability.

The methodological base of the research includes the method of synthesis and analysis, the method of forecasting and expert evaluation. The theoretical basis of the research is the fundamental concepts presented in the local and foreign science papers, which are dedicated to the position of small business strategic management to adaptive management.

**Keywords:** Adaptive Management, Healthcare System, Small Business

### შესავალი

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლა მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მათ. მითუმეტეს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე და ძირითადად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ ბაზრებზე. თუმცა,

ასევე სწრაფად არის შესაძლებელი კრიზისული სიტუაციების პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა სერიოზული გავლენა იქონიოს მათზე, რასაც, არც თუ ისე იშვიათად, მათი საქმიანობის შეჩერება ან გაკოტრება მოსდევს თან.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე საწარმოების ზრდის დინამიკა გვიჩვენებს, რომ ეს სექტორი საწყისი ეტაპიდან გადადის განვითარების ეტაპზე, რადგან მცირე საწარმოების მდგრადობა განაპირობებს მათი მონაწილეობით ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარებას, წარმოების, ინოვაციური საქმიანობების, პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას. ასეთი საწარმოებისათვის ყველაზე არსებითი მახასიათებელი მაღალი ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობაა, გამარტივებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მათი ბიზნეს ერთეულების სწრაფი რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა. მცირე ბიზნესის ძირითადი უპირატესობა დღევანდელ ბაზარზე არის გარემო პირობების შეცვლასთან შეგუების შესაძლებლობა. შესაბამისად, ადაპტაცია თანდაყოლილია მცირე ბიზნესის ბუნებაში. ადაპტაცია გამოიხატება - გარე და შინაგან დარღვევებზე - სწრაფი რეაგირების და ფუნქციონირების ცვალებად პირობებში ავტომატურად ადაპტირების უნარში.

ადაპტირებული ცვლილებების შედეგია ადაპტაციური საწარმოს მართვის პროცესი და კონტროლი. შესაბამისად, ხორციელდება პოზიტიური ცვლილებები - არსებულ გარემოსა და რესურსებში. კომპანიის შიდა სტრუქტურების ადაპტაციის პროცესს წარმოადგენს რესტრუქტურიზაცია, განურჩევლად მისი მასშტაბის და ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმისა, გარემოს არსებობის და განვითარების პირობებთან, რომლებიც მუდმივად ცვალებადია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. რესტრუქტურიზაციას განსაზღვრავს გარე გარემო, თუმცა აუცილებელია მისი შიდა გარემოს მუდმივი ოპტიმიზაცია, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად - მინიმალური დანახარჯებით. რესტრუქტურიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს საწარმოს კონკურენტუნარიანობის, ეფექტურობისა და მდგრადობის გაზრდა. თუმცა, რადგან რესტრუქტურიზაცია არის რთული პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტზე, მისი განხორციელებისას წარმოიქმნება მთელი რიგი ამოცანები: ორგანიზაციული და ფუნქციური სტრუქტურების და კომპანიის მართვის სისტემის ოპტიმიზაცია სტრატეგიული განვითარების მიზნების შესაბამისად, საქმიანობის და, ძირითადად, კომერციული და ფინანსური საქმიანობის პროცესების გადახედვა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოო ბაზის განახლება, ორგანიზაციის ორიენტირება მომგებიანი ბაზრის სეგმენტებზე, კომპანიის რესურსების რაციონალური გამოყენება, პერსონალის ოპტიმიზაცია. ორგანიზაციების უმრავლესობას ბიზნესის სერიოზული რესტრუქტურიზაცია ესაჭიროებათ. კომპანიის რესტრუქტურიზაციის პროცესი მოიცავს რეორგანიზაციის პროცედურას, რაც ვიწრო გაგებით ნიშნავს კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნას, რეორგანიზაციას და მენეჯმენტს.

რესტრუქტურიზაციის პროცესი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად. საწყის ეტაპზე ტარდება ორგანიზაციის ამჟამინდელი მდგომარეობის ყოვლისმომცველი დიაგნოზი, ხდება კომპანიის გარე და შიდა გარემოზე გავლენის ანალიზი. მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრება რესტრუქტურიზაციის მიმართულებები. მითითებების არჩევის შემდეგ დგება წინასწარი სამოქმედო გეგმა, დგება საწარმოს რესტრუქტურიზაციის პროგნოზი. მუშავდება დეტალური ეტაპობრივი გეგმა, კერძოდ, რესტრუქტურიზაციის პროგრამის განხორციელების მექანიზმი, საქმიანობის ვადების მითითებით. საბოლოო ეტაპია - კომპანიის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობის ანალიზი.

კომპანიის რესტრუქტურიზაციის განხორციელებისა და ძირითადი კონკურენტუნარიანი ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, კომპანიის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ერთიდან ორ წლამდე უნდა მიღწეულ იქნას შემდეგი შედეგები:ხელმძღვანელი პოზიციების მოპოვება შერჩეულ სტრატეგიულ საბაზრო სეგმენტებში (ხარისხის, ფასის, პროდუქციის, მომსახურების, მომსახურების და ა.შ.), ორგანიზაციის ხარჯების შემცირება ძირითადი პროდუქტებისთვის (ჭარბი წარმოების შესაძლებლობების გამოყოფის გამო), ძირითადი პროცესების (შესყიდვები, წარმოება, მომარაგება) ოპტიმიზაცია, გამჭვირვალე, ბაზარზე ორიენტირებული მართვის სისტემის დანერგვა, თანამშრომლების მოტივაცია და პასუხისმგებლობის ფორმირება.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რესტრუქტურიზაციის წინაპირობა შეიძლება იყოს რესურსების მაღალი ღირებულება, შრომის დაბალი პროდუქტიულობა და მომსახურების ხარისხის არასაკმარისი დონე - სხვა ორგანიზაციებთან შედარებით. ბუნებრივია, არსებულ ვითარებას კარდინალური გადაწყვეტილებები ესაჭიროება.

კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით, საჭიროა შემცირდეს ერთეულის ხარჯები წარმოების ერთეულზე, გაიზარდოს პერსონალის პროდუქტიულობა, აგრეთვე ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობა. ასეთ სიტუაციაში - გამოსავალია რესტრუქტურიზაცია. რესტრუქტურიზაციის დახმარებით უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციული და საწარმოო სტრუქტურა.. სისტემური მუშაობა მომსახურების სერვისების რესტრუქტურიზაციასა და განვითარებაზე დროულად უნდა განხორციელდეს. როგორც წესი, კომპანიიდან ხდება არაძირითადი და დამხმარე საქმიანობით დაკავებული ქვედანა-

ყოფების ამოღება და მათ საფუძველზე იქმნება სპეციალიზირებული მომსახურების საწარმოები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რესტრუქტურიზაციის შედეგი არის კომპანიის შრომის პროდუქტიულობის ზრდა და გამჭვირვალობა, სამრეწველო შესაძლებლობების გამოყენების ეფექტურობა და რაც მთავარია, მენეჯმენტის რესურსების კონცენტრაცია წარმოებაში, როგორც ძირითადი საქმიანობა. გარდაქმნების შედეგად შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ კომპანიის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, არამედ მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა. ბაზარი ვითარდება მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ფასები და ხარისხი.

რესტრუქტურიზაციის პროცესი ხშირად მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი მარეგულირებელი პროცესია, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოს დაუბრუნოს ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა. საწარმოს რესტრუქტურიზაცია უნდა განხორციელდეს ზემოდან ქვევით - საწარმოს მიზნებიდან სამუშაოებამდე, რომლის წყალობითაც ხორციელდება დასახული მიზნების მისაღწევად ალგორითმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაციას არ აქვს აზრი, ან გატარებული ზომები არ იქნება რესტრუქტურიზაცია. ბიზნესის სისტემის შენარჩუნებისა და სტაბილურობისთვის აუცილებელია საწარმოს მართვის სისტემის ცალკეული ელემენტების მუდმივი მოდერნიზაციის ნორმალური პროცესი.

დღეს, საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, რომ რესტრუქტურიზაცია არის მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა. ეს არ არის ერთჯერადი ცვლილება კაპიტალის სტრუქტურაში ან წარმოებაში. ამ პროცესის განხორციელებისას საჭიროა გაითვალისწინოთ კომპანიის სპეციფიკა, რომელშიც ის ხორციელდება. შესაბამისად, აუცილებელია მისი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რესტრუქტურიზაციის კონცეფცია, გააზრებულია მისი თითოეული ეტაპი და მეთოდები, რომლითაც აუცილებელია მოქმედება.

რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული თითოეული ეტაპი საჭიროებს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალთა ჩართვას, რაც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციული განვითარების კონცეფცია ადმინისტრირების თეორიაში ახალი არ არის, რესტრუქტურიზაციაზე ყურადღების გამახვილება ეკუთვნს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს, მ. ჰამერის სახელს, რომელმაც რესტრუქტურიზაციის მიმართულება მთლიანად მომხმარებელზე ორიენტირებული მოდელით აგების სასარგებლოდ წაიყვანა.

კერძო სექტორში ორგანიზაციული რესტრუქტურიზაციის პროცესის შედეგად მიღებული პოზიტიური შედეგების კვალდაკვალ მისი აქტიური გამოყენების ტენდენცია შეიმჩნევა საჯარო სექტორშიც. თუმცა, გასათვალისწინებელი ხდება ის კრიტიკული პოზიციებიც, რომელიც დღეს რესტრუქტურიზაციის მიმართ ჩნდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, პირველ რიგში, მოკლედვადიან ცვლილებებზე აქცენტირება და ფოკუსირება ორგანიზაციის ქვედა დონის ცვლილებებზე, იმ დროს, როდესაც ორგანიზაციის ზედა მენეჯმენტი შესაძლებელია, ამ ცვლილებებთან თავსებადი არ იყოს.

საქართველოში სამედიცინო ინდუსტრია ყოველწლიურად ვითარდება, რადგან ქვეყანას აქვს პოტენციალი იფუნქციონიროს მსოფლიოში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აუდიტორულმა და საკონსულტაციო კომპანია AGIC[1]-მ სამედიცინო ინდუსტრიის კვლევა ჩაატარა, რომელიც ემსახურება სამედიცინო ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა მონაცემები ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდიდან[2]. დამუშავდა 100 კომპანიაზე მეტი სამედიცინო დაწესებულების ფინანსური ანგარიშგება, რომლებიც ეკუთვნის პირველი, მეორე და მესამე ზომით კატეგორიებს. კვლევაში ყურადღება გამახვილდა სამედიცინო ინდუსტრიაში არსებულ ძირითად კომპანიებზე, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 1,047 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 2,247 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 81 მილიონ ლარს. მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს სამედიცინო ინდუსტრიაში გააჩნიათ საკმაოდ კარგი ფინანსური მაჩვენებლები. კერძოდ, მოგებამ კაპიტალზე (ROE) საშუალოდ შეადგინა 10%, რაც საკმაოდ მაღალი ინდიკატორია იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო ინდუსტრია მაღალი კაპიტალური დანახარჯებით გამოირჩევა. ხოლო მოგების მაჩვენებლებმა აქტივებზე (ROA) შეადგინა 15%, რაც ასევე ეფექტიანი ინდიკატორია. კვლევამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ დიდმა რაოდენობამ კომპანიებისა (26 კომპანია), ზარალი განიცადეს, რაც დარგში არსებულ მაღალ კონკურენციაზე მიუთითებს. კონკურენტული პროცესების განვითარებასა და ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან პირდაპირ კავშირშია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ასევე ეკონომიკური სისტემის სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ეფექტური მექანიზმების ფორმირება. განსაკუთრებული როლი ამ პროცესებში მცირე და საშუალო ბიზნესს ეკუთვნის, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას - ასრულებს. მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისი - სერიოზული გამოწვევაა, ამასთან პანდემიური ცხოვრების დისტანცირებული რეჟიმი დამატებითი სირთულეების წინაშე აყენებს მომსახურების სფეროს ბიზნეს, მათ შორის ჯანდაცვის

1 https://cutt.ly/KHGjFJn (ბოლოს გადამოწმებულია 19.04.2022)

2 https://reportal.ge/ (ბოლოს გადამოწმებულია 19.04.2022)

კერძო სექტორს. შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს მცირე და საშუალო ბიზნესების ორგანიზაციული მმართველობის ფუნდამენტური მენეჯმენტური პრინციპების ახლებურ გააზრებას და დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავებას, რაც გამიზნული იქნება ცვალებადი დინამიური ხასიათის ფაქტორებზე მოსარგებად, ადექვატური რეაგირების და, საბოლოო ჯამში, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის - ერთგვარი კონკურენტული უპირატესობების შეძენაზე.

ჩვენს ქვეყანაში, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჯანდაცვის სექტორში მოქმედ ბიზნეს სტრუქტურებს, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, ჯანდაცვის ორგანიზაციებში კონკრეტული მიზნების მისაღწევად საჭიროა ქმედითი ნაბიჯების დასახვა, რასაც უზრუნველყოფს სწორი სტრატეგია და მოქმედება.

არაერთი კვლევის შედეგების მონაცემები მიუთითებენ მცირე ბიზნესის ადაპტაციის სხვადასხვა სტრატეგიის არსებობაზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობის ფონზე.

როგორც წესი, სტრატეგიები სპონტანური ხასიათისაა. ამავე დროს, მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მენეჯმენტის არასაკმარისი დონეა, ბიზნეს სტრატეგიის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტრატეგიის სხვადასხვა ტიპები და დონეები, ყველა სტრატეგიის მიზანი ერთია - ორგანიზაციის მოქმედებების შესაბამისობაში მოყვანა - მისიისა და ღირებულებების შესაბამისად. დღეს, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები კლიენტზე ორიენტირებულ, ღირებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას საჭიროებენ, ხოლო მოქმედი სისტემები ძველი, ტრადიციული სტრატეგიის მოდელების განახლებას.

ორგანიზაციები, რომლებიც ეყრდნობიან შექმნილ სტრატეგიას, უნდა იყვნენ ძალიან მოქნილნი, რომ შეძლონ შიდა სტრატეგიების გადაფასება და სწრაფად გადათვლა, რათა მიმდინარე ბაზრის ტენდენციებს უკეთ შეესაბამებოდნენ. მრავალი მეწარმე აანალიზებს კონკურენტის სტრატეგიას და ატარებს ტაქტიკას, რომელიც, მუშაობს საკმაოდ სედეგიანად.

ადაპტური მენეჯმენტის განხორციელების და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, ხორციელდება ადაპტური კონტროლი. ადაპტაური კონტროლი არის მეთოდების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ხდება კონტროლის სისტემების სინთეზირება, რომლებსაც აქვთ პარამეტრების ან სტრუქტურის შეცვლის შესაძლებლობა, რაც დამოკიდებულია კონტროლის ობიექტის პარამეტრების ცვლილებებზე ან კონტროლის ობიექტზე მოქმედი გარეგანი დარღვევებიდან.

ადაპტური კონტროლი შემცირდება უკუკავშირის კონტროლის წესით. ადაპტაციური მართვის სისტემის გამო, შესაძლებელია ადრე ადაპტირებული და არაპროგნოზირებადი ცვალებადი გარემო პირობების ადაპტირება.

## დასკვნა

ბიზნესის, და ასევე საბაზრო პირობების ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს მართვის სისტემის ადეკვატურ ცვლილებას. თანამედროვე მიდგომების დროული გათვალისწინებით. მცირე ფორმის საწარმოების, რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული, რომელთაგან მთავარია - საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, საწარმოს ფინანსური რისკების ზრდა, კონკურენციის განვითარება კომპანიებს შორის, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი. რესტრუქტურიზაციის საჭიროება შეიძლება ყველა საწარმოს წარმოეშვას, მ. შ. საკმაოდ წარმატებულ კომპანიებისაც კი.

მცირე ბიზნესის რესტრუქტურიზაციას განსაზღვრავს გარე გარემო, გადარჩენისთვის ბრძოლა: აუცილებელია მისი შიდა ორგანიზაციის მუდმივი ოპტიმიზაცია, განვითარების უფრო მდგრადი განვითარების მისაღწევად, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მინიმალური დანახარჯით.

საწარმოო ორგანიზაციის სტრუქტურაში ადაპტაციური ცვლილებები და მისი განხორციელების ხარჯების დინამიკა წარმოადგენს რესტრუქტურიზაციის მთავარ პრობლემას, მთავარ პროცესს, რომელიც ქმნის ორგანიზაციის გარემო პირობებთან ადაპტაციის უნარს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გიგაური ი., ზურიკაშვილი ნ., მცირე და საშუალო ბიზნესის თანამდროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები., ჟურნალი „ეკონომიკა“, თბ,, 2017, N02, გვ.112-119.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge (ბოლოს გადამოწმებულია 15.04.2022)

საქართველსო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge (ბოლოს გადამოწმებულია 15.04.2022)

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 15.04.2022)

# ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

## სოფლის მეურნეობის ძირითადი გამოწვევები


*დალი სილაგაძე*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*


**MAJOR CHALLENGES OF AGRICULTURE**


**Dali Silagadze**
Akaki Tsereteli State University
Associate Professor



**RESUME**

Since 2013, agriculture in Georgia has been declared one of the priority areas and, in order to promote it, a large amount of funds is directed from the state budget, as well as investments from international donors and the private sector or other types and finances.

In recent years, a number of projects have been implemented to boost production, attract investment in the sector, and expand export markets. Also, the financing of agriculture was significantly increased by the banking sector; Research centers and laboratories were established; Significant efforts have been made to rehabilitate and arrange irrigation and drainage systems, and so on.

Despite the above efforts, agriculture still fails to develop significantly as the sector still faces a number of challenges. The State Strategy for Agricultural Development 2021-2027 again names infrastructure (including irrigation and drainage systems), skills and knowledge, access to technology, small land, laboratory facilities, etc. as the weakness of the sector.

The aim of this study is to identify the main agricultural challenges facing large farms, individual product value chains or the entire agricultural system.



**Keywords**: Agriculture, Challenges, Priority, Field, Vegetation, Modern technologies, Technology.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის მეურნეობა, გამოწვევები, პრიორიტეტული, დარგი, მემცენარეობა, თანამედროვე ტექნოლოგიები, ტექნიკა.


* * * *

საქართველოში სოფლის მეურნეობა ტრადიციულ და პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული, მთავრობები ცდილობენ, სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელი შეუწყონ, შესაბამისად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

2013 წლიდან, საქართველოში სოფლის მეურნეობა დეკლარირებულად არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება და, მისი ხელშეწყობის მიზნით, დიდი მოცულობის ფინანსური სახსრები მიემართება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო დონორებისა და კერძო სექტორიდან ინვესტიციების თუ სხვა სახის და ფინანსებით. გასულ წლებში არაერთი პროექტი განხორციელდა წარმოების ზრდის ხელშესაწყობად, სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად და საექსპორტო ბაზრების გასაფართოებლად. ასევე, მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება საბანკო სექტორმა; ჩამოყალიბდა კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები; მნიშვნელოვანი ძალისხმევა დაიხარჯა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციასა და მოწყობაზე და ა.შ. მიუხედავად ზემოაღნიშნული ძალისხმევისა, სოფლის მეურნეობა მაინც ვერ ახერხებს მნიშვნელოვნად განვითარებას, რადგან დარგი კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სახელმწიფო სტრატეგია დარგის სისუსტედ კვლავ ასახელებს ინფრასტრუქტურას (მათ შორის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებს), უნარ -ჩვევებს და ცოდნას, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას, მცირე მიწიანობას, ლაბორატორიულ შესაძლებლობებს და ა.შ. წინამდებარე კვლევის მიზანია გამოკვეთოს სოფლის მეურნეობის ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას მსხვილი ფერმერული მეურნეობები, ცალკეული პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვი თუ მთლიანი სასოფ ლო- სამეურნეო სისტემა.

2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება. აქედან გამომდინარე, საინტერსოა, ვნახოთ, რა გავლენა იქონია გაზრდილმა სახელმწიფო დაფინანსებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

მთლიან შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა ცვალებადია წლების მიხედვით 2020 წელს 8,3%-ია და 2010 წელთან შედარებით შემცირებულია 1,3 %-ით. (ცხრილი 1)

სოფლის მეურნეობა ორი ძირითადი ქვედარგისგან შედგება, ესენია: მემცენარეობა და მეცხოველეობა. საქართველოში მეცხოველეობას უფრო მეტი წილი უჭირავს, ვიდრე მემცენარეობას, თუმცა ბოლო წლებში მეცხოველეობის წილი მცირდება. 2020 წლის გამოშვების მოცულობას თუ შევხედავთ, ასეთი მდგომარეობაა: მემცენარეობის პროდუქციის

**ცხრილი 1. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)**

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 9,6 | 10,3 | 9,2 | 9,6 | 9,6 | 8,8 | 8,3 | 7,2 | 7,8 | 7,4 | 8,3 |
| მრეწველობა | 14,9 | 15,0 | 14,1 | 14,2 | 14,3 | 13,9 | 13,0 | 14,2 | 14,6 | 14,7 | 15,5 |
| მშენებლობა | 4,2 | 5,2 | 7,4 | 6,6 | 6,8 | 7,6 | 8,8 | 9,1 | 8,3 | 8,5 | 8,7 |
| ვაჭრობა | 17,5 | 18,1 | 16,4 | 14,8 | 14,6 | 13,7 | 13,9 | 14,0 | 13,9 | 14,3 | 14,8 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 7,1 | 7,0 | 6,8 | 6,4 | 6,2 | 6,1 | 5,7 | 6,4 | 6,3 | 6,6 | 6,1 |
| სხვა | 46,7 | 44,4 | 46,1 | 48,5 | 48,5 | 49,9 | 50,3 | 49,1 | 49,0 | 48,5 | 46,6 |

**წყარო: საქსტატი**

**ცხრილი 2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)**

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, სულ | 2669,8 | 3277,8 | 3137,5 | 3549,4 | 3817,6 | 3884,3 | 3882,7 | 3724,5 | 4552,8 | 4834,6 | 5492,6 |
| მემცენარეობა | 1052,2 | 1476,3 | 1261,3 | 1623,1 | 1717,1 | 1642,5 | 1590,4 | 1456,8 | 2067,7 | 2159,5 | 2578,5 |
| მეცხოველეობა | 1528,7 | 1673,1 | 1732,7 | 1743,0 | 1886,4 | 1981,3 | 2002,2 | 2015,5 | 2197,9 | 2411,1 | 2584,9 |
| სასოფლო-სამეურნეო მომსახურება | 89,0 | 128,5 | 143,5 | 183,3 | 214,0 | 260,5 | 290,1 | 252,2 | 287,1 | 263,9 | 329,2 |

**წყარო: საქსტატი**

გამოშვებამ 2,5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მეცხოველეობის გამოშვებამ - უმნიშვნელოდ მეტი - 2,9 მლნ. ლარი. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება წინა წლებში გაცილებით აჭარბებდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოებას. (ცხრილი 2)

სექტორი ხასიათდება მცირე, არსებობისთვის საკმარის მეურნეობით და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმეტესობის უაღრესად დაბალი პროდუქტიულობით. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა სამჯერ დაბალია ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (ProDoc 2020).

ნიადაგების და კლიმატური ზონების მრავალფეროვნება საქართველოში ხილის და ბოსტნეულის ფართო სპექტრის წარმოების საშუალებას იძლევა. 2019 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 502 ათასი ტონა ხილი და 536 ათასი ტონა ბოსტნეული. ხილს და ბოსტნეულს საქართველოში ძირითადად საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ: საოჯახო მეურნეობების წილი ხილის წარმოებაში 92%-ია, ხოლო ბოსტნეულის წარმოებაში - 96% (საქსტატი 2021).

საქსტატის მონაცემები განასხვავებს ხილის შემდეგ კატეგორიებს: ყურძენი, ციტრუსები და ყველა სხვა ხილი. ეს უკანასკნელი მოიცავს ბროწეულს, კურკოვან ხილს, კენკრას, კაკალს და სუბტროპიკულ ხილს.

ხილის მთლიან წარმოებაში ყურძნის წილი ყველაზე მაღალია (48%), შემდეგ მოდის ციტრუსები (15%), თესლოვანი ხილი (14%), კურკოვანი ხილი (11%), კაკალი (7%), სუბტროპიკული ხილი (4%) და კენკრა (0,5%). ციტრუსების კატეგორიაში მანდარინი მთავარი კულტურაა, რომლის საშუალო წილი 93% -ია. კენკრის კატეგორიაში მარწყვი არის მთა-

ვარი კულტურა, რომელის საშუალო წილი ბოლო 6 წლის განმავლობაში 72% -ს შეადგენს. ყურძენი ძირითადად იწარმოება კახეთში (დაახლოებით 70%) და იმერეთში (დაახლოებით 10%). აჭარა ავტონომიური რესპუბლიკა და გურია ციტრუსის წარმოების რეგიონებია, წარმოების წილი, შესაბამისად, 70% და 20%-ია. კაკალი ძირითადად იწარმოება სამეგრელოს, გურიის, აჭარისა და კახეთის რეგიონებში. შიდა ქართლი ლიდერობს თესლოვანი ხილის წარმოების მხრივ (დაახლოებით 65%) რაც შეეხება კურკოვანი ხილს, დაახლოებით 55% კახეთის რეგიონში იწარმოება, ხოლო დაახლოებით 20% - შიდა ქართლის რეგიონში (საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაციები 2017-2019).

2014-2019 წლებში საქართველოში წარმოებული ბოსტნეულის ძირითად სახეობებია: კარტოფილი წამყვანი ბოსტნეულია, მისი წილი დაახლოებით 50% -ია, შემდეგ მოდის ნესვი (17%), პომიდორი (12%), კიტრი (6%), კომბოსტო და ბროკოლი (5%), ხახვი (3%) და მწვანილი ( 2%). ბაღჩეულის კატეგორიაში წამყვანი კულტურა საზამთროა (84%). კარტოფილის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია სამცხე-ჯავახეთის (6065%) და ქვემო ქართლის (დაახლოებით 20%) რეგიონებში. სხვა ბოსტნეული ძირითადად იწარმოება ქვემო ქართლში (დაახლოებით 30%) და შიდა ქართლში (30%). მწვანილის წარმოება ხდება იმერეთში (63%) და ქვემო ქართლში (14%). რაც შეეხება ბაღჩეულ კულტურებს, დაახლოებით 80% იწარმოება კახეთში და 15% იმერეთში (საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაციები 2017-2019).

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი წილი აქვს ქვეყნის ექსპორტში: 2014 - 2018 წლებში სოფლის მეურნეობის ექსპორტმა შეადგინა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25-30% . ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, როგორც სოფლის მეურნეობის ექსპორტმა, ასევე სოფლის მეურნეობის იმპორტმა ზრდის ტენდენცია აჩვენა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. 2018 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის მთავარი ~ მიმართულებები იყო რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი და სომხეთი. სოფლის მეურნეობის ექსპორტის დიდი წილი დსთს ქვეყნებზე მოდის; 2018 წელს ეს წილი 59% იყო დსთ-ს ყველა ქვეყნისთვის და - 25% რუსეთის ფედერაციისთვის . დსთს ბაზრებზე ტრადიციული კავშირების არსებობა, სიახლოვე, დაბალი კონკურენცია და ხარისხის მიმართ შედარებით დაბალი მოთხოვნები ხელს უწყობს ამ ტენდენციას

2020 წელს საქართველოში ხილის სავაჭრო ბალანსი დადებითი იყო (პროდუქტის კოდი 08: საკვები ხილი და კაკალი; ციტრუსის კანი ან ბაღჩეული), დაახლოებით 116 მილიონი აშშ დოლარი. ბოსტნეულის სავაჭრო ბალანსი უარყოფითი იყო (პროდუქტის კოდი 07: საკვები ბოსტნეული და გარკვეული ფესვები და ტუბერები) და შეადგინა დაახლოებით 29 მილიონი აშშ დოლარი. საქართველომ 2020 წელს ექსპორტზე გაიტანა 157.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხილი და 8.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბოსტნეული. 2019 წელს საქართველომ ხილის მსოფლიო ექსპორტში 78 – ე ადგილი დაიკავა, ხოლო ბოსტნეულის მსოფლიო ექსპორტში - 107 – ე (სავაჭრო რუკა 2021).

უნდა აღინიშნოს რომ წლების მიხედვით ცვალებადია როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში, ასევე ცვალებადობს სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მაჩვენებლებიც. აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, ბოლო რამდენიმე წელია (2010 წლიდან) უმნიშვნელოდ იცვლება. 2014 წლიდან აგრარული სექტორის გამოშვების წილი კლებულობს (საშუალოდ 0.95%-ით წელიწადში) და 2016 წლისთვის 16.2 %-ს შეადგენს. (ცხრილი 3)

კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფრაგმენტაციის პირობებში, სოფლის მეურნეობაში ჩართული შინამეურნეობების უმეტესობა თვითმოხმარებაზეა ორიენტირებული და მათ საქმიანობას კომერციული სახე არ აქვს. ამას ადასტურებს სოფლის

**ცხრილი 3. მემცენარეობის, მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში (%)**

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მემცენარეობა | 39 | 45 | 40 | 46 | 45 | 42 | 41 | 39 | 45 | 45 | 47 |
| მეცხოველეობა | 57 | 51 | 55 | 49 | 49 | 51 | 52 | 54 | 48 | 50 | 47 |
| სასოფლო-სამეურნეო მომსახურება | 3 | 4 | 5 | 5 | 6 | 7 | 7 | 7 | 6 | 6 | 6 |

**წყარო: საქსტატი**

მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის სიმცირეც. ამასთან, სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების სიმრავლის მიუხედავად, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან ზრდას მაინც ვერ ახერხებს.

გაუმართავი ლოგისტიკური სისტემები და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა ართულებს საქონლის ხარისხის შენარჩუნებას და აფერხებს ბაზრისთვის მიწოდების პროცესს. შეზღუდული ლაბორატორიული შესაძლებლობები და არასაკმარისად განვითარებული სადაზღვეო სისტემა კი ვერ ეხმარება მეურნეობას, დააზღვიოს წარმოება სხვადასხვა რისკების მიმართ და დარწმუნდეს საკუთარი ნაწარმის უსაფრთხოებაში.

აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული სირთულეები. კვალიფიციური კადრების დეფიციტი და დამხმარე მუშახელის მოძიების გართულებული პროცესი აფერხებს მეურნეობების საქმიანობას. სწორედ ამიტომ, საჭიროა კადრების გადამზადების უფრო ეფექტიანი მეთოდების ადაპტაცია/დანერგვა, რაც გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება სპეციალისტების ხელმისაწვდომობის ხარისხზე.

მიწის ნაკვეთების გამსხვილებას და ინდუსტრიული მეურნეობების განვითარებას თან უნდა ახლდეს განათლების დონის ზრდა, დამხმარე სერვისებისა და ინფრაქტრუქტურის დახვეწა, თანამდროვე ტექნოლოგიების დანერგვა და სექტორში ნოუ-ჰაუს შემოტანა. ეს ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის ზრდას, მნიშვნელოვანწილად მოხსნის მეურნეობების წინაშე დღეს არსებულ დაბრკოლებებს და ტრადიციულ სოფლის მეურნეობას მომგებიან საქმიანობად ქცევაში დაეხმარება.

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს აგრარულ ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს აგრობიზნესში კონკურენტული რისკების შემცირებაში. ამისათვის საჭიროა რეგულირდებოდეს სტრატეგიული და ადმინისტრაციული საკითხები: სტატისტიკური მონაცემების შექმნა ცალ-ცალკე აგროზონებზე, რაშიც ადგილობრივი ორგანოების ჩართულობაა საჭირო; ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარება და მათთვის კონსულტაციების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა; სათესლე, საწამლი თუ სასუქების ხარისხის კონტროლზე აყვანა; აგროდაკრედიტების მიღების გაიოლებისა და გაიაფების ხელშეწყობა და ა.შ.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სახელმწიფო სტრატეგია

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

3.file:///C:/Users/Admin%20(K)/Desktop/აგრობიზნესი%20-1/Competitive%20risks%20in%20agribusiness%20and%20the%20ways%20for%20reducing%20them.pdf

4.file:///C:/Users/Admin%20(K)/Desktop/მასალები%202021/file%20(1)%20აგრარული%20მეურნეობა.pdf

# საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები

***ანზორ მესხიშვილი***
*ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი*
*პროფესორი, სერტიფიცირებული ექსპერტი*
*უძრავი ქონების, მიწის საკითხებში*

1996 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“**. აღნიშნულის საფუძველზე 1992 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა კომლებისთვის (ოჯახებისთვის) გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, საagარაკე, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაწილზე კერძო საკუთრება გამოცხადდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან - 1997 წლის 25 ნოემბრიდან. 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს ორი კანონი **„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“** და **„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“**. ეს კანონები ძალაში შევიდა 1998 წლის 12 ნოემბრიდან. პირველი კანონის შესაბამისად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები 1998 წლის 12 ნოემბრამდე კანონიერად სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით, ეს მიწები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ. ეს საფასური შეადგენდა 1999 წლის 1 იანვრამდე ერთი წლის მიწის გადასახადს, ხოლო 1999 წლიდან ერთი წლის მიწის გადასახადის ორმაგ რაოდენობას. 2010 წლის 21 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი **„სახელმწიფო ქონების შესახებ“**.

1992 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიო საბჭომ მიიღო დეკრეტი **(№29) „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ“**.

დადგინდა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ვალდებული არიან 1992 წელს გაატარონ რეორგანიზაცია. რაც არ შესრულდა. ნაცვლად სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კოოპერაციული საზოგადოებების, კოოპერატივების შექმნისა, დაიწყო ქონების დატაცება - განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის თანამედროვე ფაბრიკები, მეღორეობის კომპლექსები, ვეტერინარული მომსახურების სადგურები, ჯიშთა გამოცდის და სასელექციო სადგურები, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სადგურები, დაიწყო ტრაქტორების ქურდობა და ჯართში ჩაბარება... მეტიც, ათი გრამი სპილენძისთვის მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირად ღირებული მოწყობილობები... ქარხნებსა და ფაბრიკებში უნიკალური დაზგა-დანადგარებს ჩალის ფასად ყიდდენ თურქეთსა და ირანში. ლიკვიდაცია გაუკეთდა სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ განადგურდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული 400-ზე მეტი უნიკალური ვენახის ჯიშების სანერგე მეურნეობა. კატასტროფულად შემცირდა ნათესი ფართობები, განადგურდა ჩაის ნარგავები, შემცირდა ვენახის, ციტრუსების, ხეხილის, და სხვა სოფლო-სამეურნეო კულტურები. მოიშალა (შეიძლება ითქვას განადგურდა) სოფლის მეურნეობის დარგის ინფრასტრუქტურა, თესლბრუნვები, მრავალწლიანი ნარგავების ნერგების წარმოება, ხელოვნური დათესვლის სადგურები, თესლის ხარისხისა და აღმოცენების დადგენის სამსახურები. ამასთან კატასტროფულად შემცირდა მარცვლის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დაიწყო დაშრობილი ფართობების მეორადი დაჭაობება, მოიშალა სარწყავი სისტემები, მიწიდან იღებდნენ სარწყავ მილებს და ჯართში აბარებდნენ - გორისა და ქარელის რაიონებში მოიშალა ათასობით ჰექტარი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა, მალხაზის წვერზე მოწყობილი სრულიად ახალი, უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა ჯართში ჩაბარდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სიღნაღის რაიონის წნორის კომპლექსის დაწვიმებით სარწყავ სისტემაზე, ჯართში ჩააბარეს ფრეგატების დაწვიმებითი სარწყავი დანადგარები. ქურდობა იმ დონეზე მივიდა, რომ სოფლებში ელექტროსადენებს იპარავდენ და ჯართში აბარებდნენ. საქართველოს ტყეებში შეწყდა ტყეთმოწყობის სამუშაოების განხორციელება, მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახურები, ხეები დაავადდა, აღარ ტარდებოდა სანიტარიული

და მოვლითი ჭრები, დაიწყო ტყეების უსისტემო ჩეხვა-განადგურება.

საქართველოში 1992-1998 წწ ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები დაქუცმაცდა და განიავდა. ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ საქართველო უკან დასწია და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების ეკონომიკურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენის აზრით), ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გააუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას - მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან აზერბაიჯანთან და სომხეთთან. **საინტერესოა საქართბველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 ს.ს.“, როდესაც არ იცის რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით?! არ სრულდება საქართველოს კანონები: „ნიადაგების დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“**

მართალია 2019 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა ორი კანონი: „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი არაფერი არ გაკეთებულა.

დღეს ძნელად წამოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, **როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები - სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის** და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველია.

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, არსებული მიწის რესურსები და მდიდარი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში, შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტა, ინვესტორების დაინტერესება და საყოფაცხოვრებო პირობების სათანადო დონემდე აყვანა. ამისათვის საჭიროა:

1. აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. ყოველწლიურად გაკეთდეს მიწის ბალანსი;
3. მიღბულ იქნას მიწის კოდექსი;
4. ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია.

# რამდენჯერ და როდემდე უნდა ვარეგისტრიროთ ერთი და იგივე მიწები

## ათეული მილიონი ტყუილუბრალოდაა გახარჯული

***ანზორ მესხიშვილი***
*ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი*
*პროფესორი, სერტიფიცირებული ექსპერტი*
*უძრავი ქონების, მიწის საკითხებში*

მიუხედავად არა ერთი საგაზეთო წერილისა და სატელევიზიო გამოსვლებისა მიწის რეგისტრაციის პრობლემებზე, მიზანშეწონილად ჩავთვალე ერთხელ კიდევ აღვნიშნო მიწის რეგისტრაციის პრობლემატური საკითხები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილებით. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა დაიწყო 1998 წლიდან. როგორც ცნობილია საქართველოს მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიღების მიზნით დაიყო სამ კატეგორიად და განისაზღვრა მიწის ზღვრული მაქსიმალური ნორმა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე გადაიცა. მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნა სოფლად მუდმივად მაცხოვრებლები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები. მათთვის მიწის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში ერთ ჰექტრამდე, ხოლო იმ რიონებში სადაც ამის შესაძლებლობა იყო - 1.25 ჰექტრამდე. მთის რეგიონებში 5 ჰექტრამდე. მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მაცხოვრებლები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები. მათ განესაზღვრათ მიწის ფართობი ბარისა და ზეგნის რაიონებში 0.75 ჰექტრამდე. მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ ქალაქად და დაბად მცხოვრებნი, მათ განესაზღვრათ 0.25 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი. ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონში 0.15 ჰექტრამდე.

### მიწების პირველი რეგისტრაცია

ამსთან დაკავშირებით სოფლებსა და დაბებში იქმნებოდა მიწის რეფორმის კომისიები, დგინდებოდა მიწის მიმღებთა სიები და მისაღები ფართობები, სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიებზე, რომლის შემდეგ ხდებოდა სახელმწოფო მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტების გამოწერა და მიწის მესაკუთრეზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით. აქტების საფასური 30-70 მანეთს შეადგენდა მიწის ფართობის ზომის შესაბამისად. მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების სახელმწიფო აქტები ხუთ ეგზემპლიარად დგებოდა და რეგისტრირდებოდა რაიონის მიწათმოწყობის სამსახურში სპეციალურად შექმნილ ჟურნალში, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიწათმოწყობის სამსახური ექვემდებარებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. რაიონში კეთდებოდა შესაბამისი ტერიტორის რუკა მესაკუთრეების რეგისტრაციით.

### მიწების მეორე რეგისტრაცია

1997 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დეპარტამენტს დაქვემდებარებული რაიონული მიწის მართვის სამმართველოები. 1997 წლის 25 ნოემბერს საქართველოში მიღებულ იქნა ახალი სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის საფუძველზე (მუხლი1514) დადგინდა, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების პარალერულად უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო საჯარო რეესტრის სამსახურში. მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან განხორციელდა მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში, რამაც გამოიწვია ორმხრივი რეგისტრაციები როგორც საჯარო რეესტრში, ასევე ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებში, რაც გაგრძელდა 2005 წლამდე. ორმაგი რეგისტრაცია კი იწვევდა საზოგადოების უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრაციის განსახორციელებლად დაწესებული არცთუ მცირე გადასახადი. დაიწყო რეგისტრირებული მიწების განმეორებითი რეგისტრაცია შესაბამისი ანაზღაურებით.

**2004 წელს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად ლიკვიდაციის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა ამ სამსახურის რაიონული რგოლები და რაიონულ სამსახურებში არსებული ყველა დოკუმენტაცია (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია) სამწუხაროდ დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა.**

### მიწების მესამე რეგისტრაცია

როდესაც შემოღებულ იქნა მიწის აზომვისა და აღრიცხვის ახალი სიტემა. მიწის მესაკუთრეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების ნაკვე-

თების ახალი სისტემით აზომვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი 52 მილონი გერმანული მარკა და 12 მილონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. ამ ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების აზომვითი სამუშაოები. ამ ღონისძიების მიზანი იყო, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მიწები დაზუსტებულიყო აზომვის ახალი სისტემით უფასოდ და მესამედ დარეგისტრირებულიყო ახლად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ფირმის ერთი ხელმძღვანელის თვიური ხელფასი შეადგენდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი სისტემის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს (კონტროლის პალატის შემოწმების მასალებიდან). კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებულ იქნა და თითოეულ მიწის მესაკუთრეზე შედგენილი მიწის საკუთრების დოკუმენტების აბსოლიტური უმრავლესობა არ იქნა გამოყენებული დანიშნლებისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ უშედეგოდ დაიხარჯა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი თავისი პროცენტებით.

### მიწების მეოთხე რეგისტრაცია

რადგანაც, გაუგებარი მიზეზებით, გერმანული ფირმის ჩატარებული და გაკეთებული მიწის აზომვითი ნახაზები, რუქები და ელექტრო ვერსიები არ იქნა გამოყენებული დანიშნულებით, დადგინდა, რომ ახალი სისტემით მიწის რეგისტრაციისათვის მიწის მესაკუთრეებს თავისი სახსრებით უნდა მოეხდინათ აზომვითი ნახაზის ელექტრო ვერსიის გაკეთება და რეგისტრაციის საფასური შვიდი ლარი ფიზიკურ პირს უნდა გადაეხადა. 2004 წლიდან რეგისტრაციის მომსახურების საფასური გახდა 50 ლარი, პლიუს ერთი ლარი საბანკო მომსახურება. დაჩქარებული მომსახურეობა 250 ლარი. 2008-2009 წლამდე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია ჩაითვალა დაუზუსტებლად და საჭირო გახდა ახალი რეგისტრაციის განხორციელება. რისთვისაც მიწის მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის ახალი სისტემით აზომვაში უნდა გადაეხადა 50-200 ლარი, და რეგისტრაცისათვის 50 ლარი პლიუს ერთი ლარი საბანკო მომსახურეობისათვის. ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ან/და სჭირდებოდა ამონაწერის განახლება, საჯარო რეესტრიდან გადაიხადა აღნიშნული თანხა და მეოთხედ დაარეგისტრირა თავის საკუთრებაში რამოდენიმეჯერ დარეგისტრირებული ნაკვეთი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საჯარო რეესტრში 2016 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მესაკუთრეთა მიწების მხოლოდ 27% აღმოჩნდა რეგისტრირებული.

**განსაკუთრებით აღსანიშნავია, "ქონების ლეგალიზაციის შესახებ"** საქართველოს კანონი, (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნისს), **2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებებით, კანონის მე -6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი)** ითვალისწინებდა: იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტი არ იყო სრულყოფილად შევსებული, აქტის მეპატრონეს უნდა გადაეხადა თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, მის მიერ გამოცემული სახელმწიფო აქტი სამართლებრივად სწორად უნდა ყოფილიყო შედგენილი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ ჰექტარზე არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაცისათვის უნდა გადეხადა 150 000 ლარი.** თანაც ეტყოდნენ მადლობა გვითხარი რომ არ გაძლევთ პასუხისგებაშიო. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს უნდა გადაეხადა ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი).

### მიწების მეხუთე რეგისტრაცია

სამწუხაროდ ამით არ დამთავრებულა მიწების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია. მთავრობა იძულებული გახდა მიელო ახალი კანონი 2016 წლის 3 ივნის # 5153 „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ". ამ კანონის შესაბამისად შერჩეული იყო საპილოტო 12 სოფელი და გამოყოფილი იყო 12 მილიონი და სახელმწიფო უზრუნველყოფდა უფასო სისტემურ რეგისტრაციას. დანარჩენ 4488 სოფელში მიწების სპორადული რეგისტრაცია უნდა დამთავრებულიყო 2018 წლის 1 ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველადი რეგისტრაცია უფასო იყო, აღნიშნულ ვადებში რეგისტრაცია არ დამთავრებულა. მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ უმრავლეს კერძო ამზომველებს არ გააჩნდათ აზომვითი ნახაზის შესადგენად თანამედროვე ძვირად ღირებული ხელასწყო. ასევე თავს იკავებდნენ უფასოდ ნახაზის გაკეთებაზე, რადგან არ ჰქონდათ

იმედი, რომ დროულად აუნაზღაურდებათ გაწეული შრომა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული სერიოზული პრობლემები, შეცდომები და უთავბოლობა ამით არ დამთავრებულა. ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიწები რეგისტრირებული ჰქონდათ საჯარო რეესტრში და ხელთ ჰქონდათ ამონაწერი სადაც აღნიშნული იყო რომ ფართობი დაზუსტებულია, მაგრამ არ არის გატარებული ელექტრო ვერსიაში, ან/და ელექტრო ვერსიაში არსებული მონაცემები განსხვავდება ამონაწერის მონაცემებთან შედარებით, რაც მისი ბრალი არ იყო, ახალ ამონაწერს არ აძლევდნენ და საჯარო რეესტრი ითხოვდა ახალ ელექტრო ვერსიას (აზომვით ნახაზს), ხოლო რეგისტრაცია კი ფასიანი იყო. თუ საჯარო რეესტრის გაცემულ ამონაწერსა და ელექტრო ვერსიას შორის იყო ცდომილება ერთი კვადრატული მეტრიც კი, რომელიც რეესტრის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომაა, ითხოვდნენ ახალ აზომვით ნახაზს და ახალ რეგისტრაციას, რაც ასევე გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული. რა გამოდიოდა მოქალაქეები იხდიდნენ ფულს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძალიან ბევრ მიწის მესაკუთრეს ერთიდაიმავე მიწაზე მოუწია (ან მოუწევს) ხუთჯერ რეგისტრაცია და ოთხჯერ გადახდა შესაბამისი თანხის. უსამართლობის ერთ-ერთ ფაქტს ასევე წარმოადგენდა ისიც, რომ 2000 წელს ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროს მიერ აღრიცხულ მიწის ნაკვეთებსა და შენობა ნაგებობებზე არ ხდებოდა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქონებაზე უკვე გაცემული იყო ცნობა დახასიათება და ინვეტარიზაციის გეგმა. მიზეზად სახელდებოდა ის, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა იმ დროისათვის აღარ არსებობდა. ეს ნაკვეთები აყავდათ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრაბაში და აუქციონის წესით ყიდდენ. ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ლარად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის 1 ივლისამდე სხვადასხვა მიზეზით საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ახალი წესით არ დარეგისტრირდებოდა, მათ საკუთრებაში არსებული მიწები დარეგისტრირდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში. ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნებოდა გასაჩივრება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის შემდეგ მოხდებოდა მიწების ნაციოლიზაცია. შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთი ოთხჯერ დაარეგისტრირა, პირველად რაიონში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამასახურში, მეორედ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურებში და მესამედ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი თანხების გადახდით. მეოთხედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში (ეს მდგომარეობა არ ეხება იმ ფიზიკურ პირებს, ვისაც საერთოდ არ დაურეგისტრირბიათ საკუთარი მიწის ნაკვეთები).

ამჟამად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სხვადასხვა პერიოდში რეგისტრირებულ და არ რეგისტრირებულ მიწებზე, სახელმწიფოს ხარჯზე ჩაატაროს ყველა მიწების რეგისტრაცია-დაზუსტება, იმედია აღარ მოხდება ისეთივე სერიოზული შეცდომები და მილიონობით თანხების უმიზნოდ გახარჯვა.

# ბიზნეს-ინჟინერინგი განათლებაში

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების პრობლემების გადაჭრის გზები

***თეონა მეხრიშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

***ანზორ კურატაშვილი***
*სტუ-ს ასოც. პროფესორი*

**რეზიუმე**

განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI). მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2017-2018 წლის კვლევის მიხედვით ინოვაციასა და განვითარების ფაქტორში 112-ე და უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით 87-ე პოზიცია ნათელყოფს, რომ ქვეყანა ვერ ეწევა მსოფლიოს განვითარებას და, შესაბამისად, მისი კონკურანტუნარიანობა ამ კუთხით არც თუ ისე სახარბიელოა.

სახელმწიფო მართვის უმთავრესი ამოცანა ამ სფეროში უნდა იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეცნიერული შემოქმედების პირობების შექმნა, და ამის საფუძველზე უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რამეთუ სწორედ კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს ძალუძთ გავლენა მოახდინონ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

სახელმწიფო მართვის პროცესში პრინციპულ აუცილებლობას იძენს განათლების სფეროში ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის ეფექტიანი შეხამების პრობლემის გადაჭრა, იმისათვის, რომ მოცემული პრობლემის გადაჭრამ აქტიურად შეუწყოს ხელი მეცნიერების შემოქმედებით განვითარებას და მაღალკვალიფიციური – შემოქმედებითად მოაზროვნე – სპეციალისტ-პიროვნებების მომზადებას, რომლებსაც უნარი შესწევთ აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, კონკურენტუნარიანობა, სახელმწიფო, ეფექტიანი ფუნქციონირება, მართვა.

**WAYS TO SOLVE THE PROBLEMS OF COMPETITIVE FUNCTIONING OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS**

**Teona Mekhrishvili**
PhD student at GTU
**Anzor Kuratashvili**
Asociated Professor of GTU

**RESUME**

The Competitiveness Index (GCI) provides interesting information on the role of education in assessing the competitiveness of Georgia as a country. According to the World Competitiveness Index Survey of the year 2017-2018, 112th position in the Innovation and Development Factor and the 87th position in the field of Higher Education and Training show that the country lags behind the world development level and consequently its competitiveness is not so favorable in this respect.

The main task of public administration in this field should be to create conditions for scientific creativity in higher education institutions and based on it increasing competitiveness in the field of higher education, just graduates of competitive higher education institutions are able to impact on increasing the competitiveness of the economy.

In the process of public administration there is a fundamental need to solve the problem of an effective combination of centralism and independence in the field of education in order to solve a given problem actively promoting the creative development of science and training of highly qualified, creative-minded specialists who have the ability to take an active and fruitful part in the management of society and the state.

**Key words**: Education, competitiveness, state, efficient functioning, management.

**ძირითადი ტექსტი**

განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI). მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2017-2018 წლის კვლევა მოიცავს 137 ქვეყანას. 2017-18 წლებში საქართველოს მდგომარეობა 2016-17 წლებთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

1. ძირითადი მოთხოვნები - 54-ე ადგილი, 4.8 ქულა (შემცირდა 8 საფეხურით);

2. ეფექტიანობის მასტიმულირებელი - 75-ე ადგილი, 4.1 ქულა, (შემცირდა 6 საფეხურით);

3. ინოვაციები და განვითარების ფაქტორები – 112-ე ადგილი, 3.2 ქულა (გაუმჯობესდა 1 საფეხურით).

ინოვაციასა და განვითარების ფაქტორში 112-ე ადგილი ნათელყოფს, რომ ქვეყანა ვერ ეწევა მსოფლიოს განვითარებას და, შესაბამისად, მისი კონკურანტუნარიანობა ამ კუთხით არც თუ ისე სახარბიელოა. რაც შეეხება ცალკე უმაღლეს განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით 87-ე პოზიცია (საერთო ქულა 4.0). ინოვაციები - 118- ე პოზიცია (2.8).

განათლებაზე პრიორიტეტის გაკეთებას ქვეყნისთვის შეიძლება ბევრად დიდი უკუგება ჰქონდეს, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვას და სუბსიდირების საკმაოდ გავრცელებულ პროგრამებს ქვეყანაში. თუმცა, იმის გამო, რომ ეს ხარჯი ეფექტს საკმაოდ ხანგრძლივი ვადის შემდეგ იძლევა, მთავრობები ხშირად არჩევანს უფრო მოკლევადიანი ეფექტის მქონე პრიორიტეტებზე აკეთებენ.

2019 წლის მარტში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ წარადგინა 2022 წლიდან განათლებაზე მშპ-ის მინიმუმ 6%-ის დახარჯვის სტრატეგია, რომელიც 2022 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო.[1]

თუმცა, როგორც ცნობილი გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან მომდევნო წელს საქართველოს მთავრობა განათლების სფეროში მშპ-ის 6%-ის ინვესტირებას აღარ მოახდენს. 2021 წლის ბიუჯეტით განათლების სამინისტროს დაფინანსება არის 1.8 მილიარდი ლარი, აქედან 300 მლნ. კულტურის და სპორტის განხრით, რომელიც ცალკე უწყებაა. ანუ ეს დაფინანსება საქართველოს მშპ-ის 3.4%-მდე შეადგენს, ხოლო უშუალოდ განათლების მიმართულებით მშპ-ის 2.8% -ია.

იმისათვის, რომ მამუკა ბახტაძის წარმოდგენილი სტრატეგია "განათლება ეროვნული იდეით" განსაზღვრული პარამეტრი შესრულდეს, მომდევნო 2022 წლისთვის განათლების სამინისტროს ბიუჯეტი უნდა გაორმაგდეს და 3.49 მილიარდი ლარი გახდეს.

რაც შეეხება უშუალოდ უმაღლესი განათლების სფეროს მართვას, სახელმწიფო მართვის უმთავრესი ამოცანა ამ სფეროში უნდა იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეცნიერული შემოქმედების პირობების შექმნა, და ამის საფუძველზე უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რამეთუ სწორედ კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს ძალუძთ გავლენა მოახდინონ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, სათანადო სახელმწიფო მართვის პირობებში, ხელს შეუწყობს ხალხის ინტერესების რეალიზაციას[2].

ამრიგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო მართვისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტების პროფესორებისათვის კანონით გათვალისწინებული აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფას, მათი მეცნიერული შემოქმედების ხელშეწყობას.

როგორც პროფესორი ალფრედ კურატაშვილი აღნიშნავს:

„მეცნიერების შემოქმედებითი განვითარება – საზოგადოების, სახელმწიფოს და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი ინტელექტუალური საფუძველია.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემოქმედებით განვითარებას, რამეთუ მეცნიერების შემოქმედებითი განვითარების გზაზე არცთუ იშვიათად შექმნილ ხელოვნურ დაბრკოლებებს შეუძლიათ გახდნენ მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების დამუხრუჭების მიზეზი.

ისეთი პირობების შექმნის საქმეში, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემოქმედებით განვითარებას, მნიშვნელოვანი როლი მოწოდებულია შეასრულოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციამ, რომლებიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტებში და სხვა სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულებებში“ [3].

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 37) აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

„ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

---

2 კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.

3 Кураташвили Альфред А. Интеллектуальная собственность ученого – главный критерий аккредитации его докторской образовательной программы!!! Государственное управление: Проблемы теории и практики. Материалы Международной научной конференции (11-12.09.2012). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2012. – с. 92-93.

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;“ [4].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება, რაც ხელს უშლის როგორც მეცნიერულ შემოქმედებას, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოქმედებითად სწავლების პროცესს.

მაშასადამე, სახელმწიფო მართვის პროცესში პრინციპულად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს უმაღლესი განათლების სფეროში ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის – განსაკუთრებით პროფესორთა დამოუკიდებლობის – ეფექტიანი შეხამების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა, რომლის გარეშე მეცნიერული შემოქმედების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება.

ხოლო მეცნიერული შემოქმედების გარეშე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლება რეალურად განუხორციელებადია.

„ზემოთ განხილული პრობლემებიდან გამომდინარე, ლოგიკურად დასტურდება, რომ, – როგორც მე ადრეც აღვნიშნავდი, – სახელმწიფო მართვის პროცესში პრინციპულ აუცილებლობას იძენს განათლების სფეროში, და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სფეროში ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის ეფექტიანი შეხამების პრობლემის გადაჭრა, იმისათვის, რომ მოცემული პრობლემის გადაჭრამ აქტიურად შეუწყოს ხელი მეცნიერების შემოქმედებით განვითარებას და მაღალკვალიფიციური – შემოქმედებითად მოაზროვნე – სპეციალისტ-პიროვნებების მომზადებას, რომლებსაც უნარი შესწევთ აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში“ [5].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ „სახელმწიფო მართვის პროცესში განსაკუთრებულ აუცილებლობას იძენს კრეატიული მიდგომის პრობლემების გადაჭრა მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში, რამეთუ მეცნიერული შემოქმედების გარეშე შეუძლებელია იყოს ეფექტიანი მოძრაობა წინ, და, მაშასადამე, შეუძლებელია იყოს ხალხის ინტერესების რეალიზაცია“[6].

4 საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”. https://cutt.ly/iHJIf4j

5 მეხრიშვილი თეონა. ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის ეფექტიანი შეხამების პრობლემები უმაღლესი განათლების სფეროში. სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები XXXI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (02.04.2019). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2019. – გვ. 73.

6 Мехришвили Теона. Государственное управление и необходимость креативного подхода к сфере высшего образования. Развитие креативного публичного управления: Материалы Международной научно-практической Конференции (8 апреля 2016 года). Академия муниципального управления (Киев, Украина). Киев: Академия муниципального управления, 2016, с. 252.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.

2. Кураташвили Альфред А. Интеллектуальная собственность ученого – главный критерий аккредитации его докторской образовательной программы!!! *Государственное управление: Проблемы теории и практики. Материалы Международной научной конференции (11-12.09.2012).* Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2012. – с. 92-93.

3. საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”.
https://cutt.ly/iHJIf4j

4. მეხრიშვილი თეონა. ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის ეფექტიანი შეხამების პრობლემები უმაღლესი განათლების სფეროში. სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები XXXI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (02.04.2019). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2019. – გვ. 73.

**REFERENCES:**

1. Kuratashvili Alfred. Theory of the supremacy of the interests of the people. A fundamentally new scientific direction and a systematic theory of governing law, the legal system of a truly human society and the socio-economic sciences as a whole (monograph in Georgian, English and Russian). Tbilisi: Progress International Publishing House, 2003. P. 336.

2. Kuratashvili Alfred A. The intellectual property of a scientist is the main criterion for accreditation of his doctoral educational program!!! Public administration: Problems of theory and practice. Proceedings of the International Scientific Conference (11-12.09.2012). Tbilisi: Progress International Publishing House, 2012. – p.92-93

3. Law of Georgia on “Higher Education”. https://cutt.ly/iHJIf4j

4. Mekhrishvili Teona. Problems of effective combination of centralism and independence in higher education. Current Problems of Public Administration Proceedings of the XXXI International Scientific Conference (02.04.2019). Tbilisi: Progress International Publishing House, 2019. – p.73.

# შრომითი პროცესის ჰიგიენური შეფასება სსიპ კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

***რუსუდან ჯავახაძე***
*მედიცინის დოქტორი, დირექტორი ნიკოლოზ მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი,*

***მარინა არაბიძე***
*შრომის ჰიგიენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი*

***მარინე ქვათაძე***
*ბიოლოგიის დოქტორი, მთავარი სპეციალისტი, ნიკოლოზ მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი*

***რევაზ კლდიაშვილი***
*სტუ-ს პროფესორი, კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

***იზოლდა ჯიქიძე***
*მთავარი სპეციალისტი, ქიმიკოსი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

**რეზიუმე**

სამუშაო გარემოს უარყოფითი ზეგავლენის დადგენა მომუშავის ჯანმრთელობაზე და მისი აღიარება მოითხოვს კონკრეტულ ადგილზე ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორების სრულ, კომპლექსურ შეფასებას.

დასაქმებულთა შრომის პირობები შესწავლილ იქნა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაცია- კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების - საამკინძაო, სარესტავრაციო, ქიმიურ და პრეპარაციის ლაბორატორიებში, ჟორდანიას სახელობის -№68, პირადი საარქივო ფონდების №69, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის №67 და, ფოტო-მიკრო ფირების საცავებში, სამკითხველო დარბაზში.

სამუშაო ზონის ჰაერი გამოკვლეულია ფიბროგენული აეროზოლის(მტვრის), ქიმიური ნივთიერებების, ობის სოკოს შემცველობაზე. შესწავლილია ხმაურის, მიკროკლიმატის , განათებულობის (ბუნებრივი და ხელოვნური) მდგომარეობა, შრომის სიმძიმე და დაძაბულობა. კვლევა განხორციელდა საქართველოში მოქმედი სტანდარტული მეთოდების, სერთიფიცირებული აპარატურის გამოყენებით. დადგინდა შრომის პირობების კლასები, ცალკეული სამუშაო ადგილების – პროფესიებისათვის, განისაზღვრა სავარაუდო პროფესიული რისკის ჯგუფები. შესწავლილ სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა შრომის პირობები ჰიგიენური კლასიფიკაციის თანახმად კომპლექსური შეფასების საფუძველზე მიეკუთვნება მავნე 3 კლასს ხარისხებით 1;2;3. ნაკლებად მავნე 3.1 კლასს მიეკუთვნა ფოტო-მიკრო ფირების საცავში საცავის მცველის, რესტავრაცია -კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების ქიმიური ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტის სამუშაო ადგილები; მავნე 3.2 კლასს მიეკუთვნა იმავე განყოფილების სარესტავრაციო ოთახებში, საცავებში და სამკითხველო დარბაზში დასაქმეულთა შრომის პირობები; მავნე 3.3 კლასს მიეკუთვნა რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიის პრეპარაციის ოთახებში და საამკინძაოში დასაქმებულთა შრომის პირობები, რაც ძირითადად განპირობებულია ხმაურით, შრომის სიმძიმით და დაძაბულობით. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა დასაქმებულთა შრომის პირობების გაჯანსაღება–გაუმჯობესების ღონისძიებები რეკომენდაციების სახით.

**საკვანძო სიტყვები:** არქივარიუსი, შრომის ჰიგიენა, ჯანმრთელობის დაცვა

## HYGIENIC ASSESSMENT OF THE LABOR PROCESS NAMED AFTER KORNELI KEKELIDZE. AT THE GEORGIAN NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS

**SUMMARY**

Determination of the negative impact of the working environment on the health of an employee and its recognition requires a full, comprehensive assessment of factors harmful to health in a particular place.

The working conditions of employees were studied

in the Department of Scientific Restoration and Conservation of Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts - in the bookbinding, restoration, chemical and preparation laboratories, in the storages of: Zhordania No. 68, personal archival funds No. 69, Ekvthime Takaishvili No. 67, and in the reading room.

The air of the working area was examined for the content of fibrogenic aerosol (dust), chemicals, mold fungi. The state of noise, microclimate, lighting conditions (natural and artificial), heaviness (intensity) and labor intensity were studied.

The studies were carried out using standard methods being in force in Georgia, by using certified equipment.

Classes of working conditions for individual jobs - professions are identified, groups of assumed occupational risk are determined. The working conditions of employees at the studied workplaces according to the hygienic classification on the basis of a comprehensive assessment belong to 3 classes according to the degree of harmfulness 1; 2; 3.

The less harmful class 3.1 included the jobs of the security guard of the storage of photo-micro films, the chief specialist of the chemical laboratory of the scientific department of restoration and restoration.

Class 3.2 included the working conditions of employees in the restoration rooms of the same department, in storage rooms and reading rooms.

Class 3.3 included the working conditions of employees in the preparation rooms of the restoration and conservation laboratory and in the bookbinding room, which is mainly associated with noise, heaviness (intensity) and labor intensity.

Based on the research carried out, measures have been developed to improve the health and working conditions of workers in the form of recommendations.

**Key words:** Archivarius, Occupational hygiene, Health protection

* * * *

სამუშაოზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას აქვს ორი განუყოფელი და სრულად ეკვივალენტური კომპონენტი. ერთის მხრივ, არსებობს ტექნიკური უსაფრთხოება, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლების დაცვას სამუშაოზე უბედური შემთხვევებისგან, მათი ჯანმრთელობის დაზიანებისგან. მეორეს მხრივ, არის დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვა სამუშაოს შესრულებისა და სამუშაო გარემოს მავნე ზემოქმედებისგან. ორივე კომპონენტი ასრულებს თავის ამოცანებს. სამუშაო გარემოს უარყოფითი ზეგავლენის დადგენა მომუშავის ჯანმრთელობაზე და მისი აღიარება მოითხოვს კონკრეტულ ადგილზე ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორების სრულ, კომპლექსურ შეფასებას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში ინახება უძველესი ხელნაწერი წიგნები, ისტორიული საბუთები, უმდიდრესი საარქივო მასალები და სხვა. მათი დაცვა, რესტავრაცია-კონსერვაცია, შესწავლა და ექსპონირება საფუძველია ქართული წერილობითი კულტურის განვითარების შესწავლის და პოპულიზაციის საქმეში.

ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვისათვის აუცილებელია უსაფრთხო გარემოს შექმნა როგორც ფონდების დაცულობისათვის, ასევე მასზე მომუშავე ადამიანებისათვის.[3,4,5,7] ამ მიზნით, ჩატარდა ერთობლივი სამუშაო ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ.

## კვლევის მიზანი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სპეციფიკური სამუშაოების შესრულებისას (დოკუმენტების შენახვა, დაცვა, რესტავრაცია, კონსერვაცია, გაწმენდა, დეზინსექცია, აღდგენა და სხვა), დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე სამუშაო გარემოს და შრომითი პროცესის ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დასაქმებულთა შრომის პირობების შესწავლა და ჰიგიენური შეფასება.

## კვლევის მასალა და მეთოდები

სამუშაო ზონის ჰაერი გამოკვლეულია ფიბროგენული აეროზოლის(მტვრის), ქიმიური ნივთიერებების, ობის სოკოს შემცველობაზე, შესწავლილია ხმაურის, მიკროკლიმატის, განათებულობის მდგომარეობა, შრომის სიმძიმე და დაძაბულობა. კვლევა განხორციელდა საქართველოში მოქმედი სტანდარტული მეთოდების, სერთიფიცირებული აპარატურის გამოყენებით. დადგინდა შრომის პირობების კლასები, ცალკეული სამუშაო ადგილების – პროფესიებისათვის, განისაზღვრა სავარაუდო პროფესიული რისკის ჯგუფები საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და „შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორებისა და სამუშაოს მავნეობისა და საშიშროების მიხედვით" მოთხოვნების (ბრძანება N 147/ნ 03.05.2007 სსმ N 69 17.05.2007 დანართი 2) შესაბამისად. [1].

## კვლევის შედეგები და განსჯა

დასაქმებულთა შრომის პირობები შესწავლილ იქნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების: საამკინძაო, ქიმიურ, სარესტავრაციო და პრეპარაციის ლაბორატორიებში. საცავებში: ჟორდანიას სახელობის - №68, პირადი საარქივო ფონდების - №69, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის №67, ფოტო-მიკრო ფირების, სამკითხველო დარბაზში და სხვ. მიკროკლიმატის მდგომარეობა შესწავლილია სხვადასხვა ლაბორატორიებში, საცავებში და სამ-

კითხველო დარბაზში. გაზომვების ჩატარების პერიოდში ლაბორატორიებში ჰაერის ტემპერატურის და ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები შეესაბამებოდა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, ხოლო ჰაერის მოძრაობის სიჩქარე დაბალ დონეზე დაფიქსირდა (0,48-0,077მ/წმ), სამკითხველო დარბაზშიც დაფიქსირდა ჰაერის მოძრაობის დაბალი სიჩქარე (0,062მ/წმ), მხოლოდ პრეპარაციის ლაბორატორიაში იყო ნორმის ფარგლებში. საცავებში ფარდობითი ტენიანობის და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის მაჩვენებლები შეესაბამებოდა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, ხოლო ჰაერის ტემპერატურის შედარებით დაბალ დონეზე დაფიქსირდა, გამონაკლისია- ფოტო-მიკრო ფირების საცავი, სადაც არ არის ტემპერატურისა და ტენიანობის მარეგულირებელი დანადგარი.

ხელნაწერთა დაცვის ინსტრუქციის თანახმად, სხვადასხვა ტიპის საცავებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარკვეული ტემპერატურული რეჟიმი [3]. ობიექტური მიზეზების გამო საცავებში ტემპერატურის პარამეტრები არ მოდის ტექნიკური რეგლამენტის „ჰიგიენური მოთხოვნები საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი“ მოთხოვნებთან თანხვედრაში, რის გამოც, საცავებში მომუშავეები არ იმყოფებიან ოპტიმალური მიკროკლიმატის პირობებში [1] .

პრეპარაციის ლაბორატორიაში და ფოტო-მიკროფირების საცავში მომუშავეთა შრომის პირობები მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით მიკროკლიმატის მაჩვენებლების გათვალისწინებით მიეკუთვნება დასაშვებ 2.0 კლასს, ხოლო სხვა შესწავლილ ლაბორატორიებში, საცავებში და სამკითხველო დარბაზში- მავნე 3 კლასს, ხარისხით 1 [1,2].

ბუნებრივი განათების მდგომარეობა რესტავრაცია-კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების ლაბორატორიებში: ქიმიური, საამკინძაო, სარესტავრაციო და სამკითხველო დარბაზში დამაკმაყოფილებელია და აქ მომუშავე მეცნიერ თანამშრომლების და სპეციალისტების (ქიმიკოსების) შრომის პირობები ბუნებრივი განათების ფაქტორის მიხედვით მიეკუთვნება დასაშვებ 2.0 კლასს. საამკინძაო ლაბორატორიაში, რესტავრაციის ლაბორატორიის პირველ და მეორე ოთახებში, ასევე პრეპარაციის ლაბორატორიის ოთახებში, ბუნებრივი განათება ხორციელდება გვერდითი ფანჯრების მეშვეობით (გვერდითი განათება). ბუნებრივი განათების კოეფიციენტი დაბალია და აქ მომუშავე სპეციალისტების შრომის პირობები ბუნებრივი განათებულობის მიხედვით მიეკუთვნება მავნე 3.1 კლასს., რაც შეეხება ფოტო-მიკრო ფირების საცავს , იგი განთავსებულია სათავსში, რომელსაც აქვს ფანჯარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბუნებრივი განათებულობის დამაკმაყოფილებლობის პროცენტი დაბალია და აქაც საცავის მცველის შრომის პირობები მიეკუთვნება მავნე 3.1 კლასს[1,2]. № 68, № 69 და № 67 საცავები განთავსებულია უფანჯრო სათავსებში, სადაც არ არის ბუნებრივი განათება და ამ საცავებში მომუშავე სპეციალისტების (საცავის მცველების) შრომის პირობები ბუნებრივი განათების მიხედვით მიეკუთვნება მავნე 3.1 კლასს [1]

ხელოვნური განათების მდგომარეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის სხვადასხვა სათავსებში ნორმის ფარგლებშია და აქ მომუშავეთა შრომის პირობები ხელოვნური განათების მიხედვით მიეკუთვნება დასაშვებ 2.0 კლასს.[1]

საცავებში ხმაურის ძირითადი წყაროა ზოგადი ვენტილაცია, რომლის მუშაობის შედეგად გენერირებული ხმაურის დონე(64-65 დბა) მეტია ზდდ-ზე (60დბა) და ამ საცავებში მომუშავე საცავის მცველების შრომის პირობები ხმაურის ფაქტორის გათვალისწინებით მიეკუთვნება მავნე 3.1 კლასს[1].

რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების: საამკინძაო, სარესტავრაციო და პრეპარაციის ოთახებში ხმაურის წყაროებია :ხელის წნეხი, დიდი წნეხი, „კრაუზერი“ (წნეხი + საჭრელი) და საჭრელი დაზგა (ე.წ „გილიოტინა“), რომელთა მუშაობის შედეგად წარმოქმნილი ხმაურის დონე 11-14 დბა-ით მეტია ზდდ-ზე და ამ ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალის შრომის პირობები მიეკუთვნება მავნე 3,2 კლასს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წნეხებთან და „გილიოტინასთან“ მუშაობა უწევთ შედარებით იშვიათად.

სამუშაო სათავსების ჰაერი გამოკვლეულ იქნა მტვრის, ნახშირბადის მონო ოქსიდის, ნახშირბადის დიოქსიდის, ჟანგბადის, ფორმალდეჰიდის შემცველობაზე.[8,9]

კვლევებმა გვიჩვენა,რომ სამუშაო სათავსებში სამუშაო ზონის ჰაერში გამოიყოფა შერეული ბუნების მტვერი (ძირითადად ქაღალდისა და დალექილი მტვრის სახით) სამუშაო ადგილებზე (სამუშაო სათავსებში) ჰაერში მტვრის კონცენტრაცია მერყეობს 0,3-1,0 მგ/მ$^3$ ფარგლებში, რაც არ აღემატება ზდკ-ს.შესაბამისად, სამუშაო ზონის ჰაერის დამტვერიანების დონის მიხედვით შრომის ჰიგიენური პირობები მიეკუთვნა დასაშვებ 2 კლასს.

სამუშაო ზონის ჰაერში ნახშირბადის მონო ოქსიდის, ჟანგბადის და ნახშირბადის დიოქსიდის კონცენტრაცია რეკომენდებულის ფარგლებშია. აღსანიშნავია, რომ რესტავრაციისა და კონსერვაციის განყოფილების ოთახებში თანამშრომლების მიერ, ხშირად ხდება ჰაერის განიავება. ნახშირბადის დიოქსიდის შედარებით მაღალი კონცენტრაცია დაფიქსირდა სამკითხველო დარბაზში. მკითხველთა რაოდენობის შესაბამისად, მიზანშეწონილია, ჰაერის საათში ერთხელ, 5 წუთით განიავება.

პრეპარაციის ოთახში კამერული დეზინფექციის შემდეგ, ამწოვ კარადაში(ჩართული) ფუნჯით და ტამპონით ხელნაწერების გასუფთავებისას რესტავრატორის სუნთქვის ზონაში ჰაერში ფორმალდეჰიდის კონცენტრაციამ შეადგინა 1 მგ/მ$^3$ (ზდკ 0,5 მგმ$^3$) ,რაც შეესაბამება შრომის პირობების მავნე 3 კლასს ხარისხით 1.

ლაბორატორიებში, სამუშაო ზონის ჰაერის მიკრობიოლოგიური დაბინძურების (ობის სოკო) შესწავლა ჩატარდა სედიმენტაციის მეთოდით. როგორც მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, გამოკვლეული ოთახების ჰაერში სოკოს უჯრედების რაოდენობა 1მ$^3$ ჰაერში არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მომუშავეთა შრომის პირობები მიკრობიოლოგიური ფაქტორის მიხედვით მიეკუთვნება დასაშვებ 2.0 კლასს[1].

რამდენიმე პროფესიის თანამშრომლის შრომის პირობები შეფასებულია შრომის სიმძიმის და დაძაბულობის მიხედვით.

რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების მთავარ სპეციალისტის, ფოტო-მიკროფირების საცავის და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართულ ხელნაწერთა საცავის მეცნიერ თანამშრომლის შრომის პირობები სიმძიმის მაჩვენებლის მიხედვით მიეკუთვნება დასაშვები 2.0 კლასს. ხელნაწერთა სამკითხველო დარბაზის სპეციალისტის მავნე 3 კლასს ხარისხით 1 (3.1 კლასი). საამკინძო ლაბორატორიის და პრეპარაციის ოთახის უფროს სპეციალისტის მავნე 3 კლასს ხარისხით 2 (3.2 კლასი). [1]

საამკინძაო და პრეპარაციის ოთახის უფროსი სპეციალისტების, ქიმიური ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტის, ფოტო-მიკროფირების საცავის და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართულ ხელნაწერთა საცავის თანამშრომელთა შრომის პირობები შრომის დაძაბულობის მიხედვით მიეკუთვნა მავნე 3 კლასს ხარისხით 1 (3.1 კლასი). ხელნაწერთა სამკითხველო დარბაზის სპეციალისტის მავნე 3 კლასს ხარისხით 2 (3.2 კლასი) [1].

აღნიშნული სპეციალისტების მუშაობა შრომატევადი და დაძაბულია. ძირითადი არახელსაყრელი ერგონომიური ფაქტორებია: სიმძიმის აწევა, იძულებითი მჯდომარე და მდგომარე სამუშაო მდგომარეობა, ფიზიკური და გონებრივი გადაძაბვა, სპეციალისტის მიერ მასალების დამუშავებისას ან მონიტორის წინ მუშაობისას მხედველობის დაძაბვა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ შესწავლილ სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა შრომის პირობები ჰიგიენური კლასიფიკაციის თანახმად კომპლექსური შეფასების საფუძველზე (მიკროკლიმატი, ხმაური, განათებულობა, საწარმოო მტვერი, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორები, შრომის სიმძიმე და დაძაბულობა), მიეკუთვნება მავნე 3 კლასს ხარისხებით 1;2;3.მავნე 3.1 კლასს მიეკუთვნა ფოტო-მიკრო ფირების საცავი საცავის მცველის, რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო განყოფილების ქიმიური ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტის სამუშაო ადგილები; მავნე 3.2 კლასს მიეკუთვნა იმავე განყოფილების სარესტავრაციო ოთახებში, საცავებში და სამკითხველო დარბაზში დასაქმეულთა შრომის პირობები; მავნე 3.3 კლასს მიეკუთვნა, ხოლო პრეპარაციის ოთახში და საამკინძაოში დასაქმებულთა შრომის პირობები, რაც ძირითადად განპირობებულია ხმაურით, შრომის სიმძიმით და დაძაბულობით. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა დასაქმებულთა შრომის პირობების გაჯანსაღება – გაუმჯობესების ღონისძიებები რეკომენდაციების სახით, რომელიც გადაეცა სსიპ კ. კეკელიძის სახ.საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შემდეგი რეაგირებისთვის.

**ლიტერატურა:**


1. „შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემო ფაქტორებისა და სამუშაოს მავნეობისა და საშიშროების მიხედვით" ( ბრძანება N 147 /ნ 03.05.2007 სსმ N 6917.05.2007) მოთხოვნების შესაბამისად.

2. კვერენჩხილაძე რევაზ შრომის ჰიგიენა.თბილისი: თსსუ, 2016 . გვ.438 საქართველო,თბილისი

3. Беленькая Н.Г. Микроклимат и сохранность документов 1987. стр. 71-83. Санкт-Петербург

4. ჯიქიძე ი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ართული ძველნაბეჭდი წიგნების მდგომარეობა ქაღალდის „დაბერების" თვალსაზრისით და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი „მრავალთავი" 24, გვ. 503-509, 2015 საქართველო,თბილისი

5. კლდიაშვილირ.,შარიქაძე ვ., ჯიქიძე ი.,თავაძე შ., ქაღალდდამშლელი სოკოების ფერმენტები. საქ. მეცნ. აკად. ბიომედ. სერია,2016, ტ.42, № 5-6, გვ. 253. საქართველო,თბილისი

6. Микроскопические грибы в воздушной среде Санкт-Петербурга. Санкт-Петербург, 2012, стр. 24.

7. ი.ჯიქიძე, რ.კლდიაშვილი, შ.თავაძე წიგნსაცავის მიკოფლორის შესწავლისათვის, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავების მაგალითზე. მრავალთავი, ფილოლოგიურ -ისტორიული ძიებანი № 26, თბილისი, 2019 , გვ. 424. საქართველო,თბილისი

8. ლ.ალექსი-მესხიშვილი, ხელნაწერების დეზინფექცია ფორმალინის კამერული მეთოდის გამოყენებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 92, №2,1978წ. 461გვ. საქართველო,თბილისი

9. ლ.ალექსი-მესხიშვილი, ი. ჯიქიძე, ხელნაწერთა საცავების ჰაერიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შემადგენლობა. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მრავალთავი ფილოლოგიურ-ისტიორიული ძიებანი, ტ. XVII 1992წ. გვ.176. საქართველო,თბილისი

# ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

*თეონა მეხრიშვილი*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასთან, მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ცოდნა, ინტელექტი, ინოვაცია და არა მარტო მატერიალური რესურსები. მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროების წინსვლასთან ერთად აუცილებელია განათლების სისტემის ორიენტირება თანამედროვე მოთხოვნებზე. სწორედ მაღალგანვითარებული ადამიანური კაპიტალის საშუალებით იქმნება წარმოების ახალი ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს საწარმოო დანახარჯების შემცირებასა და მწარმოებლურობის ზრდას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას .

სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ინვესტიციების ჩადება ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რადგან ის მართლაც ამოსავალი წერტილია ქვეყნის წინსვლისათვის. საჭიროა აღზრდის, განათლების, მეცნიერად ჩამოყალიბების პროცესის სწორად დაგეგმვა და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური კაპიტალი, განათლება, სახელმწიფო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

## THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN THE SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

**Teona Mekhrishvili**
PhD student at GTU

**RESUME**

In the modern world there are processes that are closely related to the formation of high-tech and innovative economics, the main factor is knowledge, intellect, innovation and not only material resources. It is necessary to orient the education system to modern requirements together with the progress of science, technics and technology. New production technologies are created through highly developed human capital that ensures a reduction of production costs and productivity increase which ultimately contributes to the socio-economic development of the country.

It is necessary to invest more in the development of human capital by the state because it is really a starting point for the development of the country. It is necessary to properly plan the process of upbringing, education, scientific development and formation of a long-term strategy.

**Key words**: Human capital, education, state, socio-economic development.

### ძირითადი ტექსტი

ამერიკელმა ეკონომისტმა თეოდორ შულცმა გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო ადამიანური კაპიტალის კვლევა. შულცის მიხედვით, მოსახლეობის განათლების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის უნარს ინფორმაცია და ტექნოლოგიები გამოიყენოს, როგორც განვითარების, ისე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისათვის. 1961 წელს გამოქვეყნდა თ. შულცის სტატია „ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში", რომელშიც ავტორი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ადარებს ადამიანურ და წარმოებაში გამოყენებულ ნივთობრივ კაპიტალს და განათლებას განიხილავს, როგორც ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ფორმას[1].

ადამიანურ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციები კლასიფიცირდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- ❖ მშპ-ში განათლებაზე გაწეული დანახარჯების პროცენტული წილი;
- ❖ კადრების მომზადება-გადამზადებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურაში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით;
- ❖ შინამეურნეობების მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები.

მათგან, მშპ-ში განათლებაზე გაწეული დანახარჯების პროცენტული წილი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის განათლების სფერო და ადამიანური კაპიტალის განვითარება, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური განვითარების საფუძველია. კადრების გადამზადებაზე გაწეული დანახარჯები შეგვიძლია განვიხილოთ მიკროეკონომიკურ დონეზე, როგორც ფირმის გადაწყვეტილება გააუმჯობესოს დაქირავებული სამუშაო ძალის ხარისხი და შედეგად გაიზარდოს შრომის მწარმებლურობა, რაც გაზრდის ასევე ფირმის შემოსავალსა და მოგებას, სხვა თანაბარ პირობებში. შინამეურნეობების მიერ განათლებზე გაწეული დანახარჯი კი გულისხმობს ინდივიდების დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას განათლების მიღების საფუძველზე გაზარდონ მომავალში პოტენ-

1 Schultz T, „Investment in Human Capital, American Economic Review", volume 51, N1, March 1961, P. 3

ციურად მისაღები შემოსავლების სიდიდე. სამივე შემთხვევაში ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები მოკლევადიან პერიოდში დაკავშირებულია დანახარჯებთან, გრძელვადიან პერიოდში კი მოაქვს დადებითი უკუგება, როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე.

ამასთან, განათლება ზეგავლენას ახდენს ისეთი ჩვევების გამომუშავებაზე, როგორიცაა სოციალურობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, არაფორმალური ურთიერთ-კავშირების დამყარება და ა.შ. განათლება ზემოქმედებს მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების სტაბილიზაციის ასპექტში. განათლებიდან მიღებული არაფულადი შემოსავლების ყველა სახის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ განათლება ხასიათდება სოციალური ეფექტიანობით.

რაც უფრო განვითარებულია ქვეყნები, მით უფრო მაღალია მთლიან შიდა პროდუქტში განათლების სფეროში დანახარჯები. მაგალითად, გერმანიაში, იაპონიაში და აშშ-ში განათლების სფეროში დანახარჯები შეადგენენ მათი მთლიანი შიდა პროდუქტის 4-5 პროცენტს, შვედეთში - 7-8 პროცენტს, საქართველოში და რუსეთში - 3-4 პროცენტს, ინდონეზიაში 1-2 პროცენტს[2].

უნივერსიტეტები და ქვეყნები ეხმარებიან სტუდენტებს, მკვლევარებს და პედაგოგებს საზღვარგარეთ სწავლაში, რადგან მათი მიზანია:

- საერთაშორისო ურთიერთგაგების განმტკიცება;
- სამუშაო უნარების გაუმჯობესება და დასაქმების დონის გაზრდა;
- დარგში/სფეროში ცოდნის დონის ამაღლება;
- საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის ამაღლება[3].

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანისთვის, პრინციპულად მნიშვნელოვანია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის საჭირო პირობების შექმნა. პირველ რიგში კი ადამიანური პოტენციალის განვითარება და რეალიზება[4].

კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია 4-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში[5]. ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილს ფლობენ, მაღალი მშპ-ის დონით გამოირჩევიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება ანუ განათლებაში ინვესტირება, იმისათვის, რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზრდა დარჩება დაბალ ნიშნულზე, რომელიც მიესადაგება მისი ადამიანური კაპიტალის რესურსს.

განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანგარიშების ჩატარების საფუძვლად მიღებულია დაშვება იმის შესახებ, რომ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში გვაძლევს მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს შემოსავლების ზრდაზე. განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება როგორც განათლებაში პირდაპირ ფულადი შემოსავლების შეფარდობა მის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებთან. განათლება ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას შრომის პირობებზე, უმუშევრობის დონეზე და ა.შ. იმ ადამიანების შრომის პირობები, რომელთაც გააჩნიათ უკეთესი საგანმანათლებლო მომზადება, როგორც წესი, უფრო ხელსაყრელია. განათლება ამაღლებს ადამიანის სხვადასხვა სახის საქმიანობის ეფექტიანობას შრომის ბაზრის საზღვრებს გარეთაც. იგი ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას და ისეთი თვისებების შეძენას, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, მოქნილობა, ინტელექტუალური მოთხოვნილებების ზრდა და ა.შ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას. უმაღლესი განათლების სიტემამ მუდმივად უნდა იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოამზადოს ადგილობრივი თუ საერთასორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. უმაღლესი განათლება უნდა უქმნიდეს ინდივიდს ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას, სოციალური, პიროვნული და პროფესიული განათლების პარალელურად. მნიშვნელოვანია ჩატარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელთა კვლევა და საგანმათანთებლო პროგრამები ორიენტირებული იყოს შრომის ბაზართან.

2 The World Development Indicators. World Bank, 2000. On CD-Rom

3 ნინო ჯოჯუა. უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. გვ. 112

4 საქართველოს მთავრობის დადგენილება №400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე", 2014 წლის 17 ივნისი, თბილისი, გვ. 12.

5 Schultz, 1961

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Schultz, „Investment in Human Capital, American Economic Review", volume 51, N1, March 1961, P.3

2. The World Development Indicators. World Bank, 2000. On CD-Rom

3. ნინო ჯოჯუა. უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. გვ. 112

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე", 2014 წლის 17 ივნისი, თბილისი, გვ. 12.

# MANAGING INTERCULTURAL COMMUNICATIONS IN DIGITAL REALITY: CHALLENGES AND OPPORTUNITIES

***Ketevan Otarashvili,***
*PhD student at GTU*

**ABSTRACT**

In the 21st century, the interaction of civilizations has become an imperative of modern world business. The process is accompanied by contradictions, the overcoming of which brings us closer to world citizenship.

The world is becoming more and more united on the basis of economic, technological, information integration. Increased integration leads to an increase in cultural identity. This process creates a conglomerate of cultural societies that differ in their history, traditions, language and religion. They develop, interact and influence each other on the basis of intercultural communication.Both, public and private companies, regardless of their scale, are aware of the importance of managing intercultural communications. This is a new challenge for them, however, despite many difficulties, good shifts are observed (David C.Thomas. (2008)).

Given the modern reality, the strategies for managing intercultural communications have almost completely shifted to the digital space, which, like all innovations, is accompanied by new opportunities and difficulties.While in early 2020, we thought we were sufficiently adapted to digital communications, the reality showed us - we misunderstood the role of digital communications.

Companies, public and private sectors have had to adapt to the new reality, rotate the work environment from offices to homes, manage staff remotely, train them with new technical skills, quickly eliminate unforeseen technical problems and completely transform into a new - digital reality.

Given that the management of intercultural communications is already a novelty for companies, they will have to create a new reality to minimize intercultural distance in remote - digital management.

**Keywords:** Intercultural, Challenges, Management, Digital.

## INTRODUCTIONS

In the 21st century, the interaction of civilizations has become an imperative of modern world business. The process is accompanied by contradictions, the overcoming of which brings us closer to world citizenship.

The world is becoming more and more united on the basis of economic, technological, information integration. Increased integration leads to an increase in cultural identity. This process creates a conglomerate of cultural societies that differ in their history, traditions, language and religion. They develop, interact and influence each other on the basis of intercultural communication. At the same time, they are relatively independent and remain different, colliding with a single information space. These differences affect attitudes towards different issues - human rights, trade, environment, etc. - which is central to modern politics.

Given the modern reality, the strategy of intercultural communications management has almost completely shifted to the digital space, which like all innovations, is accompanied by new opportunities as well as difficulties.

While in early 2020, we thought we were sufficiently adapted to digital communications, the reality showed that we misunderstood the role of digital communications.

The public and private sectors have had to adapt to new realities, rotate the work environment from offices to homes, manage and hire staff remotely, train them with new technical skills, quickly eliminate unforeseen technical problems, and fully transform into a new digital reality.

Against the background that the management of intercultural communications is already a novelty for companies, they will have to create a new reality to minimize intercultural distance in terms of remote, digital management.

Since 1995, digital communication has gradually played an important role in the activities of companies. By the end of 2019, most of the world's companies were almost fully adapted to the digital space, however, the global constraints created by covid-19 in 2020 changed the dimension of digital communication capabilities in the shortest possible time and made their management particularly important (Forbes Georgia. (2019)).

The year 2020 revealed significant changes in people's digital communication behaviors. Humans' digital communication behavior changed in the very first

quarter of the pandemic.

Necessitated remote work mode, with offices moving to homes, meetings moving from physical conference space to various online conference platforms, And informal relationships between employees from the company's dining / smoking areas to social networks.

In addition to the daily planning activities, the main task of the companies has been to maintain the company culture in remote conditions, which combines several important factors: maximum involvement of employees in the work process; maintain team activity; constructive movement of information and maintain informal relationships.

Switching to remote work has been an inconvenient process for some team members, some employees are still able to communicate with colleagues, and for others this process is difficult in the virtual space. They say that even new employees have not been able to communicate with colleagues and have a feeling that they are "alone", unable to work with team members. To summarize, the feeling of teamwork today is small. In order to create a fun mood in a virtual environment, it is possible to conduct various fun activities.

After the usual physical communication, remote work should look like "real", so it is better for colleagues to communicate with each other with a video call instead of a phone call, which helps to maintain emotional engagement.

When starting a remote work practice, some adjustments and the development of new competencies are needed. Employees must learn to communicate online and conduct online meetings effectively, as well as collaborate with others remotely and use a variety of IT tools.

## RESULTS AND DISCUSSION

workplace has weakened the importance of physical offices. Companies are given an unprecedented opportunity to pay minimal attention to their place of residence when selecting employees. It is possible to select the desired talent in any country of the world and include it remotely in the work process. This increases the multicultural benchmark of companies and the integration of different cultures into a common virtual space.

In the conditions of the pandemic, remote employment became possible in Georgia in several directions:

Education - Various educational institutions have managed to create an online learning platform in the shortest possible time, today it is possible to plan training on any topic in an online format, and at this time the trainer / teacher can be anywhere in the country or in any country in the world (Vanishvili Merab, Katsadze Irakli, & Vanishvili Nino. (2020).

IT Directions - This field has had remote work experience before the pandemic, however the new reality has allowed us to distance the field almost completely, allowing.

HR direction - remote work made possible in all HR directions;

Services - The service sector has successfully moved into the online space, practice shows that remote services are becoming quite profitable for companies;

Call Center - In different businesses it has become necessary to add call center operators, and the work of employees in this profession is remotely as efficient as from the office.

Has increased, thus transforming the mono-cultural structure of companies as well.

Forming a multicultural team online is a new challenge for Georgian companies with limited multicultural management experience.

## CONCLUSION

Multicultural team management is accompanied by a number of unique challenges and difficulties, these may be language barriers, teaching methods, ignorance of the culture of the colleague, and many others, the correct and delicate solution of which determines Goodden's overall success, so managers should be careful interests.

It is often believed that communication problem is a major factor that can destroy multicultural teams as participants may have different languages and communication styles.

In conversation, words convey our feelings, hopes and dreams. We are all closely related to our native language, which can make it difficult to travel to a foreign country where the majority of the population speaks another language. Now produce

Managers must not only make sure that subordinates understand the company procedures and policies, but also ensure that everyone has an effective method of communication. For example, to say that this task is difficult would be insufficient. At the same time, the main language spoken in the office may be a second or third language for some employees, so colloquialism may be incomprehensible to them.

Moreover, they may mislead the use of slang and slang, which may seem completely incomprehensible to other team members. The problem is that some employees who feel uncomfortable with the language barrier may not be able to express their opinion on a particular issue at all.

One way to solve this problem is to develop a common communication system in the company, maybe the company will help several translators, create a working platform where all team members can express their opinion. It is advisable to offer the company's "native" language courses to employees. It is important that all team members feel needed and valued, it is not allowed to show favoritism towards those who speak the company's native language better.

**REFERENCES:**

1. David C.Thomas. (2008) CROSS-CULTURAL MANAGEMENT: ESSENTIAL CONCEPTS 2ND EDITION// Loss Angeles, Sage Publiication.

2. Richard D. Lewis. (1998) CROSS-CULTURAL COMMUNICATION, published by Transcreen Publications.

3. Christopher P. Earley. E. Mosakowski (2004) CULTURAL INTELLIGENCE. Harvard Business Reviw, Cross cultural Management, From the Magazine (October 2004).

4. Forbes Georgia. (2019) 100 LARGEST COMPANIES IN GEORGIA. Article, April 2019.

5. Vanishvili Merab, Katsadze Irakli, & Vanishvili Nino. (2020). CORONAVIRUS PANDEMIC AND PROSPECTS OF THE GEORGIAN ECONOMY// Achievements and prospects of modern scientific research. Abstracts of the 1st International scientific and practical conference. Editorial EDULCP. Buenos Aires, Argentina. 2020. Pp. 556-568. 556–568. https://sci-conf.com.ua/i-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiyaachievements-and-prospects-of-modern-scientific-research-6-8-dekabrya-2020-godabuenos-ajres-argentina-arhiv/.

6. Otinashvili Ramaz, Vanishvili Merab. (2020). COMPETITIVE STRATEGY IN BUSINESS // The world of science and innovation. Abstracts of the 4th International scientific and practical conference. Cognum Publishing House. London, United Kingdom. 2020. Pp. 127-133. 127–133. https://sci-conf.com.ua/iv-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-theworld-of-science-and-innovation-11-13-noyabrya-2020-goda-london-velikobritaniyaarhiv/.

# ПАНДЕМИЯ И ЕЕ ВЛИЯНИЕ НА ПОДХОД К СИСТЕМЕ ОБУЧЕНИЯ. ГЛАЗАМИ СТУДЕНТА: АНАЛИЗ РЕАЛЬНОСТИ

**Тамара Саджая**
*ассистент-профессор,*
*Тбилисский Гуманитарный Учебный Университет*

***Нато Гегенава***
*ассоциированный-профессор ГТУ*

**РЕЗЮМЕ**

Смертельное и инфекционное заболевание Corona Virus, также известное как Covid-19, серьезно повлияло на мировую экономику. Эта трагедия также потрясла сектор образования. То что пережила образовательная система за период пандемии, вероятно, найдет отклик в глобальном масштабе уже в ближайшем будущем.

Не новость, что вспышка пандемии вынудила образовательную систему прекратить очное обучение. На сегодняшний день, мы с точностью не можем сказать, когда учеба будет возможна в стандартном формате и вернется ли преподавание к своему первоначальному состоянию. Поскольку социальное дистанцирование так или иначе являлось преобладающим и актуальным фактором, учебные заведения и вся система образования пытались найти варианты выхода из возникшей ситуации.

Не только пандемия, но и развитие современных технологий и появление новых возможностей и средств коммуникации, привели к быстрому, можно сказать скачкообразному развитию дистанционного обучения в мире и, в том числе, в Грузии. Среди существующих форм дистанционное образование неожиданно внедрилось в систему обучения и стало неотъемлемой частью нашей жизни, в частности, образовательной системы.

**Ключевые слова**: процесс образования, дистанционное обучение, онлайн-обучение

## პანდემია და მისი გავლენა სწავლების სისტემაზე. სტუდენტის თვალით: რეალობის ანალიზი

**თამარა საჯაია,**
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
**ნატო გეგენავა,**
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

**რეზიუმე**

მომაკვდინებელმა და ინფექციურმა დაავადებამ კორონავირუსმა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც Covid-19, დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ ტრაგედიამ შეძრა განათლების სექტორიც. განათლების სისტემამ პანდემიის დროს გადაიტანა დიდი სტრესი, რომლის შედეგიც უახლოეს მომავალში გლობალური მასშტაბით იქნება გამოვლენილი.

ახალი არ არის ის, რომ პანდემიამ აიძულა განათლების სისტემას შეეჩერებინა საგანმანათლებლო პროცესი. დღესდღეისობით უცნობია, როდის იქნება შესაძლებელი სასწავლო პროცესის სტანდარტული ფორმით ჩატარება. შექმნილ ვითარებაში, სოციალური დისტანცია იყო მნიშვნელოვანი, ამიტომ აქტუალური გახდა ისეთი საგანმანათლებლო პროცესის გამოყენება, რომლის საშუალებითაც სწავლის გაგრძელება შესაძლებელი იქნებოდა.

პანდემიამ და ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და ახალი შესაძლებლობებისა და კომუნიკაციის საშუალებების გაჩენამ, გამოიწვია დისტანციური სწავლების დაჩქარებული გამოყენება სასწავლო პროცესში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, დისტანციური სწავლების მეთოდი მოულოდნელად შეიჭრა ჩვენს განათლების სისტემაში და გახდა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

**საკვანძო სიტყვები:** განათლების პროცესი, დისტანციური განათლება, ონლაინ სწავლება.

* * * *

С дистанционным обучением связано немало паложительных аргументов:

• доступность к обучению – означает, что онлайн-режим обучения легкодоступен и даже может добраться до отдаленных районов;

• ценовая доступность - Дешевизна данного способа обучения заключается в более низких тратах связанных например с транспортом , проживанием и общей стоимостью обучения, которая ниже чем на базе самих учреждений;

• еще одним интересным аспектом онлайн-обучения является гибкость, студент может планировать свое время используя курсы, доступные в Интернете;

• обучение на протяжении всей жизни
и это лишь часть возможных аргументов.

Целью статьи было проанализировать отношение студентов к дистанционной системе обучения

в Грузии, и ознакомиться с картиной, сложившейся в других странах мира. Выявить положительные и отрицательные стороны, а так же узнать какие перспективы ждут дистанционное обучение в будущем, вне пандемии, останется ли оно в нашей жизни, если да, то насколько активно его хотели бы использовать студенты, какая перспектива его ждет и исчезнет ли оно до следующего кризиса?

Исследование является описательным и пытается понять важность онлайн-обучения в период кризиса и пандемии. Исследование опирается на данные, полученные в процессе опроса студентов, их анализа, а так же на основе обработки вторичных данных.

В первую очередь надо отметить, что дистанционное образование дает возможность иметь доступ к образованию всем- как детям младшего возраста, так и пожилым людям. Тут нет никаких территориальных границ или же временных ограничений. Люди могут свободно обмениваться информацией любого характера, используя для этого различные методы: переписку, видео звонки, презентации, голосовые контакты; рассылать печатную, отсканированную и др. информацию; проводить встречи с аудиторией разного количества и направления, проводить семинары, экзамены и многое другое. При этом мы, как участники этого процесса экономим время, личную энергию, экономно относимся к ресурсам. Если учесть само появление дистанционного обучения – главным фактором все же был процесс выживания. Именно через дистанционное общение появилась возможность продолжить обучение и снизить риск заболеваемости.

Главным фактором активного участия **(рис.1)** является наличие средств осуществления коммуникации – имеется в виду устройство (смартфон, планшет, ноутбук, компьютер), мобильная связь, интернет и, умение и навыки управлять процессом. Здесь конечно же у студентов возникли определенные проблемы, которые были обнаружены в процессе опроса.

Ссылаясь на публикацию Всемирного Банка, дистанционное обучение требует трех дополнительных элементов: эффективных учителей, подходящих технологий и вовлеченных учащихся. Эти три элемента должны быть хорошо согласованы, чтобы дистанционное обучение было эффективным **(рис. 2).**

Преподаватель владеющий высоким уровнем технических навыков использования технологий и вспомогательных ресурсов и соответствующими методами, конечно же будет более эффективным в дистанционном обучении, чем преподаватель без одного или нескольких из этих качеств.

Аналогичным образом, наличие технологии является необходимым, но недостаточным условием эффективного дистанционного обучения т.к. технология должна соответствовать контексту, в котором она применяется. Для эффективного дистанционного обучения также требуется вовлеченный пользователь, вовлеченность которого зависит от мотивации, эффективности учителей и технологий, а также от такого фактора, как домашняя среда.

Независимо от того, какой подход используют страны в стратегии дистанционного обучения нельзя не отметить участие правительств, которые пытались облегчить использование дистанционного обучения различными способами. Ряд стран скорректировали учебные программы с учетом сокращения числа дней или же часов обучения. Некоторые из них организовали дистанционную подготовку преподавателей. Другие предоставляли группам, находящимся в неблагоприятном положении, более широкий доступ к инфраструктуре дистанционного обучения - путем предоставления учебных материалов на языках меньшинств или учебных материалов для детей-инвалидов или путем внедрения гибких и




Рис. 1 Факторы и элементы активного участия



Рис. 2 Элементы дистанционного обучения

самостоятельных платформ.

Первые попытки обучения на расстоянии зафиксированы еще в 30-х годах XIX столетия (1836 г.) в Лондонском университете, когда для поступления в ВУЗ стали использовать почту для рассылки необходимой литературы, указаний и другого учебного материала тем, кто желал поступить в Университет, но находился от него на расстоянии, не позволяющем находится непосредственно на его территории.

Далее, уже в 20-х годах XX столетия, история развития дистанционного обучения связана с появлением радио. Старшее поколение хорошо помнит радиотрансляции- беседы. А в 50-е годы дистанционное обучение связывают с телепроектами учебного характера.

Говоря о системном подходе к организации и проведению дистанционного образования, необходимо отметить Открытый Университет Великобритании, название которого говорит о его доступности за счет невысокой цены и отсутствия необходимости часто посещать аудиторные занятия. Университет использует различные методы обучения-письменные и аудиоматериалы, Интернет, диски, телепрограммы и т.д. Сюда относят так же и телевизионные передачи на канале BBC, которые начались с 1971 года и продолжались до 2006. Это были лицензированные авторские работы академического персонала, которые были предназначенные для студентов. В настоящее время проводятся курсы, используя различные средства и методы.

Различные страны мира на данный момент пользуются различными способами дистанционного обучения. Это могут быть несколько вариантов доступа к дистанционному обучению, или же один вариант. Часто страны пользовались уже существующей инфраструктурой образовательных технологий для развертывания стратегий дистанционного обучения, начиная от письменных заданий на дому и заканчивая радио, телевидением, телефонами и интернет-решениями. Практика показала, что не все подходы были успешными в охвате студентов или проведении обучения.

Исследуя работы, посвященные данной проблеме, очень много было сказано об успехе или наоборот провале в дистанционном обучении. Конечно же самым безболезненным переход на дистанционное обучение наблюдался в развитых странах (хотя тоже были проблемы). В менее развитых или же развивающихся и в отсталых странах, правительства старались обеспечить если не равное, то хоть какое-то участие в образовательном процессе, где столкнулись с серьезными проблемами дистанционного обучения. Например, из-за отсутствия практики сложно было подобрать сам подход к дистанционному обучению, который во многих странах был просто непригоден для местных условий по тем или иным причинам. Некоторые правительства предоставляли онлайновые (цифровые) решения для обучения, хотя большинство их студентов не смогли получить доступ к этим решениям из-за отсутствия устройств или ограничений на подключение. Это привело к неравномерному использованию или даже усугублению существующие неравенства.

Образование при помощи технологий требует не только их наличие, а как же навыки и умение их использовать.

Функция органов управления должна состоять в обеспечении преподавателям доступа к цифровым

технологиям и возможности развития технических и педагогических навыков, необходимых для дистанционного обучения.

Программы по исправлению положения и ускоренному обучению должны тщательно реализовываться и контролироваться. Несмотря на то, что большинство стран запланировали или уже осуществляют программы по поддержке студентов в наверстывании отставания, программы по исправлению положения должны тщательно реализовываться не только путем определения областей, в которых студенты нуждаются в большей поддержке, но и путем постоянного мониторинга того, как студенты продвигаются вперед.

Данные ЮНЕСКО, из исследований о потери знаний во время пандемии по странам ОЭСР, в которых периоды закрытия школ были относительно короткими (Бельгия, Нидерланды, Швейцария, Испания, США, Австралия и Германия), подтверждают потерю знаний в большинстве случаев, а в некоторых случаях – рост неравенства в образовании. Недавнее исследование, проведённое в Бельгии, где школы были закрыты примерно на девять недель, показывает значительную потерю знаний по языку и математике. Обзор этого и ещё семи эмпирических исследований потери знаний, одно из которых было посвящено высшему образованию, выявил потерю знаний также в Нидерландах, США, Австралии и Германии. Однако масштабы в этих странах ниже, чем в исследовании, проведённом в Бельгии. Исследование, проведенное в Швейцарии, установило, что потеря знаний была незначительной, а исследование в Испании обнаружило прирост знаний во время пандемии (Donnelly and Patrinos 2021, 149).

Для чтобы узнать, насколько студенты довольны дистанционным обучением и как прошел процесс онлайн-обучения во время пандемии, мы провели опрос среди студентов. В исследовании приняло участие 48 студентов- опрос был анонимным и непринудительным.

Анализ полученных данных выглядит следующим образом:

1. из 48 опрошенных в процессе дистанционного обучения 75% (36 студентов) используют (преимущественно) телефон; компьютер и ноутбуки - 20,8% ( 10);

2. готовность к дистанционному обучению имели 68,8% (33) студентов, а 27,1% (13)-приспособились к процессу; трудности с адаптацией испытывали лишь у 4,2% (2 из опрошенных);

3. дистанционное обучение удобно оказалось 81,3% (39) учащихся, нравится, но тяжело учится дистанционно-12,5% (6), очень тяжело -4,2% (2);

4. оценка мотивации среди студентов - выросла у 64,6% (31) студента, не изменилась -27,1% (13), сложно ответить -6,3% (3), снизилась у 1 студента;

5. насколько довольны дистанционным обучением, студенты ответили так: 79,2% (38)-очень довольны, 16,7% (8) - довольны но не всегда, не довольны и затрудняются ответить по 1;

6. на вопрос относительно нагрузки на студента во время карантина : 43,8% (21) ответили, что нагрузка возросла, 37,5% (18) –не изменилась, а 12,5% (6) студентов затруднялись ответить, 6,3% (3) –считали, что нагрузка уменьшилась;

7. что касается сложностей, с которыми столкнулись студенты: большая часть считает, что самым сложным для них оказалось недостаточное знание компьютерных технологий -47,6% (20), большое количество учебного материала – 38,1% (16), а 19% (8) студентов столкнулись с трудностью понятия заданий без помощи или объяснения лектора, 16,7% (7)-имели сложности с использованием учебного сайта (программы), а 9,5% (4) -испытывали нехватку учебного материала;

8. относительно технических проблем , студенты оценили свое положение следующим образом: 31,9% (15) –не имели никаких проблем в процессе дистанционного образования, 21,3% (10) –имели проблемы со скоростью интернета, 14,9% (7) –не имели доступа к интернету, 12,8 (6) –испытывали трудности в работе с компьютерными технологиями;

9. дистанционным режимом обучения довольны 87,5% (42) студента, скорее доволен чем нет и затрудняются с ответом – по 4,2% ((2), недоволен -1 из 48 опрошенных;

10. больше своего в дистанционном обучении опрошенным студентам нравится низкий риск инфицирования – 54.2% , использование современных технологий обучения привлекательны для 41,7% (20). Возможность загрузки лекционных материалов, презентаций и др. нравится 35,4% (17) студентам, возможность проверить себя привлекательна для 33,3% (16).

Среди других проблем было отмечено, что работая в первой половине дня невозможно было присутствовать на лекциях, иногда выключался свет, был плохой уровень звука;

11. самым главным преимуществом электронного обучения для студентов оказалось возможность совмещать работу и учебу -46,8% (22), а также гибкость процесса обучения 36,2% (17), для 6,4% (3) преимущество состоит в приобретении практических навыков;

12. 89,1% (41) студентов считают, что знания, полученные при дистанционном обучении, соответствуют знаниям, которые они получили бы при аудиторном обучении, тут же отметим, что 10,9% (5) с этим утверждением не согласны;

13. среди проблем, студенты выделили –отсутствие коммуникацию со сверстниками – 71,7% (33), с проблемой технического характера столкнулись

– 32,6% (15), нехватка прямого контакта с лектором – 17,4% (8), 15,2% (7) –не имели желания включать камеру, а 8,7% (4) –считают, что проблема состоит в том, что у студентов нет необходимо технического устройства для посещения лекции, 4,3% (2) видят проблему в концентрации;

14. 63% (29) студентов считают, что качество подготовки к онлайн-экзаменам не уступает подготовке к экзаменам в аудиториях. Противоположное мнение у 37% (17);

15. из опрошенных 87% (40) желают остаться онлайн, а 8,7% (4) хотели бы гибридное обучение; образование в традиционной форме желают 4,3% (2 из 48);

16. отвечая на вопрос - Как изменилась ваша студенческая жизнь во время пандемии? большая часть 60% (27) студентов тратит время и силы на обучение, активно используя дополнительные источники информации, у 33,3% (15) появилось больше времени для спорта, хобби, чтения книг, а 15,6 % (7 из 48) жалуются на стресс и переживания;

17. по мнению большей часть 51,1 % (23) студентов дистанционное обучение позволяет студенту учиться в удобное время в удобном месте, а 46,7% (21) студентов считают, что оно повышает уровень знаний, навыков, умений, 44,4% (20) - считают, что формирует мотивацию к самообразованию. Отрицательное отношение выразило лишь 4,4% (2). Т.О можно заключить, что дистанционное обучение достаточно позитивно оценивается студентами;

18. из средств коммуникации, студентам 41,3 % (19) больше всего нравятся такие видеосрвисы как (Zoom, Skype, Google meet), 23,9% (11) –предпочитают социальную сеть, а телефон на самом последнем месте;

19. на вопрос-какая форма образования является желаемой для студентов? 76,6% (36) проголосовали за дистанционную, 17% (8) –за гибридную и лишь 6,4% (3 из 48) –хотят вернуться в аудиторию.

**ВЫВОДЫ**

относительно опроса заключаются в том, что необходимо развивать технологические навыки масштабно, даже если пандемия не повторится, знания в этой области неотъемлемая часть успеха будущих специалистов в любой области. Выявилось преимущество электронного обучения для студентов - возможность совмещать работу и учебу и, гибкость процесса обучения. Подавляющее большинство учащихся в процессе онлайн обучения использовали телефон, но в итоге он не признан наилучшим средством коммуникации.

Система образования должна далее разработать и развить систему, позволяющую сделать выбор относительно формата обучения. Формат обучения должен быть подобран таким образом, чтоб у студентов помимо развития знаний и навыков оставалось время на общение со сверстниками, которого им так не хватало в период пандемии и на занятия любимым делом, для снятия фактора стресса и напряженности.

Подводя итог, не каждый может получить образование в учебном заведении. Это касается в первую очередь молодых мам, работающей молодежи, людей с ограниченными возможностями, а также лиц, осуществляющих уход за больными и престарелыми.

Дистанционное образование, уже рассматривается как современный и менее затратный вид образования. Он может быть корпоративным, университетским или персональным, в зависимости от организатора. Любой преподаватель, тренер может расширить аудиторию, организовав дистанционное обучение или же проводить его гибридно.

В условиях развития информационного общества, дистанционное обучение имеет серьезные перспективы, поэтому и в будущем будет неотъемлемой частью системы образования, обретет еще большее значение, укоренится, используя все возможные формы.

И под конец, добавлю еще одну проблему, касающуюся пройденного этапа, ЮНЕСКО призывает к разработке Стратегии для восстановления знаний тем учащимся, у которых произошла наибольшая потеря знаний и имело место утрата вовлеченности. Стратегия также должна поддерживать благополучие учащихся с учётом последствий стресса и травмы, которые они испытали из-за пандемии, а в некоторых случаях в течение более длительного периода. В ней опорой должны стать проявившие себя во время пандемии преимущества и инновации, и должно воплощаться стремление к интеграции предоставления различных услуг, которые бы обеспечивали целостную поддержку студентов и учащихся всех видов образовательных учреждений.

**ЛИТЕРАТУРА:**

1. https://blogs.worldbank.org/education/five-lessons-remote-learning-during-covid-19

2. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0047239520934018

3. https://en.unesco.org/covid19/educationresponse/solutions

4. https://www.oecd.org/education/ceri/35991871.pdf

5. http://www.ibe.unesco.org/sites/default/files/resources/russian_34_education_and_covid_19.pdf

6. https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/2331186X.2021.1964690?src=getftr

7. https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0248758

8. https://www.weforum.org/agenda/2020/04/coronavirus-education-global-covid19-online-digital-learning/

9. https://docs.bvsalud.org/biblioref/2021/09/1291885/22-covid-challenges-and-reflections-on-teachers.pdf

# ბიზნეს-ინჟინერინგი სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობებში

## მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საერთაშორისო გამოხმაურებები

***თამარა ტარტარაშვილი,***
*სტუ-ს დოქტორანტი*
*სოციოლოგიის დოქტორი, ახალი სასწავლო უნივერსიტეტი ნიუნის ასოცირებული პროფესორი*

***ვეფხვია ჯოლოხავა***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს არასდროს მიუპყრია სათანადო საერთაშორისო ყურადღება. მისი წარმოშობის პირველივე წლებიდან დღემდე, მიუხედავად მისი მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლისა და სხვა დამანგრეველი ეფექტებისა, კონფლიქტი თითქოსდა მხოლოდ ვიღაც „სხვის“ პრობლემას წარმოადგენდა და რეგიონალურ მასშტაბებს იშვიათად თუ გაცდებოდა განცხადებების დონეზეც კი. ამ კონფლიქტის რეგიონალურ მასშტაბებში ჩაკეტვის მიზეზი კი პირველ რიგში რუსეთის დამსახურებაა და შემდეგ მისი განსაკუთრებულობისა და განსხვავებულობისა სხვა კონფლიქტებისაგან. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები და რეგიონალური ლიდერები ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდნენ რუსეთის ფაქტორს სამხრეთ კავკასიაში და თვლიდნენ რომ იქ მიმდინარე ყველა კონფლიქტის მოგვარების გასაღები სწორედ კრემლში იდო.

**საკვანძო სიტყვები:** ყარაბაღის კონფლიქტი, მინსკის ჯგუფი, რუსეთი, ირანი, თურქეთი, აშშ, საერთაშორისო ორგანიზაციები.

**INTERNATIONAL RESPONSE TO THE NAGORNO-KARABAKH CONFLICT**

**Tamara Tartarashvili**
Doctor of Sociology,
Associated Professor of NEWUNI
**Vepkhvia Jolokhava**
PhD Candidate at GTU

**ABSTRACT**

The Nagorno-Karabakh conflict has never received appropriate attention. Beside of its huge human casualties and other devastating effects from its starting period to present, the conflict seemed to be just someone else's problem and it had never discussed on the international level. The reason for the closure of this conflict on a regional scale is first of all to the deserve of Russia and then to its uniqueness and difference from other conflicts. The world's great powers and regional leaders have always relied heavily on the Russian factor in the South Caucasus, believing that the key to resolving all conflicts there was in the Kremle.

**Keywords:** Karabakh conflict, Minsk Group, Russia, Iran, Turkey, USA, International organizations.

* * * *

ფართო საზოგადოების ნაკლები ყურადღება ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ უპირველეს ყოვლისა მისი ანატომიიდან გამომდინარე შეიძლება იყოს გამოწვეული. ამ კონფლიქტს ორი გარე მოწინააღმდეგე ჰყავს - რუსეთი და სომხეთი, მაშინ როდესაც მის სამეზობლოში სეპარატიზმის ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტებს სულ ერთი გარე მოწინააღმდეგე ჰყავს - რუსეთი. ეს არის ერთის მხრივ, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, მეორე მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი, სეპარატისტული კონფლიქტი დეფაქტო ყარაბაღის ხელისუფლებასა და ბაქოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სომხეთის სტრატეგიული მოკავშირეა ის მაინც გარე მოწინააღმდეგედ ითვლება და ეს 2020 წლის უკანასკნელი ომის დროს კიდევ უფრო დადასტურდა. კონფლიქტის რეგიონალური მასშტაბით ჩაკეტილობას ხელს უწყობს ასევე საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება ყარაბაღის მოვლენების მიმართ. მათ არ სურთ აღიქვან რომელიმე მხარე მომხდურად და ოკუპანტად. ისინი ტერმინს „ოკუპანტი“ თითქმის არასოდეს იყენებენ ამ საკითხზე საუბრისას და ამ ეთნიკური პრობლემის მოგვარების ერთადერთ გამოსავლად მხარეებს შორის მოლაპარაკებებს მიიჩნევენ. თუ შევადარებთ დასავლეთის რეაქციას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დარღვევის მიმართ აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, აღმოვაჩენთ, რომ დასავლეთმა თითქოს არაფორმალური ლეგიტიმაცია მიანიჭა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დარღვევას მთიანი ყარა-

ბაღის შემთხვევაში და უკიდურესად თავდაჭერილი პოზიცია გამოავლინა. ამას ადასტურებს დასავლური ქვეყნების მხრიდან მხარდაჭერილი რეზოლუციები და მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადებები, რომელიც, მართალია აზერბაიჯანის არაცალსახა ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს, მაგრამ იქვე აყენებენ ეთნიკური ჯგუფების თვითგამორკვევის საკითხსაც. ასეთი არამკაფიო გამოხატულება ამ მძიმე საკითხების მიმართ დასავლეთისათვის ერთის მხრივ უჩვეულო, ხოლო მეორეს მხრივ კონფლიქტში მონაწილე არაკეთილსინდისიერი ძალებისათვის წამახალისებელია. ყარაბაღის კონფლიქტი რეგიონში ერთადერთი კონფლიქტია, რომლის მშვიდობიანი გზით მოგვარების კონტურები პერსპექტივაში არ ჩანს. ამიტომაცაა, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდითა და იარაღის შეძენით არიან დაკავებულნი უკვე დიდი ხანია და კონფლიქტის მოგვარების ომისა და ძალადობის გზები ერთადერთ ალტერნატივად მიაჩნიათ.

მიუხედავად ნეიტრალური დამოკიდებულებისა, დასავლეთს ჰქონდა რამდენიმე წარუმატებელი მცდელობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა, მათი ძალისხმევით 1992 წლის 24 მარტს შეიქმნა კონფლიქტის მოგვარების ჯგუფი, სადაც, მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, გერმანიის, იტალიის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთისა და შვედეთის წარმომადგენლები, ხოლო თანათავმჯდომარეებს წარმოადგენდნენ - რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. ჯგუფი ცნობილია „ეუთოს მინსკის ჯგუფის" სახელით და დღემდე ფუნქციონირებს, თუმცა მეტისმეტად გამოირჩევა არაეფექტიანობით და უპრინციპობით.

ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან ნათლად გამოჩნდა რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ურთიერთ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ მთავარი საკითხების მიმართ და მათზე ზემოქმედების ბერკეტების არარსებობის გამო არცერთი მათი რეკომენდაცია შესრულებული არ იქნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარების გზა, რომელიც „მადრიდის პრინციპების" სახელითაა ცნობილი და რომლის მიხედვითაც სადავო ტერიტორია მთლიანად აზერბაიჯანს უნდა დაბრუნებოდა გაფართოებული ავტონომიის სახით, თუმცა ესეც მიუღებელი აღმოჩნდა. ამ შეთავაზების შემდგომ ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ არ ყოფილა რაიმე ტიპის აქტივობები კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით და საბოლოოდ ყველა დარწმუნდა მის არა ეფექტიანობაში. ჯგუფის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე - რუსეთი კი მოვლენების ასეთ განვითარებას მხოლოდ მიესალმებოდა და თვითონ განაგრძობდა მოლაპარაკების წარმოებას და უფროდაუფრო ამყარებდა რწმენას რომ კონფლიქტის მოგვარების გასაღები მას უპყრია ხელთ.

## რეგიონული და საერთაშორისო ლიდერი ქვეყნების პოზიცია

**რუსეთი**

რუსეთი დღემდე რჩება ყარაბაღის კონფლიქტის შუამავლის როლის შემსრულებლად და როგორც მინსკის ჯგუფის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე აქტიურადაა ჩართული კონფლიქტის მოგვარების საკითხში. ზოგიერთი ადგილობრივი სოციალური ჯგუფის აზრით სწორედ რუსეთია ის ქვეყანა, რომელსაც შეძლო ამ კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარება, თუმცა 2021 წლის ყარაბახის მეორე ომის შემდგომ გამოჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ფიქრობენ რომ რუსეთმა გარკვეული სისუსტეები გამოიჩინა და დათმო თავისი პოზიციები რეგიონში, რის გამოც სომხეთმა გარკვეული საზღაური გადაიხადა. გარდა ამისა ეს კონფლიქტი რეგიონალური მოთამაშეებისათვის ძალების გადანაწილებისა და გავლენის სფეროების გაფართოების შესაძლებლობად განიხილებოდა და სხვადასხვა გარე ძალების ჩარევის შედეგად მისი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა სულ უფრო ფერმკრთალდებოდა.

თუ თვალს გადავავლებთ ყარაბაღის როგორც დამოუკიდებელი ერთეულის ისტორიას, ის არასოდეს არ შედიოდა რომელიმე სუვერენული სახელმწიფოს შემადგენლობაში სანამ რუსეთი არ გახდებოდა დომინანტი სამხრეთ კავკასიაში. სწორედ მათი გადაწყვეტილებით შეუერთდა ყარაბაღის გუბერნია აზერბაიჯანს და შემდგომში აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შეუერთდა საბჭოთა კავშირს. გამანთავისუფლებელი მოძრაობა 1988 წლიდან საბჭოთა კავშირის დასუსტებისთანავე დაიწყო, მაგრამ მათი მოთხოვნა საბჭოთა კავშირის მხრიდან არ დაკმაყოფილდა და ყველანაირი პირობა შეიქმნა საომარი მოქმედებებისათვის.

მთელი საომარი მოქმედებების პერიოდში რუსეთი დიდძალი იარაღით ამარაგებდა ორივე დაპირისპირებულ მხარეებს, ერეოდა მათ მოლაპარაკების პროცესში, რომელიც აზერბაიჯანის მხრიდან უხეშ ჩარევადაც კი აღიქმებოდა და იქმნიდა კონფლიქტის ერთადერთი მომგვარებლის იმიჯს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთი სომხეთის სტრატეგიული მეკავშირეა და ვალდებულია დაიცვას იგი ნებისმიერი გარე აგრესიისგან, მათ შორის მათი ისტორიული მტრებისგან - თურქეთისგან. გარდა ამისა რუსეთს არ გადაუხვევია 90-იან წლებში დაწყებული პოლიტიკიდან, ის მუდმივი მომლაპარაკებელია და უშვებს იმასაც რომ მედიატორის როლი შეიძლება სხვა ქვეყანამაც შეასრულოს, თუმცა არის გარკვეული წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთასაც როგორც ჩანს ის არავის არ აპატიებს. ერთ-ერთი ასეთი წითელი ხაზი ლაჩინის კორიდორია. 2020 წლის ომის დასაწყისშივე მან ლაჩინის ხეობაში რუსული ჯარები შეიყვანა, რაც აზერბაიჯანისა და თურქეთისათვის ბევრი რამის მთქმელი უნდა ყოფილიყო.

2020 წლის ომში რუსეთს არც მოლაპარაკებებისა და მედიატორის როლის შესრულებისას საწყის ეტაპზე დომინანტური პოზიცია არ დაუკავებია და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ძირითად როლს თურქეთი შეასრულებდა, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა. ზოგიერთი უცხოელი პოლიტოლოგების მოსაზრებით, საბოლოო შედეგების მიხედვით მსჯელობისას მოსკოვმა პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა და ამავდროულად დასაჯა მისი სტრატეგიული მოკავშირე რამდენიმე წლის წინ ჩატარებული ხავერდოვანი რევოლუციის გამო, რომლისაც რუსეთს ძალიან ეშინია. მოლაპარაკებების მაგიდიდან ერთდროულად გაქრნენ თურქეთი და მინსკის ფორმატის სხვა წევრებიც და ბოლოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე მედიატორის როლი მხოლოდ რუსეთმა შეასრულა.

**ამერიკის შეერთებული შტატები**

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა და ყოველთვის წყალობდა იმ ქვეყნებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ცხოვრების წესს იზიარებდნენ. ამ კონფლიქტის შემთხვევაში ის რუსეთის მსგავსად ეუთო მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეს წარმოადგენს და გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში. გარდა ამისა რეგიონში დიდია მისი დაინტერესების სფერო, როგორიცაა: საქართველო-ბაქო-ჯეიჰანის პროექტი. ის ყოველთვის გმობდა ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების ძალადობრივ გზებს და ყველა ქვეყანას ამას მოუწოდებდა. ასეთივე პოზიცია ეკავა მას ამ კონფლიქტთან მიმართებაშიც, შესაბამისად არავისთვის უცხო არ ყოფილა ის რომ მან დაგმო აზერბაიჯანის ქმედებები 2020 წლის ომში. ნატოს წევრ ქვეყანას - თურქეთს მოუწოდებდა არ ჩარეულიყო და არ მიეწოდებინა იარაღი აზერბაიჯანისთვის, არ გაეძლიერებინა მისი შესაძლებლობები და არ გაეზარდა საომარი მოქმედებების ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის რისკები. რიგი ამერიკელი კონგრესმენები კი აზერბაიჯანის წინააღმდეგ სანქციების მოთხოვნის დაწესებასაც კი განიხილავდნენ.

ომის ბოლო დღეებში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის ოფიციალურმა პირებმა, დონალდ ტრამპმა და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რობერტ ობრაიენმა საუბარი დაიწყეს სომხეთის დახმარებაზე. თავის გამოსვლებში ისინი სომხებს მოიხსენიებდნენ როგორც დიდ ხალხს და მათ დახმარებას აპირებდნენ, სომხებს უფასებდნენ იმ გადაწყვეტილებას, რომ მათ ცეცხლის შეწყვეტაზე პირველებმა განაცხადეს თანხმობა და თვლიდნენ რომ აზერბაიჯანსაც უნდა მიებაძა მათვის.

**თურქეთი**

თურქეთის პოზიცია უკიდურესად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის. ის როგორც ერთ-ერთი რეგიონალური ლიდერი სახელმწიფო და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი თამაშგარე მდგომარეობაში ვერ დარჩებოდა. ყარაბახის პირველი ომიდან დაწყებული დღემდე აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ ამ სახელმწიფოს და სამხედრო დახმარების გარდა უდიდეს პოლიტიკურ მხარდაჭერასაც უწევდა მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს. ყარაბაღის მეორე ომის დროს აზერბაიჯანმა სწორედ თურქეთის მიერ გაწეული დახმარებასა და მიწოდებული მაღალი სიზუსტის თანამედროვე სამხედრო შეიარაღების წყალობით მიაღწია წარმატებას.

თურქეთი ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა მსოფლიოში რომელიც აზერბაიჯანს ომის გაგრძელებისკენ და ყარაბაღის მთლიანი ტერიტორიების შემოერთებისაკენ მოუწოდებდა, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენი სახელმწიფოები ცეცხლის შეწყვეტის ითხოვდნენ ყველა მხარისგან, მათ შორის აზერბაიჯანისგანაც. მისი მიზანი იყო მიეღო უფრო მეტი ამ კონფლიქტიდან და სამშვიდობო ოპერაციების შესრულებაში მიეღო მონაწილეობა.

თურქეთმა ამ კონფლიქტში პირველ რიგში რუსეთს დაანახა რომ ის ამ რეგიონში ძლიერი მოთამაშეა და რუსეთს არ მისცემს ერთპიროვნულად უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, პოზიციები რომელიც თურქეთმა მოიპოვა სწორედ რუსეთის დათმობის ხარჯზე მოხდა და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთთანამშრომლობის ძლიერ ხაზს. რუსეთმა ჯერჯერობით შეძლო რომ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სახმელეთო კორიდორი ეკონტროლებინა თავისი სამშვიდობო ქვედანაყოფებით, მაგრამ იმ პრობლემების გათვალისწინებით რომლის წინაშეც რუსეთის შეიარაღებული ძალები დგას (რუსეთ-უკრაინის ომი), გამორიცხული არ არის უახლოეს მომავალში რუსეთს პოზიციების დათმობამ მოუწიოს და ზემოთ ხსენებული კორიდორის კონტროლი თურქეთის შეიარაღებულ ძალებს მოუწიოს.

**ირანი**

ირანი თურქეთის მსგავსად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა რეგიონში. ისტორიულად ორივე ქვეყნის დაპირისპირების ობიექტი ხშირად სამხრეთ კავკასია ყოფილა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ირანის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ გაიზარდა. ამის მიზეზი შეიძლება ითქვას ის შიშნარევი დამოკიდებულება იყო კონკრეტულად აზერბაიჯანის მიმართ, რადგანაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის

(მოსახლეობის 25%) სახით არის წარმოდგენილი ირანში. აქედან გამომდინარე შიდა პოლიტიკური არეულობის თავიდან აცილების მიზნით ის თავიდანვე ცდილობს ახლო ურთიერთობა დაიჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. აზერბაიჯანის თურქეთთან ახლო ურთიერთობის გამო, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, კარგი ურთიერთობების დამყარება მას ერევანთან უფრო გამოსდის, ვიდრე სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან. ეს გარკვეულწილად სომხეთსა და რუსეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის შედეგადაც შეიძლება ჩაითვალოს. ფაქტი ის არის რომ, ირანსა და სომხეთს შორის არსებული სავაჭრო და სხვა პარტნიორული ურთიერთობები წლიდან წლამდე ღრმავდება. პარადოქსულია იმიტომ, რომ შიიტურმა ირანმა მართლმადიდებელ სომხებთან სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება უფრო ადვილად მოახერხა, ვიდრე სუნიტურ აზერბაიჯანთან.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა, ირანის დამოკიდებულება ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ ყოველთვის აზერბაიჯანის მხარეს იხრებოდა, თუმცა მას ამავდროულად ყარაბაღის მეორე ომამდე არსებული სტატუს-ქვო სრულიად აკმაყოფილებდა, რადგანაც პოზიციურად რუსეთი დომინირებდა რეგიონში. ირანის უზენაესი ლიდერი აიათოლა ალი ჰომეინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხეთს უნდა დაებრუნებინა აზერბაიჯანისათვის მიტაცებული ტერიტორიები და ლტოლვილები დაბრუნებულიყვნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთიანი ყარაბაღის სტატუსთან დამოკიდებულებაში ისინი საკმაოდ არაერთგვაროვნები იყვნენ. რადგანაც ყოველგვარი ავტონომიის გარეშე ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობაში შეყვანა აღქმული იქნებოდა როგორც აზერბაიჯანის და მასთან ერთად თურქეთისა და ისრაელის გამარჯვებად და მათი პოზიციების გაძლიერებად. ირანისთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, რომ ომი დროში დიდხანს არ გაწელილიყო, რაც მათზე ნეგატიურ ეფექტს მოახდენდა შემდეგი მიზეზების გამო: პირველი - ირანში დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელების მხრიდან უკმაყოფილების გაზრდა - ისანი ირანის მხრიდან აზერბაიჯანის ღია მხარდაჭერას მოითხოვდნენ, მეორე - ბრძოლის გაჭიანურება გამოიწვევდა ჰუმანიტარულ კატასტროფას ირანის საზღვრებთან და მესამე - თურქების ხელშეწყობით გადმოსროლილი სირიელი მებრძოლები დაიმკვიდრებდნენ თავს ირანის ჩრდილოეთ საზღვართან.

ყარაბაღის მეორე ომის შედეგები გარკვეულწილად ირანისთვის ასევე მისაღები სტატუს-ქვოს შემქმნელია, რადგანაც აზერბაიჯანს ბოლომდე არ აქვს დაბრუნებული ყარაბაღის ტერიტორიები, რუსეთის ჯარები ჯერ კიდევ დომინირებენ სამხრეთ კავკასიაში, ოღონდ უკვე სამშვიდობო ძალების მანდატით და თურქეთის შეიარაღებული ჯარები წარმოდგენილნი არ არიან რეგიონში არანაირი სტატუსით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ირანი აცნობიერებს რომ, მას უფრო აქტიური და მოქნილი საგარეო პოლიტიკა სჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

**საერთაშორისო ორგანიზაციები**

საერთაშორისო პოლიტიკური და სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციების (ეუთო, გაერო, ნატო, ევროკავშირი) მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები თითქმის ერთმანეთის იდენტურია და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მშვიდობის დამყარებისკენ მოუწოდებენ. 2020 წლის 1 და 5 ოქტომბერს გამართული უშიშროების საბჭოს შემდეგ გაკეთებული განცხადებებიდან კარგად გამოჩნდა, რომ კონფლიქტის ომის გზით მოგვარებას მხარს არ უჭერდნენ, დაგმობილ იქნა ძალის გამოყენება და გაჟღერებულ იქნა მოწოდება საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე. ისინი ყველას მოუწოდებდნენ დაძაბულობის განმუხტვისა და მოლაპარაკებების გაგრძელებისაკენ. თითქმის იდენტური იყო ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადების ტექსტიც, თუმცა მან დამატებით ნატოს წევრ ქვეყანას -თურქეთს მოუწოდა გამოეყენებინა თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიაზე და მოეწოდებინა ყველა მხარისთვის მშვიდობის დამყარებისაკენ, ხოლო ნატოს როგორც ორგანიზაციის პოზიცია ნეიტრალურად გამოაცხადა, „სომხეთი და აზერბაიჯანი ნატოს პარტნიორები არიან 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც დასაფასებელია" - განაცხადა მან.

ყარაბაღის კონფლიქტზე საერთაშორისო გამოხმაურებების განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ რომ, როგორც რეგიონალური ისე საერთაშორისო მასშტაბის ლიდერი ქვეყნები ხშირ შემთხვევაში თავიანთ პოზიციას გამოხატავენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მოწოდებით, მაგრამ რთული ბუნებიდან გამომდინარე ამჯობინებენ ნეიტრალური პოზიციის დაჭერას. გაეროსა და ეუთოს მიერ მიღებული რეზოლუციები დღეის მდგომარეობით არც ერთი შესრულებული არ არის, ყოველგვარი შედეგების გარეშე მიმდინარეობს ასევე ეუთოს მინსკის ჯგუფის სამუშაო პროცესიც. როგორც ჩანს რეგიონში რუსეთის ფაქტორების შემცირების გარეშე აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით ამ ეტაპზე შეუძლებელია. რაც თავის მხრივ პირდაპირ პროპორციულად დამოკიდებული იქნება უკრაინაში მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რუსეთის მიერ პოზიციების დაკარგვა აისახება სამხრეთ კავკასიაზეც და კონფლიქტის ურთიერთდაპირისპირებული მხარეების პოზიციებზე, რომელიც როგორც ჩანს ერთადერთი გზა არის ამ კონფლიქტის მოგვარებისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რუსეთის, როგორც არშემდგარი მშვიდობისმყოფელის მეორეხარისხოვანი როლი ყარაბაღის კონფლიქტში: სისუსტე თუ ახალი პოლიტიკური თამაში? - "სომხეთი საზღაურს იხდის" https://www.ambebi.ge/article/250433-rusetis-rogorc-arshemdgari-mshvidobismqopelis-meore/

2. მოსაზრებების სერია: „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია" (ნაწილი 1) კონფლიქტის ისტორია და მედიაციის სისუსტე, 2 ოქტომბერი 2020 https://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/October2020/W7rpiDg97Eg6yrBjXipS.pdf

3. მოსაზრებების სერია: „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია" (ნაწილი 1) კონფლიქტის ისტორია და მედიაციის სისუსტე, 2 ოქტომბერი 2020 https://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/October2020/W7rpiDg97Eg6yrBjXipS.pdf

4. მოსაზრებების სერია: „ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია" (ნაწილი 2): რატომ არ დგება ზავი?! 27 ოქტომბერი 2020 http://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/October2020/aHYSSmhF0Fensc4Yei8w.pdf

5. მთიანი ყარაბაღის ომში რუსეთმა გაიმარჯვა https://www.radiotavisupleba.ge/a/30941206.html

6. Biden says Turkey must stay out of Azerbaijan-Armenia conflict, The Hill 29 September 2020 https://thehill.com/policy/international/518794-biden-says-turkey-must-stay-out-of-armenia-azerbaijan-conflict/

7. Pallone to Introduce Bipartisan Resolution Supporting Artsakh's Right to Self-Determination; Resolution Condemns Azerbaijan and Turkey for Aggression and Violence October 22, 2020 https://pallone.house.gov/media/press-releases/pallone-introduce-bipartisan-resolution-supporting-artsakh-s-right-self-0

8. Armenians are great people and we're going to help them – Donald Trump, October 23, 2020, https://en.armradio.am/2020/10/23/armenians-are-great-people-and-were-going-to-help-them-donald-trump/

9. Armenia has accepted a ceasefire, Azerbaijan has not – Robert O'Brien, October 25, 2020 https://en.armradio.am/2020/10/25/armenia-has-accepted-a-ceasefire-azerbaijan-has-not-robert-obrien/

10. თურქეთი ზრდის ფსონს სამხრეთ კავკასიაში, ნოემბერი 14, 2020 https://cutt.ly/6HJF4ne

11. ძველი და ახალი ინტერესები. ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, 6 თებერვალი 2018. ავტორები: ემილ ა. სულეიმანოვი; იოზეფ კრაუსი https://ge.boell.org/ka/2018/02/06/zveli-da-axali-interesebi-iranis-politika-samxret-kavkasiashi

12. Perspectives | How Iran views the Nagorno-Karabakh truce, Iran sees that to safeguard its own interests, it needs a more pro-active South Caucasus policy. Nov 13, 2020 https://eurasianet.org/perspectives-how-iran-views-the-nagorno-karabakh-truce

13. UN Security Council calls for immediate end to fighting in Nagorno-Karabakh, ssued on: 30/09/2020 https://www.france24.com/en/20200930-un-security-council-calls-for-immediate-end-to-fighting-in-nagorno-karabakh

14. Armenian president accuses Turkey in visit to NATO, OCT 21 2020 https://www.deccanherald.com/international/world-news-politics/armenian-president-accuses-turkey-in-visit-to-nato-905323.html

# ჩინეთის და ევროკავშირის ტექნოლოგიური შეჯიბრი ციფრულ ბაზარზე და მათი უპირატესობები

*ანუკი ტოგონიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ოცდამეერთე საუკუნეში ციფრული ტრანსფორმაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი გახდა მსოფლიოსთვის. 2008-2009 წლების გლობალური კრიზისის შემდეგ, ციფრული ინდუსტრიები გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და პერსპექტიული ინდუსტრია გლობალურ ეკონომიკაში. დიჯიტალიზაცია გულისხმობს, კომპანიების ელემენტების ისეთ გარდაქმნას, რომ ის თანხვედრაში იყოს ბაზრის თანამედროვე გამოწვევებთან და გამოირჩეოდეს კონკურენტული უპირატესობებით. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ცდილობენ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ და ასევე დაეხმარონ ერთმანეთს საერთო მიზნის მიღწევაში, რაც გულისხმობს მსოფლიოს ციფრულ ტრანსფორმაციას. აღსანიშნავია ამ მიმართულებით ჩინეთისა და ევროკავშირის ქმედებები. რა სტრატეგიებს, პროგრამებს გვთავაზობენ რათა მოხდეს საერთო მიზნის მიღწევა.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ციფრული ტრანსფორმაცია, ტექნოლოგიები, ჩინეთი, პროგრამები

## CHINA AND THE EUROPEAN UNION TECHNOLOGY COMPETITION IN THE DIGITAL MARKET AND THEIR ADVANTAGES

**Anuki Togonidze**
PhD student at GTU

**RESUME**

In the twenty-first century, digital transformation has become one of the most important processes in the world. After the global crisis of 2008-2009, the digital industry has become one of the most dynamic and promising industries in the global economy. Digitalization means transforming the elements of companies in such a way that it is in line with the modern challenges of the market and is distinguished by competitive advantages. The world's leading countries try to compete with each other and also help each other achieve a common goal, which is to digitally transform the world. The actions of China and the European Union in this direction are noteworthy. What strategies, programs are offered to achieve the common goal.

**Keywords:** EU, digital transformation, technologies, China, programs.

* * * *

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გლობალური ეკონომიკა მოწმე გახდა ციფრული ტრანსფორმაციის, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ცხოვრების ყველა სფეროში. ციფრული ეკონომიკა ძირითადად განვითარდა ინდუსტრიულ ქვეყნებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წელს აშშ-ში ციფრული ეკონომიკის წილმა მშპ-ში 7%-ს მიაღწია და 1,35 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2016 წელს ციფრული ეკონომიკის მიერ შექმნილი ევროკავშირის დამატებული ღირებულების წილი ევროკავშირის მშპ-ის 4% იყო. 2018 წელს ჩინეთის ციფრული ეკონომიკა კი მთლიანი შიდა პროდუქტის 38,2% იყო და მიაღწია 2,32 ტრილიონ დოლარს.[1] აქედან გამომდინარე, ციფრული ეკონომიკის და დიჯიტალიზაციის ხელშესაწყობად, ევროკომისიამ 2020 წელს დაიწყო ციფრული ევროპის პროგრამა, რომელიც არის მისი ახალი მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს (MFF) ნაწილი. 7,5 მილიარდი ევროს ღირებულების პროგრამა მიზნად ისახავს დააჩქაროს ეკონომიკური აღდგენა და ჩამოაყალიბოს ევროპის საზოგადოებისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია.

კომისიამ გამოავლინა ხუთი პრიორიტეტული სფერო: „სუპერკომპიუტერი, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, ციფრული უნარები და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენების უზრუნველყოფა ეკონომიკასა და საზოგადოებაში".

2021 წლის მარტში მან გამოუშვა 2030 ციფრული კომპასი: „ევროპული გზა ციფრული ათწლეულისთვის", რომელიც ადგენს მიზნებს ევროკავშირის მომავალი დიჯიტალიზაციისთვის, სადაც ასევე ოთხ მიმართულებაზე მახვილდება ყურადღება. ესენია:

**ციფრული უნარებით აღჭურვილი მოქალაქეები და მაღალი ციფრული კვალი-ფიკაციის მქონე პროფესიონალები:** ეს მიმართულება მიზნად ისახავს მოზრდილების 80%-ის საბაზისო უნარების ფლობას 2030 წლისთვის და ასევე 20 მლნ სპეციალისტის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებას განსაკუთრებით ქალების. **საიმედო და მდგრადი ციფრული ინფრასტრუქტურა:** 2030 წლისთვის ევროკავშირში, ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს გიგაბიტური კავშირი და ყველა დასახ-

1 Данные China Academy of Information and Communications Technology (CAICT) опубликованы на сайте Xinhua: http://www.xinhuanet.com/english/2018-12/23/c_137693489.htm

ლებულ ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა იყოს 5G დაფარვა; ევროკავშირში განთავსებული უნდა იყოს 10,000 კლიმატ-ნეიტრალური ძალზე კარგად დაცული ზღვრული კვანძი და ევროპას უნდა ჰქონდეს პირველი საკუთარი კვანტური კომპიუტერი. **ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია:** ეს გულისხმობს, რომ ოთხიდან სამი კომპანია აუცილებლად უნდა იყენებდეს „ქლაუდ" გამოთვლით სერვისებს, ხელოვნურ ინტელექტს და დიდ მონაცემებს. საბაზისო დონზე უნდა მოხდეს მიკრო და მცირე ბიზნესის 90 %-ის გაციფრულება და უნდა გაიზრადოს სტარტაპების დაფინანსება. **სახელმწიფო სერვისების ციფრული გარდაქმნა:** ეს გულისხმობს, ყველა სახელმწიფო სერვისის ხელმისაწვდომობას ონლაინ რეჟიმში. 2030 წლისთვის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ელ. პირადობის მოწმობა და ელ. სამედიცინო ბარათი.[2]

ციფრული უნარების დასაუფლებლად ევროკავშირმა გადაწყვიტა გამოყოს 600 მილიონი ევრო ციფრული ევროპის პროგრამისთვის, ციფრული უნარების განვითარებაზე, რომელიც მიზნად ისახავს სამ მოქმედებას: 1. შესთავაზოს 160 ახალი სამაგისტრო აპროგრამა, რომელიც მიმართულია 80000 ციფრული სპეციალისტის მომზადებაზე. 2. შესთავაზოს მოკლევადიანი სპეციალიზებული ტრენინგი მოწინავე ციფრულ ტექნოლოგიებში დაახლოებით 150,000 სამუშაოს მაძიებლისა და დასაქმებულისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში. 3. შექმნის 35000 სამუშაო ადგილს, სადაც არის მოწინავე ციფრული ტექნოლოგიები განვითარებული ან გამოყენებული. ამრიგად, აქცენტი გაკეთდება როგორც ახალი, ასევე არსებული მუშახელის ტრენინგზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ტექნოლოგიების შესაძლო უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე. 2021 წელს გამოქვეყნდა ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) შედეგები[3], რომელიც აკვირდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიღწეულ პროგრესს ციფრული კონკურენტუნარიანობის სფეროში, ადამიანური კაპიტალის, ფართოზოლოვანი კავშირის, ბიზნესის მიერ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის და სხვა. DESI -ის 2021 ანგარიშებში წარმოდგენილია მონაცემები 2020 წლის პირველი ან მეორე კვარტლის უმეტესი ნაწილიდან, რაც გარკვეულ ინფორმაციას იძლევა ციფრულ ეკონომიკასა და საზოგადოებაში COVID-19 პანდემიის პირველი წლის განმავლობაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე. დოკუმენტიდან ვარკვევთ, რომ ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ მიაღწია პროგრესს დიგიტალიზაციის სფეროში, მაგრამ საერთო სურათი წევრ ქვეყნებში არაერთგვაროვანია და მიუხედავად გარკვეული კონვერგენციისა, უფსკრული ევროკავშირის ლიდერებსა და DESI-ის ყველაზე დაბალი ქულების მქონე ქვეყნებს შორის რჩება დიდი. მიუხედავად ამ გაუმჯობესებისა, ყველა წევრ სახელმწიფოს დასჭირდება ერთობლივი ძალისხმევა, რათა მიაღწიოს 2030 წლის მიზნებს, როგორც ეს მითითებულია ევროპის ციფრულ ათწლეულში. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ევროკავშირის მასშტაბით მეტად საჭირო ეკონომიკურ კონვერგენციას სერვისების ერთიანი ბაზრის წინსვლის გზით, 2015 წელს კავშირმა წამოიწყო ციფრული ერთიანი ბაზრის სტრატეგია - რომლის ძირითადი შედეგები იყო 2020 წლის ციფრული მომსახურების აქტი და ციფრული ბაზრის აქტი. ინტეგრაციის არასაკმარისი ხარისხი ასევე მოიცავს ფინანსურ სექტორს, რომელშიც არსებული ვითარება ართულებს ევროკავშირს სარისკო კაპიტალის (VC) და ინოვაციების განვითარებისთვის ფუნდამენტური ინვესტიციების მოზიდვას.

ჩინეთის პროგრამები და მიზნები საკმაოდ გავს ევროკავშირისას. ევროკავშირი ცდილობს ჩამოაყალიბოს ბაზრისთვის საერთო წესები ხოლო ჩინეთი ცდილობს გახდეს ტექნოლოგიებში ლიდერი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ყურადღებას უთმობენ ხელოვნურ ინტელექტს და ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს და მათზე დაფუძნებულ სტარტაპებს.

2018 წელს ევროკავშირის ინვესტიციები VC-ში შეადგენდა 27 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო ჩინეთის 108 მილიარდ აშშ დოლარს.[4]

აშშ-სა და ჩინეთში დაფუძნებულმა სტარტაპებმა 2020 წელს ყველა ინვესტიციის 80%-ზე მეტი დაიკავეს. ევროპული დანახარჯები ხელოვნურ ინტელექტზე 7 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი იყო 2019 წელს და პროგნოზირებულია, რომ 2023 წელს კი 21 მილიარდზე მეტს მიაღწევს.

ბლოკჩეინის პროექტებისთვის გრანტები ძირითადად გათვალისწინებულია ჰორიზონტის პროგრამის მეშვეობით. 2016-2019 წლებში კომისიამ გამოსცა დაახლოებით 180 მილიონი ევრო პრიზებითა და გრანტებით Horizon 2020-ის მეშვეობით. ამჟამად დაფინანსებული პროექტები დაჯგუფებულია თემებისა და ტექნოლოგიების მიხედვით: • ელექტრონული იდენტურობა და მონაცემთა დეცენტრალიზებული მართვა • ჯანდაცვა და განათლება • კონფიდენციალურობა და კიბერუსაფრთხოება • IoT და ჭკვიანი სახლები, ბადეები და ქალაქები • მუსიკა და მედია • სამრეწველო ტექნოლოგიები • გარემო და წრიული ეკონომიკა მაგალითისთვის ეს პროექტებია: • ევროკავშირის 3.4 მილიონი ევროს კონტრიბუცია MyHealthMyData პროექტში, რომელიც მუშაობს პაციენტზე ორიენტირებულ სამედიცინო მონაცემებზე. • ევროკავშირის წვლილი

2 https://eufordigital.eu/geo/europes-digital-decade-setting-the-course-towards-a-digitally-empowered-europe-by-2030/

3 https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/desi

4 Sophia Matveeva, "Raising Venture Funding in Europe vs. the U.S.", in Forbes, 31 May 2019, https:// www.forbes.com/sites/sophiamatveeva/2019/05/31/raising-venture-funding-in-europe-vs-the-us.

4,9 მილიონი ევროს ოდენობით DECODE პროექტში, რომელიც აშენებს ღია არქიტექტურას იდენტურობისა და პერსონალური მონაცემების ონლაინ მართვისთვის. • 5 მილიონი ევრო დაჯილდოვდა ექვს პროექტზე, როგორც EIC პრიზის ნაწილი ბლოკჩეინებისთვის სოციალური სიკეთისთვის და სხვა;

მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინის სტარტაპებში ინვესტიციების უმეტესი ნაწილი მიმართულია ამერიკულ კომპანიებზე, რომელთა საერთო ღირებულებაა 4,4 მილიარდი ევრო (33%), ევროპულმა კომპანიებმა მიიზიდეს სოლიდური 2,9 მილიარდი ევრო (22%), მათ მოჰყვება ჩინეთი ჯამურად 2.8 მილიარდი ევროთი (21%). [5]

ჩინეთი სტრატეგია „დამზადებულია ჩინეთში 2025“, ხელს უწყობს განავითაროს ციფრული ინოვაციური მიმართულებები და გახდეს მსოფლიოში წამყვანი ქვეყანა. ჩინეთში მთავრობის როლი მნიშვნელოვანია და მეტად ფუნქციური. ჩინეთზე მოდის საერთაშორისო ელექტრონული ტრანზაქციების დაახლოებით 40%. 2015 წელს შეიმუშავეს კონცეფცია „ინტერნეტ+“, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების დარგობრივ განვითარებას ითვალისწინებს, ასევე სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, საფინანსო სექტორსა და საჯარო მმართველობაში.

საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი არის ხელოვნური ინტელექტის მკვლევარების მთავარი მიმწოდებელი მსოფლიოში, აშშ რჩება მკვლევარების მთავარ მიმართულებად - მათ შორის ჩინეთიდან ამ სფეროში (რომელთა ორი მესამედი ირჩევს აშშ-ს, როგორც სამუშაოს არჩეულ ქვეყანას). როგორც ვახსენეთ, ჩინეთის მიზანია 2030 წლისთვის გახდეს ხელოვნური ინტელექტის სუპერსახელმწიფო და ამ მიმართულებაში ლიდერი გახდეს. მან 2017 წელს მიიღო სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ათობით მილიარდის ინვესტიციას განვითარებაში და ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში. ხოლო, 2020 წლისთვის დასახული მიზანი იყო, რომ ქვეყნის ძირითადი ხელოვნური ინტელექტის ინდუსტრია გადააჭარბებდა 23 მილიარდ აშშ დოლარს და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიები 150 მილიარდს. ვარაუდობენ, რომ 2025 წლისთვის ჩინეთის ძირითადი AI ინდუსტრია 60 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს;[6]

აქვე აღსანიშნავია **5G ტექნოლოგია.** ეს არის ინსტრუმენტული მხარდაჭერისა და ფუნქციონირებისთვის უფრო სწრაფი და უკეთესი საკომუნიკაციო ტექნოლოგია. 5G-ის შესახებ დებატების დიდი ნაწილი გაჟღენთილია პოლიტიკური და გეოპოლიტიკური თემებით, აშშ-ს (და უფრო მეტად ევროკავშირის) შეშფოთების გამო ჩინეთის მთავრობასთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ ჩინური კომპანია Huawei 2019 წლამდე აპირებდა განევითარებინა ევროკავშირის 5G ქსელების უმეტესი ნაწილი. 2010-იანი წლების შუა ხანებამდე ის იყო 4G ტექნოლოგიების წარმატებული გლობალური პროვაიდერი.[7] საინტერესოა, რომ Huawei-ს გამორიცხვის მთავარი ბენეფიციარები არიან არა ამერიკული, არამედ ევროპული კომპანიები - კერძოდ, ფინური Nokia და შვედური Ericsson, რომლებიც ჩინურ კომპანიებს ჩამორჩებიან 5G ქსელების განვითარებაში. ეს ორი იყო უზარმაზარი ICT საწარმო მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში. Huawei-ს წარუმატებლობის გარეშე მათ ძნელად ექნებოდათ შანსი ეთამაშათ შესაბამისი როლი ევროკავშირში 5G ქსელების განვითარებაში, რადგან ჩინური კომპანიის ტექნოლოგია პირველი მოვიდა და რაც მთავარია, იაფი იყო.

ბოლო ელემენტი, რომელიც გასათვალისწინებელია, ეხება **მონაცემებს.** ჩინეთს აქვს „ვარდისფერი მომავალი“, რადგან მას აქვს მონაცემთა ყველაზე დიდი მოპოვების პოტენციალი. საბოლოო ჯამში, ჩინეთი მიისწრაფვის დააწესოს ტექნოლოგიების გლობალური სტანდარტები. თუმცა, ამ სექტორში ევროკავშირს აქვს კონკურენციის უკეთესი შანსი მისი მყარი ფონის წყალობით როგორც წესის შემქმნელი და წესის დამდგენი.

GDPR არის მოანაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც კავშირის უნარის მტკიცებულება, აიძულოს სხვა ქვეყნები დაიცვან საკუთარი წესები.

GDPR-ის ჭეშმარიტი ძალა მდგომარეობს ევროკავშირის, როგორც ერთიანი ბაზრის სიძლიერეში და კომპანიებში, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ წვდომა ამ ბაზარზე. ასეთი სიძლიერის გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური რეგულაციებითაც, მაგრამ ევროკავშირს სჭირდება ძლიერი ერთიანი ბაზრის შენარჩუნება და ასევე მისი ჰარმონიზაცია ტექნოლოგიური რეგულაციების თვალსაზრისით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა ციფრული სერვისების აქტისა და ციფრული ბაზრის აქტის შემოღებით.[8] თუმცა,

5 https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC117255

6 China's Government, Xinyidai rengong zhineng fazhan guihua de tongzhi (Notice of the State Council on Issuing the Development Plan for the New Generation of Artificial Intelligence), 8 July 2017, http://www.gov.cn/zhengce/content/2017-07/20/content_5211996.htm. An unofficial translation is available in the New America website: https://www.newamerica.org/cybersecurity-initiative/ digichina/blog/full-translation-chinas-new-generation-artificial-intelligence-developmentplan-2017.

7 Huawei, The Early Years, 6 May 2020, https://www.huawei.eu/story/early-years

8 European Commission, The Digital Services Act Package, last update 3 March 2021, https:// ec.europa.eu/digital-single-market/en/node/94375; and Digital Markets Act: Ensuring Fair and Open Digital Markets, 15 December 2020, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/QANDA_20_2349.

უდავო რისკი არის მრავალპოლარული სცენარი, რომელშიც ისეთი აქტორები, როგორებიცაა აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი, იღებენ განსხვავებულ წესებს და ეკონომიკური აქტორები უნდა მოერგნენ შესაბამისად.

## დასკვნა

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირს აქვს ყველაზე დიდი კონტროლი და შესაძლებლობა მოახდინოს აუცილებელი ცვლილებები, რაც გულისხმობს მისი რეფორმის დაჩქარებას. კონკურენციისა და ინდუსტრიული წესების ცვლილებას – ასევე კაპიტალის ბაზრის გაერთიანებისა და საბანკო კავშირის და ციფრული ერთიანი ბაზრის შექმნა. ეს ზომები საშუალებას მისცემს: სარისკო კაპიტალისა და კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვას; საწარმოების გაფართოებას და ევროპის ჩემპიონების შექმნას. მსგავსი ცვლილებები, ხელს შეუწყობს ინოვაციისთვის უფრო ნაყოფიერი გარემოს შექმნას და ამ ინოვაციის გამოყენებას ერთიან ბაზარზე, რაც საშუალებას მისცემს ევროკავშირს იყოს მეტად პოზიციონირებული გლობალურ ბაზარზე. ის ფაქტი, რომ ევროკავშირის მიერ მიღებული მიზნები ძალიან ჰგავს დამახასიათებელ გეგმებსა და პროგრამებს ჩინეთისას აჩვენებს მათ კონკურენტუნარიანობას, არ ჩამორჩნენ ერთმანეთს და მოიპოვონ ტექნოლოგიური სადაავეები, გახდენ ლიდერები გლობალურ ბაზარზე. ის პროგრამები კი რასაც თითოეული ანხორციელებს არის ამ ყველაფრის მიღწევის საშუალება და ჩვენ გვექნება 2030 წლისთვის მეტად გაციფრულებული და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიზნესები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Данные China Academy of Information and Communications Technology (CAICT) опубликованы на сайте Xinhua: http://www.xinhuanet.com/english/2018-12/23/c_137693489.htm

2. https://eufordigital.eu/geo/europes-digital-decade-setting-the-course-towards-a-digitally-empowered-europe-by-2030/

3. https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/desi

4. European Commission, The Digital Economy and Society Index (DESI), last update 18 December 2020, https://ec.europa.eu/digital-single-market/en/node/77955.

5. Sophia Matveeva, “Raising Venture Funding in Europe vs. the U.S.”, in Forbes, 31 May 2019, https:// www.forbes.com/sites/sophiamatveeva/2019/05/31/raising-venture-funding-in-europe-vs-the-us.

6. China’s Government, Xinyidai rengong zhineng fazhan guihua de tongzhi (Notice of the State Council on Issuing the Development Plan for the New Generation of Artificial Intelligence), 8 July 2017,

7. Huawei, The Early Years, 6 May 2020, https:// www.huawei.eu/story/early-years

8. European Commission, The Digital Services Act Package, last update 3 March 2021, https:// ec.europa.eu/digital-single-market/en/node/94375; and Digital Markets Act: Ensuring Fair and Open Digital Markets, 15 December 2020, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ QANDA_20_2349.

9. https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC117255

# საერთაშორისო გადაწყვეტილებების და კონტროლის განხორციელების თავისებურებები ნარკოტიკების საერთაშორისო უკანონო ბრუნვის სფეროში

***ლაშა ჯანაშია***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

**პირველი -** ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მაშინ იქნება ეფექტური თუ მათ ორგანიზაციულ სისტემებს დავასუსტებთ ფინანსურად, მოვახდენთ უკანონო შემოსავლების და დანაშაულებრივი ქმედებების დოკუმენტირებას, მათზე საკანონმდებლო და სხვა მექანიზმებით ეფექტურ, ადეკვატურ რეაგირებას, რაც გამოიხატება: ნარკოტიკების უკანონო დამზადების, წარმოების, სა ერთაშორისო უკანონო გადაზიდვის, მისი ორგანიზების და დაფინანსების და სხვა უკანონო ოპერაციებიდან მიღებული თანხების ანგარიშების ყადაღას, ხოლო უკანონოდ შეძენილი ქონება, ნარკოტიკების უკანონო წარმოებისათვის გამოყენებული ლა ბორატორიები, შენობა ნაგებობები, ყველა სახის ტრანსპორტი და სხვ. დაექვემდებარება კონფისკაციას.

**მეორე -** სახელმწიფოთა მთავრობებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ურთიერთთანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება, დამყარებული ინფორმაციისა და მომსახურე პერსონალის უფრო ფართო გაცვლაზე, ასევე სახელმწიფო თა შესაბამის სამსახურებს შორის, საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზე ბული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სისტემატიური და უფრო ფრთხილი ინ ტეგრაცია; ტრანსნაციონალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;

**მესამე -** საინტერესოა და ჩვენის აზრით ეფექტურია ტრანსანაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდის ეჭვი დაბადოს, უთანხმოება ჩამოაგდოს და შუღლი გააჩინოს ამ ორგანიზაციებს შორის;

**მეოთხე -** მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ტრანსანაციონალურ ორგანი ზებულ დანაშაულთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან რომელიმე ერთ დანაშაულებრივ სტრუქტურაზე მთელი ძალების და საშუალებების კონცენტრირებამ შეიძლება სხვა მეტოქე სტრუქტურის გაძლიერება-ხელშეწყობა გამოიწვიოს. ამის ნათელი მაგალითია, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების და კოლუმბიის ხელისუფლებამ „მედელინის" ნარკო კარტელის წინააღმდეგ „კალის" ნარკოკარტელის გამოყენებით იგი დაამარცხა, მაგრამ კალის კარტელი ყველაზე დიდი ნარკოტიკებით მოვაჭრე ორგანიზაციად გადა იქცა მთელ მსოფლიოში და მის დამარცხებას მრვალი წელი და დიდი რესურსები დასჭირდა.

**საკვანძო სიტყვები**: ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრობა, ოპიუმის ყაყაჩოს უკანონო გავრცელება, ნარკობიზნესი, კანაბისის წარმოება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისია, ტრანსნაციონალური დანაშაული.

## INTERNATIONAL SOLUTIONS AND CONTROL IMPLEMENTATION PECULIARITIES OF THE DRUG IN THE FIELD OF INTERNATIONAL ILLEGAL TURNOVER

**Lasha Janashia**
Phd student at GTU

**RESUME**

**First -** fight against transnational organized crime will be effective if we weaken their organizational financial systems, document illegal income and criminal activities. We should continue to fight against translational organized crime effectively through legislation initiatives and other mechanisms in order to be able to fight illicit drug production, smuggling, international trafficking and other criminal activities. Seizure of accounts of criminal organizations and financing and funds received from other illegal operations should also be considered. Property purchased illegally, laboratories used for illicit drug production, buildings, all kinds of transport, etc. should also be subject to confiscation.

**Second** – Its essential to develop a new strategy for effective cooperation between the governments of various countries. Corporation should be based on a wider exchange of information, more systematic and integral approach. Creation of international data sharing system is also essential.

**Third** – We believe that it is important to develop a strategy against transnational criminal organizations that will be focused on creating distrust and suspicion between them. Above mentioned strategy should create rift and in some cases conflicts amongst these criminal organizations.

**Fourth -** Governments need to keep in mind that caution is needed when formulating the correct transnational crime-fighting strategy, as concentrating all

forces and resources on one criminal structure can strengthen another rival structure. A clear example of this is when the United States and Colombian authorities defeated Medellin cartel which took lot of resources and as a result another cartel emerged even stronger and more organized.

**Keywords**: International drug trade, illegal distribution of opium poppy, Drug business, Cannabis production, Commission of drug substances, Transnational crime.

* * * *

ნარკოტიკების საერთაშორისო უკანონო ვაჭრობის ისტორიულ-გეოპოლიტიკური ფაქტორების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს საკითხი უძველესი დროიდან მრავალი ცივილიზაციის ისტორიის, კულტურის, რელიგიის შემადგენელი ნაწილი იყო.

პრობლემის ისტორიულ ჭრილში შესწავლამ დაგვანახა, რომ XVII-XVIII საუკუნიდან ნარკოტიკები უკვე მრავალი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის და ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამაზე მიუთითებს სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე ანდების მთების სისტემის გასწვრივ ბოლივიის, პერუს, კოლუმბიის, ეკვადორის ასევე ბრაზილიის ტერიტორიაზე 2000 კილომეტრზე, 350000 ჰექტარზე კოკას ბუჩქის უზარმაზარი მასივები, რომლის გაშენება ან კულტივაცია ხდება ან ბუნებრივად იზრდება და იქიდან მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეებში მისი პროდუქტების (დერივატების) უკანონო გავრცელება ხდება.

იგივე შეიძლება ითქვას ოპიუმის ყაყაჩოს უკანონო გავრცელებაზე ავღანეთის, პაკისტანის, ბირმის(მიანმარი), ლაოსის, ტაილანდის და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლის პროდუქტების (მორფინი, ჰეროინი, და სხვ.) უკანონო წარმოებამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან თანდათან გაიზარდა და XXI საუკუნეში საშიშ მაშტაბებს მიაღწია.

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებებისა პლანეტაზე ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების ოდენობა კვლავაც არ მცირდება. ყაყაჩოს კულტივაციის შედეგად მსოფლიოში 4800 ტონა ოპიუმი იწარმოება. რომელიც საერთაშორისო ნარკობიზნესს 480 ტონა ჰეროინის დამზადების საშუალებას აძლევს, სულ კი უკანასკნელ 20 წელიწადში პლანეტაზე 90000 ტონა ოპიუმი აწარმოეს, რამაც ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს 9000 ტონა ჰეროინის დამზადების საშუალება მისცა. (რომ წარმოვიდგინოთ ეს სულ ცოტა 12-15, ჰეროინით დატვირთული 60 ტონიანი ვაგონების ეშელონია.

უსერიოზულესის საკითხია მსოფლიოში კანაბისის ნათესების უდიდეს ტერიტორიებზე გავრცელება. იგი მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაშია გავრცელებული და მისგან აკრძალული პოდუქტები (კანაბისის ფისი, კანაბისის ნაყენი და სხვ). მზადდება და ვრცელდება.

კანაბისის პირველსახის მოხმარება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2700 წლით თარიღდება და ფარმაკოთერაპიაში მემატიანე მას ტკივილგამაყუჩებლად და ფსიქიკური აშლილობის საწინააღმდეგო საშუალებად მოიხსენიებს.

დღევანდელ პირობებში კანაბისის კულტივირება, წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს კრიმინალური „ეკონომიკის" შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. მიუხედევად მიღებული ზომებისა, ყოველწლიურად ნადგურდება მისი კულტივირების მინიმუმ 20000 ადგილი, კანაბისის წარმოება ფართოვდება, რასაც კანონლიბერალიზაციამ და მოთხოვნის მასშტაბების ზრდამაც შეუწყო ხელი.

საბოლოოდ მივიღეთ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით დაკავებული ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომელმაც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტი მოიცვა და მისი წლიური შემოსავალი 500 მილიარდ დოლარს მიუახლოვდა.

ნარკოტიკების უკანონო ბიზნესის ასეთი უზარმაზარი მოგების მასშტაბები გამოწვეულია ნედლეულის სიაფით, დანაშაულებრივი ჯგუფების გაძლიერებით. მათ დაიწყეს ლოჯისტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენება: მობილურობა, მაკლერობა და მათი შემცვლელი პირების სამსახური, სუსტი ბაზრების ხელში ჩაგდება, წარმოების ტრანსფორმაცია, საზღვაო ტრანსპორტისა და განაწილების უნიკალური სტრუქტურის შექმნა, მის შიგნით თანამშრომლობა, კაპიტალ დაბანდებები (ინვესტიციები) იმ ქვეყნებში, რომელთაც ყველაზე ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა ჰქონდათ.

საერთაშორისო ძალისხმევა 60-იან წლებამდე, პრობლემის მოგვარებისათვის არა სისტემატიური სემინარებით, სასწავლო პროგრამებით და ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლებოდა. ამასთანავე საჭირო იყო ქვეყნების მთავრობებთან, მის მოსახლეობასთან თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება და ადეკვატური პროე ქტების განხორციელება. საამისოდ გაეროს ეგიდით ახალი დანაყოფები ჩამოყალიბდა.

გაეროს პირველი ასეთი ახალი დანაყოფი იყო **ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისია (DND)**, რომელსაც სამდივნოს ფუნქციები უნდა შეესრულებინა.

1961 "ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კონვენციის მიღებისთანავე დაფუძნდა საერთაშორისო ნარკოკონტროლის საბჭო **(INCB)**, რომელსაც ხელშეკრულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაზე კონტროლი დაევალა.

1971 წელს დაფუძნდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ფონდი **(UNFDAC)**, რომელსაც სამოქმედო პროგრამები უნდა დაეფინანსებინათ.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული ისე გაძლიერდა, რომ საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისათვის. ამას ისიც განაპირობებს, რომ მთელი რიგი სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერების ქმედებები წამახალისებელი გამოდგა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერებისათვის, ასე მაგალითად ზოგი მათგანი ხელს აწერდა ნარკოტიკების უკანონო წარმოების და ტრანზიტის საწინააღმდეგო დეკრეტებს, ხოლო მეორე ხელით კი უქმნიდა დაცულ არხებს მის გავრცელებას (ავღანეთი, პაკისტანი, ლიბანი, კოლუმბია, მექსიკა და სხვ.).

XX საუკუნის მიწურულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაიწყო მკაცრი შემტევი ღონისძიებების განხორციელება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რადგან მისი მასშტაბები და გეოგრაფია გაფართოვდა და საფრთხეს უქმნიდა, მსოფლიო წესრიგს, საბაზრო ეკონომიკას, აძლიერებდა კორუფციის მასშტაბებს, ასუსტებდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბ ჭოს მიერ 1994 წლის 21-23 ნოემბერს გამართულ კონფერენციაზე სახელმწიფოთა შინაგან საქმეთა მინისტრების დონეზე იქნა განხილული საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის - TCO ძირითადი საკვანძო ასპექტები, რომელთა საფუძველზეც ამ მოვლენის თავისებურებების კვლევების საჭიროებაზე იქნა აქცენტი გამახვილებული. კონფერენციაზე ერთმიშვნელოვნად ჩამოყალიბდნენ, რომ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაზე არაადეკვატურმა და არადროულმა რეაგირებამ ხელი შეუწყო მათ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანოზაციებად - TCO გარდაქმნას, რამაც მსოფლიო თანამეგობრობა ახალი სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნების ანალიზი დაეხმარა მეცნიერებს განესაზღვრათ,მისი არსი და გაემიჯნათ იგი ორგანიზებული დანაშაულის ტრადიციული ცნებისაგან, გამოეყოთ საერთაშორისო დანაშაულობის სტრუქტურის თავისებურებები, შეეფასებინათ ის საფრთხეები, რომელიც ამ მოვლენას მოაქვს საერთაშორისო საზოგადოებისათვის და განესაზღვრათ და ჩამოეყალიბებინათ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის და ურთიერთანამშრომლობის საფუძვლები, მიეღოთ გადაწყვეტილებები, ჩამოეყალიბებინათ და/ან გაეძლიერებინათ მისი აღსრულების და კონტროლის მექანიზმები.

პირველი ასეთი ფუნდამენტური გადაწყვეტილება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის - TCO-ს წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სამოქმედო გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების კონტროლის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები აისახა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2000 წლის 15 ნოემბრის კონვენციაში", რომელიც სიმბოლურად მიღებულ იქნა „მაფიის სამშობლოში" სიცილიაში.

კონვენციის პირველი მუხლი მიუთითებს, რომ წინამდებარე კონვენციის მიღების მიზანი იყო ხელი შეეწყო თანამშრომლობისათვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანი თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მასში თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი დებულებები გადაწყვეტილებების მისი აღსრულების და კონტროლის სფეროში. უმნიშვნელოვანესია **კონვენციის მეორე მუხლი,** რომლის საფუძველზე, კონვენციის მიზნებისათვის ჩამოყალიბდა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის განმარტება **- ორგანიზებული ჯგუფი" ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის, ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულის, ჩადენის მიზნ ით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედ სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შეწმდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი.**

ამავე პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრუქტურა, კერძოდ, გაეროს სტრუქტურაში 1990 წლის 21 დეკემბერს N45/179 რეზოლუციის თანახმად შექნილი ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის პროგარამის **(UNDCP)** ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა, **ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ახ ალი დეპარტამენტი - (UNDOC),** რომელიც გახდა 2000 წლის კონვენციის გადაწყვეტილებების კონტროლის განმახორციელებელი უწყება, რომელიც მოქმედებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან ურთიერთკავშირში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლად შექმნილმა სტრუქტურამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კონვეციის გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის და საჭირო სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

მაგრამ ტრანსნაციონალური დანაშაულის ურთულესი და ყველაზე მეტად სტრუქტურიზებული მიმართულების საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგბრძოლა საკამაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან მას ღრმა ფესვები გააჩნდა და როგორც ამ საკითხის ექსპერტები მიუთითებდნე, ნარკოტიკები მრავალი ქვეყნის და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ერების, კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის და ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ, გაეროს ეგიდით წამოწყებულმა ინიციატივებმაც ე. წ. ჩანაცვლების პროგრამამაც ვერ გაამართლა, რომელიც ნარკოტიკების შემცველი მცენარეების, წამახალისებელი ფორმით სხვა კულტურებით ჩანაცვლებას ითვალისწინებდა.

**უმთავრესი პრობლემა კი ის იყო, რომ ნარკოტიკები და მისით ვაჭრობა უდიდეს მოგებას იძლეოდა: მაგალითად ოპიუმის და მისი პროდუქტების სალდო-(მამრავლი ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციიდან მომხმარებლამდე) საცალო მოვაჭრის მეშვეობით 780-ჯერ იზრდებოდა, ხოლო კოკაინის შემთხვევაში კოლუმბიელი გლეხიდან კოკას ფოთლის პროდუქტის - კოკაინის მამრავლი 1600 - ს უდრიდა. ნავთობის და ბამბის შემთხვევაში იგი 40-50-ს შეადგენს.**

საჭირო გახდა ორგანიზაციულ - სამართლებრივი სიახლეების განხორციელება, რათა შეექმნათ ისეთი მექანიზმები, რომელიც სამართალდაცვით სისტემებს მისცემდა შესაძლებლობას ეფექტურად შებრძოლებოდნენ ტრანსნაციონალურ დანაშაულს რომელიც არა მხოლოდ დააფიქსირებდა და დააკავებდა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრებს, არამედ პოპულარულად, რომ ვთქვათ დაარტყამდა მათ ჯიბეზე.

ამისათვის გაერომ მოახდინა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) და კორუფციის კრიმინალიზაცია, კერძოდ:

ა)

• წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის ჩადენის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას.

• წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი სახიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზეე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.

ბ) საკუთარი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების დაცვის პირობით:

• ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, იმის შეცნობით, რომ მისი მიღების მომენტისათვის, ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის გზით მიღებულ ქონებას.

• ამ მუხლში დადგენილი დანაშაულებების ჩადენის მიზნით შეკავშირება ან შეთანხმებაში მონაწილეობა, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მცდელობა და დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და დანაშაულის ჩადენის თაობაზე რჩევის მიცემა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ანგარიში. 2018 წელი.
https://cutt.ly/7HJXusc

2. დერივატები. ნაწარმოები, მომყოლი პროდუქტები. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგენელი მ.ჭაბაშვილი. მეორე გადამუშავებული გამო ცემა. გამომცეემლობა განათლება. თბილისი 1989 წ.

3. UNDOC Worlds Drugs Report 2018.

4 . U.S. Department of Justice. Drug Enforcement Administration, Cannabis Sativa 1976, preoared by Special Agent John T. Maher, Washington D.C. 1976

5. Articles 2 and 16-19 of the 1971 Convention on Psychotropic Substances and articles 22-23 of the 1988 Convention for for INC function specified in in their administrtin.

6. Article 22(a) of the 1988 United Nations Convention, cited in footnoted 5. Also Article 22 of the specification of INCB functions.

7. United Nations Document A/39/646 of November 12 , 1984, for a detailed description of the functions of UNFDAC.

8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზაციის წინააღმდეგ". პალერმო 2000 15 ნოემბერი.

9. გაეროს 2000წლის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანასაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია.

# სახელმწიფო მმართველობა და სოციალური სამართლიანობა

***ია ალანია***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სამართლიანობა არის კრიტერიუმი, რომლის შესაბამისადაც ხდება სხვათა მიმართ ქცევის აღწერა და შეფასება. ანალოგიურად, ეგრეთ წოდებული „სოციალური სამართლიანობა" მიუთითებს სხვათა მიმართ ქცევაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სუბიექტი არის სახელმწიფო ან საზოგადოება. მაშასადამე, აქ მთავარია, განაწილების რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გა(და)ნაწილების საფუძველი უკვე მითითებულია. თანაბარი ღირსების დაშვებიდან გამომდინარე, ყველა მოქალაქეს თანაბარი შანსები უნდა ჰქონდეს, რათა მათ თვითონ წარმართონ საკუთარი ცხოვრება და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ცხოვრებაში.

„სამართლიანობა ყველას თანაბარ ღირსებას ეფუძნება. იგი ნიშნავს თანასწორ თავისუფლებას და ცხოვრების თანაბარ შანსებს, წარმოშობისა და გენდერის მიუხედავად." (ჰამბურგის პროგრამა 2007: 15)

მაგრამ როგორ მიიღწევა იგი? ყველა მოქალაქემ ყველაფერი თანაბრად უნდა მიიღოს? თუ ყველა მოქალაქემ ყველაფერი თანაბრად უნდა მიიღოს შედეგების კუთხით? თუ ყველა მოქალაქის ინდივიდუალური მოთხოვნილებები ერთსა და იმავე ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს? თუ შრომითი წვლილი და თვისებრივი მაჩვენებელი უნდა გახდეს განაწილების საფუძველი? თუ თანაბრად უნდა განაწილდეს შანსები და არა საქონელი?

შანსების თანასწორობის დროს ადამიანი შეიძლება დადგეს იმ საფრთხის წინაშე, რომ თანაბარი შანსების არსებობის შემთხვევაშიც კი სიტუაცია მყისიერად შეიცვალოს და შანსები კვლავ არათანაბარი გახდეს. ამიტომ შანსების თანასწორობის თანამედროვე თეორიები უფრო „ცხოვრების შანსების თანასწორობისკენ" იხრება. ამ კონცეფციით სამართლიანობა სახელმწიფოსაგან მოითხოვს არა ერთჯერად ჩარევას, არამედ უწყვეტ კორექტირებას სამართლიანობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის.

ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, ზუსტად რა ელემენტებისაგან შედგება თანასწორობის ეს პრინციპები, კერძოდ, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა და შანსების თანასწორობა, და სოციალური სახელმწიფოს რომელ სფეროებშია გამართლებული მათი გამოყენება. აქ განხილული სამართლიანობის კონცეფციები განაწილების სამართლიანობის პრინციპების ღერძია.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური სამართლიანობა, უთანასწორობა, კომპეტენციები, სამართლიანი განაწილება, შანსების თანასწორობა

**PUBLIC ADMINISTRATION AND SOCIAL JUSTICE**

**Ia Alania**
PhD student at GTU

**RESUME**

Fairness is the criterion according to which behavior towards others is described and evaluated. Similarly, so-called "social justice" refers to the treatment of others, unless the subject is the state or society. Therefore, the main thing here is what criteria of distribution should be used by the state.

The basis for the parts (s) carried out by the state has already been indicated. Given equal dignity, all citizens should have equal opportunities to lead their own lives and participate in state life.

"Justice is based on equal dignity for all. It means equal freedom and equal opportunities for life, regardless of origin or gender. "(Hamburg Program 2007: 15)

But how is it achieved? Should all citizens receive everything equally? Should all citizens receive everything equally in terms of results? Should the individual needs of all citizens be met within the same framework? Should labor contribution and qualitative indicators become the basis for distribution? Should the odds be distributed evenly and not the goods?

When the odds are equal, a person may face the danger that even if there are equal chances, the situation will change instantly and the odds will again become unequal. Therefore, modern theories of equality of opportunity tend to be more "equal to the equality of life chances." According to this concept, justice requires from the state not a one-time intervention, but a continuous adjustment to establish and maintain justice.

Below we discuss in more detail what exactly constitutes these principles of equality, namely, equity of labor, equity of demand and equality of opportunity, and in what areas of the welfare state their application is justified. The concepts of justice discussed here are central to the principles of equity of distribution.

**Keywords:** Social justice, inequality, competencies, fair distribution, equality of opportunity

### შესავალი

ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამართლიანობის ყველაზე ჯეროვანი პრინციპი, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია განაწილებასთან დაკავშირებული განსხვავებების გამართლება, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობაა. შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა, ანუ შრომითი წვლილის პრინციპი, მოითხოვს, რომ თანაბარი წვლილი და არათანაბარი წვლილი თანასწორად არ იქნეს განხილული. სამართლიანობის ამ აქსიომის ტიპური მაგალითია „თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისთვის".

თუმცა ყოველთვის ასე ადვილი არ არის იმის თქმა, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს შრომითი წვლილი ან დამსახურება. ის იგივეა, რაც კონკრეტული მოქმედების შედეგი? ან იმ ძალისხმევის _ ანუ პრობლემების გადაჭრისა და მონდომების _ შედეგი, რომელიც ამ მოქმედებას დასჭირდა? გარდა ამისა, რა როლს ასრულებს ტალანტი შრომითი წვლილის შეფასებისას? უნდა დაფასდეს თუ არა კონკრეტული ნიჭი, რომელიც ადამიანს დაბადებიდან დაჰყვა და, ამრიგად, მისი მიღწევა შეუძლებელია?

გამოკითხვები და კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანთა უმრავლესობა შრომით წვლილში სამი ფაქტორის _ შედეგის, ძალისხმევისა და ნიჭის _ კომბინაციას გულისხმობს. ამასთანავე, შედეგი და ძალისხმევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ამის საწინააღმდეგოდ, მრავალ ადამიანს მიაჩნია, რომ ინდივიდუალური ნიჭი შრომითი წვლილის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ძალისხმევასთან კომბინაციაში. თუმცა შედეგის, ძალისხმევისა და მონდომების დონე გარედან განსაკუთრებით ძნელი შესაფასებელია.

### ძირითადი ტექსტი

„შეიძლება მართალი იყოს, რასაც ხშირად გვიქადაგებენ: სამართლიანობის განსაზღვრა, გარანტირება, გაზომვა და, რაც მთავარია, აღსრულება შეუძლებელია. მკვლელობის მცდელობისთვის მოსამართლის მიერ განსაზღვრული სასჯელის სამართლიანობას პროკურორი და ადვოკატი განსხვავებულად აფასებენ; მაშინაც კი, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მკვლელობის მცდელობა არ ყოფილა. დააბრუნებს კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სამართლიან ვერდიქტს? თუ წლიური ანგარიშები სწორია, შესაძლებელია მათი შემოწმება, გადაანგარიშება და განსაზღვრა. აბსოლუტურ სამართლიანობასთან მიმართებით ეს შეუძლებელია. ანგარიშების ბალანსის დასადგენად საჭიროა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გაანგარიშება და იციან, რა როგორ უნდა იყოს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური სამართლიანობა კაცობრიობისთვის მიუწვდომელია.

ეს კიდევ უფრო მიესადაგება ეგრეთ წოდებულ „სოციალურ სამართლიანობას". ჩვენ მას ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ვერასოდეს შევთანხმდებით, რა არის იგი. შემოსავლის სამართლიან განაწილებაზე თვითდასაქმებული დურგლის შეხედულება საგულისხმოდ განსხვავდება იმისგან, რაც ამავე საკითხთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებული ჰარც IV დახმარების (ხანგრძლივი უმუშევრობის შემწეობა; ოფიციალურად ცნობილია სახელწოდებით „უმუშევრობის II შემწეობა") მიმღებს, შემნახველი ბანკის დირექტორს ან მთავრობის მინისტრის თანაშემწეს აქვს.

თითქმის ყველა აღიარებს, რომ ტოტალური სამართლიანობა, ყველა სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების თვალსაზრისით, არც სამართლიანი იქნებოდა და არც ეკონომიკისთვის სასარგებლო. მაგრამ უნდა მიიღონ კი კომპანიის საბჭოს წევრებმა კვალიფიციურ მუშაკზე ოცჯერ ან ასჯერ მეტი ან თუნდაც მხოლოდ ხუთჯერ მეტი ხელფასი? ოცდაათი წლის წინ დირექტორის ხელფასი, ზოგადად, ოცჯერ აღემატებოდა მუშაკთა ხელფასებს.

დროთა განმავლობაში, მრავალ შემთხვევაში, ისინი ასჯერ გაიზარდა. ჩვეულებრივ, ამას „შეუდარებლად დიდი პასუხისმგებლობით" ამართლებენ. მაგრამ მაშინ რატომ არის გერმანიის კანცლერის შრომის ანაზღაურება მხოლოდ რაღაც ნაწილი ბანკის დირექტორის შემოსავლისა? კანცლერს ნაკლები პასუხისმგებლობა აკისრია? რა თქმა უნდა, ჭკვიანი ეკონომისტები გვეტყვიან: შეწყვიტეთ ეს უაზრო ტიტინი სამართლიანობაზე და იმას დასჯერდით, რასაც ბაზარი არგუნებს ადამიანებს. თუკი ბაზარს იმაზე ნაკლები არაკვალიფიციური მუშახელი სჭირდება, ვიდრე სამუშაოს მაძიებელია, მაშინ ხელფასები შემცირდება, ხოლო თუ უნარიანი მენეჯერები იშვიათობაა, მათი ხელფასები გაიზრდება. ბაზრის გადაწყვეტილება ნათელი და ზუსტია: ამაზე მსჯელობის გაგრძელებას აზრი არა აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბაზარი აჯილდოებს მწარმოებელსა და უნარიანს და სჯის ზარმაცსა და უმაქნისს.

მაგრამ ამას აზრი მხოლოდ იმ ადამიანებისთვის აქვს, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ყველაფრის მეცნიერულად დასაბუთება, განსაზღვრა და გაზომვა. ადამიანებს გრძნობები, იმედები და მოთხოვნილებებიც აქვთ. ამასთანავე, საკვებისა და წყლის მოთხოვნილების გარდა, არსებობს აღიარების, ყურადღების, უსაფრთხოების, აგრეთვე სამართლიანობის მოთხოვნილება. „სამართლიანობის შიმშილი" აშკარაა. ეს უფრო ნაკლებად გამოიხატება სამართლიანობის ბუნების შესახებ ჭკვიანურ ტრაქტატებში, ვიდრე უსამართლობის მძაფრ განცდაში. ცხადია, რომ ეს გრძნობა სუბიექტურია და რომ თითოეულ ჩვენგანში იგი თავისებურად აისახება. თუმცა ის ძლიერი, ძირეული და დაუძლეველია. იგი ადამიანებს წინსვლის სურვილს უნარჩუნებს, მისი მოსპობით კი კაცობრიობა იღუპება.

ამის დანახვა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ან

დაწყებით სკოლაში შეიძლება. მასწავლებლები, რომლებსაც უსამართლოს სახელი აქვთ, რადგან რომელიმე ბავშვს სხვებზე მეტ ყურადღებას აქცევენ, თავიანთ რეპუტაციას დიდ რისკს უქმნიან.

თუმცა სავსებით ადამიანურია, რომ უფრო მოგვწონდეს მომხიბლავი, ჭკვიანი და, რა თქმა უნდა, ახლობელი ბავშვი, ვიდრე ზარმაცი, მძიმე და უინტერესო. როდესაც ბავშვები იზრდებიან, ისინი ხვდებიან, რომ ამ სამყაროში მუდმივად არაფერი არ არის სრულყოფილად სამართლიანი, ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ისეთი სამართლიანი, როგორიც, მათი აზრით, უნდა იყოს. აი, თუნდაც უფროსი დის მაგალითი, რომელიც ყოველთვის იპოვის მიზეზს, რატომ უნდა დაიძინოს უფრო გვიან, რატომ უნდა ჰქონდეს კონკრეტული წიგნი ან ველოსიპედი და რატომ არა აქვს დრო ბაღში დასახმარებლად.

თვით დაწყებითი სკოლის მოსწავლეებსაც კი უხდებათ იმ ფაქტთან შეგუება, რომ მათი მეგობრის მამას დიდი „მერსედესი“ ჰყავს, ხოლო მათ მამებს _ ძველი „გოლფი“, ან რომ ცხენოსნობაზე მათი მეგობარი დადის და არა ისინი, თუმცა ცხენები სიგიჟემდე უყვართ. ისინი არ ფიქრობენ, რომ ეს სამართლიანია, მაგრამ ეს მათ მეგობრობას ხელს არ უშლის. თუმცა ისინი აღშფოთდებოდნენ, თუკი მათ მეგობარს დედა მათთან თამაშს იმ მიზეზით დაუშლიდა, რომ ისინი „საკმარისად კარგები არ არიან“. ბავშვებმა იციან, რომ ისინი იძულებული არიან - და შეუძლიათ - იცხოვრონ უსამართლობის კონკრეტულ პირობებთან შეგუებით, მაგრამ გარკვეულ საზღვრებში.

საზოგადოებაშიც ასე ხდება. იგი ათასობით მცირე თუ დიდი უსამართლობის ფონზე ცხოვრებას სწავლობს. ყველა ვერ იღებს ცხოვრებისაგან იმას, რაც სურს. ჩვეულებრივ, ქალიშვილის გამოცდებისთვის მოსამზადებლად მილიონერს უფრო მეტი არჩევანი აქვს, ვიდრე მენაგვეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ გაბრაზდება, როდესაც იგრძნობს _ მილიონერის ქალიშვილმა მარტო იმიტომ ჩააბარა გამოცდები, რომ მასწავლებელს მისი ძლევამოსილი მამის განაწყენება არ სურდა. ასეთი უსამართლობა უბრალოდ დაუშვებელია.

პოლიტიკურ ჭრილში აბსოლუტური სოციალური სამართლიანობის საკითხი არ მწვავდება. ასეთი რამ არ არსებობს. პოლიტიკურ ჭრილში ყურადღება ექცევა დასაშვებ და დაუშვებელ უსამართლობათა შორის გამყოფ ხაზს. რეალურად არავინ გაბრაზებულა, როდესაც მენეჯერი მუშაკებზე ოცჯერ მეტ ხელფასს იღებდა. თუმცა როდესაც ამ რიცხვმა ორასს მიაღწია, ადამიანთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ამის ატანა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, როდესაც ეს მენეჯერი მუშაკებს სამსახურიდან ათავისუფლებდა შემოსავლების გაზრდის მიზნით. მდივნებს არ აღელვებდათ ის, რომ მათ უფროსს ბევრად მეტი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი გაიგეს, რომ იგი მათზე ნაკლებ გადასახადს იხდიდა, რადგან გადასახადისთვის თავის ასარიდებელი ხვრელები იცოდა, ისინი განრისხდნენ.

გერმანიაში მოსახლეობის სამ მეოთხედს მიაჩნია, რომ მოვლენები უსამართლოდ ვითარდება, მრავალ მათგანს კი არ სჯერა, რომ მდგომარეობა ოდესმე გამოსწორდება _ დასაშვებსა და დაუშვებელს შორის გამყოფი ხაზი აშკარად გადაიკვეთა. შემთხვევითი არ არის, რომ გამოკითხვამ ეს ვითარება 2008 წელს გამოავლინა, რადგან ბაზრის ფუნდამენტალისტთა ეპოქა დასრულდა. როდესაც უსამართლობას უჩივის არა მხოლოდ ღარიბი და დაჩაგრული, არამედ ყველა, ვისაც საკუთარი თავი მდიდრად არ მიაჩნია, მაშინ საფრთხეა მოსალოდნელი. ასეთ მდგომარეობას დიდხანს ვერცერთი საზოგადოება ვერ შეეგუება. მაშასადამე, სოციალური სამართლიანობა არის არა სოციალური რომანტიკით გატაცება, არამედ საკვანძო პოლიტიკური ამოცანა, რომელიც არასოდეს დასრულდება.“ (ეპლერი 2009: 47-50)

შანსების თანასწორობა - სამართლიანობის მეოთხე პრინციპია, რომელსაც აქ განვიხილავთ - დანარჩენი სამისაგან ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლით განსხვავდება: შედეგის თანასწორობა, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ამათგან განსხვავებით, შანსების თანასწორობა ხელს უწყობს შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის შედეგის თანასწორობასთან დაახლოებას და, გარკვეული თვალსაზრისით, იგი აუცილებელი პირობაა ამ ორი პრინციპის განხორციელებისთვის. მაგრამ ჯერ მთავარზე ვისაუბროთ.

შანსების თანასწორობის შემთხვევაში, სხვა კონცეფციებისაგან განსხვავებით, მკაფიოდ ჩანს, რომ იგი გარკვეულ მატერიალურ სიკეთეს ითვალისწინებს. ეს პრინციპი არ ეხება ზოგადად საქონლისა და რესურსების განაწილებას. იგი მკაფიოდ მიუთითებს შანსების თანასწორ განაწილებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას ეხება. თუკი ეს თანასწორობა უზრუნველყოფილია, მაშინ სამართლიანია ყველა შემდგომი უთანასწორობა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს შემოსავლის განაწილების, სტატუსის ან სხვა სფეროებში. აქ შესაძლებელია შრომითი წვლილის პრინციპის გამოყენება, რადგან თავდაპირველი პირობები ყველასთვის ერთნაირია. რა არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო საწყისი პირობები, რომლებიც თავდაპირველად ძალზე არათანაბრადაა განაწილებული ადამიანთა შორის და პიროვნების ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე? მაგალითად, შანსების უთანასწორობა თანდაყოლილი უნარების განსხვავების, მშობელთა განსხვავებული შესაძლებლობების, გენდერისთვის დამახასიათებელი როლების განაწილების და განათლებისა და მომზადების განსხვავებული დონეების შედეგად წარმოიშობა.

თუმცა შანსების თანასწორობის დროს ადამიანი

შეიძლება დადგეს იმ საფრთხის წინაშე, რომ თანაბარი შანსების არსებობის შემთხვევაშიც კი სიტუაცია მყისიერად შეიცვალოს და შანსები კვლავ არათანაბარი გახდეს. ამიტომ შანსების თანასწორობის თანამედროვე თეორიები უფრო „ცხოვრების შანსების თანასწორობისკენ“ იხრება. ამ კონცეფციით სამართლიანობა სახელმწიფოსაგან მოითხოვს არა ერთჯერად ჩარევას, არამედ უწყვეტ კორექტირებას სამართლიანობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის.

მაგრამ აქაც ისმება კითხვა: სახელდობრ, რა უნდა განაწილდეს თანაბრად იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შანსების თანასწორობა? ერთი ვერსიით, ეს უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებს უნდა დაუკავშირდეს. არათანაბარი ცხოვრების პირობები, რომლებიც ინდივიდუალურ მიზნებს ეფუძნება, არ ამართლებს სახელმწიფოს ჩარევას. და პირიქით, უთანასწორობა, რომელიც წარმოიშობა ნიჭისა და უნარების საფუძველზე, რომლებზედაც გავლენის მოხდენა შეუძლებელია (ისინი „ბუნებისგანაა ბოძებული“), სახელმწიფოს მოქმედებით უნდა დაბალანსდეს. ეს განსხვავება დამაჯერებლად ჟღერს, თუმცა პრაქტიკაში უთანასწორობის გამომწვევი სამართლიანი და უსამართლო მიზეზების ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია.

ამიტომ სხვებს მიაჩნიათ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს „შესაძლებლობათა“ განაწილებას. ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი კომპეტენციებით, რაც მათ თავიანთი ცხოვრების გეგმის შესრულების საშუალებას მისცემს. პიროვნების ცხოვრების შანსების უზრუნველსაყოფად სოციალური პოლიტიკა არ უნდა გეგმავდეს უთანასწორობის მომავალში აღმოფხვრას. პირიქით, სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ადამიანები ისეთი საშუალებებით უზრუნველყოს, რომ მათ თავიდან აიცილონ უნებლიე და მუდმივი სოციალური სიდუხჭირე ან სულაც გარიყვა.

ამის გათვალისწინებით, სამართლიანობის ამ პრინციპის თანახმად, სამართლიანი საწყისი პირობები იმდენად ძირეული საკითხია, რომ დამაჯერებლად შეიძლება ითქვას: განათლების/მომზადების პოლიტიკა გამოყენების ძირითადი სფერო იქნება. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება - დაწყებული დღიური მზრუნველობის ცენტრებით იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლებიც სრულ განაკვეთზე მუშაობენ (გერმანიაში მათ „Kitas“-ს უწოდებენ), დამთავრებული პროფესიული სწავლებით – ნათლად უჩვენებს, რომ სახელმწიფოს თავის ამოცანად მიაჩნია განათლების/მომზადების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის.

მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ბოლო წლების კვლევების შედეგები უჩვენებს, რომ შანსების თანასწორობა გერმანიის განათლების/მომზადების სისტემაში კვლავ იშვიათი ხილია.

## დასკვნა

„პოლიტიკურად, აზრი არა აქვს, ვიტანჯოთ აბსოლუტური სოციალური სამართლიანობისთვის. ასეთი რამ არ არსებობს“ (ერჰარდ ეპლერი „სამართლიანობის“ ცნების შესახებ). სამართლიანობის მხოლოდ ერთი კონცეფციით ხელმძღვანელობა, რომლის შესაბამისადაც უნდა იქნეს ორგანიზებული ყველა პოლიტიკური და სოციალური სფერო, არა მხოლოდ ილუზორულია, არამედ უკიდურესად არადემოკრატიულიც. სინამდვილეში ადამიანებს სამართლიანობაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. სხვადასხვა პრინციპის ირგვლივ გამართული დებატები ადასტურებს, რომ პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში სამართლიანობის კონკრეტულ სენტენციებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს სჭირდება კომპასი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა იქნეს გამოყენებული.

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის თანაბარი ღირსება და თანაბარი შანსები საზოგადოების რესურსების სამართლიან განაწილებას მოითხოვს.

სამართლიანი განაწილების საკითხი შეიძლება ოთხი პრინციპის- თანასწორობის, შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობის, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის და შანსების თანასწორობის - საფუძველზე იქნეს განხილული. ეს პრინციპები სხვადასხვა სფეროში განსხვავებულად უნდა აიწონოს.

თანასწორობა, შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობა და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა ერთმანეთს ზღუდავს. შანსების თანასწორობა ყოვლისმომცველი პრინციპია. იგი სხვა პრინციპების გამოყენების პირობაა, განსაკუთრებით - შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობისა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marius R. Busemeyer, Christian Kellermann, Alexander Petring, Andrej Stuchlik, Politische Positionen zum Europäischen Wirtschafts- und Sozialmodell – eine Landkarte der Interessen, Friedrich-Ebert-Stiftung (Hg.), Bonn. (2013).
2. Ronald Dworkin, What is Equality? Part 2: Equality of Resources, in: Philosophy and Public Affairs, vol. 10, no. 4 (Autumn), S. 283–345. 2012
3. Christoph Heine, Heiko Quast, Heike Spangenberg. Studiengebühren aus der Sicht von Studienberechtigten. Finanzierung und Auswirkungen auf Studienpläne und -strategien, HIS: Forum Hochschule. 15/2013,Hannover.
4. Martin Höpner, Alexander Petring, Daniel Seikel, Benjamin Werner, Liberalisierungspolitik. Eine Bestandsaufnahme des Rückbaus wirtschafts- und sozialpolitischer Interventionen in entwickelten Industrieländern, in: Kölner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie 63 (1), S. 1–32. 2013.

5. Michael Reschke, Christian Krell, Jochen Dahm u. a., Lesebücher der Sozialen Demokratie, Friedrich-EbertStiftung, Bonn. Lesebuch (2012)

6. Rudolf Speth (2004), Die politischen Strategien der Initiative Neue Soziale Marktwirtschaft,Studie im Auftrag der Hans-Böckler-Stiftung, Düsseldorf. Statistisches Bundesamt. 2012

7. Thomas Meyer, Modernisierung der Privatheit: Differenzierungs- und Individualisierungsprozesse des Famillienzusammenlebens, Opladen. Die Sozialstruktur Deutschlands. Zur gesellschaftlichen Entwicklung mit einer Bilanz zur Vereinigung, Wiesbaden, S. 331–357.2013

8. Private Schulen – Schuljahr 2007/2008, Fachserie 11, Reihe 1.1, 2007/2008, Wiesbaden. Statistisches Bundesamt (2010a), Alleinerziehende in Deutschland. Ergebnisse des Mikrozensus 2009, Wiesbaden. Statistisches Bundesamt (2010b), Pressemitteilung Nr. 102 vom 15.03.2010, Wiesbaden. Statistisches Bundesamt (2011a), Pressemitteilung Nr. 378 vom 12.10.2011

9. Willy Brandt, Mein Weg nach Berlin, aufgezeichnet von Leo Lania, München. Bundesministerium der Finanzen (BMF) (2011), Die wichtigsten Steuern im internationalen Vergleich, Berlin. Bundesministerium für Gesundheit (2012), Gesetzliche Krankenversicherung, Kennzahlen und Faustformeln, Berlin. Bündnis 90/Die Grünen (2002)

10. Marius R. Busemeyer, Die Bildungsausgaben der USA im internationalen Vergleich. Politische Geschichte, Debatten und Erklärungsansätze, Wiesbaden. 2016. Berlin.

# ახალი წიგნები

## განსაკუთრებული წიგნი

**გამოხმაურება ნოდარ ჭითანავას წიგნზე**
**„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“.**
**თბილისი: „ივერიონი“, 2021**






ქართულმა საზოგადოებამ, მითითებული დასახელებითა და ქვესათაურით - „**საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები**“ - მიიღო განსაკუთრებული წიგნი, როგორც ავტორის, ისე კვლევის მოტივაციის, მეთოდოლოგიის, ლოგიკის, მოვლენათა დროსა და სივრცეში განფენის თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვხატო მადლიერება, მოწიწება და პატივისცემა ავტორის, ბატონ ნოდარ ჭითანავას მიმართ, რომელმაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის სანიმუშო მაგალითი შექმნა. ბატონი ნოდარის ცხოვრება ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს ისტორიაში კომუნისტურ/საბჭოთა, დამოუკიდებლობის აღდგენისა და შემდგომ პერიოდებს.

საბჭოთა პერიოდში მას ჰქონდა დინამიურად მზარდი კარიერა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის ჩათვლით, რომელიც მისივე გადაწყვეტილებით შეწყდა, მაგრამ მალევე გაგრძელდა მინისტრის რანგში დამოუკიდებელი საქართველოს დროსაც. 1993 წლიდან მან პროფესიული ცხოვრება მეცნიერებაში/მეცნიერებით გააგრძელა. მეცნიერებაშიც მაღწია აქ არსებულ ყველა უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს, წოდებას,თუ თანამდებობას. 2004 წლამდე იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის (გაუქმებამდე) დირექტორი. ბატონ ნოდარ ჭითანავას მთავარი მიღწევა მეცნიერებაში - მისი აღიარებაა, რისი მიღებაც რიგში - პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აღიარების შემდეგ და მის ტოლფასად, გაცილებით ძნელია, სამეცნიერო საზოგადოების ბუნებრივი კონსერვატიზმის გამო!

სწორედ, საქვეყნო აღიარებით, რომელიც ბა-

ტონ ნოდარს პირად პასუხისმგებლობის რანგში ჰყავს აყვანილი, არის, ჩემი აზრით, შთაგონებული ამ წიგნის შექმნა. მოტივაცია კი იგივეა, რაც ბაბუა/პაპებს ჰქონდათ ოდითგანვე საქართველოში, როდესაც „ხეჭეჭურს" რგავდნენ. წინა თაობის გაკეთებული მომავალ თაობას ცხოვრებაში ვალების, განადგურებული ბუნების, გაპარტახებული სამშობლოს სახით კი არა, არამედ სიმდიდრის, ძალის, წესრიგის, ცოდნის, საცხოვრებლად გამოსადეგი გარემოს სახით უნდა დახვდეს! განსახილველი წიგნიც სწორედ ასეთი მოტივაციითა შექმნილი. ის წარმოადგენს, ავტორის მრავალწლიანი კვლევისა და ფიქრის შეჯამებით მიღებული სისტემური და კომპლექსური კვლევაა.

აქ განსაკუთრებულობა კი იმაშია, რომ კვლევაში გარდა მეცნიერული მეთოდოლოგია - ხერხებისა, ჩართულია ერთი უნიკალური ფენომენი - პროფესიული ინტუიციია, რომელიც მეცნიერის მიერ მიიღწევა ცოდნაზე დაფუძნებული ცხოვრებისეული გამოცდილებით. **ინტუიციას ყველა მეცნიერი იყენებს, მაგრამ გააჩნია მის ზომას, ანუ იმ საფუძველის მასშტაბს, რაც მას წარმოშობს. ამ მხრივ უნიკალურია ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილების მასშტაბები და მრავალფეროვნება.**

გამოცდილება ასაკთან ერთად მოდის. ასაკი, დროს გარდა, სიმძიმეცაა. გამოცდილების გამოყენებისთვის საქმე ასეთი სიმძიმეაკიდებული კეთდება. ამას ვერავინ და ვერასდროს შეძლებს, თუ საზოგადო პირადზე წინ არ დააყენე. მართალია, ეს აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა, თუ მხარდამჭერი მიკროსოციუმი - ოჯახი, თანამოაზრეები არ არსებობენ. ამ მხრივ ბატონი ნოდარის ირგვლივ წესრიგია. წინამდებარე წიგნთან დაკავშირებით მაინც გამორჩეული როლი ეკუთვნის მის რედაქტორს - ბატონ **იური პაპასქუას**. განსაკუთრებული მადლობა მას იდეისათვის, რომ ბატონ ნოდარის ნაკვლევი დიალოგის სახით წარმოადგინა. ეს ექსპერიმენტი, ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის წერილობითი დიალოგებს გვაგონებს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ორიგინალურია და ხელს უწყობს მკითხველს ავტორის იდეების გაგებაში.

წიგნი განსაკუთრებულია მისი ფილოსოფიის გამო. ესაა წიგნი „გაფრთხილება": **ქვეყანა უამრავი გზით შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ქვეყნის ქართველური განვითარების კეთილი არჩევანისთვის დრო შეზღუდულია. იმისთვის, რომ ჯერ კიდევ „გადარჩენილი" საგნობრივი და ადამიანისეული პოტენციალი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, რომ ქვეყანა „ განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გავიდეს".**

წიგნის ლოგიკური ხაზი შემდეგია: **პირველი,** ესაა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის გადმოცემა პროცესების უშუალო მონაწილის მხრიდან. მოვლენების დამოწმებული გადმოცემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შიგნიდან დავინახოთ პროცესები და აქტიორები. **მეორე,** არსებული სიტუაციის შეფასება და მასში განვითარების შესაძლებლობების დადგენის ცდა. **მესამე,** ავტორის მიერ დადგენილი ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების გამოყენების გზების ჩვენება.

ამ წიგნს კარგი გზამკვლევის როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის, სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების დროს. აღნიშნული ნაშრომი, თავისი მიგნებებითა და დასკვნებით, ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლების შესაქმნელად საუკეთესო მასალაა, ხოლო მიწასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს სინამდვილისთვის იმ დონეზეა შესწავლილი და იმ სიღრმით, რომ მიწის სახელმწიფო პოლიტიკის რაიმე საკითხის გადაწყვეტა მის გაუთვალისწინებლად, დაუშვებელია.

წიგნის კითხვისას, დიალოგის ფორმა, მართალია აადვილებს აღქმას, მაგრამ ის, რომ კითხვები არაა გადანომრილი,არაა გამოტანილი სარჩევში, ან/და წიგნს არ აქვს ინდექსები, ართულებს მასზე მუშაობას. ეს საერთო პრობლემაა უახლოეს პერიოდის ქართულ სამეცნიერო გამოცემებში. მარტივი ტექსტის დროს, ეს არ იწვევს დიდ უხერხულობას. მოცემულ შემთხვევაში კი, როდესაც ნაშრომის მოცულობა 360 გვერდია, ერთი და იგივე ცნება ან მოვლენა რამდენიმეჯერაა სხვადასხვა კუთხით განხილული, ინდექსების არარსებობა სირთულეს ქმნის ტექსტზე მუშაობისას. ამ საკითხს, თვითკრიტულადაც ვუსვამ ხაზს, რომ დავავალდებულოთ ერთმანეთი სამეცნიერო ნაშრომებისადმი აღნიშნული ატრიბუტის აუცილებლობაში.

მთლიანად, პროფ. ნოდარ ჭითანავას ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მოაზროვნე საზოგადოებისთვის და ჩემი აზრით, ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური ისტორიის სფეროში, მას გვერდს ვერ აუვლის!

***მიხეილ ჯიბუტი***

# გამოხმაურება ალექსანდრე სიჭინავას, ანზორ მესხიშვილის და დალი სეხნიაშვილის მონოგრაფიაზე - მიწის რეფორმა საქართველოში - სახელმწიფო მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები

სამი ათეული წელია ქვეყანა ყოვლისმომცველი გარდაქმნების რთულ პროცესშია ჩართული. კრიზისის თითქმის ყველ ფორმა გამოვცადეთ. ეკონომიკას ისევ უჭირს. პანდემიამ მნიშვნელოვან წილად შებოჭა განვითარების შესაძლებლობანი. სწრაფად ცვალებადი დრო ახალ - ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. ზოგადად გაურკვევლობა, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოსათვის, გვზღუდავს განვითარების ორიენტაციის სწორად განსაზღვრაში. შეზღუდული გვაქვს არჩევანიც - დროსთან ეროვნული ფენომენის გათანამედროვებით შევინარჩუნოთ სწრაფად ცვალებად გამოწვევებთან თავსებადობის უნარი და ქვეყანა განვითარების თვისებრივად ახალ გზაზე გავიდეს ან გლობალური პროცესების გავლენით მილევად სახელმწიფო წარმონაქმნად იქცეს და მკაცრ განაჩენს დაელოდოს. ასეთია მკაცრი მოცემულობა. ასეთ დროს ნებისმიერმა ქვეყანამ განვითარების სტრატეგია უნდა ააგოს უპირატესად საკუთარ რესურსულ პოტენციალზე. რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების ფონზე განვიხილავთ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ავტორების: ანზორ მესხიშვილის, ალექსანდრე სიჭინავას და დალი სეხნიაშვილის გამოკვლევას „მიწის რეფორმა საქართველოში - სახელმწიფოს მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები“.

ნაშრომი ყოველმხრივ საყურადღებოა და განხილული პრობლემების მიმართ მრავალმხრივ ინტერესს იწვევს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ იგი თემის (პრობლემის) აქტუალურობით, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ხედვებით, კვლევის თეორიული სიღრმით და პრაქტიკისათვის აუცილებელი (ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული) რეკომენდაციებით იძლევა ქვეყანაში მიწის რეფორმების წინაღმდეგობრივი პროცესების მიმდინარეობის შეფასების ობიექტურ (რეალურ) სურათს. ამას არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ, უაღრესად აქტუალური პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს.




ასევე მეთოდოლოგიურად სწორად არის გაცნობიერებული პრობლემის განხილვის გარემო (ფონი) - ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლები (ტერიტორია, ლანდშაფტი, ვერტიკალური ზონალობა, კლიმატი, ჰავა, ბუნებრივ-საწარმოო პირობები, სპეციალიზაციის თავისებურებანი და სხვა) ქმნიან სრულ წარმოდგენას ქვეყანაზე, როგორც ტერიტორიულ სივრცეზე. ეს კი მკითხველს აძლევს საშუალებას-რეფორმების (გარდაქმნის) ობიექტი წარმოიდგინოს რეალურ განზომილებებში.

ქვეყნის რესურსული პოტენციალის უმთავრესი კომპონენტი - მიწის რესურსები განხილულია როგორც კომპლექსური ცნება, რომელიც მოიცავს მიწას, როგორც ბუნებრივ რესურსს - წარმოების ძირითად ფაქტორს - უძრავი ქონების ობიექტს. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა - მიწის პრივატიზაციის ამოსავალი საწყისი, რაც ეროვნული ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის კონცეპტუალური და ეტაპობრივი თავისე-

ბურებაა.

ნაშრომში ლოგიკურად განხილულია მიწის რეფორმის ისტორიული ასპექტები (რუსეთის იმპერიაში განხორციელებული საგლეხო რეფორმა, საქართველოში ბატონყმობის პერიოდის მიწის ფლობის წესები, სოციალისტური წარმოების ტენდენციები) და მათ ფონზე საქართველოში სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ექსტრემალურ პირობებში მიღებული ნორმატიული აქტების მნიშვნელობაც. ავტორებმა არგუმენტირებულად ახსნეს რეფორმის თითოეული ეტაპის თავისებურებათა ფონზე ის პირობა - ფაქტორები, რომლებიც აფერხებდნენ (აფერხებენ) მიწის ეფექტიანად გამოყენებას (მიწის ფრაგმენტაცია, აღრიცხვა - რეგისტრაციის მოუწესრიგელობა, მიწის ბალანსის წარმოების შეჩერება, უცხოელებზე მიწის გასხვისების პროცესის თვითდინებაზე მიშვება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაჩანაგება, მიწის ინტენსიური ფართობების დაუმუშავებლობა, მიწის (ნიადაგის) დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა შეჩერება და სხვა). ამასთან ერთად განზოგადებულია მიწის რეფორმის პროცესში დაფიქსირებული თავისებურებები, ტენდენციები და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები. ავტორებმა ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილეს მიწის რესურსების მართვის პრობლემები და წარმოადგინეს მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები. მიწის ბალანსის წარმოების განახლების, მიწის გამოყენებაზე სახელმწიფო მონიტორინგის დაწესების, უწყებათაშორის კოორდინაციის გაძლიერების, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გამოყენების, მიწის აღრიცხვა - რეგისტრაციის მოწესრიგების, კონსოლიდაციის, რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზაზე განვითარების, მართვის სამსახურების ორგანიზაციულად განმტკიცების შემოთავაზებული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიწის რეფორმის სოციალურ - ეკონომიკური შედეგების ობიექტურად შეფასებას, განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა გამოვლენას, აგრარული პოლიტიკის ახალი გამოწვევების შესაბამისად დაზუსტებას.

სასურველია, მომავალშიც პრობლემის (თემის) კვლევა გაღრმავდეს, განსაკუთრებით, გარდაქმნების შედეგების შეფასების, სასოფლო - სამეურნეო წარმოების მზარდი როლის გაცნობიერების, მიწის რესურსების ეფექტიანობის თანამედროვე ფორმების გამოყენების მიმართულებებით.

**ნოდარ ჭითანავა**
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

# სამაგიდო წიგნი ქართულ სამეცნიერო სივრცეში

სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქციის საქმეში საქართველოს განსაკუთრებულობა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიდ სახელმწიფოებს მაგნიტივით იზიდავდა. ამ რეალობით განპირობებული საფრთხეები, ჩვენს წინაპრებს მაღალ დონეზე ჰქონდათ გაცნობიერებული. ქართველი ერის წინარე პოლიტიკურ ისტორიას თუკი სიღრმისეულად ჩავწვდებით, ნათელი გახდება, რომ ქართველი მეფეების უმეტესობას, მეზობელი სახელმწიფოების მმართველი წრეები და დასავლეთ ევროპის მეფენიც საფუძვლიანად ჰყავდათ შესწავლილი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ კურსსთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, სხვისი მოიმედეობით ნაჩქარევად არასოდეს ღებულობდნენ. ამის შესანიშნავ მაგალითს, საფრანგეთის მეფის ფილიპე VI ვალუასადმი (1328-1350 წწ.) , გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346 წწ.) დამოკიდებულება წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ საფრანგეთის მეფის მიერ ჯვაროსანთა ლაშქრობაში – კონსტანტინოპოლის დასაცავად მიწვეულმა გიორგი V- ემ, ფილიპე VI ვალუას წინადადებას, მოზომილი დიპლომატიური ფორმით გამოუცხადა უნდობლობა. „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელისუფალნი – ვკითხულობთ დოკუმენტში – ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მიდიან, სტოვებენ რა მათ მტანჯველ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად 30 ათასი ჯარისკაცით.“ (ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომატია) თბ. 2004 წ. გვ. 219-220) ცნობილი ფაქტია, რომ საფრანგეთის მეფემ ფილიპე VI ვალუამ ზემოაღნიშნული ლაშქრობა ვერ განახორციელა. ქართველი მეფე, ფილიპე ვალუიას დანაპირებს რომ დაყრდნობოდა და ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიეღო, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის პირისპირ მარტოდ-მარტო მდგომი ქართველი მხედრობა და მისი სარდალი. ეს ფაქტი შეგნებულად მოვიტანე, რათა მკითხველისადმი მეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი დაფიქრება მართებს ქვეყნის ხელისუფალს ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ერის ხვალინდელი დღისთვის ტრაგედიით დატვირთული არ აღმოჩნდეს.

ქართველთა წარსულის გამოცდილება პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ სახელმწიფოს მართვის სადავეებისთვის, ჩვენი წინაპრები საგანგებოდ ამზადებდნენ მეფისწულებს (მაღალი განათლებით, სახელმწიფოს მართვის საიდუმლოების შესწავლით, სამხედრო საქმით, დიპლომატიით, ხალხთან ურთიერთობის სპეციფიური ნორმების ათვისებით და ა.შ.) ამით იმის თქმა მინდა, რომ, როცა ქვეყნის ხელისუფლების პირველი პირი ყველა ზემოაღნიშნული ღირსებით იყო შემკული, საქართველო მუდამჟამს აღმავალი გზით ვითარდებოდა (დავით IV აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე) , რადგან მისი გარემოცვაც ინტელექტუალების და უნიჭიერესი ადამიანების კრებულს წარმოადგენდა. ასეთი პიროვნებების ხელში მყოფი ქვეყანა, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერდებოდა, ხოლო მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი სახით გადაეცემოდა თაობებს. იმავე წარსულის გამოცდილება გვასწავლის, რომ დაბალი ინტელექტისა და შემთხვევითი პირების მმართველობის პერიოდში, მის გარშემო გაუნათლებელთა გუნდი იკრიბებოდა და ქვეყნის ბედიც უფსკრულისკენ მიექანებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მისი მმართველი ინტელექტუალური წრეების უმეტესობა, ახლოაღმოსავლეთის სივრცეში საქართველოსთვის საპატიო ადგილისა და ფლაგმანის ფუნქციის მოსაპოვებლად მაქსიმალურად იღწვოდა. ამ ურთულესი და საპატიო საფეხურის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ერთადერთი შანსი რომ იყო, ეს ფაქტორი მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. თუკი ამ უპირატესობის დაბრუნებას ჩვენი ქვეყანა XXI საუკუნეში ვერ შეძლებს და „მაჩანჩალას“ ფუნქციის როლში აღმოჩნდება, მისი მომავალი დაღმავალი გზით წარიმართება. სამწუხაროდ, XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს მმართველი წრეებისთვის, წინაპართა მდიდარი გამოცდილების გათვალისწინება შეუსმენელი დარჩა და შედეგიც სახეზე გვაქვს. მხედველობაში მაქვს საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის ძალისხმევით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შექმნილი უმძიმესი ეთნოკომფლიქტური სიტუაცია და ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალური მოცემულობა. ნაპოლეონ ბონაპარტე ბრძანებდა: „ერის უძლურება მაშინ იწყება, როცა კუთვნილ ტერიტორიას მოწინაარმდეგეს ნებაყოფლობით უთმობს, ან ძალ-

მომრეობით მიტაცებულის უკან დაბრუნებას არ ცდილობს.“ ეს მომაკვდინებელი საფრთხე, ჩვენი ქვეყნის მიმართულებით აისბერგივითაა აღმართული და დაძრული. არსებული სინამდვილისადმი სწორი დიაგნოზის დასმის და შესაბამისი რეცეპტის გამოწერის საჭიროების პრობლემატიკას, ქართველთა და უცხოელ ავტორთა N რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომები მიეძღვნა, მაგრამ, **დღემდე ვერავინ შესძლო იმ შეჯავშნული კარების გასაღების გამოჭედვა, რომელიც საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების დარეგულირებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშემწყობი ფაქტორი გახდებოდა.**

ჩვენი უდიდესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ უცხოელ ავტორთა შრომებზე გადაგვაქვს და რაიმე სასიკეთოს შემოთავაზების შემთხვევაში, ხშირად აჟიოტაჟსაც ავტეხთ. მაგრამ, გავისუსებით, თუკი ქართველი კაცი უფრო ამაღლებულ საფეხურზე შედგა და ჩვენი გასაჭირიდან გამოსვლის რეალური გზა დაგვისახა. ეს ავადმყოფური სენი დღემდე შემოგვრჩა. XXI საუკუნის მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და არსებული სინამდვილე, ქართველი ერის წინაშე პრინციპულად აყენებს საკითხს, – უცხოელთა გაფეტიშების ტყვეობიდან გამოსვლის და ქართულ რეალობაში დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. **ჩემს მიერ საკითხის ასეთი ფორმით დასმა, ქართველი სწავლულის ნაშრომის გაცნობამ განაპირობა. მხედველობაში მაქვს პროფესორ ზურაბ ხონელიძის მონოგრაფია: „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ თბილისი, 2021 წ. ეს სამეცნიერო ნაშრომი შესავლის, სამი თავისა და სამხრეთ კავკასიის- გეოპოლიტიკური სივრცის რეგიონალური თანამშრომლობის ახალი ფორმატის შესახებ შესაბამისი პროექტითაა წარმოდგენილი. კითხულობ ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომს და რწმუნდები, რომ იგი ავტორის მიერ წლების მანძილზე ნაფიქრალის ხორცშესხმას წარმოაგდგენს.** მასში მოტანილი ყოველი დებულება, ქართველი ერის წარსულის გამოცდილების სიღრმისეულ ცოდნაზეა დაფუძნებული და რაც მთავარია, ამ სარძიკველზე დაყრდნობითაა შეფასებული თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ყოფა. წარსულსა და დღევანდელობას შორის პარალელის გავლებამ და ლოგიკური თანმიმდევრობით გაკეთებულმა დასკვნებმა, ავტორს შესაძლებლობა მისცა გაბედულად ეთქვა იმ შეცდომების შესახებ, რომელიც გასული საუკუნის 90- იანი წლებიდან დღემდე იქნა დაშვებული. ამ მწარე სინამდვილის ფონზე, პროფ. ზ.ხონელიძე სავსებით კანონზომიერად სვამს კითხვას: რა გვეშველება, რა გამოგვიყვანს დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობიდან. ამ ურთულესი კითხვის პასუხს, წიგნის ავტორი, თვით ქართველი ერის საკუთარ აზროვნებაში ეძებს. მისი სამართლიანი მტკიცებით, ამის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიქმნება, თუკი ერის ინტელექტუალთა ძალისხმევა ქართული სახელმწიფოს როლის ასამაღლებლად და მისთვის შესაფერისი დამატებითი ფუნქსიის შეძენისკენ იქნება მიმართული. ასეთი ფონის შექმნით, ავტორმა ერის ინტელექტუალთა კონსოლიდაციის აუცილებლობის დასაყრდენი საფეხური შეამზადა და ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალას გარკვევით მიანიშნა: შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანებზე დაყრდნობით ისეთი სამოქმედო პროგრამა მომზადებულიყო, რომლის პრაქტიკულად რეალიზაცია საქართველოს სახელმწიფოებრიობას საუკეთესო ნაყოფს მისცემდა. აქედან გამომდიანრე, 1993-2008 წლებში ქართველთა მიმართ განხორციელებული საბედისწერო მოვლებნები (რუსული საოკუპაციო ქმედებები, ქართველთა ეთნიკური წმენდა და ა.შ.) ქართველი ერის ფენომენის ვერშეცნობის და იმ რეალობის ვერგაცნობიერების შედეგს წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შუამავლის გარეშე მოწესრიგებას რომ ითვალისწინებდა. ამის ძირითად მიზეზს, პროფ. ზ.ხონელიძე შემდეგი გარემოებებით ხსნის: 1) ქართული პოლიტიკური ელიტის ეროვნული სახელმწიფოს აზროვნების დონემდე ვერამაღლება; 2) ერისა და სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა, პირადი მეს და სარგებლობის დაყენება; 3) ქვეყანაში მიმდინარე მავნებლური პოროცესების გადასაფარავად, საზოგადოების შიგნით დაპირისპირების ხელოვნურად გაღრმავება; 4) საქართვრლოს მოსახლეობის განათლებული და ინრტელექტუალური ნაწილის პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად მონაწილეობა და დაბალი ინტელექტის, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე და უპასუხისმგებლო ადამიანებსთვის ხელისუფლებაში მოსასვლელად გზის გახსნა; 5) ქვეყნის მომავლის და მისი გადარჩენის საკითხის ერთ რომელიმე სუბიექტზე დაფუძნება; 6) საქართველოს საზოგადოების შესაძლებლობის ეროვნულ ენერგიად გარდაქმნის აუცილებლობის უგულებელყოფა.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევის შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი: 1) ქართული საზოგადოების ნიჰილიზმის ტყვეობიდან გამოყვანა და მისთვის მომავლის რწმენის დაბრუნება; 2) ინტელექტუალთა მაღალი დონის მსოფლმხედველობრივი და სტრატეგიული აზროვნებისთვის დამახასიათებელ რეკომენდაციებზე დაფუძნებით შემუშავებული პროგრამის მიხედვით, პოლიტიკურ ჩიხში შესული ქვეყნისთვის გამოსავალი გზის ძიება.

აქედან გამომდინარე, იგი ხელისუფლების წი-

ნაშე შემდეგი სახის პრაგმატული ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხს აყენებს: 1) უნდა მოხდეს საქართველოს გეოფრაფიული ახალი სივრცის შესატყვისი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ამ სივრცისადმი საქართველოს დაპატრონება; 2) საქართველოში მიმდინარე ეთნოკომფლიქტების დაძლევასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად, დაუყოვნებლივ იქნას მიღებული შესატყვისი გადაწყვეტილებები; 3) დროულად განხორციელდეს კონფლიქტისადმი მიდგომის წარსული წლების გამოუსადეგარი ფორმებისადმი ზუგშექცევა. კონფლიქტების გაჭიანურების მიზეზის ახსნის ფონზე ისეთი გზების და მიმართულებების გამოიძებნა, რომელიც ქართულ გემს დანიშნულებისამებრ ნავსადგურში უხიფათოდ რომ შეიყვანს.

რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, იმავე პროფ. ზ.ხონელიძის სამართლიანი მტკიცებით, იგი არსებული პოლიტიკური სინამდვილის გათვალისწინებაზე და კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებაზე იქნება დამოკიდებული და რაც მთავარია, ეს ფაქტორი დაედება საფუძვლად სრულფასოვანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

იმპერიათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს, რომელსაც ყველა მიმართულებით ექაჩებოდნენ და დღესაც ამ მდგომარეობაშია, პროფ. ზ.ხონელიძე კანონზომიერად სვამს კითხვას: ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მეზობელი სახელმწიფოებიდან მიტაცების შესაჩერებლად, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია თუ არა შესაბამისი მექანიზმების ამოქმედება. ამ საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტის ერთ- ერთ გზას, იგი განათლებასა და მეცნიერებაზე, საზოგადების ჯანსაღ და პრაგმატულად მოაზროვნე ახალგაზრდებზე ორიენტაციის აღებაში ხედავს. სამივე ეს კომპონენტი, თავისუფალ საუნივერსიტეტო სივრცეში იყრის თავს. ამ ფონზე სთავაზობს იგი საზოგადოებას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა რესურსის გამოყენებას, კონფლიქტთან მიმართებაში სამშვიდობო პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსების და სამშვიდობო ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. Pროფ. ზ.ხონელიძის მტკიცებით, დასახული მიზნის განხორციელება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება პრაგმატული სახის მატარებელი, თუკი უნივერსიტეტის თავისუფალ აკადემიურ სივრცეში, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ყოფის შესატყვისი თემატიკა იქნება შემოტანილი. ამ უაღრესად გაბედული შემოთავაზების გასამყარებლად, იგი საქართველოს ხელისუფლებას, ქართული მეცნიერებისთვის და კონფლიქტოლოგიის სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის, დღემდე უცნობ და სიახლით დატვირთულ ახალ ფორმულას – **„საუნივერსიტეტო დიპლომატიის“** გამოყენებას სთავაზობს.

ამ იდეის ხორცშესხმის რეალურ გზას, პროფ. ზ,ხონელიძე, აღნიშნულ პროცესში მაღალი დონის ინტელექტუალთა ჩართულობაში ხედავს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს და საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენებს: იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი ქვეყნების მუდმივი საფრთხისგან საქართველოს დაცვის და ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარების შესაძლებლობა, ქართველ ინტელექტუალთა გონიერებაზე დაფუძნებით შემუშავებული წინადადებების მიხედვით მოქმედებში მდგომარეობს. მითუმეტეს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ერთობლივი სახელმწიფოს მშენებლობა, განათლებასა და მეცნიერებაზე, ობიექტური ცოდნის ჭეშმარიტ წყაროზე, პრაგმატულად მოაზროვნე ახალგაზრდობაზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. ამის ერთობლიობის ინსტიტუცია, როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, უნივერსიტეტი წარმოადგენს, რომელსაც პარტნიორობის ფორმატით კონფლიქტის დაძლევის საქმეში მნიშვნელოვანი მისიის შესრულება მხოლოდ „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ განხორციელებით ხელეწიფება. „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“, დიპლომატიის სხვა დანარჩენ სახეობებთან უპირატესობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, პროფ. ზ.ხონელიძე რამდენიმე არგუმენტს სთავაზობს სამეცნიერო წრეებს და მკითხველ საზოგადოებას: ა) „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ახალ ფორმას წარმოადგენს; ბ) იგი მეცნიერების დიპლომატიისა და სამეცნიერო კერის – უნივერსიტეტის დარგთაშორის კავშირს ეფუძნება; გ) „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ ორაზროვნებისა და ბუნდოვნებისგან სრულადაა განთავისუფლებული.

ამ კონცეფციის ფონზე, წიგნის ავტორი ფორმულირების სახით იმ ძირითად პრინციპებს და განსაკუთრებულ მახასიათებლებს აყალიბებს, რომელიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკისრია. დასახული მიზნის შესრულების პირველი რიგის ამოცანად, შემდეგი ღონისძიებების გატარება ესახება: ა) უნივერსიტეტის განსაკუთრებული მისიის შესასრულებლად დამატებით უნდა გამოიკვეთოს მისი განსხვავებული პროფილი და სტრატეგია. ხოლო რეალიზაციისთვის განისაზღვროს შესაბამისი გზა; ბ) სამეცნიერო სამშვიდობო დიალოგისათვის მოსამზადებელი საფეხურის შესაქმნელად, განხორციელდეს მშვიდობის ღირებულებათა კატეგორიის კვლევა და ლობირება. სამეცნიერო დისციპლინის სახით იქნას შემოღებული

კონფლიქტის დარეგულირებისთვის მრავალპროფილური სამშვიდობო განათლება; გ) უნუვერსიტეტის ცნობადობის გასაზრდელად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავების პარალელურად, უნდა შენარჩუნდეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ თემების კვლევის აქტუალობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი სიღრმისეულად ჩავწვდებით პროფ. ზ.ხონელიძის მიერ შემოთავაზებულ დებულებებს, ნათელი გახდება, რომ მას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხაზით სრული რეორგანიზაცია და იმ საფეხურებამდე ამაღლება აქვს დასახული, რომელიც უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისა და ქართული სახელმწიფოს ტერიტორიის გამთლიანების საქმეში ფლაგმანის ფუნქცია შეასრულოს. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუკი, აღნიშნული საკითხი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად, ქართული სახელმწიფოს შენების, მისი ერთიანობის გზის დასაწყისად იქნება გამოცხადებული. ამ შემთხვევაში, შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურების ხელშეწყობას განსაკუთრებული დატვირთვის ფუნქცია ეკისრება.

ქართული სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებისათვის პროფ. ზ.ხონელიძის მიერ შეთავაზებული „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ – ამ ახალი იდეის ხორცშესხმის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა, რეალურ სახეს მხოლოდ მას შემდეგ შეიძენს, როცა მისი სამოქმედო არეალი სამხრეთ კავკასიური სივრცის ფარგლებში გაფართოვდება. თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ჩანაფიქრის პრაქტიკაში გადმოტანა და რა მოსალოდნელი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია პრაქტიკულად მის რეალიზაციას სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების (მათ შორის საქართველოს) მიმართ, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი იმავე მონოგრაფიაში წარმოდგენილ პროექტში, რომელიც შემდეგი სახითაა დასათაურებული: „საქართველოს არჩევანი. პროექტი: სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონალური თანამშრომლობის ახალი ფორმატი) “.

მიმდინარე პოლიტიკური და რეგიონალური პროცესების სიღრმისეული ანალიზის ფონზე, ავტორი პრინციპული ფორმით აყენებს საკითხს – საქართველოსთვის საერთაშორისო ფუნქციის დაბრუნების შესახებ. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, იგი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს სთავაზობს უებარ რეცეპტს, სადაც კონკრეტულადაა გაწერილი თუ რა გზითა და საშუალებებით შეიძლება დასახული ამოცანის გადაწყვეტა. ამ ფონზე, პროფ. ზ.ხონელიძე სვამს კითხვას, თუ რაში მდგომარეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ქართული მისია და იქვე ფორმულირების სახით იძლევა დამაჯერებელ პასუხს. მისი მტკიცებით, სუვერენული სახელმწიფოებისგან შემდგარი სამხრეთ კავკასია, ერთიანი რეგიონალური სივრცით უნდა წარდგეს მსოფლიოს ძირითადი გეოპოლიტიკური ცენტრების – აშშ- ის, რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირის წინაშე. ამის აუცილებლობას იგი შემდეგ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებში ხედავს:

ა) ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდრბარე და მისი დამაკავშირებელი ქვეყნების (საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი) ერთიანი გეოსტრატეგიული და პოლიტიკური ცენტრისადმი საჭირო მდებარეობა; ბ) საერთაშორისო თანამეგობრობისა და ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსადმი, პოლიტიკურად მოტივირებული ორიენტაცია სამხრეთ კავკასიისადმი, როგორც ერთიანი ორგანიზმისადმი და ა.შ.

ამ ფონზეა წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის, აშშ- ის, ევროკავშირის, თურქეთისა და ირანის ინტერესები. ავტორი დასაბუთებული ფორმით წარმოაჩენს იმ განმაპირობებელ მიზეზებს, რამაც უმოქმედობის შემთხვევაში, შეიძლება საქართველოს, რელიგიურ-კულტურული შემაკავშირებლის ფუნქცია და რაც მთავარია, რეგიონში გეოსტრატეგიული სტატუსი დააკარგვინოს.

ამ რეალური საფრთხის აცილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტორად, პროფ. ზ.ხონელიძეს, საერთო ღირებულებათა ინტერესებზე დაფუძნებული და დაბალანსებული რეგიონალურ-გლობალური პროექტის მომზადება ესახება, რომელსაც ისტორიული, ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორები დაედებოდა საფუძვლად. მისი სამართლიანი მტკიცებით, ასეთი პროექტის ამოქმედება შესაძლებლობას შექმნის: ა) საქართველო, სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი მდგომარეობის უნიკალური ფუნქციის მატარებელი და პასიურიდან აქტიური პოლიტიკური მოთამაშე გახდეს; ბ) ერთიანი ძალისხმევით განხორციელდეს აფხაზური და ოსური კონფლიქტების დაჩქარებული ტემპით მოგვარება; გ) სამხრეთ კავკასიის (საქართველო, Aზერბაიჯანი, სომხეთი) ერთიანი სამხედრო, პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ რესურსზე დაფუძნებული მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია, მსოფლიო გლებალურ პროცესებში სამხრეთ კავკასიის გაერთიანებული სახელმწიფოს უსაფრთხო ინტეგრირებას უზრუნველყოფს; დ) სამხრეთი კავკასია, საერთაშორისო კაპიტალის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოეკონომიკურ სივრცედ გადაიქცეს.

საქართველოსთვის პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სახელმწიფოებრივად სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ დებულებების პრაქტიკული რეალიზაცია, როგორც პროექტშია წარმოდგენილი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შიდა ეროვნული და გარე კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიის შესაძლებლობებს ქმნის. საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა, საქართველოსთვის წამგებიანი იქნება, რამეთუ „მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ“ ერის სასიცოცხლო ხანგრძლივობის შემოკლების საფეხუროის შემზადებას ნიშნავს. აღნიშნული პროექ ტის განსაკუთრებულობა იმაშიაც მდგომარეობს, მასში საფუძვლიანადაა გაანალიზებული „სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის“ იდეასთან მიმართებაში შექმნილი ადრინდელი პროექტები. რეგიონის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და მოსალოდნელი რეალური საფრთხეების სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზეა უარყოფილი მათი შეუსაბამობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში.

პროფ. ზ.ხონელიძის მიერ შემოთავაზებულ პროექტში დაწვრილებითაა განხილული რუსეთის მიერ საქართველოსადმი შეთავაზებული ფორმატის რამდენიმე ვარიანტი: ა) რუსეთის ფორმატით 1=3 (რუსეთი+ საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი); ბ) 3+3 ფორმატი (რუსეთი-თურქეთი-იარანი+საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი. ეს ფორმატი კავკასიის კონფედერაციაზეა გათვლილი). აღნიშნული ფორმატების გაანალიზების საფუძველზეა დასაბუთებული მისი მიუღებლობა საქართველოს სინამდვილისათვის. იმის შესახებ, თუ სად არის გამოსავალი და რა მიმართულებით შეიძლება სწორი არჩევანის გაკეთება, ამ საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილ პროექტში საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული.

პროფ. ზ.ხონელიძის მტკიცებით, მხოლოდ ისეთი ფორმატია მისაღები, რომელიც სამივე სახელმწიფოს პარტნიორობაზე დაფუძნებული ძალისხმევით, თითოეული მათგანის ინტერესებს დააკმაყოფილებს. ამის პრაქტიკულ შესაძლებლობას, იგი ფორმატის ორ სახეობაში ხედავს: **ა)** პირველი ფორმატი – 3+1+1+1. ე.ი. 3=1+1+1 რაც გულისხმობს: საქართველოს+ აზერბაიჯანი+ სომხეთი;P**ბ)** პირველი ფორმატის წარმიმატებლობის შემთხვევაში, მეორე ფორმატის ამოქმედება გახდება შესაძლებელი. მეორე ფორმატი – 3=2+1. ეს გულისხმობს: საწყის ეტაპზე 2 – საქართველო+ აზერბაიჯანი. რამდენადაც ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ავსებენ და შავსა და კასპიის ზღვებს აერთიანებენ, ისინი მოიცავენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის და მოსახლეობის 80%- ს. იმავე პროექტში მოტანილი დებულებების მიხედვით, სომხეთი იზოლირებულ მდგომარეობაში ვერ დარჩება და იძულებული გახდება ამ გაერთიანებას შეუერთდეს. ამ ფორმატის პრაქტიკული ამოქმედება, როგორც პროფ. ზ.ხონელიძე აღნიშნავს, იმის წინა პირობას შექმნის, რომ აშშ- მა, ევროკავშირმა, თურქეთმა, ირანმა და რუსეთმა, ერთმანეთთან შეთანხმებით შექმნან ახალი ფორმატი 3+3+2 (საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი+რუსეთი-თურქეთი-ირანი+აშშ-ევროკავშირი) .

ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა, ყოველგვარი გაყოფისა და ამბიციური დაპირისპირების გარეშე შეუწყობს ხელს, ახალი სტაბილური ჯგუფის ჩამოყალიბებას, რაც რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას შექმნის.

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ზ.ხონელიძის მიერ აღნიშნული პროექტით შემოთავაზებული ფორმატი, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების რეალურ შესაძლებლობად გვესახება. რაც შეეხება ქვეყნის ორიენტაციას, იმავე პროექტის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ და ქართველი ერის ხვალინდელი დღე, სხვა ქვეყნის ინტერესებს არ ვანაცვალოდ.

ეს საპროგრამო წიგნი, ჩვენს წინაშე დევს. სიტყვა ეკუთვნის ხელისუფლებას, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ ფრთები უნდა შეასხას და საქართველოსთვის სასიცოცხლო პროგრამული დებულებები განახორციელოს. თუკი ვინმე მის რეალიზაციას შეძლებს, იგი საქრთველოს ისტორიის უკვდავთა სიაში თავის საპატიო ადგილს დაივანებს.

დღევანდელმა სინამდვილემ, რამდენადაც ეს წიგნი გადაგვიშალა, ჩვენი ვალდებულებაა (უფრო სწორად ხელისუფლების ვალდებულებაა) მას დაბინდული თვალებით კი არ შეხედოს, არამედ, ამ წიგნის ყოველი აბზაციდან ის უმნიშვნელოვანესი დებულებები და მიმართულებები ამოიკითხოს, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის ხელშემწყობ ბალავარს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიმედოვნებ, რომ ხელისუფლება ამ წიგნის ანბანის წაკითხვას შეძლებს, მასში ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოტანილ დებულებებს მაღალი დონის პროფესიონალთა მსჯელობის საგნად აქცევს და მის განსახორციელებლად პრაგმატულ ნაბიჯებს გადადგამს.

**შოთა ვადაჭკორია**
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი